კვირის პალიტრა

ფეხი

N45(126) 7/XI.-13/

ფასი 60 თ.

1168
2002



ის დღე ჩაიშალა...

„ვილის გაღარჩენის ინსტიტუტმა შიში გამიქრო“

ხალი — მიძინებული საფრთხე!



აგნესა — მილიონერის განებივრებული ქალიშვილი თუ...

გურჯაანელი „შერეკილები“

მარიკა თხელიძე:

„ყვავილები კი არა — დანა ეჭირა თურმე — სადარბაზოში წარწერა უნდოდა ამოეფხიკა: „მარიკა +...“

გვ. 18

ქვირის პალიტრა
ეზო
№45 (126)
7 — 13 ნოემბერი 2002
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ! ანუ წინაპართა ნაკვალევზე... 3
სკანდალი
„ფულს იმას სთავაზობენ, ვინც იღებს...“ 4
ერთი კითხვა 5
პოზიცია
ირაკლი შენგელაია: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი წარმოუდგენლად მიმაჩნია“ 6
მოგონება
როგორ გადაარჩინა შვილი კახი კავსაძემ 7
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 8
კრიმინალი
● „მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ქისტი იყო“ — აცხადებს განსასჯელის უკმაყოფილო ადვოკატი 12
● სამი ადამიანი არაგვში ჩაახრჩო, ცოლ-ქმრის მკვლელობისთვის კი დახვრეტა მიუსაჯეს 13
● მამას გამოესარჩლა და მკვლელობა ჩაიდინა 14
ენთუზიასტები
გურჯაანელი „შერეკილები“ 16
ვოიაჟი
ქართველ მომღერლებს ბროდვეის სცენა და „კალიფორნია-ცენტრი“ უმასპინძლებს 18
ტესტი
ერთგული მკითხველი 21
მედიცინა
ხალი — დაავადება თუ სამშვენისი?! 22
ქალი საჭესთან
მარიშას დანახვაზე პოლიციელებს ენა მუცელში უვარდებათ... 25
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
შემოქმედი
ლიდი იოსელიანის აუხდენელი ოცნებები 28

გურჯაანელი „შერეკილები“

როდესაც ცაზე უცნაური მფრინავი ობიექტი შევნიშნე, სიმართლე გითხრათ, ვინანე კახეთში ჩასვლა: პანკისის ამბებით შეშინებული, დაბომბვას ყოველ წუთს ველოდი. მასპინძლებმა ბევრი იცინეს და ამიხსნეს, რომ ეს ჩუმლაყელი „შერეკილის“ გამოგონილი შეეულმფრენი იყო.

16

როგორ გადაარჩინა შვილი კახი კავსაძემ



დაუვიწყარია ის პირველი წამი, ჩემი მომავალი ცოლი — ბელა მირიანაშვილი რომ დავინახე პირველად. ვთქვი: — რა ლამაზია-მეთქი! — და გავშეშდი... არა, კი არ გავშეშდი — გავგიჟდი!.. პირველი კოცნაც მახსოვს, საქმე ის არის, ვინც გიყვარს, იმას რომ აკოცებ პირველად. სხვა „სჩოტში“ არ გადის.

7

სამი ადამიანი არაგვში ჩაახრჩო, ცოლ-ქმრის მკვლელობისთვის კი დახვრეტა მიუსაჯეს

ხუთი ადამიანის მკვლელობისთვის ბრალდებული 32 წლის გივი ნათელაშვილი ამ დღეებში სასამართლოს წინაშე წარდგა. აღსანიშნავია, რომ გივი ნათელაშვილი იმ საზარელ, სადისტურ მკვლელობებს, რაშიც მას სამართალდამცავები ადანაშაულებენ, აღიარებს.

13

ლიდი იოსელიანის აუხდენელი ოცნებები

ლექცია მქონდა, ვიღაცამ კარი გააღო და მითხრა — ქვემოთ ვიღაც გელოდებათო. როცა ჩავედი, ჯაბა თავის მეგობართან ერთად დამხვდა. მთხოვა — სადმე ბინა უნდა მიშოვოო. სანამ ჩემთან მოვიდოდა, ხუთი დღე და ღამე სადარბაზოებში ათევდა თურმე ღამეს.

28

ეკრანს მიღმა

სტივენ სოდერბერგი: „თუ პროდიუსერები ჩემს საქმეში ჩაყოფენ ცხვირს, თავ-პირს გავუერთიანებ ან სახლს გადავუწვავ...“ 32

სცენის მიღმა

კრისტინა აგილერა: „არავის მივცემ უფლებას, წინ გადამეღობოს“ 33

ტაქარი

მარხვის მაღლი და მნიშვნელობა 34

მოთხრობა

თამაგ ჭორჭოლიანი. ავის მოციქული (დასასრული) 35

საფეხბურთო მინდვრებზე 38

ვარსკვლავი

პირდაპირი და უკომპლექსო ფამკე იანსენი 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 44

სპორტული მოზაიკა 48

რინგი 49

ავტო 50

მოგზაურის დღიურები

დარიჩინიანი ჩაით გაგავებული... ამერიკული კანონები 51

აქეთური-იქითური 54,55

ჯანმრთელობა

- რომელი სურდო გაქვთ? მენინგოკოკური ინფექცია 56
- წერტილოვანი მასაჟი 57
- დიასახლისის კუთხე 58
- უახლესი კვლევის შედეგები 59

ბომონდი 60

სკანდალი 61

ჰოროსკოპი

კვირის (11-17 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ხართ თუ არა მომხიბვლელი? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჭორჭოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

დარიჩინიანი ჩაით გაზავებული... ამერიკული კანონები



— კისა!.. პროცენტიან სესხს მაძლევ? — როგორც იქნა, ხმა ამოვიღე.

— რატომ გიკვირს? შენ არც ძმა ხარ ჩემი და არც შვილი, ფული ისე რომ მოგცე. თუმცა, ჩემს ძმასაც არ მივცემ ფულს დაუფიქრებლად...

51

ხალი — დაავადება თუ სამშვენისი?!



ხალები და სხვა, ერთი შეხედვით, კანის უწყინარი „სამშვენისები“ გავრცელებულ დაავადებათა რიგს მიეკუთვნება და საკმაოდ საშიშიც ყოფილა. ექიმები გვაფრთხილებენ, რომ მათი მოცილების მიზნით თვითმკურნალობის შემთხვევაში, შეიძლება ადამიანი ერთ თვეში გარდაიცვალოს.

22

პირდაპირი და უკომპლექსო ფამკე იანსენი

„ვფიქრობდი: „ბონდის გოგონას“ იარლიყი სამუდამოდ მომეკერება-მეთქი“. იმ დროს ფამკეს სცენარიც კი არ ჰქონდა წაკითხული და არ იცოდა, რომ ბონდის გულის სწორის კი არა, მისი მრისხანე მეტოქის როლს სთავაზობდნენ.

41

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები

გინეკოლოგიურ კაბინეტს ნინიმ ადვილად მიაგნო. ექიმი ძალიან ახალგაზრდა მოეჩვენა. მან ნინი კარგა ხანს სინჯა, შემდეგ რეზინის ხელთათმანები წაიძრო და ლამის საზეიმოდ გამოუცხადა:

— გილოცავ!

— რას?

44

გახსოვდეს ვისი გოშისა ხარ! ანუ წინასწარითა ნაყვალოევზე...



ორზე მეტი სათაური „უხერხულია“, თურმე კიდევ შეიძლებოდა გაგრძელება: „...ანუ კვიცი გვარზე ხტისო, ანუ ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ანუ მგლისა ბატკანი ვის უნახავსო, ანუ შვილიშვილი ბაბუას „იმას“ ასწავლიდაო, ანუ რაც მოგივა დავითაო...“, თუმცა არა – ეს უკანასკნელი მთელ საქართველოს ეხება, მე კი მხოლოდ ჩვენს რჩეულებზე – პარლამენტარებზე მსურს საუბარი. მერედა, რა შუაშია ამდენი, „ფორმით განსხვავებული და შინაარსით ერთნაირი“ (როგორც „მეცნიერული კომუნიზმის“ სპეციალისტებს უყვარდათ თქმა) სათაურიო? – იკითხავთ.

სწორედაც რომ შუაშია და ახლავე მოგახსენებთ (თანაც ამით ვეცდები, ბოლო დღეებში მომხდარი „საპარლამენტო დაგნარის“ გამო შელახული მავანთა ავტორიტეტი აღვადგინო): 1920 წლის 4 მარტს თბილისის დროებითმა საგანგებო საქმეთა სასამართლომ ერთი ძალზედ გახმაურებული საქმე გაარჩია: ოპერის თეატრის მთავარმა დირიჟორმა სამუელ სტოლერმანმა რევოლვერიდან ორი ტყვიის გასროლით საკუთარ სარეცელს დააკლა თავისი კანონიერი ცოლიო – მსახიობი ალექსანდრა სტოლერმანი! დამეთანხმებით, რომ ბრალდებულის საზოგადოებრივი სტატუსის გამო, ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია – ცხადია, ისევე როგორც ახლა, მძინარე ცოლის მოკვლა მაშინაც „აკრძალული“ იყო (თუმცა, იქნებ ესეც სადავო საკითხი იყოს, რადგან მაშინ დირიჟორი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო!).

22391

სტოლერმანს საქართველოს უპირველესი ვექილი – შალვა მესხიშვილი იცავდა (რამდენიმე თვეში, იგი დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრიც გახდა), მთავარ მოწმედ კი, ოპერის თეატრის დირექტორი, დიდი ქართველი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა იყო გამოძახებული...

ბევრი რომ არ გავაგრძელო და მკითხველმა, რომ არ იფიქროს, – პარლამენტიდან შინ მიბრუნებული დეპუტატები ცოლებს დაერივნენ და ამ ამბის გახსენებაც ამად დასჭირდაო, მოკლედ ვიტყვი: მოწმე წუწუნავამ აღნიშნა, რომ ცოლი ხშირად აკითხავდა სტოლერმანს თეატრში და სკანდალებს უწყობდა, სცემდა კიდეც; ერთხელ კი ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურაც დაუხია, რომელიც ერთადერთ ხელნაწერ ეგზემპლარად არსებობდა და დიდმა კომპოზიტორმა დირიჟორს გასაცნობად მისცა. როდესაც წუწუნავას შენიშვნა მიუცია მოძალადე ქალბატონისთვის, ასეთი პასუხი მიუღია: „ჭკუას ნუ მასწავლით, თქვენს პარლამენტში სულაც სკამებს ესვრიან ერთმანეთს“!!!

ესეც ასე! ახლა ხომ მიხვდით, საით მიმყავს საუბარი? აბა, წარმოიდგინეთ: სპირიდონ კედია მიდის ტრიბუნასთან, ორიოდე წინადადებაც არა აქვს ნათქვამი, რომ უკნიდან მიპარული ნოე რამიშვილის მოქნეული სკამი ხვდება კეფაში და პენსნე იატაკზე ეცემა! ამის დამნახავი რევაზ გაბაშვილი თანაპარტიელს ესარჩლება, თანაც ახსენდება, რომ რამიშვილმა მას მელიქ აზარიანცის სახლის პრივატიზაციის საქმე ჩაუშალა და... მისი ჩიბუხი „რკინის ნოეს“ (მარტო ჩვენ კი არ გვყავდა „რკინის მინისტრი“) საკმაოდ ბარაქიან ცხვირზე ეშვება! პარტიული დისციპლინა მოითხოვს და ცხვირდაშავებული ნოე რამიშვილის საშველად სეხნია და მოგვარე – ნოე ჟორდანია და ისიდორე რამიშვილი წამოფრინდებიან, „ედეპეშნიკს“ (დღევანდელი ტერმინოლოგიით) მისცვივდებიან და „კრუგში დაატრიალებენ“... „დისკუსია“ სერიოზულ მასშტაბებს იღებს და სანამ ყველაფერი დამთავრებულა, ფედერალისტები დროს პოულობენ – არც ერთი მხარე არ ეხატებათ გულზე და უბრახუნებენ ყველას, თანაც ისე „ტექნიკურად“, რომ ორივე მოწინააღმდეგეს ჰგონია, – ჩვენ გვეხმარებიანო... ჩხუბში მხოლოდ სომეხ დაშნაკთა, აზერბაიჯანელ მუსავატელთა, აგრეთვე საქართველოს რუსულ და ებრაულ თემთა დეპუტატები არ ერევიან – ისინი თავთავიანთ ადგილებზე სხედან და გულიანად ხითხითებენ (აბა, გაიხსენეთ ორშაბათის დაკა-დაკის დროს ერთი „რენესანსიტული“ ფრაქციის წევრთა გაბარებული სახეები და ხელების ფშვნეტა)...

„დისკუსია“ მთავრდება. საღამოს სასახლის სვეტებიან დარბაზში „მეგობარი“ ქვეყნების – გერმანიის, იტალიისა და ბელგიის დელეგაციებთან შეხვედრის წინ, მეტოქენი დინჯად ესაუბრებიან ერთმანეთს, „ქვაბუნა-ქუდებს“ უხდიან, სიგარებს სთავაზობენ და „ბრძოლის ახალ წესებზე“ თანხმდებიან...

ასე, ჩემო ძვირფასო, მომთმენო და დეპუტატების საქციელით აღშფოთებულო მკითხველო: ჩვენი საამაყო წინაპრები სკამებს ურახუნებდნენ ერთმანეთს კინკრიხოში, დღევანდელი პარლამენტარები კი ვაჟკაცურად – ხელდახელ იბრძვიან (თუმცა, სკამები ახლა იატაკზეა დამაგრებული), სამაგიეროდ, საღამოს ტელეეთერში მშვიდად ესაუბრებიან ერთმანეთს და „ბატონო ვახტანგ“ და „ჩემო კობა“-ო, – ასე მიმართავენ.

მართალია, ზოგიერთი მეორე დღესაც „შერეკილს“ უწოდებს მეტოქეს, მაგრამ „შერეკილობა“ საქართველოში არასოდეს ითვლებოდა სირცხვილად...

დასკვნა ერთია: ხალხო, ნუ ნერვიულობთ, განსაკუთრებული არაფერი ხდება. უბრალოდ, აირჩიეთ თქვენი ფავორიტები და „უბალელშიკეთ“, მალე კი თბილისური ტოტალიზატორები მათზე „კუშებს“ გამოაცხადებენ.

P.S. ნოე ჟორდანია პოლიტიკას „აბდლობას“ უწოდებდა... განათლებული, ევროპაში განსწავლული და „ბრძოლებში“ გამოცდილი კაცი იყო ცხონებული.

P.P.S. ძველი ბერძნები თავიანთ მონებს საგანგებოდ ათრობდნენ და შემდეგ, თავიანთ შვილებს აყურებინებდნენ მათ უმსგავსობას – ბავშვებს არა მარტო ლოთობა ეზიზღებოდათ, არამედ თავიანთი „არალოთი“ მამებიც უფრო უყვარდებოდათ...

ჰოდა, მეც თანდათან უფრო მიყვარდება ჩვენი პრეზიდენტი!

პროვოკატორი

„ფულს იმას სთავაზობენ, ვინც ამღებია...“

ნინო ჯავახიშვილი

ამ რამდენიმე ხნის წინ დაძმობილებულ-ჩახუტებული „ნაციონალები“ და „ახლები“ ერთმანეთს დანასისხლად გადაეკიდნენ. საკრებულოს პირველივე სხდომაზე დაწყებული კინკლაობა პარლამენტში დიდი გაწევ-გამოწევითა და ცემა-ტყეპით დამთავრდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: „ახალმა მემარჯვენეებმა“ „ნაციონალებისთვის“ მოულოდნელად, საკრებულოს თავმჯდომარედ საკუთარი კანდიდატურა დაასახელეს. როგორც მოგვიანებით განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ, თურმე მას პატიოსანი კენჭისყრისა და გამარჯვების იმედი ჰქონდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, საკრებულოს თავმჯდომარედ მიხეილ სააკაშვილი აიჩრიეს. დაპირისპირების ძირითად მიზეზად იქცა შალვა ნათელაშვილის წერილი, სადაც ლეიბორისტთა ლიდერი მოითხოვდა, რომ უფლებამოსილება შეეწყვიტათ იმ სამი პიროვნებისთვის, რომლებიც არჩევნების შემდეგ მას განუდგნენ და ახალი პარტია შექმნეს. „ახლებმა“ ეს უკანონოდ მიიჩნიეს. მეორე დღეს, დაპირისპირება პარლამენტში გაგრძელდა. „ნაციონალების“ ერთ-ერთმა წევრმა — პეტრე ცისკარიშვილმა „ახლები“, სააკაშვილისთვის ხმების წართმევის მიზნით, საკრებულოს წევრთა მოქრთამვაში დაადანაშაულა. ამ განცხადებამ „ახალი მემარჯვენეების“ დეპუტატი დავით კირვალიძე ისე აღაშფოთა, რომ არც აცია, არც აცხელა და ცისკარიშვილს მამაპაპური მუშტი უთავაზა. გვარიანად გაილახა ნოდარ გრიგალაშვილიც, რომელსაც სოციალისტთა ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა „წაუთაქა“... ყოველივე ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ თავად დაზარალებულებს (სხვათა შორის, პეტრეს სახეზე ბრძოლის კვალიც ეტყობოდა) და „ახალი მემარჯვენეების“ წევრს ფიქრია ჩიხრაძეს, რომლის გამოსვლაც პარლამენტის სხდომაზე ამ აყალმაყალის ერთგვარი სტიმულატორი გახდა...

ფიქრია ჩიხრაძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— არავითარი პროვოცირება არ მქონდა მიზნად, პირიქით — ყველას მოვუწოდებდი, რომ ყველაფერი მშვიდად და კანონიერად გადაგვეწყვიტა. უბრალოდ, გულწრფელად ვთქვი ჩემი აზრი იმის შესახებ, რაც საკრებულოში მოხდა და პრეტენზია გამოვთქვი ჩემი პარტნიორების მისამართით. პარტნიორებში ვგულისხმობ იმ 5 ფრაქციას, ვისთან ერთადაც დავტოვეთ სხდომა პარლამენტში პრეზიდენტის მოსვლის დროს... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანებს არ უყვართ სიმართლის მოსმენა და მის გასაქარწყლებლად მაშინვე რაღაც იარლიყების მიწებებაზე გადადიან. ამ შემთხვევაშიც ასე იყო. მიხეილ სააკაშვილს არ მოეწონა, რომ ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატურის წამოყენებას შეიძლება მისთვის რაღაც საფრთხე შეექმნა... ორი მემარცხენე ძალა გაერთიანდა და ერთმანეთს მისცეს ხმა. მემარჯვენეებმა ვთქვით, რომ ვაყენებთ ჩვენს კანდიდატურას და ვრჩებით ოპოზიციაში. აღმოჩნდა, რომ ამის გამო გაიმართა მთელი ეს ისტერია... უცებ გავხდით ოლიგარქებიც და მოღალატეებიც. ისე, სააკაშვილმა ერთი მნიშვნელოვანი რამეც თქვა. ლევან გაჩეჩილაძეს უთხრა: შენ რომ ღვინის ქარხანაში დადიოდი, მე სახლებს ვანგრევდიო... ეს მართლაც ასე იყო: ლევანი ყველაფერს შენებისთვის აკეთებს, სააკაშვილი კი პირიქით — ყველაფრის დასანგრევად იღვწის... მოსახლეობა თუ მაინც „ნაციონალურ მოძრაობას“ აირჩევს, არ ვაპირებთ ძალადობას და მოსახლეობისთვის არჩევანის ასე შეცვლას. თუ „ნაციონალებს“ და თუნდაც „გაერთიანებულ დემოკრატებს“ ეგონათ, რომ, რაკი მოქალაქეთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ძალით ვიბრძვით, საკრებულოს ამბებზე ხმას არ ამოვიღებდით, ძალიან შემცდარან... მე არ მჭირდება ისეთი პარტნიორი, რომელიც მომთხოვს, რომ ძალადობის მონაწილე ვიყო. ამაზე, რა თქმა უნდა, მძაფრი რეაქცია მექნებოდა. ახლა კი, რა გამოვიდა? ის, რომ ფაქტობრივად, ჩვენმა პარტნიორებმა ძალადობის წინააღმდეგ ომში მარტო დაგვტოვეს! რაც შეეხება ცისკარიშვილის განცხადებას — ვერც ერთ „ახალ მემარჯვენეს“ ქრთამის მიცემას ვერავინ ვერასდროს გაუბედავს. ფულს იმას სთავაზობენ, ვინც ამღებია... იცით, რა გამოდის? თუ „ნაციონალებთან“ ხარ, ე.ი. ხარ აღმშენებელი და საღი პოლიტიკური ძალა და თუ რაიმე პრობლემას უქმნი მათ, მერე ხდები ოლიგარქიც და ქრთამის მიმცემიც... ეს ყველაფერი არის „პიარი“ და სხვა არაფერი... ამ ამბებში ძალიან ცუდი როლი ითამაშეს „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“. არ ვიცი — შეიძლება მათ უნდოდათ, რომ „ნაციონალებს“ დავტაკებოდით და ისინი მოგებულნი დარჩენილიყვნენ ამ შემთხვევაში, რაც მორალურად გაუმართლებელია; ან იმის სურვილი ჰქონდათ, რომ სააკაშვილის რადიკალიზმი ხელისუფლებასთან სავაჭროდ გამოეყენებინათ... ძალიან არ მინდა, რომ მომხდარის შედეგად, ისევ და ისევ, მოქალაქეთა კავშირმა და ხელისუფლებამ მოიგოს და გააგრძელოს ის ძალადობრივი გზა, რომლითაც აქამდე მიდიოდა...

პეტრე ცისკარიშვილი, *„ნაციონალური მოძრაობა“:*



— თბილისის ამომრჩევლების დიდმა ნაწილმა სწორედ ჩვენ დაგვიჭირა მხარი. სხვა პარტიების მხრიდან — კონკრეტულად, „ახალ მემარჯვენეებს“ ვგულისხმობთ — წარმოებდა გადაბირება და მოსყიდვა საკრებულოს წევრების — მაგალითად, ვახო გოძიაშვილის, ჭკუასელის, რომლებიც ჩვენი პარტიის წევრები არიან. საუბარი იყო ძალიან დიდ თანხაზე, რომელსაც სთავაზობდნენ იმისთვის, რომ სააკაშვილისთვის არ დაეჭირათ მხარი. ძალიან გამიკვირდა, როდესაც ამ კენჭისყრებს მხოლოდ ჩვენი მხრიდან დაერქვა ძალადობა და არ დაერქვა ძალადობა იმას, რომ „ახლები“ ხალხის მოსყიდვას ცდილობდნენ. ან რა გამართლება შეიძლება მიეცეს კირვალიძის გამოხდომას? ერთ კაცს, 4-5 კაცი დამეხვია და დაფხაჭნა და დაპორჭყნა დამიწყეს. ესეც არ იკმარეს და ბასრი იარაღით დამჭრეს. გამოძიების შედეგად გაირკვევა, ვის ჰქონდა იარაღი...

***ნოდარ გრიგალაშვილი**, „ნაციონალური მოძრაობა“:*

— მოულოდნელად ვიღაც მომეპარა ზურგიდან და გამეტებით ჩამარტყა. მაშინ ვერ გავიგე, ვინ იყო... შემდეგ გავარკვიე, რომ ეს თავდამსხმელი თურმე ვახტანგ რჩეულიშვილი იყო... იცით, სათქმელი აღარც არაფერია. ამაზე რა კომენტარის გაკეთება შეიძლება? ერთი რამ კი მაშინვე აღვნიშნე: რჩეულიშვილს ჩივილითაც ვერ ვუჩივლებ, რადგან დარწმუნებული ვარ — სამედიცინო ცნობას მოიტანს, რომ გიჟია და ეს არცთუ ისე უსაფუძვლო იქნება-მეთქი...

P.S. ყოველივე ამის შემდეგ, ძალზედ კურიოზულად აღიქმება საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება — ახალი მოწვევის საკრებულოსთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. მკითხველს შევახსენებთ, რომ სასამართლომ ის „სოციალისტების“ მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე გამოიტანა. თუმცა, ამის მიუხედავად, საკრებულოს „ახალგამომცხვარმა“ თავმჯდომარემ შეუპოვრად განაცხადა: არანაირი სასამართლოს გადაწყვეტილება არ მაინტერესებს, საკრებულო მუშაობას უკვე შეუდგაო!.. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების კანონიერება-უკანონობასა და საკრებულოს თავმჯდომარედ მიხეილ სააკაშვილის არჩევის კანონიერებაზეც კიდევ დიდხანს გაგრძელდება დებატები და შეხლა-შემოხლა... ■

„ქართველებისთვის ალექსანდრეს ბაღი იგივე ბულონის ტყეა...“

— ჯერ იყო და, ამერიკის ელჩი — რიჩარდ მაილსი ამოილეთ მიზანში და საქართველოდან მისი გაწვევა მოითხოვეთ, ახლა კი საფრანგეთის ელჩის გაწვევის მოთხოვნით გამოდიხართ. რა არის ამის მიზეზი?

***გურამ შარაძე**, პარლამენტარი:*

— ქალაქის არქიტექტურის სამმართველო იძლევა ნებართვას უკანონო მშენებლობების დაწყებისთვის! შპს „გამწვანებამ“ ჩალის ფასად შეისყიდა 3311 კვმ მიწის ნაკვეთი (ვგულისხმობ ორბელიანების ბაღის ტერიტორიას), მოახდინა ადგილის პრივატიზაცია და მერე საფრანგეთის ელჩს მიჰყიდა. აი, ასე იყიდება თბილისი. საელჩოსთვის მიწის გამოსაყოფად შედგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც სათანადო ინსტანციებშია დამტკიცებული, ყალბია და უკანონო. როგორც ჩანს, საქართველოში უკანონო მშენებლობების დაკანონება ხდება, ჩვენი სამართალდამცავები კი მხოლოდ ბიუსტებს თვლიან კულტურულ ძეგლებად, როცა სასამართლო გადაწყვეტილებაში წერენ: ალექსანდრეს ბაღი კულტურულ ძეგლს არ განეკუთვნებაო... საელჩოსთვის გამოყოფილ ადგილზე სასწრაფოდ გააკეთეს წარწერა, რომ ეს ადგილი საფრანგეთის საელჩოს კუთვნილებაა. ეს აღმაშფოთებელია! აქ, თბილისის შუაგულში რომ მოინდომეს შენობის წამოჭიმვა, რამე რომ იყოს, საქართველოს ელჩს საელჩოს ასაშენებლად პარიზში, ბულონის ტყეში დაუთმობენ ადგილს? ქართველებისთვის ალექსანდრეს ბაღი იგივე ბულონის ტყეა და არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ აქ ბუნება გააჩანაგოს... საფრანგეთის პრეზიდენტს თხოვნით მივმართავ, რომ ელჩი — მიურეი მიუსო გაიწვიოს საქართველოდან. მათ კი, ვისაც ორბელიანების ბაღის — ამ ისტორიული მიწის გასხვისებაში მიუძღვის წვლილი, უახლოეს მომავალში სასამართლოში ვუჩივლებ. ქალბატონ მიუსოს კი ვურჩევ, ვიდრე სასამართლოში საქმე შემიტანია, ხელი აიღოს ამ ტერიტორიაზე... ან საერთოდ, რად გვინდა, რაში გვჭირდება ასეთი ელჩები, ვერ გამიგია... მაილსი იყო და იეღოველებს უჭერდა მხარს, მიუსო კი ისტორიულ ძეგლებს გვართმევს... ■

„თუ საქართველო ამაზე არ დათანხმდება, მეორე ჩეჩნეთს მიიღებთო...“

— რა შეფასებას მისცემდით რუსეთის პრეზიდენტის ბოლოდროინდელ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ტერორიზმთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით დსთ-ის ფარგლებში რუსეთის სამხედრო ბაზები გააააქტიუროს. მოჰყვება თუ არა ამას კავკასიაში სიტუაციის გამძაფრება?

***ელენე თევდორაძე**, ფრაქცია „დემოკრატების“ წევრი:*

— არ არის გამორიცხული, რომ პუტინის ამგვარ განცხადებას მართლაც მოჰყვეს რაღაც კონკრეტული ქმედებები რუსეთის მხრიდან. ამ რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში ყოფნისას ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც კვაშნინის *(რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი. — ავტ.)* სამსახურის წარმომადგენლებს შევხვდი. მინიშნებით გვითხრეს, რომ რუსეთს აუცილებლად მიაჩნია დამატებითი რუსული კონტინგენტის პანკისში შეყვანა და თუ საქართველო ამაზე არ დათანხმდება, მეორე ჩეჩნეთს მიიღებთო!.. ეს საკმაოდ სერიოზული მუქარაა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება სიტუაციის განსამუხტად მაინც არაფერს აკეთებს. ■

ირაკლი შენგელაია:

პრეზიდენტის იმპიჩმენტი წარმოუდგენლად მიმაჩნია



რუსეთში კავკასიელებზე „ნადირობის სეზონი“ გამოცხადდა. საქმეში თურმე მოსკოველი კრიმინალებიც ჩაერთნენ — სტატისტიკური მონაცემებით, „ნორდ-ოსტის“ მოვლენების შემდეგ, უკვე ორ ათეულზე მეტ კავკასიელს მოუსწრაფეს სიცოცხლე. საქართველოში კი ამ დროს, რევოლუციის სიომ დაქროლა... „ბუნტარული“ განწყობილება იგრძნობა ყველა პოლიტიზებულ დაწესებულებაშიც და ქუჩაშიც კი.

შექმნილ მდგომარეობაზე თავის პოზიციას გვიზიარებს ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის ლიდერი ირაკლი შენგელაია.

ნინო ჯავახიშვილი

— საქართველოში პოლიტიკური ვითარების ბოლოდროინდელი დაძაბვის პროვოცირება რუსეთის ბრალდება...

— მერე არ უნდა წამოვეგოთ ანკესს. ჩვენი პრესაც ხომ საშინელებებს წერს — აბაშიძეს საქართველოდან გასვლა უნდაო... როგორ შეიძლება გადაუმოწმებლად ასეთი განცხადების გაკეთება?! არ შეიძლება, ვიღაცის ნათქვამი უპელაციოდ მიაწერო რეგიონის ხელმძღვანელს. საერთოდ, დაკვირვებული ვარ — როგორც კი ტერიტორიულ მოწყობაზე დაიწყება ლაპარაკი, ისეთი რამ უნდა მოხდეს, რომ ყველაფერი ინგრევა. ახლაც იყო მსჯელობა ამ საკითხზე და უცებ აჭარის თემა წამოტივტივდა. შეიძლება ეს ორი მოვლენა უბრალოდ დროში დაემთხვა ერთმანეთს, მაგრამ მაინც მიჩნდება ეჭვის საფუძველი. ვიღაცას უნდა, საქართველო ისევ ქაოსში იყოს და ვერ დალაგდეს. საქართველოს, კანცელარიის ჩინოვნიკები მართავენ. როცა მთელი სადავეები კანცელარიის ხელშია, ბუნებრივია, მას არ სურს მსუყე ლუკმის ხელიდან გაშვება, ანუ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, რეგიონებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება — მაშინ ხომ დამთავრდა კანცელარიის საქმე. ყველაზე დიდი კორუფცია ცენტრალიზებულ იერარქიულ სისტემებშია. დამერწმუნეთ, საქართველოში ბიუჯეტი ვერასოდეს შესრულდება, რადგან შემოსავლები იერარქიული სისტემის რგოლებში იკარგება.

— ამბობენ, აბაშიძეს თუ დაუმტკიცდა ცენტრთან დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად აჭარაში რეფერენდუმის ჩატარების მცდელობა, იმპიჩმენტი არ ასცდებაო.

— ერთი ამიხსნან, როგორი მექანიზმით აპირებენ აბაშიძის იმპიჩმენტს... ერთი ქურთული ანდაზა მაგონდება, — „ბაყაყმა თქვა, თუ არ ვიყყინე, ხომ გავსკდიო“... ეტყობა, პოლიტიკაში საჭირონი არიან ადამიანები, რომლებიც მუდმივად ყიყინებენ, თორემ არ იციან, რომ აბაშიძის იმპიჩმენტის მექანიზმი აქ არ არსებობს? აბაშიძე შესაძლებელია, მხოლოდ აჭარის უზენაესმა საბჭომ გადააყენოს. ასევე უსაფუძვლოა ლაპარაკი პრეზიდენტის იმპიჩმენტზეც. ოპოზიცია პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს, — აქოდა, ნახეთ, რა უშიშრები ვართ — პრეზიდენტს იმპიჩმენტს ვუცხადებთო... ეს ყველაფერი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზეა გათვლილი, თორემ სინამდვილეში მათი ხმაური ცარიელი კასრის რახრახს უფრო მაგონებს. სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის საკითხის წამოჭრაც სრული უაზრობაა (თუმცა, არ გამოვრიცხავ, ვინმეს მის პოსტზე ეჭიროს თვალი და ამიტომ ყვიროდეს).

— პოლიტიკური ძალების გადაჯგუფება აშკარაა. თქვენი აზრით, რაში მოურიგდებიან ერთმანეთს პარტიები?

— კარგი კითხვაა... რაზე უნდა მორიგდნენ პარტიები შევარდნაძის საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში? — რა თქმა უნდა, პარლამენტის მოქმედების თაობაზე. მთავრობის წევრობაზე, როგორც წესი, პრეზიდენტს ურიგდებიან... არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა ალიანსებმა გარიგებები დაიწყონ პრეზიდენტთან და ეს იმით ახსნან — საქმის გაკეთება გვინდა და ამიტომ ვთავაზობთ პრეზიდენტს ჩვენს კანდიდატურებსო. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ გზით გარკვეული პოლიტიკური ძალები სერიოზულ პოსტებზე მოხვდნენ და ამას მომავალი პარლამენტის ოპოზიციურობა შეეწიროს. გახსოვთ, ალბათ, პირდაპირ ეთერში გოგავამ რომ წამოაძახა ბარამიძეს, — თქვენ არ იყავით, რამდენიმე კვირის წინ პრეზიდენტს მინისტრების პოსტებს რომ სთხოვდითო?! — და ბარამიძემაც დაუდასტურა... შევარდნაძის იმპიჩმენტი საინის ბუშტივით გასკდება...

— ი.ე. იმპიჩმენტზე ზოგი იმიტომ ალაპარაკდა, რომ პრეზიდენტისგან რალაც თანამდებობების მილება სურს?

— პრეზიდენტი სულ სხვა კალიბრის პიროვნებაა და არა მგონია, ვინმეს შანტაჟს წამოეგოს. შევარდნაძეს უარესები უნახავს. ბოლოს და ბოლოს, კაცი საკავშირო პოლიტბიუროს ებრძოდა და იქ იყო ინტრიგების მთელ ქსელში გაბმული. სახელისუფლო ტექნოლოგია მან მშვენივრად იცის, მაგრამ შესაძლოა, მისი ცნობილი, ბალანსირების პოლიტიკის გამო, რამდენიმე აქტიურმა ოპოზიციონერმა მართლაც მიიღოს თანამდებობა. წარმოგიდგენიათ, რა დაიწყება მერე ამ პოსტების მფლობელ პარტიებში? — უფრო მეტს მოინდომებენ და დაჭამენ ერთმანეთს.

— დავუშვათ, მაინც განხორციელდა პრეზიდენტის იმპიჩმენტი...

— დღევანდელ სიტუაციაში შევარდნაძეს ალტერნატივა არ ჰყავს. პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაუწევს მას კონკურენციას. პატიაშვილს არ შეუძლია ქვეყნის მართვა; არჩევნებში აღებული მისი 20% მუდმივად 20 იქნება. ვერავინ დამაჯერებს იმას, რომ მან მოუგო არჩევნები შევარდნაძეს... აბაშიძე კი, დედაქალაქს ვერ იტანს. პიროვნება, რომელიც ჩოლოქს ვერ სცილდება, ვერასოდეს იქნება საქართველოს პრეზიდენტი...

— ახალ თაობაზე რას იტყვით? გასულ კვირას ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, — პრეზიდენტობისთვის ვიბრძოლებო...

— ძალიან ადრე მოუვიდა საპრეზიდენტო ამბიციის გამჟღავნება. მაგრამ მისი ნათქვამი ორაზროვანი იყო, როდესაც განაცხადა: ჩვენ მოვიგებთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებსო, — შესაძლოა, ისიც იგულისხმა, რომ მისი პარტია სხვა კანდიდატს დაუჭერს მხარს...

— ჟვანია სულსწრაფი პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის. იქნებ სწორედ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის წარმატებით დაგვირგვინების შანსმა ათქმევინა — პრეზიდენტობა მსურსო?

— საკონსტიტუციო სასამართლოს გზით პრეზიდენტის იმპიჩმენტი წარმოუდგენლად მიმაჩნია. თუ გადატრიალება მოხდა, ჯარი და ტანკები შემოიყვანეს, მაშინ უკვე აღარაფერს გამოვრიცხავ... ■

rogor gadaarCina Svili kaxi kavsaZem

საქართველოში არ მეგულება ადამიანი, ვისაც ეს მართლაც გამორჩეული მსახიობი არ უყვარდეს, პატივს არ სცემდეს და მხურვალედ არ უკრავდეს ტაშს მის ნიჭს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბატონი კახი ძალზე იშვიათად სწყალობს ჟურნალისტებს, თუმცა, მაინც „გავაბი მახეში“ — ერთ წვეულებაზე დავიმარტოხელე, „კუთხეში მივიმწყვდიე და დიქტოფონი ჩავრთე.

მაია კახიძე

— ბატონო კახი, ახლა სხვა გზა აღარ გაქვთ. ვილაპარაკოთ?

— ვააჰ, არ მეშვები, არა?!

— რამე შემთხვევა გაიხსენეთ.

— პირველი ფული მე-11-კლასელმა ბიჭმა, შრომით მოვიპოვე. სკოლაში მოვიდნენ და სასინჯ გადაღებაზე დამიძახეს ფილმისთვის „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. დამამტკიცეს კიდეც როლზე. სწორედ ამ შემთხვევამ გადაწყვიტა ჩემი შემდგომი პროფესიონალური ბედი. ნიკოლოზ სანიშვილს ჩემთვის რომ არ დაეძახა, არც არაფერი მოხდებოდა. სასინჯი გადაღებები მთელი ათი დღე მიმდინარეობდა. მერე კი, მოულოდნელად, იმ დღეების ფული გადამიხადეს, — მგონი, 250 მანეთი მომცეს. მაშინვე შინ მივიტანე, დედას მივეცი, რადგან მდიდრები არ ვიყავით. მარტო დედა გვზრდიდა და გვიჭირდა. იცი, თეატრში რომ ვიღებდი ჯამაგირს, დიდხანს დავყურებდი ხოლმე, რა უნდა გავაკეთო-მეთქი ამ ფულით? — ჩემს თავს ვეკითხებოდი. როგორ გამენაწილებინა კაპიკები, არ ვიცოდი.

ნორმალური ხელფასი პირველად მაშინ ავიღე, როდესაც სერგო ზაქარიაძე მოსკოვში წავიდა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსთაველის თეატრისთვის აკადემიური თეატრის სტატუსი მიენიჭებინათ. თავდაპირველად 50 მანეთი მქონდა ხელფასი, მერე — 85, უეცრად კი, 225 მანეთი გამიხდა. დედა-ა! — კი არ გავიქეცი, გავფრინდი და უამრავი საჭმელი ვიყიდე... ყველაფერს გასწვდა ჩემი ჯამაგირი. როგორ დამავიწყდება ეს დღე...

დაუვიწყარია ის პირველი წამი, ჩემი მომავალი ცოლი — ბელა მირიანაშვილი რომ დავინახე პირველად. ვთქვი: — რა ლამაზია-მეთქი! — და გავშეშდი... არა, კი არ გავშეშდი — გავგიჟდი!..

შვილის დაბადების განცდაც დაუვიწყარი მოსაგონია... ადრე საშინლად მეშინოდა ძაღლის. სადაც დამინახავდნენ, კაცო, მაინცდამაინც მე დამეტაკებოდნენ ხოლმე. ალბათ, გრძნობდნენ, რომ მეშინოდა. ჰოდა, ერთხელ (ჩემი ბიჭი მაშინ 2-3 წლის იქნებოდა), დეიდაჩემთან ვიყავი სვანეთის უბანში, იქიდან წამოვედით და ვსეირნობდით მე და ირაკლი. მოულოდნელად, ვეებერთელა ბულდოგი გამოქანდა და გააფთრებული ეცა ჩემს შვილს. აი, მაშინ კი ვიგრძენი რაღაც ისეთი, რომ შიში რა იყო, აღარც გამხსენებია. ძაღლს მყისვე პირში ჩავუტენე მუშტი. შვილის გადარჩენის ინსტინქტმა

კახი კავსაძე ოჯახურ წრეში

ტესტი ერუდიციაზე

1. ჩამოთვლილთაგან რომელია ცილინდრის სინონიმი?

ა) შიპოკლიაკი;
ბ) შლაპა;
გ) სკუპია.

2. ჰიტლერის არმიის საჯარისო შენაერთს, რომელიც სულ ალპინისტებით იყო დაკომპლექტებული ერქვა:

ა) ვერმოლუნგმა;
ბ) ედელვაისი;
გ) ალბატროსი.

3. ხულიო იგლესიასი ახალგაზრდობაში იყო საკმაოდ კარგი:

ა) მოკრივე;
ბ) ფეხბურთელი;
გ) ჩოგბურთელი.

4. რით იყო გამორჩეული საბჭოთა პერიოდის კინემატოგრაფისტებს შორის თენგიზ აბულაძის ფილმები?

ა) ფილმის ხანგრძლივობით;
ბ) გადაღებების სიძვირით;
გ) საზღვარგარეთ მიღებული პრემიებითა და ჯილდოებით.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

შიში გამიქრო და მას შემდეგ ძაღლების აღარ მეშინია...

— ვერ დავიჯერებ თქვენს მშიშრობას...

— ეს კი არა, სტალინის გარდაცვალება სადარბაზოში შევიტყვე. მეზობლის ბიჭი შემხვდა: გამოაცხადეს, სტალინი მოკვდაო. — ჩუმად-მეთქი, — ვუსაყვედურე, — არ დაგვიჭირონ, ეგეთი რამე არ წამოგცდეს მეორედ, არ შეიძლება-მეთქი. ისე შემეშინდა... მე სულ „სხვანაირ“ შიშზე მოგახსენებ. ომში, მაგალითად, იმიტომ არ წავიყვანეს, რომ პატარები ვიყავით. არასოდეს დამავიწყდება 1949 წელი. გადასახლების კანდიდატთა სიაში იყო ჩემი ოჯახი. გადავრჩით, როგორც გავიგე, კანდიდ ჩარკვიანს უშველია — ამოგვშალა. ალბათ, მამაჩემს იცნობდა — მამა ხომ პოლიტპატიმარი იყო.

1956-ში სტალინის ძეგლთან ოთხი ბიჭი წავედით — მე, გივი გადელია, ოთარ ქვილითაია და ზაურ ლოლუა. იმ უბედურებაში (9 მარტს), დავიქსაქსეთ, ზაურ ლოლუა კი მოკლეს... ეჰ, იმდენია დაუვიწყარი...

— კარგით, სევდას თავი დავანებოთ და სიმართლე მითხარით: „ღვინის ქურდებს“ რომ იღებდით, მართლა ნამდვილი ღვინო ჩაასხით ქვევრში?

— მააშ„,ვიღაც-ვიღაცები“ შეიპარნენ და ქვევრში ჩასხმული ე.წ. შეფერილი წყალი ნაღდი ღვინით შეცვალეს. ჩვენ გარდა, არავინ არაფერი იცოდა. დაიწყო გადაღება (მარნის სცენას ვგულისხმობ). თამადობს გივი და ჩვენ, სცენარის მიხედვით, მივიწევთ წინ, ოღონდ — ნამდვილი ღვინის სმით. კამერაში კი, მოგეხსენებათ, ყველაფერი მშვენივრად ჩანს. ჰოდა, ჩვენი „არეული“ თვალები არც რეჟისორს და არც ოპერატორს არ გამოჰპარვიათ. მოკლედ, „ვავიყიდეთ“, მაგრამ რაღას იზამდნენ?! იმ დღეს გადაღება ჩაიშალა. სამაგიეროდ, ყველასთვის დასამახსოვრებლად კი დარჩა.

— ქეიფი გააგრძელეთ?

— რა თქმა უნდა. საერთოდ, დალევა იმას ჰქვია, როცა დათვრები, მაგრამ მე სულ პირველად ლუდი დავლიე. გივი კარტოზია, ჩემზე ექვსი წლით უფროსი, „ახალგამოჩეკილი“ მოჭიდავე იყო და ცოტა ფულიც ჰქონდა. მან დამპატიჟა ლუდზე, მაშინ დავლიე პირველად და, სხვათა შორის, ვერც მივხვდი, რაში იყო საქმე. რაზე იკლავს ლუდისთვის ეს ხალხი თავს-მეთქი?! — გავიფიქრე. სერიოზულად კი, მამაჩემის მეგობრებთან დავთვერი. თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად მახსოვს ყველაფერი. მერე მამას მეგობარმა მიმიყვანა შინ და ძალიან მეწყინა, მარტო რომ არ გამიშვა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, თორემ აბა, ამაზე განაწყენება შეიძლებოდა?!

— რა ამის პასუხია და, ალბათ, პირველი კოცნაც მშვენივრად გახსოვთ?

— ჰო, პირველი კოცნაც მახსოვს, მაგრამ საქმე ის არის, ვინც გიყვარს, იმას რომ აკოცებ პირველად. ეს არის სწორედ პირველი, სხვა დანარჩენი კი — პირველის „სჩოტში“ არ გადის — სხვა მომენტია...

ვაა, რამდენი რამე გამახსენე, ა?!.

— მე, ფაქტობრივად, ერთი შემთხვევის იმედი მქონდა, მაგრამ თქვენ ისე საუბრობდით, ხელი ვერ „შეგიშალეთ“...

— აი, ეგრე იცით, ჟურნალისტებმა *(იცინის)*.

— გმადლობთ, ნახვამდის, ბატონო კახი.

— რაზეც გინდა, როცა გინდა, სადაც გინდა — ვილაპარაკოთ! ოღონდ — ინტერვიუ აღარ გამაგონო *(იცინის)*. შენ ვინა ხარ, ტო?! მაინც მალაპარაკე, არა?! ■

აბდულა (ცენტრში) ფილმიდან „უდაბნოს თეთრი მზე“

აგნესა – მილიონერის ქალიშვილი თუ...

აგნესა ერთადერთი მომღერალია, რომელმაც სასტუმრო „მერიოტში" ულიპის პრეზენტაცია გამართა და ჯიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი საკუთარი პერსონის მიმართ. აგნესას პოპულარობა დღითი დღე იზრდება. თინეიჯერების ერთ-ერთი საყვარელი მომღერალი სულ მალე რუსეთში წავა და თავის ქართველ თაყვანისმცემლებს ულიპებს დაუტოვებს...

აგნესას შესახებ უამრავი ჭორი დადის, განსაკუთრებით – მამამისის შესახებ. იმასაც ამბობენ, თითქოს მომღერალი გვარს მალავს, თითქოს მილიონერის განებივრებული ქალიშვილია და ა.შ. აგნესა იშვიათად ჩნდება საზოგადოებაში. რესტორანში სიმღერაზე უარს ამბობს, ყველა ჯონცერტში არ მონაწილეობს. მას შინ ვესტუმრეთ. აგნესამ და მისმა მენეჯერმა და დედამ, ქალბატონმა ელამ ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები უპრობლემოდ გაგვცეს. თუმცა, აგნესას მამის, ბატონი ალბერტის საქმიანობის შესახებ, მაინც ბუნდოვანი ინფორმაცია მოგვაწოდეს.

ლელა ჭანკოტაძე

აგნესას სახლში უამრავი ლამაზი ნივთი ვნახეთ. სახლი ორსართულიანია – დიდი, თეთრი და ნათელი. პირველ სართულზე ვარდისფერი ჭარბობს, მეორეზე – კრემისფერი. ძალზედ შთამბეჭდავია ხის პატარა კიბე. ვარდისფერი აქვეკი მისალებ ოთახს საოცარ ელფერს აძლევს. აგნესა თურმე ჩინურ ჩხირებს, ჭიქებსა და სუვენირებს აგროვებს, რომელიც დიდი სარკის წინ აქვს გამოფენილი. სტუმრები ყველაზე ხშირად ამ ოთახში იკრიბებიან ხოლმე. თუ ხალხმრავლობაა, მასპინძელი სუფრას ჰოლში შლის. ჰოლი და სასტუმრო ოთახი გაერთიანებულია. აქ ერთი დიდი როიალი და რამდენიმე რბილი სავარძელი დგას. ამ უზარმაზარ ჰოლში თეთრი, ვარდისფერი და ლურჯი დომინირებს. აქვეკი ცოტაა, მაგრამ გემოვნებით შერჩეული... სამზარეულო პატარა, იქ ყავისფერი ჭარბობს. გამოსაჩენ ადგილას აგნესას ჩაის ჭიქები დაუწყვია, რომელზეც მისი და მისი ძმის გამოსახულებებია. ეს ჭიქები აგნესას საჩუქრად მოსკოვში მიართვეს. მას შემდეგ ჩაი სხვა ჭიქიდან აღარც დაულევია, თუმცა მასზე გამოსახული საკუთარი ფოტო დიდად არ მოსწონს. ასეთი დიდი ბინის გათბობა ცოტა ძნელია, აგნესა და დედამისი ზამთრის სიცივესა და უშუქობასაც ვერ უძლებენ და ალბერტთან სამარაში მიდიან ხოლმე. ამ ოჯახის ცხოვრებაში ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა აგნესამ სიმღერა მოინდომა.

აგნესა:

– სიმღერა 14 წლისამ დავიწყე. მანამდე ტანვარჯიშზე დავდიოდი და სპორტით ვიყავი დაკავებული. სიმღერა რომ მოვინდომე, მშობლებმა კომპოზიტორ ნუგზარ ედილაშვილთან მიმიყვანეს. შემდეგ ჯაზის აკადემიაში ჩავბარე, ვოკალის განხრით. ჩემი პედაგოგი გახლდათ გულიკო ჭანტურია. აკადემიის დამთავრებისთანავე, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ბიზნესის რეკლამირების ფაკულტეტი დავამთავრე.

— ვინ არიან შენი მშობლები?

– დედა ამჟამად დიასახლისია. პროფესიით იურისტი გახლავთ. მამაჩემი სამარაში მუშაობს. ამიტომ ვარ ზამთარ-ზაფხულ რუსეთში.

— მართალია, თითქოს მამაშენი მილიონერია და მთლიანად ის გაფინანსებს?

– მამა შეძლებული ადამიანია. არ უყვარს, როცა მასზე ვსაუბრობთ. ფაქტია, რომ მთლიანად მამა მაფინანსებს. თუმცა, თუ სპონსორი გამოჩნდა, რა თქმა უნდა, უარს არ ვეტყვი.

— შენ უკვე ექვსი კლიპი გაქვს. საქართველოში ასე ინტენსიურად მომღერლები კლიპებს ვერ იღებენ. როგორ ფიქრობ — აუცილებელია, მომღერალს ბევრი კლიპი ჰქონდეს?

– ჩემი პირველი კლიპი გიორგი ბარამაშვილის სიმღერაზე – „დამიბრუნდი" – გადაიღო გია გუმბერიძემ. სწორედ მაშინ გამოვედი პირველად სცენაზე. ეს იყო ოთხი წლის წინ. გვინდოდა, რომ კლიპში, სცენაზე გადაღებული კადრები ყოფილიყო, მაგრამ კონცერტზე იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი და ისეთი ხმაური ატყდა, რომ ეს ვერ მოხერხდა. მერე მოსკოვში გადავიღეთ კლიპი სიმღერაზე Темный город. მე ვფიქრობ, რომ მომღერლის ყველა კარგ სიმღერაზე უნდა იყოს კლიპი გაკეთებული, რადგან სანახაობრივ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

— რატომ გაგიჩნდა სურვილი, საკუთარი კლიპი თავად გადაგეღო?

– მინდოდა, რაღაც ჩემებურად გამეკეთებინა. სწავლა უკვე დამთავრებული მქონდა და ეს კლიპი ჩემთვის ერთგვარი სადიპლომო ნამუშევარიც იქნებოდა. კლიპში სიახლე ის არის, რომ მხოლოდ გოგონები ჩანან კადრში.

— ამ კლიპში შენ საცურაო კოსტიუმით ცეკვავ, რასაც ჩვენი მომღერლების უმეტესობა თავს არიდებს. ხომ არ იყო ეს ზედმეტად გაბედული ნაბიჯი?

– როცა ამ პროფესიას ირჩევ, არანაირი კომპლექსი არ უნდა გქონდეს. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ სრულიად შიშველმა უნდა იცეკვო. მაგრამ სცენასა და ეკრანს უხდება მრავალფეროვნება, რაღაც ექსტრავაგანტური, თუნდაც – შიშველი ადგილების ზომიერად გამოჩენა და ა.შ.

— როგორი იმიჯი გინდა დაიმკვიდრო?

– მე დარწმუნებული ვარ, რომ არ მექნება უგემოვნო ან ვულგარული ქალის იმიჯი, რადგან ძალიან დიდ მნიშვნელობას

როცა ამ პროფესიას ირჩევ, არანაირი კომპლექსი არ უნდა გქონდეს

ვანიჭებ ჩაცმულობას. ტანსაცმელს მირჩევს ჩემი დიზაინერი – იულია კოროლკოვა. თუ რაიმე მომეწონება, ვყიდულობ. სცენისთვის სპეციალური გარდერობი მაქვს, რომელშიც ძირითადად, ბრჭყვიალა ტანსაცმელი შედის. ტანსაცმელს მხოლოდ რუსეთში ვყიდულობ, უფრო ხშირად, ჩემთვის იულიას ჩამოაქვს კაბები იტალიიდან. ვცდილობ, ავანგარდულ სტილში მეცვას – ან ზურგი მქონდეს მოშიშვლებული, ან მხარი, ან კაბის ერთი დეტალი იყოს ორიგინალურად გადაწყვეტილი და თავისუფლებას, სილაღეს ვგრძნობდე. კაბამ აუცილებლად უნდა შემიქმნას განწყობა.

— რა წვლილი აქვთ მშობლებს შენი იმიჯის დამკვიდრებაში?

– მამა ძალიან მკაცრია. ყოველთვის მეუბნება ხოლმე, როცა რაღაც არ მოსწონს. წინასწარ ვუყვები, როგორი სცენარი იქნება კლიპში და ყოველთვის ანგარიშს ვუწევ მშობლებს. დედა, ჩემი მენეჯერი და პროდიუსერი გახლავთ. ზოგჯერ ჩაცმის გამო, ერთმანეთს ვეკამათებით კიდეც. მაქვს „დოლჩე და გაბანას“, „ვერსაჩეს“, „ვალენტინის“, „ჟივანშისა“ და მოდის სხვა ცნობილი სახლების კაბები.

— ყველაზე ძვირად ღირებული კაბა რომელია?

– მამამ გამომიგზავნა „ჟივანშის“ გრძელი კაბა, რომელიც სპეციალურად „ბერიკონში“ გამართული ჩემი სოლო კონცერტისთვის მიყიდა. ჩემი ყველა კაბა ძვირად ღირებულია, მაგრამ ეს კაბა განსაკუთრებით ძვირი ღირს.

— მუსიკალურ კლიპში — „დაიგვიანე“ — შენ უამრავ ტანსაცმელს იცვლი და ყველა კადრში სხვადასხვა რამ გაცვია, ყველა შენი გარდერობიდან არის?

– დიახ, ყველა ჩემია. ყოველთვის გამორჩეულად მაცვია. კლიპიდანაც ჩანს, რომ მხოლოდ ისეთი კაბები მაქვს, რომელიც სხვის ტანზე არასდროს მინახავს.

— ვარცხნილობასაც ასე განსაკუთრებულად უდგები?

– რადგან წელიწადის ორ დროს რუსეთში ვატარებ, ვარცხნილობასაც იქ ვირჩევ. უფრო ხშირად, სტილისტს მე თვითონ ვკარნახობ, რა მომწონს. თბილისში წელს რომ შემოვიდა თმის ბოლოების შეღებვა, ამას ოთხი წლის წინ ვიკეთებდი... თუმცა, რუსეთშიც ხშირად უკვირდათ ჩემი ორიგინალური ვარცხნილობა. ახლა მოდაში შავი თმაა და მეც შავად შევიღებე. განსაკუთრებული არაფერია.

— სუნამოს შენ თვითონ ყიდულობ ხოლმე თუ გჩუქნიან?

– ვხმარობ „დონა კარანის“ „ნიუიორკს“. ეს ჩემი საყვარელი სუნამოა. ასევე – „დოლჩე და გაბანას“ ბევრი სუნამო მაქვს. ძირითადად მჩუქნიან ხოლმე, მაგრამ ათი სუნამოც რომ მქონდეს, ერთს მაინც აუცილებლად ვიყიდი და მივამატებ.

— აქსესუარები შენი ასაკის გოგონებს იშვიათად უკეთიათ. შენ ამ მხრივ გამორჩეული ხარ?

– ძალიან მიყვარს ბეჭდები, ყველანაირი კაბის შესაფერისი ბეჭედი მაქვს. მიყვარს საათები, კაბა „დასრულებული“, სამკაულთან ერთად არის – მე ასე მგონია.

— კარგად ჩაცმა ძვირი სიამოვნებაა, არა?

– ნამდვილად ასეა. თუმცა, როცა არ გაქვს საშუალება, რომ ძვირი კაბები და ცნობილი დიზაინერების ტანსაცმელი იყიდო, მე მგონი, არსებობს ისეთი იაფფასიანი შარვლები და მაისურები, რომ თუ გემოვნება გაქვს, მაინც ნორმალურად ჩაიცვამ.

— შენი ხელით თუ იკერავ ან იკეთებ რამეს?

– არა. შეკერილ ტანსაცმელში თავს კარგად არ ვგრძნობ. ამის გამო, არც ქართველი დიზაინერებისთვის მიმიმართავს.

— ამ სახლში ალბათ შენთვის საყვარელი ბევრი ნივთია, არა?

– მიყვარს მარჯნები, ე.წ. „რაკუშკები“. სადაც კი მივდივარ, ყველგან მათ ვეძებ. წელს მამაჩემი კანარის კუნძულებზე ისვენებდა და მარჯნები იქიდან ჩამომიტანა. წინა ზაფხულს ეგვიპტეში ვისვენებდი. იქაც დავიწყე შეგროვება, მაგრამ გამაფრთხილეს: აკრძალულია და თუ შეგნიშნეს, დაგიჭერენო. თუმცა, რამდენიმე „რაკუშკა“ მაინც წამოვიღე. საბერძნეთიდანაც ჩამოვიტანე და თურქეთიდანაც. პოლონეთიდან კი, ხელცარიელი დავბრუნდი.

— მარჯნების გარდა, კიდევ თუ აგროვებ რაიმეს?

– მიყვარს რბილი, ფუმფულა სათამაშოები. რუსეთიდან ისე არ ჩამოვდივარ, რომ რაიმე არ ჩამოვიტანო – ხან დიდი დათვი, ხან – ფისო, ხანაც – კურდღელი. ჩემი ოთახი სავსეა სათამაშოებით.

— სახლი სამარაშიც გაქვთ?

– რა თქმა უნდა. დიდი და ლამაზი სახლი გვაქვს. მაგრამ მე, რადგან თბილისში დავიბადე და გავიზარდე, თბილისის სახლი განსაკუთრებით მიყვარს. არ შემიძლია საზღვარგარეთ ცხოვრება. რა თქმა უნდა, ჩემთვის გაცილებით იოლია რუსეთში დამკვიდრება და კარიერის შექმნა, რადგან მამას იქ ძალიან დიდი სამეგობრო ჰყავს, მაგრამ როგორც დედაჩემი ამბობს, ჯერ შენმა ხალხმა უნდა აღმოგაჩინოს და შეგიყვაროს, ტაში დაგიკრას და გაღიაროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უცხოეთში სახელის მოპოვებაზე ფიქრი.

— შენს ოთახზე და იმ სამყაროზე მიამბე, რომელიც მხოლოდ შენი, ძალიან პირადულია.

– ჩემს ოთახში უამრავი სათამაშოა. რადგან მე ვარდისფერი მიყვარს, ჩემი სამინებელი ვარდისფერია. ოთახში მაქვს ბუხარი. თუ ცივა, დავანთებ ხოლმე და ისე ვიძინებ. ჟალუზებიც ვარდისფერია და ეს საოცრად მამშვიდებს. ყოველთვის მაქვს პატარა ყვავილები და უამრავი ფოტო მაქვს კედლებზე გამოფენილი. ხშირად ვუყურებ და ვაცნობიერებ, რომელ სურათში უფრო უკეთესად გამოვიყურები. მე მომღერალი ვარ და ამიტომ, ყოველთვის ფორმაში უნდა ვიყო. სანამ არ ვმღეროდი, თავდაუბანელი სახლიდან მაშინაც არ გავდიოდი, ახლა კი ჩაცმულობას და ვიზუალურ მხარეს განსაკუთრებით ვაქცევ ყურადღებას.

მიყვარს რბილი, ფუმფულა სათამაშოები

საკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. როგორც ჩემი მენეჯერი ამბობს, არ მაქვს უფლება, არ ვიყო მომხიბვლელი.

— აგნესა, შეგიძლია დამისახელო ყველაზე განსაკუთრებული და ძვირფასი საჩუქარი, რაც შენთვის მოურთმევიათ?

— ყველაზე ძვირად ღირებულ საჩუქრებს ჩემი მშობლები მჩუქნიან. მათი საჩუქრები ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასიცაა — ფასის მიუხედავად. საერთოდ, საჩუქრის მოწონება-არმოწონება მის ღირებულებაზე არ არის დამოკიდებული. მე საათი მინდოდა, მქონოდა. რომ მაჩუქეს, ძალიან გამიხარდა, თუმცა ძვირად ღირებული სულაც არ იყო. ყველაზე მეტად ბედნიერი ვიყავი, როცა მამამ საჩუქრად ის კბა გამომიგზავნა, რომელზეც უკვე გიამბეთ.

— განსაკუთრებულ სიურპრიზს ხომ არ გაიხსენებდი?

— ორი წლის წინ, მამამ დაბადების დღეზე მანქანა გამომიგზავნა — ვარდისფერი „ლადა-09“. არ ველოდი. მამის მეგობარი რომ მოვიდა და გასაღები გადმომცა, მოულოდნელობისგან ხმა ვერ ამოვიღე. წელს მამამ წითელი ვარდები გამომიგზავნა. ჩემი დაბადების დღე 26 ოქტომბერს არის და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ დღეს განსაკუთრებით ბედნიერი ვარ ხოლმე.

— როცა სამარაში მიდიხარ, ტანსაცმელი მიგაქვს თუ იქ სხვა გარდერობი გაქვს?

— აქედან ყოველთვის შარვლით მივდივარ ხოლმე. სპორტულად ვარ ჩაცმული. ერთი დღე ვისვენებ, მეორე დღეს კი მივდივარ და ახალ ტანსაცმელს ვყიდულობ.

— ცხოველები თუ გყავთ სახლში?

— გვყავს კოკერსპანიელი ლუჩია, რომელსაც მოფერებით ლულუს ვეძახით. ძალიან პატარა იყო, რომ მოვიყვანეთ. ერთ მშვენიერ დღეს, მე და ჩემმა ძმამ, გიორგიმ გადავწყვიტეთ, ძაღლი გვეყიდა. წავედით ძაღლების ბაზრობაზე. მისვლა დაგვიგვიანდა და სულ რამდენიმე ძაღლიღა დაგვხვდა. უცბად, დავინახეთ, მოხუც ქალს პარკში ჰყავდა ჩასმული პატარა კოკერსპანიელი. ისეთი საყვარელი იყო, რომ დანახვისთანავე შეგვიყვარდა. უცნაური ძაღლია. საჭმელს რომ დავუსხამთ, არ მიეკარება — მაგიდასთან მოვა და ჩვენ მოგვჩერება, რომ რამე გადავუგდოთ. ჩვენ რომ ავდგებით სუფრიდან, მხოლოდ მაშინ მივა თავის საჭმელთან.

— ბარი ვისი ინიციატივით გაკეთდა ამ სახლში? აქ ყველაზე მეტ დროს ვინ ატარებს?

— ამ სახლში ყველაფერი ჩემი და დედაჩემის სურვილითაა გაკეთებული. დიზაინერი არ დაგვიქირავებია. ავეჯიც ჩვენ ავარჩიეთ. კატალოგებში ვნახეთ და იტალიიდან ჩამოვატანინეთ. ამ ბარში რატომღაც უფრო ხშირად, მე ვზივარ ხოლმე. როცა ცუდ ხასიათზე ვარ ან ნოსტალგია მომეძალება, დავჯდები და მუსიკას ვუსმენ. არ ვსვამ, თუმცა ძალიან მიყვარს სასმელების შეგროვება. მაგრამ თუ საღღესასწაულო სუფრას ვაწყობთ, გამორიცხულია, რომ ამ ბარში ერთი ბოთლი სასმელი დარჩეს.

— როცა შენი და დედაშენის აზრი არ ემთხვევა ერთმანეთს, რა ხდება ასეთ შემთხვევაში?

— ვჩხუბობთ. ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებული გემოვნება გვაქვს. როცა დედის გემოვნებას ვეყრდნობი და სადმე მისი რჩევით ჩაცმული მივდივარ, ყოველთვის ვნანობ ხოლმე...

ქალბატონი ელა:

— ძალიან ბევრი ბავშვი უყურებს და აქცევს ყურადღებას მას, ვინც სცენაზე დგას. ისინი ჰბაძავენ მომღერლებს, ამიტომ აუცილებელია, გამოიყურებოდე ბრწყინვალედ. მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად უნდა გამოაჩინო მკერდი, მაგრამ საჭიროა გეცვას გემოვნებით. სადმე როცა მივდივარ, ყველაფერს ვაკვირდები. სულ მინდა, აგნოს ორიგინალური და კარგი ტანსაცმელი ვუყიდო.

— აგნოს თავისი ოჯახი აფინანსებს, მომღერლის დაფინანსება კი იოლი არ არის. როგორ ახერხებთ?

— მე მიყვარს ამ თემაზე საუბარი... აგნოს ბოლო კლიპის პრეზენტაცია „მერიოტში“ ჩატარდა. ივივე თანხა დამიჯდებოდა, სხვა პრესტიჟულ რესტორანში რომ ჩამეტარებინა კლიპის ჩვენება. ჩვენ არ გვაქვს ისეთი ოჯახი, ფულს რომ ფანტავს. Мы всё время считаем. ეს არის ეკონომია, რომლის წყალობით ყველაფერი გამოგვდის. როცა ჩვენი ახლობლები ძვირად ღირებულ აგარაკებზე დადიოდნენ, ჩვენ თბილისში ვიყავით, ფულს ვზოგავდით. ამ დანაზოგით აშენდა ეს სახლი... ჩვენ აგნესას ხელს შევუწყობთ. ის მარტო ვერაფერს გააკეთებს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია აგნესას პროფესია, რადგან ეს იქნება მისი შემოსავლის წყარო. თუ მას არ მიიღებს მსმენელი, თუ ის არ გახდება პოპულარული, მაშინ ის გამოიცვლის პროფესიას და იმუშავებს იქ, სადაც იქნება უფრო წარმატებული. Это есть ее кусок хлеба. როცა მას პირველი კონცერტი ჰქონდა, მე არ ვუყურებდი, როგორც ფანატი დედა, პირიქით — ვფიქრობდი, გახდებოდა თუ არა ჩემი შვილი მსმენელისთვის საყვარელი მომღერალი და სიმღერა გახდებოდა თუ არა მისთვის პროფესია. მარტო იმისთვის, რომ აგნესა ლამაზი გოგოა და მღერის, ჩვენ ფულს არ დავხარჯავთ. მე ვთხოვე ჩემს ქმარს, რომ აგნო დაეფინანსებინა.

— მამას თუ უნახავს აგნესა სცენაზე?

— მხოლოდ რუსეთში. ის ძალიან თავდაჭერილი კაცია, მაგრამ როცა აგნესა მღეროდა, მისი თვალებით მივხდი, როგორ მოსწონდა შვილი და უხაროდა.

— ვინ არის თქვენი მეუღლე, აგნესას მამა?

აგნესა დედასთან ერთად

— აგნოს მამაზე ძალიან ბევრი ჭორი დადის, მაგრამ სიმართლე არც ერთი არ არის. ჩვენ გვაქვს კარგი სახლი, მანქანა, დავდივართ რესტორნებში, ვისვენებთ, მაგრამ მილიონი ასე იოლი მოსაგროვებელი არ არის. აგნოს მამა მშრომელი ადამიანია. ის ბიზნესშია ჩაბმული, მაგრამ ბიზნესმენი არ არის. სანამ ცოცხალი იქნება, ოჯახს არაფერს გაუჭირვებს. ძალიან სერიოზული კაცია და მკაცრიც. 5-6 წელია, რაც თბილისიდანაა წასული. ადრე უფრო ხშირად ჩამოდიოდა, ახლა ამას ვეღარ ახერხებს.

— რატომ არ აცხადებენ აგნესას გვარს?

— გვარის დამალვა წარმოუდგენელია. აგნესა სარქისოვაა და ამის დამალვა არ შეიძლება. ბევრჯერ დაიწერა — რატომ მალავს აგნესა გვარსო? ეს სისულელეა! აგნესა სასცენო სახელია, სცენას ძალიან მოუხდა და ასე უფრო ლამაზია და მისაღები.

— რატომ არ სცადეთ, აგნესასთვის კარიერა რუსეთში გაგეკეთებინათ?

— რუსეთი არის рынок, რუსეთი არის ფული, მაგრამ რუსეთს არა აქვს გული. ჩვენთან (საქართველოში) უზომო სითბო და სიყვარულია, ჩვენი ხალხი კეთილია, მოსიყვარულეა. რუსეთში ასე არ არის...

ქალბატონ ელას გული სწყდება ჟურნალისტებზე — დაწერეს, თითქოს აგნესა ქველმოქმედებით აპირებს პოპულარობის მოხვეჭასო. მასში ამან პროტესტი გამოიწვია. ქველმოქმედება მთელ მსოფლიოში მიღებული მოვლენაა... ორ თვეში ერთხელ, აგნესას სახელით ქველმოქმედებას ვეწევი და ეს ასეც უნდა იყოს, თითოეულმა მომღერალმა თვეში ასი დოლარი მაინც უნდა გაიღოს ხალხისთვისო, — დასძინა ქალბატონმა ელამ. ■

„ეხლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ქისტი იყო“ — აცხადებს განსასჯელის უკმაყოფილო ადვოკატი

თუმცა, პროკურატურა მარგოშვილს ეროვნებაზე არაფერს ეკითხება, ის მას მძიმე დანაშაულში სდებს ბრალს

მეგი ცანავა

უზენაესმა სასამართლომ, როგორც იქნა, 47 წლის ფაიზულ მარგოშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო. ამ პროცესის დაწყებას სასამართლო კოლეგია უკვე ერთ თვეზე მეტია ცდილობს. თუმცა, სხდომები ზედიზედ გადაიდო, ამის მიზეზი კი, დაზარალებული მხარის გამოუცხადებლობა გახლდათ. 5 ნოემბერს დაზარალებულები პროცესზე იძულების წესით, ანუ პოლიციის დახმარებით მიიყვანეს. სასამართლოში გამოუცხადებლობა მათ ასე ახსნეს: „*არც სასამართლო გვინდა და არც ჩივილი. ამ კაცის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს*“. სხდომაზე ერთ-ერთმა დაზარალებულმა ისიც განაცხადა, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ გამოქვეყნებულ საბრალდებო დასკვნაში მხოლოდ სიცრუე წერია და არც ერთი იქ მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. თუმცა, იმავე სხდომაზე გაირკვა, რომ პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში სწორედ ეს დაზარალებული ამხელს მარგოშვილს ჩადენილ დანაშაულში. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, დაზარალებულები განსასჯელის მხარისგან არიან დაშინებულები...

ადრე სოფელ დუისში მცხოვრები, ცოლშვილიანი ფაიზულ მარგოშვილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის, ყაჩაღობისთვის და სხვა დანაშაულებისთვის სამჯერაა ნასამართლევი. ბოლოს, 1999 წელს ის პრეზიდენტმა შეიწყალა და ციხიდან გათავისუფლდა. როგორც პროკურატურის თანამშრომლები აღნიშნავენ, ის გამოსწორების გზას მაინც არ დაადგა და 2001 წელს, პირადი მიზნების განსახორციელებლად სამი ადამიანი გაიტაცა და მათი განზრახ მკვლელობა სცადა. ფაიზულ მარგოშვილი ამას კატეგორიულად უარყოფს, საბრალდებო დასკვნაში კი დანაშაული ასეა წარმოდგენილი:

2001 წლის 24 მაისს, დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის, ავტომატით შეიარაღებული ფაიზულ მარგოშვილი

სოფელ არღაანიდან ზემო ალვანისკენ მიმავალ გზაზე იდგა. ამ დროს გამოჩნდა მინიმიკროავტობუსი, რომელსაც მინდობილობით მართავდა ვინმე დავით ბერეკაშვილი. როცა ავტომანქანამ მარგოშვილს ჩაუარა და 10-15 მეტრითაც კი გასცდა მას, ავტომატიდან ტყვია გავარდა. მარგოშვილმა იარაღიდან ჰაერში გაისროლა, რადგან მიკროავტობუსის გაჩერება მოინდომა. გასროლის მიუხედავად, მანქანამ გზა განაგრძო და არ შეჩერდა. მაშინ მარგოშვილმა საბურავების მიმართულებით დაიწყო სროლა. მძღოლი იძულებული გახდა, გაჩერებულიყო. მარგოშვილი მიკროავტობუსს მიუახლოვდა. აღმოჩნდა, რომ მძღოლის — დავით ბერეკაშვილის გარდა, მანქანაში კიდევ ოთხი ადამიანი იჯდა: მარიამ ბერეკაშვილი (დავით ბერეკაშვილის და), მანანა ბერეკაშვილი (რძალი), ლამარა რუსია (ბერეკაშვილის სიძის მამიდა) და ზაზა ლუაშვილი (დავით ბერეკაშვილის ბიძაშვილი). ფაიზულ მარგოშვილმა ყველა მათგანი აიძულა მანქანიდან გადასულიყო. შემდეგ მათ პირადი ნივთები, მათ შორის 50 დოლარის ჩეკი და დოკუმენტები წაართვა და კვლავ მიკროავტობუსში ჩაჯდომა უბრძანა. მანქანაში ყველასთვის საკმარისი ადგილი არ აღმოჩნდა, ამიტომ მარგოშვილმა ზაზა ლუაშვილი და მანანა ბერეკაშვილი იქვე გზაზე დატოვა, თავად, დანარჩენებთან ერთად მიკროავტობუსში ჩაჯდა, თქვა: ყველას დაგხოცავთ, თუ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებთო, — და მძღოლს წასვლა უბრძანა. მარგოშვილის მოთხოვნა იყო, ის პანკისის ხეობაში წაეყვანათ. დავით ბერეკაშვილმა განაცხადა, რომ გზა არ იცოდა. თუმცა, მარგოშვილმა თავისი მაინც არ დაიშალა, — გზაში ვინმე შეგვხვდება და შეეკითხეო.

ზემო ალვანში ორი უცნობი მამაკაცი შენიშნეს. მძღოლმა მანქანა შეაჩერა და მათ პანკისის გზა ჰკითხა. უცნობებმა მიკროავტობუსის წინა კარი გამოაღეს და თქვეს: თუ პანკისში მიდიხართ, ჩვენც გამოგყვებითო. სწორედ ამ მომენტში, დავით ბერეკაშვილმა მარგოშვილის ყურადღების მოდუნებით ისარგებლა და მის ავტომატს სწვდა. უნდოდა წაერთმია, მაგრამ მარგოშვილი მაშინვე გამოცოცხლდა და იარაღიდან გაისროლა. ტყვია მანქანის წინა მინას მოხვდა. მძღოლმა მარგოშვილს ავტომატის ლულა ძალით ძირს დააწევინა, ტყვიები ამჯერად მიკროავტობუსის იატაკს ხვდებოდა. მარგოშვილმა დავით ბერეკაშვილს დაუყვირა: იცოდე, რომ უკვე „ტრუპი“ ხარო. ამ სიტყვებზე დავით ბერეკაშვილის და — მარიამ ბერეკაშვილი ფაიზულ მარგოშვილს სწვდა, სახეზე ხელები ააფარა და თითები თვალებში ჩაარჭო. ამ ჭიდილის გამო, მანქანის კარი გაიღო და ორივენი ძირს ჩაცვივდნენ. დავით ბერეკაშვილმა, როგორც იქნა, მარგოშვილისთვის ავტომატის წართმევა მოახერხა, თუმცა ამ უკანასკნელმა ამჯერად ჯიბიდან დანა ამოიღო და იმით ცდილობდა მიზნის მიღწევას. ჩხუბის, ყვირილისა და გაწევ-გამოწევის მომენტში, შემთხვევის ადგილას ხალხი მოგროვდა. მარგოშვილიც სწორედ ხალხმა შეიპყრო, რის შემდეგაც მომხდარის შესახებ, იქ მყოფებმა პოლიციას შეატყობინეს. შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა მარგოშვილს ტყვის საფულე და ბერეკაშვილებისთვის წართმეული სხვა პირადი ნივთები ამოაცალეს, შემდეგ კი ის განყოფილებაში წაიყვანეს.

წინასწარი გამოძიების დასასრულს პროკურატურამ ფაიზულ მარგოშვილი

დამამძიმებელ გარემოებებში სამი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ამ პირთა უკანონოდ თავისუფლების აღკვეთაში, ყაჩაღობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-გამოყენებასა და ავტომანქანის გატაცებაში დაადანაშაულა.

ფაიზულ მარგოშვილმა ბრალდების არც ერთ ნაწილში არ ცნო თავი დამნაშავედ და სასამართლოში ამ ეტაპზე, დუმილის უფლება გამოიყენა. სამაგიეროდ, განსასჯელის სასარგებლო ჩვენება სასამართლო კოლეგიას თავად დაზარალებულმა – დავით ბერეკაშვილმა მისცა. მისი ასეთი პოზიცია ყველასთვის, განასკუთრებით კი სახელმწიფო ბრალმდებლისთვის, მოულოდნელი აღმოჩნდა.

დავით ბერეკაშვილი:

„მარგოშვილის მხარიდან არანაირ მკვლელობის მცდელობას ადგილი არ ჰქონია. მას არც ავტომატი დაუმიზნებია ჩვენთვის. იარაღი მის ხელში პირველად მაშინ შევნიშნე, როცა ის მანქანაში ჩაგვიჯდა...

იმ საღამოს ჩემს ნათესავებთან ერთად ზემო ალვანის მიმართულებით მივდიოდი. უკვე შეღამებული იყო. თანაც, იმ გზაზე პირველად ვიყავი, იქაურობას არ ვიცნობდი და ამიტომაც მანქანა ნელა მიმყავდა. ცოტა ხანში, გზაზე უცნობი მამაკაცი დავინახე. გზის პირას იდგა, ხელი დამიქნია და მეც შევჩერდი. მითხრა – ზემო ალვანისკენ მინდა წასვლა და წამიყვანეთო. მანქანაში ჩავჯდა, სწორედ ამ დროს შევნიშნე მის ხელში იარაღი, თანაც შევატყვე, რომ ნასვამი იყო. ავტომატი სხვებმაც დაინახეს. ჩემს ბიძაშვილს – ზაზა ლუაშვილს და რძალს – მანანა ბერეკაშვილს ძალიან შეეშინდათ. მითხრეს – ჩვენ აქ ჩამოვალთ, იქით აღარ გამოგყვებითო. ვანიშნე მათ, რომ საშიში არაფერი იყო, მაგრამ მაინც არ დამიჯერეს. მეც ორივენი იქ დავტოვე და მანქანა დავძარი. ვიფიქრე, ამ ადამიანს თავის ადგილას მივიყვან და ამათთან მერე მოვბრუნდები-მეთქი.

მარგოშვილს არც გზაში გამოუვლენია აგრესია, თუმცა მე მაინც შემეშინდა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ზემო ალვანთან ბლოკ-პოსტი იყო. მეც მალე იქ უნდა გამევლო. ვიფიქრე, შესაძლოა, გამაჩერონ, ეს კაცი იარაღიანია, იქნებ, გაჩერება არც მოინდომოს და სროლა ატყდება, რაიმე უბედურება დატრიალდება-მეთქი. თანაც, მივხვდი, რომ ავტომატი უკანონოდ ჰქონდა, რადგან თანამშრომელს არ ჰგავდა, არც სამხედრო ფორმა ეცვა. ამიტომაც, გადავწყვიტე, მისთვის იარაღი წამერთმია. ამ განზრახვით მის ავტომატს ვტაცე ხელი. მარგოშვილმაც სწორედ მაშინ გაისროლა პირველად. ტყვია მანქანის შუშას მოხვდა“...

აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დაზარალებული დავით ბერეკაშვილი ზუსტად ისე გადმოგვცემს და აღწერს მოვლენებს, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაშია წარმოდგენილი. „... ჭიდილისას მარგოშვილმა ქვეშ მოიყოლა ჩემი და. ამ დროს მას გამეტებით ვურტყამდი ავტომატის კონდახს, რათა მარიამი გაეშვა. 10-15 წუთში პოლიციაც მოვიდა. მანამდე მარგოშვილი ყველას მოკვლით გვემუქრებოდა. თუ მას რაიმე სხეულის დაზიანება მივაყენე, ეს მხოლოდ თავდაცვის მიზნით გავაკეთე. მაშინ, როცა იარაღი უკვე წართმეული მქონდა, ავტომატს მჭიდიც კი მოვხსენი და შორს მოვისროლე“, – წერს დავით ბერეკაშვილი პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში. სასამართლო სხდომაზე მან განაცხადა, რომ გამომძიებლის წინაშე თავის მიერ ნაკარნახევ ჩვენებებს ხელს ისე აწერდა, რომ იქ რა ეწერა, არც კითხულობდა. როგორც მოგვიანებით, სხდომაზე აღმოჩნდა, ბერეკაშვილს პროკურატურისთვის მიცემული ყველა ჩვენება საკუთარი ხელით აქვს დაწერილი. ეს ფაქტი და ჩვენებებს შორის წინააღმდეგობები დავით ბერეკაშვილმა დაბნეულობით ახსნა. რას იტყვიან დანარჩენი დაზარალებულები, მომავალ სხდომებზე გაირკვევა. რაც შეეხება განსასჯელის ადვოკატს, ის ამტკიცებს, რომ მარგოშვილი უდანაშაულოა და მის გამართლებას მოითხოვს.

ლალი გუნტური, ფაიზულ მარგოშვილის ადვოკატი:

„ფაიზულ მარგოშვილი პოლიციამ მხოლოდ იმიტომ დააკავა, რომ ის ქისტი იყო. თანაც, იმ პერიოდში, საკმაოდ ავტორიტეტულ პიროვნებას წარმოადგენდა და ბევრ ინფორმაციას ფლობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ის ვეფხია მარგოშვილის ბიძაშვილი გახლავთ. როგორც ჩანს, ფაიზულისგან ბიძაშვილის შესახებაც სურდათ ინფორმაციის მიღება. ვერაფერს მიაღწიეს, სამაგიეროდ, მს მძიმე დანაშაულებში დასდეს ბრალი. საბრალდებო დასკვნაში არც ერთი ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. 2001 წლის 24 მაისს, ფაიზულ მარგოშვილი ზემო ალვანში პირადი საქმის მოსაგვარებლად, კერძოდ, ცხენის საშოვნელად მიდიოდა და არა დანაშაულის ჩასადენად“. ■

სამი ადამიანი არაგვში ჩაახრჩო, ცოლ-ქმრის მკვლელობისთვის კი დახვრეტა მიუსაჯეს

მეგი ცანავა

ხუთი ადამიანის მკვლელობისთვის ბრალდებული 32 წლის გივი ნათელაშვილი, ამ დღეებში სასამართლოს წინაშე წარდგა. სამართალდამცავთა ცნობით, ის განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედია, რომელიც 21 წლის ასაკიდან სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ხან – რუსეთის, ხანაც საქართველოს ციხეებში იხდიდა სასჯელს. აღსანიშნავია ისიც, რომ გივი ნათელაშვილი, იმ საზარელ, სადისტურ მკვლელობებს, რაშიც მას სამართალდამცავები ადანაშაულებენ, აღიარებს.

პირველად, გივი ნათელაშვილი ყაზახეთის სასამართლომ გაასამართლა და მას 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ხუთი წლის შემდეგ, სოფელ ანანურში დაბრუნებული ნათელაშვილის საქმე რაიონულმა სასამართლომ განიხილა და სასჯელად მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასჯელის მოხდის შემდეგ, ის კვლავ რუსეთის სასამართლომ გაასამართლა. ზემოთ აღნიშნული ყველა სასჯელი ნათელაშვილს რუსეთსა და საქართველოში სხვადასხვა დროს ჩადენილი ქურდობებისთვის მიეზღო.

სწორედ რუსეთში, კერძოდ ქალაქ როსტოვში, მან თბილისელი, რუსი ეროვნების ვინმე მალალეტკინი გაიცნო. 1987 წელს, მალალეტკინთან ერთად, ის საერთო ნაცნობის, ვინმე პრიხოტკოს ბინაში მივიდა. სამივემ ალკოჰოლური სასმლის სმა დაიწყო. პრიხოტკოს მეუღლე იმ დროისთვის შინ არ იმყოფებოდა, ხოლო როცა სახლში მივიდა და სამი მთვრალი მამაკაცი დახვდა, ყვირილი ატეხა. გივი ნათელაშვილს იმ მომენტისთვის ეძინა და ქალის წივილ-კივილმა რომ გააღვიძა, ძალიან გაბრაზდა. ის მაშინვე, აყვირებულ ქალს მივარ-

და და ცემა დაუწყო. ამაზე თავად პრიხოტკო განაწყენდა, მეუღლეს გამოესარჩლა და ნათელაშვილს ცოლის შეურაცხყოფისთვის პასუხი მოსთხოვა. მათ ჩხუბი დაიწყეს, გივი ნათელაშვილმა შარვლის უკანა ჯიბიდან დანა ამოიღო და ჯერ პრიხოტკოს ჩაარტყა რამდენჯერმე სხეულში, შემდეგ კი მის ცოლს. კაცს მან 12 ჭრილობა მიაყენა, მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდა ქალს, რომელსაც 18-ჯერ ჩაარტყა დანა. ცოლ-ქმარი ადგილზევე გარდაიცვალა.

იქვე მყოფი მალალეტკინი ამ საშინელ მკვლელობებს დაესწრო. ნანახით გაოგნებული, სულ მთლად გამოფხიზლებულიყო. ნათელაშვილმა მას ურჩია — ახლავე გავიქცეთ აქედან, რუსეთიდან უნდა გავიდეთ და სჯობს, საქართველოში, ჩემს სოფელში ჩავიდეთო. მალალეტკინი დათანხმდა.

სოფელ ანანურში, რუსეთში ჩადენილი საშინელი მკვლელობის ერთადერთი მოწმის გვერდით, გივი ნათელაშვილი მოუსვენრად გრძნობდა თავს. მან მალალეტკინის მოშორება განიზრახა. მალე ჩანაფიქრიც განახორციელა და ერთ დღეს, მალალეტკინი არაგვში ჩაახრჩო.

თუმცა, ნათელაშვილი მართლმსაჯულებას მაინც ვერ გადაურჩა. მას მშობლიურ სოფელშიც მიაგნეს და დააკავეს, როგორც ცოლ-ქმრის პრიხოტკოების მკვლელობაში ეჭვმიტანილი. ნათელაშვილი ქ. როსტოვში წაიყვანეს. 1987 წელს როსტოვის სასამართლომ მას ჩადენილი დანაშაული დაუდასტურა და სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. ასეთი განაჩენი ნათელაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ზედმეტად მკაცრად მიიჩნია და ის საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა. იმ დროისთვის გივი ნათელაშვილი 27 წლის გახლდათ. როგორც ჩანს, მოსამართლეებმა ის დასახვრეტად მაინც ვერ გაიმეტეს და სასჯელი შეუმსუბუქეს — დახვრეტა 15 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს. რამდენიმე წელიწადში, გივი ნათელაშვილი, ეტაპირების წესით, საქართველოში ჩამოიყვანეს. 1997 წელს ის ციხიდანაც გათავისუფლდა.

1998 წელს გივი ნათელაშვილმა მორიგი დანაშაული ჩაიდინა. ამჯერად, მშობლიურ სოფელში — ანანურში. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ის ძირითადად, საცხოვრებელი სახლების ძარცვით იყო დაკავებული. თავდაპირველად, მან ვინმე ბულაურების ბინა გაძარცვა. გაძარცვის შემდეგ კი, სახლს ბენზინი გადაასხა და დაწვა. სახლიდან მოპარული ჭურჭელი მან ძირითადად არაყზე გადაცვალა. იმავე განზრახვით შეიჭრა ის ანანურში მცხოვრები მოხუცი ქალის — ბაბულია მაჭავარიანის საცხოვრებელ სახლში. თუმცა, თავდამსხმელი მოხუცმა მაშინვე იცნო და უთხრა კიდეც ამის შესახებ. გივი ნათელაშვილმა, იმის შიშით, რომ ქალს შეეძლო, ის დაესმინა, მისი მოკვლა განიზრახა. ბაბულია მაჭავარიანი მან ჯერ სცემა, შემდეგ ნაცემი ქალი სახლის ახლოს მდებარე ხევთან მიათრია და ხევში გადაჩეხა. ამის შემდეგ, დამტვრეული ქალი მან არაგვში ჩააგდო. ბაბულია მაჭავარიანის გვამი სამართალდამცავებმა რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს. ყველა ფიქრობდა, რომ ქალი გარდაცვლილი ვაჟის დარდს გადაჰყვა, მეტს ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა.

ამ ფაქტიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, გივი ნათელაშვილმა, მამა-შვილის თითბერიძეების განზრახ მკვლელობა სცადა. ურთიერთშელაპარაკებისას, თითბერიძეებს მან სანადირო თოფიდან ესროლა რამდენიმე ტყვია. მამა-შვილი, საბედნიეროდ, გადარჩა, თავად ნათელაშვილი კი, სწორედ ამ ფაქტზე აიყვანა პოლიციამ.

დაკითხვისას, გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ საიდან ჰქონდა მას სანადირო თოფი? — ნათელაშვილმა განაცხდა, რომ ის ვინმე იაშა კარიაულს წაართვა. როგორც გაირკვა, იაშა კარიაულიც ნათელაშვილის ერთ-ერთი მსხვერპლი იყო. ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, ის იაშა კარიაულის სახლში გასაძარცვად შევიდა, თუმცა კარიაულმა გივი მაშინვე იცნო. კარიაული, რომელიც ხანში შესული გახლდათ, ნათელაშვილმა იძულებით არაგვთან მიიყვანა, შემდეგ კი ის წყალში ჩაახრჩო.

ამ საშინელ მკვლელობასთან ერთად, ნათელაშვილმა ბაბულია მაჭავარიანის მკვლელობაც აღიარა.

თუ რას იტყვის სასამართლოში განსასჯელი, უახლოეს მომავალში შევიტყობთ. პროცესზე ამჟამად მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს.

■

მამას გამოესარჩლა და მკვლელობა ჩაიდინა

20 წლის დიმიტრის მიერ გასროლილი ერთ-ერთი ტყვია მამამისს მოხვდა

20 წლის თბილისელ დიმიტრი თეთრაშვილს პროკურატურა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-შეძენასა და დამზადებაში ადანაშაულებს. სამართალდამცავთა ცნობით, ცხრა კლასის განათლების მქონე დიმიტრი თეთრაშვილი ადრეც გახლდათ ნასამართლევი. თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლომ ის მაშინ გაასამართლა, როცა დიმიტრი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი — მხოლოდ 17 წლის იყო. სასამართლომ მას ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის პირობითი სასჯელი — 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც პროკურატურა აცხადებს, დიმიტრი თეთრაშვილმა სწორედ ამ პირობითი სასჯელის ვადის პერიოდში ჩაიდინა მორიგი დანაშაული. გაირკვა, რომ 1999 წელს (ზუსტი თარიღი დაუდგენელია), მცხეთის რაიონის სოფელ დიღომში მცხოვრებმა თეთრაშვილის პაპამ არასრულწლოვან შვილიშვილს ცეცხლსასროლი იარაღი აჩუქა. ეს იარაღი — 1909 წლის ნიმუშის, „სმიტ-ვესონის“ სისტემის რევოლვერი, პაპას დიდ სამამულო ომში ნადავლის სახით რგებია. მისმა შვილიშვილმა — დიმიტრიმ, შემდგომში რევოლვერი კუსტარული წესით გადააკეთა და ის ვაზნების სასროლად ვარგისი გახადა. იარაღს, დიმიტრი, პაპისეული სახლის გვერდზე არსებულ დამწვარ ოთახში ინახავდა.

ბრალდების თანახმად, დიმიტრი თეთრაშვილის მამას — სერგო თეთრაშვილს, ვინმე გიორგი კაპანაძემ, მანქანის აკუმულატორის დასამზადებლად, 100 ლარი მისცა. სერგო თეთრაშვილმა შეკვეთის დროულად შესრულება ვერ შეძლო. ამის გამო, 2001 წლის 25 ნოემბერს, საღამოს 9 საათისთვის, გიორგი კაპანაძემ მეგობრებთან ერთად სერგო თეთრაშვილს მამისეულ სახლში, სოფელ დიღომში მიაკითხა. იქ მათ ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ. ჩხუბში იქვე მყოფი დიმიტრი თეთრაშვილიც ჩაერია და შეეცადა, მოსულებს ეზო იძულებით დაეტოვებინათ. რაღაც მომენტში, მამის ყურადღების გაფანტვითაც ისარგებლა და რევოლვერის გამოსატანად დამწვარ ოთახში შევიდა. იარაღი გამოიტანა თუ არა, მაშინვე, მოსულთა მისამართით, ზედიზედ ორჯერ გაისროლა. როგორც გამომძიებელი აღნიშნავს, დიმიტრი თეთრაშვილი იმ დროს იქვე მყოფი მამის სიცოცხლესაც კი არ გაუფრთხილდა. სერგო თეთრაშვილს ერთი ტყვია მოხვდა და მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. მეორე ტყვია გიორგი კაპანაძის ერთ-ერთ თანმხლებს — კონსტანტინე გეგელიშვილს მოხვდა. საუბედუროდ, ის მძიმედ დაიჭრა და მაშინვე ჩაიკეცა. მეგობრებს დაუძახა: ვაიმე, დამჭრესო, — და ამ ძახილზე საშველად მისულმა გიორგი კაპანაძემ და სხვებმა, ის მანქანისკენ წაიყვანეს. გეგელიშვილი გზაში წაიქცა. სწორედ იმ მომენტში, დიმიტრი თეთრაშვილმა მათი მიმართულებით კიდევ ოთხჯერ სცადა გასროლა. ორი ტყვია რატომღაც არ გავარდა, ორი გასროლილიდან ერთი მიზანს ასცდა, მეორე კი მანქანის კარს მოხვდა...

კონსტანტინე გეგელიშვილი №2 რკინიგზის საავადმყოფოში წაიყვანეს, თუმცა ის მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებულმა დიმიტრი თეთრაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მან ჩვენების მიცემაზეც უარი თქვა, მხოლოდ ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას აღნიშნა, რომ გიორგი კაპანაძე და მისი მეგობრები მათთან სახლში სრულიად მოულოდნელად მივიდნენ. მამამისს იმ დროს ეძინა. მაშინვე გაიღვიძა და მოსულებს დაელაპარაკა. მათი საუბრიდან ის მიხვდა, რომ მამამისს ფულს სთხოვდნენ. დიმიტრის თქმით, მოსულები აგრესიულები იყვნენ და გამაღიზიანებლად იქცეოდნენ. „...პაატამ *(გიორგი კაპანაძის ერთ-ერთი თანმხლები. — ავტ.)* მამაჩემს გაშლილი ხელი სახეზე მიაფარა. მე ვუთხარი, შეწყვიტე, ასე ნუ იქცევიმეთქი, — მაგრამ არ გამიგონა. პირიქით, ახლა ხელი მოხვია მამაჩემს, გიორგიმ კი *(კაპანაძე. — ავტ.)*, მამას უკნიდან მოქაჩა, ამიტომ მე მას მუშტი ჩავარტყი სახეში... ყველანი სახლიდან გარეთ — ეზოში გავიდნენ, ამით ვისარგებლე და სახლის გვერდით, დამწვარ ოთახში შევედი. იქიდან „ვეკოს“ ვაზნებიანი რევოლვერი გამოვიტანე...“ — აღნიშნა დიმიტრი თეთრაშვილმა ეჭვმიტანილად დაკითხვისას. მისივე თქმით, მაშინ, როცა მან იარაღიდან გაისროლა, ძალიან განერვიულებული და აღელვებული იყო.

დიმიტრი თეთრაშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვა ამ კვირაში უზენაესმა სასამართლომ დაიწყო. განსასჯელის ადვოკატმა — ალექსი ალეიშვილმა, სასამართლო კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა და დიმიტრი თეთრაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის გასარკვევად, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვა. ადვოკატის თქმით, დიმიტრი თეთრაშვილი ბავშვობაში ნერვიული დარღვევების გამო მკურნალობდა. მკვლელობის დღეს კი, ალექსი ალეიშვილის მტკიცებით, ის ჩხუბისას სცემეს, თავში რაღაც ძლიერად ჩაარტყეს, რის შედეგადაც, შესაძლოა, მან ტვინის შერყევა მიიღო. „ამის გამო, არ არის გამორიცხული, რომ დიმიტრი თეთრაშვილმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა და მეტისმეტად აღელვებული, ვერ აცნობიერებდა, თუ რას სჩადიოდა“, — აღნიშნა ადვოკატმა.

სასამართლო კოლეგიამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. სხდომის თავმჯდომარემ, მოსამართლე — იური ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ადვოკატის შუამდგომლობა სათანადოდ დასაბუთებული არ იყო და არც წარმოდგენილი სამედიცინო ცნობების საფუძველზე მიიჩნია ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მიზანშეწონილად.

■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ბგთი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

მერი კობიაშვილი

დათო ჩახვაშვილი, რომელიც სულ თავის „ვერონიკას“ უტრიალებს

ბუჩჯაანელი „შერეკილები“

ქართველი კაცის გამომგონებლობას საზღვარი რომ არა აქვს ამაში ახლახან, კახეთში სტუმრობისას დავრწმუნდი. როდესაც ცაზე უცნაური მფრინავი ობიექტი შევნიშნე, სიმართლე გითხრათ, ვინანე კახეთში ჩასვლა: პანკისის ამბებით შეშინებული, დაბომბვას ყოველ წუთს ველოდი. მასპინძლებმა ბევრი იცინეს და ამიხსნეს, რომ ეს ჩუმლაყელი „შერეკილის“ გამოგონილი შვეულმფრენი იყო. მაშინვე ჩემი პროფესია გამახსენდა და მასპინძელს იმდენი ვეხვეწე, — მასთან ინტერვიუსთვის წამიყვანე-მეთქი, რომ ბოლოს და ბოლოს, დავითანხმე. თან ვფიქრობდი — იქნებ გავბედო და კახეთს ზემოდან გადმოვხედო-მეთქი...

*ბატონი ანზორ რუაძე შინ არ დამხვდა. გული არ გაიტეხოთ — გურჯაანში კიდევ ერთი გამომგონებელია — დათო ჩახვაშვილი, რომელიც სულ თავის „ვერონიკას“ უტრიალებს; ის აუცილებლად შინ დაგხვდებათო, — მითხრეს სოფლელებმა. **დავით ჩახვაშვილს** გურჯაანის საკონსერვო ქარხანაში მივაგენი, სადაც მექანიზატორად მუშაობს. „ვერონიკაც“ სწორედ იქ „გავიცანი“.*

— ბატონო დავით, ალბათ არ შევცდები, თუკი ვიტყვი, რომ „ვერონიკა“ ჯერ ვერ იფრენს.

— რა თქმა უნდა, ის ჯერ ამისთვის მზად არ არის. არა აქვს კარი, ძრავას მოდერნიზებაც აუცილებელია. იძულებული ვიყავი, შვეულმფრენისთვის „ზაპოროჟეცის“ ძრავა გამომეყენებინა, რომელიც სუსტია.

— „ვერონიკა“ რატომ დაარქვით?

— დედაჩემს ვერა ერქვა. მის პატივსაცემად დავარქვი.

— ეს თქვენი პირველი ნამუშევარია?

— პირველად, მოტოპლანერი გავაკეთე. მასზე მუშაობას თორმეტი წელი მოვანდომე — მასალების მოგროვებას და კონსტრუირებას დიდი დრო დასჭირდა. ახლა დავშალე, რეკონსტრუქციას ვუკეთებ.

— არ გამოსცადეთ, როგორ დაფრინავდა?

— ამხანაგების დახმარებით თელავის აეროპორტში წავიღეთ. პატარ-პატარა შეცდომები მქონდა დაშვებული, რომელიც იქვე გამოვასწორეთ. გამოცდამ კარგად ჩაიარა.

— ამხელა მანძილზე მისი წაღება როგორ მოახერხეთ?

— საკმაოდ მსუბუქი აპარატი იყო — სულ 150 კილოგრამს იწონიდა. ფრთები მოვხსენით, მანქანის თავზე დავამაგრეთ და თელავში ბუქსირით წავიღეთ.

— პოლიციამ არ გაგაჩერათ?



— რამდენჯერმე ცნობისმოყვარეობის გამო გაგვაჩერეს. დაათვალიერეს და ფრენის კეთილად დამთავრება გვისურვეს.

— სპეციალისტებმა თუ შეამოწმეს თქვენი ნამუშევარი?

— რჩევებს თბილისის საავიაციო ინსტიტუტის ლექტორებს ვეკითხებოდი ხოლმე. ადგილზე არავის შეუმოწმებია, მაგრამ ყველა მგულშემატკივრობდა. ერთხელ თელავის საავიაციო ნაწილში ჩამოწერილი ფრთებიც მაჩუქეს.

— ბავშვობაში მფრინავობაზე ოცნებობდით?

— ძალიან მინდოდა, სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა რუსეთის რომელიმე საავიაციო სასწავლებელში გამეგრძელებინა, მაგრამ მშობლებმა წინააღმდეგობა გამიწიეს — ქართველები ხომ ავიაციასთან



მწყრალად არიან: წახვალ და აღარ დაგვიბრუნდებიო, — მითხრეს. დღესაც ვნანობ, მათ რომ დავუჯერე. მოგვიანებით, მექანიზაციის ტექნიკუმი დავამთავრე.

— შვეულმფრენით თქვენს გატაცებას, ოჯახის წევრები როგორ უყურებენ?

— ჩემს ძალებში დარწმუნებულები არიან და ყველანაირად გვერდში მიდგანან. ორი ბიჭი მყავს. ფრენის სურვილი არც ერთს არა აქვს, მაგრამ უფროსი ხშირად მეხმარება ხოლმე.

— როგორც მითხრეს, გურჯაანის რაიონში სამნი აკეთებთ ასეთ შვეულმფრენს. ამ საქმით პირველი რომელი დაინტერესდით?

— თავის ქებაში თუ არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ პირველმა მე დავწყე შვეულმფრენის აწყობა. ჩუმლაყელ ანზორ რუაძეს კარგად ვიცნობდი. ჩხირკედელაობა უყვარდა. ერთხელ საავიაციო ნაწილის გასაკეთებლად მოვიდა ჩემთან, მაგრამ არ გამიმხილა, რისთვის სჭირდებოდა. მე ვუთხარი: დამალვას რა აზრი აქვს? — შენ თუ ახლა იწყებ, მე უკვე ნახევრად ავაგე შვეულმფრენი-მეთქი. მას შემდეგ ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა გვაქვს. ახლა კიდევ ერთი „შერეკილი“ შემოგვემატა. ჩარხი მაქვს და დეტალების დამზადებაში ვეხმარები ხოლმე.

— გავიგე, ერთ-ერთი თქვენგანის შვეულმფრენი ჩამოვარდნილა. ამის მიზეზი არ იყო?

— ეგ ჩვენი ბრალი არ იყო — მფრინავი იყო გამოუცდელი, ძრავიან შვეულმფრენთან მანამდე შეხება არ ჰქონია — დელტაპლანზე დაფრინავდა. თვითონ ტრავმა არ მიუღია, მაგრამ შვეულმფრენი სულ დაიმტვრა. არადა, მის გაკეთებაზე სოფელ ჩუმლაყის საბჭოს თავმჯდომარემ, აბესალომ კასრელიშვილმა საკმაოდ დიდხანს იწვალა.

— თელაველები ყოველთვის ამაყობდნენ თავიანთი აეროპორტით და გურჯაანელებს ნიშნის მოგებით უყურებდნენ. ახლა რაღას ამბობენ?

— თელავშიც არის ჩვენნაირი „შერეკილი“. ისიც ერთადგილიანი შვეულმფრენის აგებაზე ჯახირობს.

— ამდენი შვეულმფრენის გამოყენება სად იქნება შესაძლებელი?

— კახელ კაცს ბევრ სამეურნეო საქმეს გააკეთებინებს, ავტოინსპექციასაც გამოადგება გზების პატრულირებაში. მისი გამოყენება ეკონომიურიც იქნება: ოთხასი კილომეტრის დასაფარავად ორმოცი ლიტრი ბენზინი ჰყოფნის.

— საჰაერო სივრცეს არ არღვევთ, როდესაც საკუთარი შვეულმფრენით დაფრინავთ კახეთის თავზე?

— არანაირად. შვეულმფრენის თვით მკეთებლებს მოცემული გვაქვს სამასი მეტრი სიმაღლე საჰაერო მიმოსვლისათვის. ასე დაბლა დიდი ავიაციის არც ერთი საფრენი აპარატი არ ჩამოდის, აეროპორტის ზონის გარდა.

— თქვენი შვეულმფრენის წყალობით, ალბათ ბევრი კურიოზი შეგემთხვათ...

— ერთხელ თელავის აეროპორტში მორიგ გამოცდაზე მქონდა ჩემი პირველი შვეულმფრენი წაღებული. ბიჭები მოვიდნენ და — „გვაკატავეო“, — მთხოვეს. თავიდან უარი ვუთხარი. ბოლოს დამითანხმეს. ალბათ ეგონათ, „ბოინგში“ ჯდებოდნენ. ჰაერში შვეულმფრენმა ტორტმანი რომ დაიწყო, ყვირილი ატეხეს: გააჩერე, ჩამოსვლა გვინდაო!.. სხვა რა გითხრათ? ბევრს დაკარგული ძროხა ვაპოვნინე... ზოგი კი მსაყვედურობს კიდეც — შენს შვეულმფრენს ძალიან დიდი ხმა აქვსო.

— ბევრი ალბათ დამცინავადაც გიყურებთ.

— დაცინვით, ისე არავინ დამცინის, რომ გული მატკინოს. უფრო, მაბრაზებენ ხოლმე — მეუბნებიან, ვერ გააკეთებო...

— მომავლისთვის რას აპირებთ?

— ბევრი იდეა მაქვს. შემიძლია, ტრაქტორი ან მოტოციკლი გავაკეთო. ყველაფერში ფინანსების არქონა მიშლის ხელს. თუმცა, ჩანაფიქრზე უარს მაინც არ ვიტყვი. შეიძლება, წლები დამჭირდეს, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწევ!..

■

ბიჭები მოვიდნენ და — „გვაკატავეო“, — მთხოვეს. თავიდან უარი ვუთხარი. ბოლოს დამითანხმეს. ალბათ ეგონათ, „ბოინგში“ ჯდებოდნენ. ჰაერში შვეულმფრენმა ტორტმანი რომ დაიწყო, ყვირილი ატეხეს: გააჩერე, ჩამოსვლა გვინდაო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲗᲔᲜᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲘᲜᲝ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ-ᲙᲚᲣᲑᲘ“ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲡ

როგორც ცნობილია, ამ დღეებში ამერიკიდან დაბრუნდნენ ქართველი მომღერლები, რომლებმაც ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, კლუბ „ნაციონალში“ გამართეს კონცერტი. მათი ჩამოსვლის დღეს, ნეკა სებისკვერაძესთან ჩაწერილი სახელდახელო ინტერვიუ „გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ და უფრო ვრცელ ინფორმაციასაც დაგპირდით. ამჯერად, ამერიკაში მოგზაურობისა და იქ ჩატარებული კონცერტის შესახებ მოგვითხრობენ მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილი და 14 წლის მომღერალი მარიკა თხელიძე.

მაია დათუნაშვილი ფესტივალის პრეზიდენტ გრიფ ო'ნილთან და მარიკა თხელიძესთან ერთად

ᲛᲐᲘᲐ ᲓᲐᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— ამერიკაში მესამედ ვიყავი და მინდა გითხრათ, რომ ბევრი რამ შეცვლილი მეჩვენა — განსაკუთრებით, ნიუ-იორკში. იმ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების შემდეგ, გარკვეულწილად, კანონებიც კი შეცვლილია. შეცვლილია თავად ადამიანების განწყობაც. ნევროზული სიტუაციაა. ძალიან დიდ სიფრთხილეს იჩენენ, მაგრამ ამავე დროს, ერთმანეთის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილები არიან და ეს აშკარად იგრძნობა. არც არის გასაკვირი: როდესაც ის ადგილი ვნახე, სადაც ადრე ჩემი თვალით მაქვს ნანახი „ტყუპი“ შენობები, ისეთი სიცარიელეა, რომ დავითრგუნე. თვითმფრინავიდანაც, როცა ხედავ ამ ადგილს, აბსოლუტურად შეიგრძნობ იმ ტრაგედიას, რომელიც მოხდა და ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, ამ ტრაგედიას ძალიან განიცდიან... ეს იყო პირველი კონცერტი, რომელიც ქართველებმა მიუძღვნეს ტერაქტს და ასევე იმ ქართველებს, რომლებიც ამერიკაში, კერძოდ ნიუ-იორკში და მის ახლომდებარე ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობენ.

— ძირითადად, რა კატეგორიის ადამიანებმა მოიყარეს თავი „ნაციონალის“ დარბაზში ამ კონცერტზე?

— ძირითადად, მოვიდნენ ის ადამიანები, ვინც დიდი ხანია წასულია ჩვენი ქვეყნიდან. ესენი იყვნენ ქართველები და იქაური ებრაელობა. ძალიან ბევრი რუსი და რამდენიმე ამერიკელი სტუმარიც გვყავდა. იყო ორი თუ სამი შერეული ოჯახი — ქართველი ცოლი და ამერიკელი ქმარი. ქართველ ქალებს ძალიან უნდოდათ, რომ მათ ამერიკელ მეუღლეებს მოესმინათ ქართული სიმღერა. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა ორსაათნახევრიანი პროგრამა ოთხი მომღერლის მონაწილეობით; მაგრამ კონცერტი ოთხ საათს გაგრძელდა. არავის უნდოდა ამ ყველაფრის დასრულება და ჩვენი იქიდან გაშვება.

— მომღერლების რეპერტუარით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ საკმაოდ მრავალფეროვანი კონცერტი გამოვიდა, არა?

— კონცერტი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. პროგრამა ისე „დავალაგეთ“, რომ ყველა თაობის მსმენელისთვის ყოფილიყო საინტერესო: იყო ტრადიციული ქართული სიმღერები, რომელიც ნეკა სებისკვერაძემ და თემურ თათარაშვილმა შეასრულეს; იქაური ქართველებისთვის ახალ ტალანტთან შეხვედრას ნიშნავდა მარიკა თხელიძის მოსმენა; ძალიან ბევრი ახალგაზრდა ესწრებოდა ამ კონცერტს და ძალიან მოეწონათ კახა ცისკარიძის ინსტრუმენტული შესრულება და მისი და დათო ოძელაშვილის კომპოზიცია „სუბტროპიკი“. რაც მთავარია, ძალიან კარგი განწყობა იყო, მაგრამ ჩვენ ყველამ ძალიან ვინერვიულეთ, იმიტომ, რომ მათ საოცრად ენატრებათ საქართველო და ქართული სიმღერა...

— ე.ი. შეხვედრა საკმაოდ ამაღელვებელი იყო.

— მათი მხრიდან ძალიან დიდი სითბო და სიყვარული მოდიოდა. თავიდან ბოლომდე დაკოცნილები და ცრემლებით დასველებულები ვიყავით. დიდი სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როცა გავიგე, რომ ქართველ ემიგრანტებს შინ აქვთ არა მხოლოდ თემურის ჩანაწერებიანი კასეტები, არამედ ჩემი სატელევიზიო და საკონცერტო გამოსვლების ჩანაწერებიც: ეს იმისთვის გვინდა, რომ მოვისმინოთ კარგი ქართული და გვქონდეს კარგი განწყობაო... ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. ამ ადამიანებისთვის ჩვენ კარგი „თერაპიის“ მომტანნი აღმოვჩნდით და ამიტომ, ეს კონცერტი ძალიან საპასუხისმგებლო იყო ჩვენთვის.

— თემურ თათარაშვილს ისინი იცნობდნენ. უფრო ახალგაზრდების შესახებ თუ ჰქონდათ რაიმე ინფორმაცია?

— თემური მათთვის ძალიან ცნობილი და ძალიან სასურველი მომღერალი იყო. კონცერტამდე სულ კითხულობდნენ — ხომ ნამდვილად ჩამოდისო? დაახლოებით იცოდნენ ნეკას შესახებ. კახასაც იცნობდნენ. მარიკაზე შარშან მიიღეს ინფორმაცია, როცა მან საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ მისი ბევრი სიმღერა, ცხადია, მოსმენილი არ ჰქონდათ. კონცერტის დასრულებისთანავე, თითოეულ ჩვენს მომღერალს სავარაუდო მიწვევებზე ესაუბრნენ. მეც ასევე მთხოვეს, რამდენიმე კარგი კონცერტის მომზადება.

— ქართველი ემიგრანტების რეაქცია გასაგებია. როგორ მიიღეს ჩვენი მომღერლები რუსმა და ებრაელმა ემიგრანტებმა?

— ჩვენ რუსული სიმღერებიც გვქონდა რეპერტუარში. პირველი ხუთი სიმღერა იყო ყველა მომღერლის საპრეზენტაციო გამოსვლა: მარიკამ იმღერა ქართული სიმღერა — „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“. მეორე სიმღერა მიეძღვნა დარბაზში მყოფ ებრაელებს — ნეკამ არაჩვეუ-

ლებრივად შეასრულა „ოქროს იერუშალაიმი“. კახამ იმღერა რუსული სიმღერა, რომელიც დარბაზში მსხდომ რუსებს მიეძღვნა. მეოთხე — ლილიკო ნემსაძის „სიმღერა თბილისზე“, თემურმა, რა თქმა უნდა, თბილისსა და ყველა ქართველს მიუძღვნა. შემდეგ ამერიკელებს მარიკამ მიუძღვნა კომპოზიცია მიუზიკლიდან „კაბარე“. ამის შემდეგ, უკვე თითოეული მომღერალი საკუთარი რეპერტუარით წარდგა აუდიტორიის წინაშე. კახას „განდაგანაზე“ მთელი დარბაზი ცეკვავდა. ჯერ კიდევ სცენიდან მოვკარი თვალი დარბაში მჯდომ ოთარ სეფიაშვილს *(ტელეგადაცემა „ილუზიონის“ ყოფილ წამყვანს, ცნობილ კინოკრიტიკოსს. — ავტ.)* და ძალიან ემოციური რეაქცია მქონდა... ასაკის მიუხედავად, ღამის ორ საათამდე ყველანი ერთად ვიყავით. ძალიან შთამბეჭდავი საღამო იყო. ამ ადამიანებმა საჯაროდ თქვეს, რომ საოცრად მონატრებულები არიან ქართულ სიმღერას და რომ ამ კონცერტის გამო ძალიან ბედნიერები არიან. კონცერტის დაწყებამდე ორი საათით ადრე მოვიდნენ დარბაზში, რომ ყველანი ვენახეთ და მოგვფერებოდნენ. უმეტესობას არც ვიცნობდით, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა.

— როგორც ვიცი, ამ კონცერტამდე ორი კვირით ადრე, თქვენ და მარიკა თხელიძე ჰოლივუდში იყავით, სადაც მარიკას ახალ პროექტებში მონაწილეობაც შესთავაზეს.

— კი, ვიყავით საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც შარშან მარიკამ გაიმარჯვა და წელს, როგორც საპატიო სტუმარი, ისე იყო მიწვეული. მანამდე, ამ ჩემპიონატმა საქართველოში თავისი წარმომადგენლობა გახსნა და მე მომანიჭეს ნაციონალური პროდიუსერის სერტიფიკატი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან მე შევარჩევ იმ მომღერალს, რომელმაც უნდა დაიცვას საქართველოს ღირსება მომავალი წლის ჩემპიონატზე. ასე რომ, მე საერთაშორისო კატეგორიის პირველი პროდიუსერი ვარ საქართველოში. რაც შეეხება მარიკას — მას ჯერ კიდევ შარშან შესთავაზეს ბროდვეის მიუზიკლში — „მეფე ლომში“ სიმბას პარტიის შესრულება. მაგრამ შარშან ეს ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ მსახიობს, რომელიც ამ როლს ასრულებს, მთელი სპექტაკლი მიჰყავს და მან სრულყოფილად უნდა იცოდეს ენა. ეს კონტრაქტი ძალაშია. მარიკა ნოემბრის ბოლოს გაემგზავრება ვირჯინიის შტატში, სადაც ერთ-ერთ ამერიკულ სკოლაში ისწავლის და პარალელურად დაიწყებს როლზე მუშაობას. წელს მან კიდევ ერთი წინადადება მიიღო: ორი თვის მერე, „იუნივერსალ სტუდია“ იწყებს სერიალის გადაღებას და მისი მუსიკალური გახმოვანებაც სთხოვეს მარიკას. ის, რომ 2003 წლიდან მისი კლიპი ამერიკულ MTV-ზე დატრიალდება, მე მგონი, უკვე ყველამ იცის. კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ დაიდო ოფიციალური კონტრაქტი ხმის ჩამწერ სტუდია „სონისთან“, რომელიც თავიდან ბოლომდე იზრუნებს მარიკას ნამუშევრების გამოცემაზე.

— როგორც ვიცი, ბევრი მსურველი ვერ დაესწრო კონცერტს და ბევრს დასწყდა გული. სამომავლოდ ხომ არ დაგეგმილა კონცერტი?

— ძალიან ბევრს დასწყდა გული, უპირველესად — იმ ქართველებს, რომლებიც ზუსტად იმ დღეს, აშშ-ში მცხოვრებ ქართველთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე იმყოფებოდნენ. ბატონი კახი კავსაძე ჩამოვიდა ვაშინგტონიდან. ბატონი რეზო ჩხეიძე იყო აგრეთვე ჩამოსული საქართველოდან. ჩვენ ველოდით, რომ ისინი ჩვენს კონცერტზე მოვიდოდნენ, მაგრამ იქაც ძალიან დიდი ღონისძიება იყო დაგეგმილი. ორიოდე დღის წინ, ბატონმა რეზო ჩხეიძემ მითხრა: ძალიან ვინანეთ, რომ ვერ წამოვედით, იმიტომ, რომ ოთარ სეფიაშვილმა მითხრა — ძალიან ბევრი რამ დაკარგეთო... ასე რომ, ბევრმა ადამიანმა გვთხოვა, კიდევ გავმართოთ კონცერტები — ნიუიორკშიც და ლოს-ანჯელესშიც. ჰოლივუდში ცხოვრობენ ჩემი მეგობრები — შოთა სიგუა და პაატა პაპუაშვილი, რომლებსაც სერიოზული კონტაქტები აქვთ იქ და ბევრი კარგი საქმის გაკეთებას აპირებენ საქართველოსთვის. მათთან ერთად ალბათ მოვამზადებთ ერთ კონცერტს „კალიფორნია-ცენტრში“. თუმცა, მანამდე, ამერიკელი პროდიუსერი, რომელმაც უნდა დააფინანსოს მთელი ეს პროექტი, ჩემ მიერ შეთავაზებულ ჯგუფს ან მომღერალს მოუსმენს. ეს ძალიან სერიოზული პროექტია. „კალიფორნია-ცენტრი“ ის სცენაა (სხვათა შორის, ღია ცის ქვეშ), რომელიც ძალიან დიდი ტრამპლინია არა მხოლოდ ქართველი, არამედ თვით ამერიკელი შემსრულებლებისთვის, ამიტომ, ეს ძალზედ საპასუხისმგებლო პროექტი იქნება.



ჩინური თეატრი — ვარსკვლავების კიბე

მარიკა თხელიძე:

— ჰოლივუდში 14 დღე ვიყავი. საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო

ჰოლივუდის ცვილის ფიგურების მუზეუმში



ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ.
„ᲔᲡ ᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ“

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ, ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐᲖᲔ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲔ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘ — ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲨᲘ ᲒᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ. „ᲝᲡᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐ.

— ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ?

— ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ „ᲞᲝᲞᲣᲠᲘ“ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲔ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲘᲡ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲔᲛᲦᲔᲠᲐ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲗ ᲘᲥ ᲐᲛ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐᲖᲔ. ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲡᲯᲔᲠ ᲠᲝᲛ ᲣᲛᲦᲔᲠᲝ, ᲓᲒᲐᲜᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲘᲡᲛᲔᲜᲔᲜ, ᲗᲐᲜ — ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲔᲛᲝᲪᲘᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲗᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ... ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘᲡ — ᲯᲝᲠᲯ ᲒᲔᲠᲨᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲛᲐ, ᲠᲣᲡᲘᲙᲝ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲛ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲢᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲜᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲡ, ᲠᲝᲛ �გᲔᲠᲨᲕᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐ, ᲔᲒᲝᲜᲐᲗ, ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲐᲠᲘᲐᲡ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲔᲓᲘᲜᲐ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲦᲔᲠᲘ. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲤᲚᲝᲑ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ?

— ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲝ — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲡ, ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ. ᲢᲔᲥᲡᲢᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ — ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡᲒᲐᲜᲝ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ — ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲕᲔᲣᲤᲚᲝ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲡ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲙᲝᲚᲔᲯᲨᲘ. ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ. 3 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ, ᲑᲠᲝᲓᲕᲔᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲐ.

— ᲛᲐᲠᲘᲙᲐ, ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲘᲢᲝᲕᲐ?

— 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲩᲐᲕᲤᲠᲘᲜᲓᲘᲗ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ. ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲔᲙᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲣᲩᲔᲚᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲗᲑᲝ ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ. ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲝᲗᲐᲠ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲡ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲐ: 11 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ, ᲐᲥ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐᲝ...

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘ, ᲑᲘᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲦᲘᲠᲓᲐ.

— 100 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲡᲙᲐᲛᲖᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲯᲓᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ, ᲤᲝᲢᲝᲐ�პᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘᲗ, ᲕᲘᲓᲔᲝᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ. ᲡᲐ�გᲠᲘᲛᲘᲝᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲒᲕᲘᲑᲠᲐᲮᲣᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲪᲚᲘᲓᲜᲔᲜ... ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲛᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ — ᲠᲝᲛ ᲔᲗᲮᲝᲕᲐᲗ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲘᲗ...

— ᲛᲐᲠᲘᲙᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲨᲔᲕᲪᲕᲐᲚᲝᲗ ᲗᲔᲛᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘ, ᲛᲐᲛᲐᲨᲔᲜᲘ — ᲜᲘᲙᲣᲨᲐ ᲗᲮᲔᲚᲘᲫᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑ ᲮᲝᲚᲛᲔ...

— ᲔᲡ ᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲥᲢ-ᲓᲘᲡᲙᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲖᲐᲓ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ, ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲘᲔ, ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲐ...

— ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲐᲛᲐ?

— ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ — 5 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ. ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ.

— ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲡᲘᲪ ᲘᲐᲛᲐᲧᲔᲑᲓᲐ, ᲨᲔᲜᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ...

— ᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲐ ᲩᲔᲛᲘᲗ — ᲛᲔ 3 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲕᲛᲦᲔᲠᲘ. ᲓᲔᲓᲐ ᲛᲘᲧᲕᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ? ᲰᲝᲓᲐ, ᲛᲐᲛᲐᲡ ᲛᲘᲜᲘᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲔᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ — ᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

— ᲨᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲒᲐᲥᲕᲡ?

— ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲘ. ᲐᲛᲘᲜᲓᲖᲔᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ...

— �თᲣ ᲬᲕᲘᲛᲡ?

— *(ᲘᲪᲘᲜᲘᲡ)* ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲖᲔ ᲕᲓᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ.

— ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲗᲐᲠᲔᲑ?

— ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ, ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲡ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑ.

— ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲮᲕᲔᲓᲘ ᲣᲙᲕᲔ?

— ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘᲪ ᲐᲠ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲘ ᲗᲣᲠᲛᲔ. ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ.

— ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲠᲝ-

ᲯᲝᲠᲯ ᲒᲔᲠᲨᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲘᲙᲝ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲛ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲜᲐ

ყვავილები კი არა – დანა ეჭირა თურმე – სადარბაზოში წარწერა უნდოდა ამოეფხიკა: „მარიკა + ...“

გორი დამოკიდებულება გაქვს?

– თბილი, ნორმალური. მიგზავნიან საჩუქრებს. ერთი თავხედი თაყვანისმცემელი ღამის პირველ საათზე მოსულა, აქ რომ არ ვიყავი...

— ხელში ყვავილები ეჭირა ალბათ...

– ყვავილები კი არა – დანა ეჭირა თურმე – სადარბაზოში წარწერა უნდოდა ამოეფხიკა: „მარიკა + ...“ – როგორც იციან ხოლმე... მოუხერხებია კიდეც... თანაც, თავისი ტელეფონის ნომერიც მიუწერია. თავაზიანი თაყვანისმცემლებიც მყავს – ჩემზე ცოტა უფროსი გოგონები, რომლებმაც დილის 5 საათზე გამაცილეს ამერიკაში და რომ ჩამოვედი, აეროპორტში დამხვდნენ. რომელ კონცერტზეც გამოვდივარ, ყველგან მოდიან ხოლმე, სურათებს იღებენ ჩემთან ერთად, მერე ალბომებს აკეთებენ და მიგზავნიან.

— ქუჩაში როგორ გხვდებიან ხოლმე?

– ამასთან დაკავშირებით, კურიოზს მოგიყვებით. გასულ ზაფხულს, ბათუმში ვისვენებდი. ერთხელ, ძალიან მომინდა ბატიბუტი. მივედი გამყიდველთან, უნდა ვიყიდო და რას ვხედავ? – იმ ყუთზე, საიდანაც ბატიბუტი ჩამიყარა, ჩემი სურათი დევს. გავშეშდი – ვერც ფულს ვაძლევ და ვერც რამეს ვამბობ. ბოლოს, ჩემმა მამიდაშვილმა ჰკითხა – იცანითო? – ისე, წ



ხალი დაავადება თუ სამშვენისი?!

ხალები, მეჭეჭები, პაპილომები, კანდილომები, ლეიკოპლაკიები, კელოიდები, კანის რქა და სხვა, ერთი შეხედვით, კანის უწყინარი „სამშვენისები“ საქართველოშიც საკმაოდ გავრცელებულ დაავადებათა რიგს მიეკუთვნება და საკმაოდ საშიშიც ყოფილა. ნებისმიერი ტიპის, ზომისა თუ შეფერილობის ხალი, მეჭეჭი თუ პაპილომა, ექიმ-დერმატოლოგთა განმარტებით, კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ადვილად შეიძლება გარდაიქმნას ავთვისებიანად. ექიმები გვაფრთხილებენ, რომ მათი მოცილების მიზნით თვითმკურნალობა, შემთხვევით ან წინასწარ განზრახვით ხალისა თუ სხვა მსგავსი წანაზარდის გაღიზიანება, თუნდაც მზით დასხივება, შეიძლება დამთავრდეს იმით, რომ ადამიანი ერთ თვეში გარდაიცვალოს. პიგმენტური სიმსივნეების არადროულ ან არასრულ მოცილებას ხშირ შემთხვევაში თან სდევს სწრაფი რეციდივირება, ხალის „მტრად“ გარდაქმნა, გადაგვარება და ის არასასურველი შედეგი, რომლის თავიდან აცილებაც მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში ექიმსაც აღარ ძალუძს.

როგორ წარმოიქმნება ხალები, მეჭეჭები და სხვა დერმატოლოგიური დეფექტები? რა ტიპის ჰემანგიომებია ჩვენში გავრცელებული და მკურნალობის რა მეთოდები არსებობს მათგან თავის დასაღწევად? — ამ კითხვებით მივმართეთ ექიმ-დერმატოლოგს, მარიანა ძარჩაულს, რომელიც ამირან ქარჩაულის (ცნობილი წამლის — ქარჩაულის სითხის გამომგონებლის) ერთადერთი მემკვიდრეა და როგორც თვითონ აცხადებს, ერთადერთია, ვინც იცის ის კომპონენტები და ტექნოლოგია, რომელიც აუცილებელია ისეთი წამლის დასამზადებლად, კოსმეტიკური დეფექტისაგან გართულების გარეშე რომ გაგვათავისუფლებს.

ნანა ქიბიშაური

— პირველი შეკითხვა: როგორ წარმოიშობა ხალები და მეჭეჭები და რა პათოლოგიები შეიძლება ჩამოყალიბდეს მათგან?

— დერმატოლოგიური დეფექტი შეიძლება გამოწვეული იყოს გენეტიკური ფაქტორით, ენდოკრინული დარღვევით, იმუნური ძალების დაქვეითებით, სისხლძარღვთა ფუნქციის მოშლით ან მშობიარობის დროინდელი ტრავმით. შეიძლება ასევე გამოწვეული იქნას კანის მზის სხივების მიმართ მომეტებული მგრძნობიარობითაც. ხალის ტიპი, როგორც მისი შეფერილობით, ასევე ხასიათით განისაზღვრება. კანის კოსმეტიკური დეფექტები, რომელსაც დერმატოლოგია სწავლობს, იწყება ჭორფლიდან, რომელიც წარმოადგენს კანის ზედაპირზე განფენილ პიგმენტურ ლაქებს და მთავრდება მუქი შეფერილობის, კანის ზემოთ ამოწეული შავი ხალებით. ხალის მუქი, თითქმის შავი შეფერილობა ნიშნავს იმას, რომ მასში მომეტებულია მელანგოციტი. რაც უფრო მუქია ხალი და მეტად არის კანის ზემოთ ამობურცული, მით უფრო საშიშია. ის არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც პარაზიტის მსგავსად იკვებება სისხლძარღვებიდან და განსაკუთრებით საშიში ხდება მას შემდეგ, როდესაც ადამიანს უჩნდება ქავილის ან „წიწკნის“ შეგრძნება. ხალების გარდა, ხშირად ვხვდებით კანის ზედაპირზე განფენილ, მოწითალო-მოყავისფრო შეფერილობის ლაქებს — ჰემანგიომებს, რომელიც 15 სახეობაზე მეტი არსებობს. კლინიკური ფორმის ყველა შემთხვევა ემორჩილება მკურნალობას, გარდა ორი ტიპისა — ესენია: მედიალური ლაქა და განშტოებული ჰემანგიომა. ისინი ძირითადად კანქვეშა სიმსივნეთა რიგს განეკუთვნება. ხშირ შემთხვევაში, მედიალური ლაქები თანდაყოლილია. ის ახალშობილებს ვარდისფერი ლაქის სახით კეფის, შუბლის, ნიკაპის, ტუჩის, ქუთუთოებისა და ცხვირის მედიალურ მიდამოებში აქვთ. ბავშვის დაბადებიდან 1-დან 6 თვეს ჰემანგიომა ძალზედ სწრაფად იზრდება. მისი პათოლოგიაა ჩაზრდა იმ ორგანოში, რომელზეც ის მდებარეობს (მაგალითად, თვალის ქუთუთოში, ტუჩში, ცხვირში). ამის შემდეგ ის იწვევს ამ ორგანოს ფუნქციის დარღვევას, ორგანო წყლულდება, მასში იჭრება ინფექცია და იწყება ძლიერი სისხლდენა. რაც შეეხება მეჭეჭებს, რომელიც ასევე ძლიერ გავრცელებულია, — ისინი უმეტესწილად, ვირუსულ ხასიათს ატარებს და ვრცელდება, როგორც საერთო ფესვით, რომელიც მეჭეჭთა სისტემას აერთიანებს, ასევე კონტაქტით — მაგალითად, ხელის ჩამორთმევით, — მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზმს აქვს მეჭეჭებისკენ მიდრეკილება.

— თუ არ გვაწუხებს ხალი, არ არის შესამჩნევ ადგილზე, რამდენად სასურველია მისი მოცილება?

— მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერი წანაზარდი, პროფილაქტიკის მიზნით, მაინც

მარიანა ქარჩიაული

მოცილებული უნდა იქნას — იმის მიუხედავად, გვიქმნის თუ არა ის დისკომფორტს. ვინაიდან ხალი ან მეჭეჭი, რომელიც მდებარეობს ტანზე და არ არის შესამჩნევ ადგილას, მექანიკური ზემოქმედებით (მაგალითად, ბანაობის დროს ღრუბლის შეხებით, ან უხეში ტანსაცმლის შეხებით, ან გარუჯვისას, მზის ზემოქმედებით) თუნდაც ერთჯერადი გაღიზიანების შედეგად, შეიძლება გადაგვარდეს და ავთვისებიან სიმსივნედ ჩამოყალიბდეს. ეს საშიშროება უფრო მეტად ემუქრება მათ, ვისი კანიც ღია ფერისაა და მეტად მგრძნობიარეა ულტრაიისფერი სხივების მიმართ და მათ, ვისაც დიდხანს უწევს ღია ცის ქვეშ ყოფნა. იმ ადამიანებს, რომელთაც ეს რისკ-ფაქტორები აღენიშნებათ, განსაკუთრებული ყურადღება მართებთ.

— მკურნალობის რა მეთოდებია აპრობირებული? ხომ არ არსებობს იმის საშიშროება, რომ ხალისა ან მეჭეჭის მოცილების შემდეგ, გაჩნდება სხვა კოსმეტიკური დეფექტი — ნაწიბურის ან დამწვრობის სახით?

— ასეთი საშიშროება შეიძლება გაჩნდეს ქირურგიული ჩარევის, ელექტროკოაგულაციის, თხევადი აზოტის გამოყენებისა და კრიოთერაპიის შემთხვევაში. ქირურგიული ჩარევა სასურველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს მედალურ ჰემანგიომასთან, როდესაც სიმსივნე კანქვეშაა განფენილი, კანის ზედაპირზე კი მხოლოდ პატარა წითელი ლაქაა შესამჩნევი. ჩამოთვლილი მეთოდებით მკურნალობა დაკავშირებულია ტკივილთან. ამასთანავე არსებობს რეციდივის (გამეორების) საშიშროებაც — იმ შემთხვევაში, თუკი დარჩა ფესვის ნაწილი, რომლისგანაც შეიძლება ხელახლა წარმოიქმნას ხალი ან მეჭეჭი. ყოველივე ამისგან დაზღვეულნი ვართ ქარჩაულის სითხის გამოყენების შემთხვევაში. სითხე მოქმედებს მყისეულად, ფესვამდე აღწევს 2 საათში. პროცედურა ორჯერადია. ხალის მოცილების შემდეგ შეხორცების პროცესს კი, 3-4 კვირა სჭირდება და რაც მთავარია, არ რჩება არანაირი კვალი.

— რამდენად გავრცელებულია ეს სითხე? როგორც ვიცი, ბევრი კლინიკა თუ კერძო პირი აცხადებს, რომ მკურნალობისას სწორედ ამ საშუალებით სარგებლობს...

— ამ წამლის შემქმნელის ერთადერთი მემკვიდრე ვარ. დამზადების ტექნოლოგია საიდუმლოს წარმოადგენს და ამ სითხით მკურნალობის უფლება და ლიცენზია მხოლოდ მე მაქვს. ბევრი ადამიანი მოვიდა ჩემთან, რომელმაც განაცხადა — ამ წამლით ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდო. მათი მდგომარეობა გართულებული იყო, რადგან წამალი, რომელიც მათ გამოიყენეს, უფრო სწორად — წაუსვეს, არ იყო სინამდვილეში ქარჩაულის სითხე. წამლის შემადგენლობა ცნობილია, მაგრამ დამზადების ტექნოლოგია არავინ იცის. იტალიაში ორი წლის განმავლობაში ვიმუშავე ცნობილ დერმატოლოგიურ ინსტიტუტში და სწორედ იმიტომ დავბრუნდი საქართველოში, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, მას შემდეგ, რაც ქარჩაულის სითხის შედეგები ნახა, წამლის დამზადების ტექნოლოგიის საიდუმლოს მისთვის მიყიდვა მომთხოვა. აღნიშნულ სითხეს წარმატებით იყენებენ არა მარტო დერმატოლოგიაში, არამედ სტომატოლოგიაში, გინეკოლოგიაში, უროლოგიაში და ა.შ.

— როგორც ვიცი, მამათქვენს ამ სითხის გარდა, სხვა გამოგონებებიც აქვს.

— ეს არის წამლები, რომლის საშუალებითაც შეიძლება განიკურნოს ფსორიაზი, ეგზემა, ნეიროდერმიტები, სოკოვანი დაავადებები და სხვა. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამ წამლების რეაქტივები საკმაოდ ძვირი ღირს და ძნელი საშოვნელიცაა. არადა, ჩამოთვლილი დაავადებები საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია. ამ სნეულებათა გამომწვევი მიზეზებია: სტრესი, არასწორი კვება, პრობლემები, რომელიც კუჭ-ნაწლავიდან მომდინარეობს. ფსორიაზის განვითარების პირველი სიმპტომებია: წითელი ლაქები, რომელიც კანზე ჩნდება და პერიოდულად ფუფხით იფარება, ჩნდება ქავილის შეგრძნება, სისველე და უსიამოვნო სუნი. დროთა განმავლობაში, ლაქები მრავლდება და მთელ ტანზე ვრცელდება. ეს დაავადება ხშირად, მამაკაცებს აღენიშნებათ. ამ შემთხვევაში, დიეტის დაცვას ვურჩევდი. ავადმყოფი უნდა მოერიდოს ნიგვზიან, ცხიმიან, განსაკუთრებით კი — ღორისა და ცხვრის ხორცისაგან მომზადებულ საჭმელს. არ არის სასურველი წყლის პროცედურების ხშირად ჩატარება. აუცილებელია, გამოიყენოს სპეციალური საპონი, მიიღოს ნერვული სისტემის დამაწყნარებელი პრეპარატები. რაც შეეხება სოკოვან დაავადებებს — ისინი ხშირ შემთხვევაში, გადამდებია, ამიტომ აუცილებელია ჰიგიენური წესების დაცვა. დაუშვებელია საერთო პირსახოცით ან ინსტრუმენტებით სარგებლობა. მაკრატელი, ან მანიკიურისა თუ პედიკიურის დროს საჭირო იარაღები, გამოყენების წინ და შემდეგ აუცილებლად უნდა გასტერილდეს, აბაზანა კი, რომლითაც დაავადებული სარგებლობდა, ადუღებული წყლით უნდა მოირეცხოს.

— რამდენად ეფექტურია ხალხში გავრცელებული მკურნალობის მეთოდები — როგორც ხალებისა და მეჭეჭების მოცილების, ასევე სოკოვანი დაავადების საწინააღმდეგო?

— ხალებისა და მეჭეჭების შემთხვევაში თვითმკურნალობა დაუშვებელია. ამ მიზნით ხშირად სარგებლობენ ლეღვის რძით, ძმრის ესენციით, სხვადასხვა მჟავ-



მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერი წანაგარდი, პროფილაქტიკის მიზნით, მაინც მოცილებული უნდა იქნას — იმის მიუხედავად, გვიქმნის თუ არა ის დისკომფორტს

ით. არის შემთხვევები, როდესაც ძფსაც კი შემოიჭერენ წანაზარდზე, მის მოსაცილებლად. ეს ძალიან საშიშია. რაც შეეხება სოკოვან დაავადებებს – გავრცელებულია იოდით დამუშავება, სოდიანი წყლის აბაზანები, ჩაის ხის ზეთი. ამ საშუალებებიდან თითქმის ყველა სასურველია, მაგრამ პრობლემის მოსაგვარებლად ეს საკმარისი არ არის. პროცესი შეიძლება შეჩერდეს, მაგრამ – დროებით. აღსანიშნავია ისიც, რომ წამლები, რომელსაც სოკოვანი დაავადებების დროს იყენებენ, აუცილებლად ექიმის მიერ უნდა იყოს დანიშნული, რადგან არსებობს სხვადასხვა ტიპის სოკო,ამიტომ თითოეულ პაციენტს ინდივიდუალური მკურნალობის კურსი სჭირდება. დაუშვებელია წამლის თვითშერჩევაც: ბევრი პრეპარატი, იმის მიუხედავად, რომ საფთიაქო ქსელშია გავრცელებული, ხმარებიდან ამოღებულია, რადგან შეიცავს კანცეროგენურ ნივთიერებებს. ასეთია, მაგალითად, კასტელანი და ზოგიერთი სხვაც.

— ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ თუ ფეხმძიმე ქალი ქათმის ან ცხოველის ელენთას მოჰკიდებს ხელს და ამ ხელს სახეზე ან ტანზე მოისვამს, ბავშვს ხელის ანაბეჭდი ლაქის სახით გამოჰყვება. ეს ცრურწმენაა თუ აქვს რეალური საფუძველი?

– ასეთი რამ მეც გამიგონია და სიმართლე გითხრათ, საკუთარ თავზეც კი ჩავატარე ექსპერიმენტი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩემი აზრით, ის, რასაც ხალხი „ელენთის კვალს" უწოდებს, სხვა არაფერია, თუ არა მშობიარობის დროინდელი ტრავმა: იმ ადგილზე, სადაც სისხლის ცირკულაცია აღარ ხდება, წარმოიშობა ჰემატომა. მსგავსი რამ ხშირად ფიქსირდება ციმბირში: სიცივის გამო, დედის სხეულის ტემპერატურა ეცემა, სცივა ბავშვსაც და ჩნდება იმის საშიშროება, რომ ამის ნიადაგზე გაუწყდეს კაპილარი და ბავშვს დაბადების შემდეგ გამოჰყვეს ჰემანგიომა.



უნდა ითქვას ისიც, რომ არანაირი წესები არ არის დაცული სოლარიუმებში, რომელიც ჩვენში ფუნქციონირებს

— გამოდის, რომ სიცივეც ისევე, როგორც მზით დასხივება წარმოშობს ჰემანგიომებსა და ხალებს?

– თანამედროვე მედიცინაში ცნობილია ხალების, ჰემანგიომების, პაპილომების ტიპები და ის, თუ რისგან ჩნდება ისინი. მაგრამ დღემდე უცნობია, რისგან წარმოიშობა მელანომა – ის, რაც ამ წანაზარდებს სიცოცხლისთვის საშიშ პარაზიტებად აყალიბებს. რომ არა მელანომა, ხალი დარჩებოდა პოეტების შთაგონების წყაროდ, – პოეტები ხომ მას სილამაზის აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევდნენ. მაგრამ ლირიკოსებისა და მედიკოსების აზრი ამ საკითხში რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მედიკოსების აზრით, ხალი არის ადამიანის პოტენციური უბედურება. ეს არის წრიულად დახვეული, „შხამიანი გველი", რომლის „გაღვიძება" უმალ სანანებელი გახდება... დღეს ეს პრობლემა ძალზედ მწვავედ დგას, რადგან შეთხელებულია ოზონის დამცავი შრე და მზის რადიაცია, როგორც არასდროს, ისე ძლიერად, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის კანზე. სწორედ ამ მიზეზით, კატასტროფული სისწრაფით ვრცელდება კანის კიბო. ყოველ ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ ზემოდან დაგვნათის მზე, რომელსაც ყოველნაირად უნდა მოვარიდოთ თავი, მოვარიდოთ ჩვენი შვილები. მე, როგორც ექიმს მიმაჩნია, რომ დაუშვებელია ზღვის სანაპიროზე მცირეწლოვანი ბავშვების გარუჯვა. უნდა ითქვას ისიც, რომ არანაირი წესები არ არის დაცული სოლარიუმებში, რომელიც ჩვენში ფუნქციონირებს. აქ შემოაქვთ მოძველებული, ხმარებიდან გამოსული აპარატურა, რომელიც საზიანოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის... გარუჯვას განსაკუთრებით უნდა მოერიდონ ადამიანები, რომელთაც მოჭარბებული პიგმენტაცია აღენიშნებათ (მაგალითად, ჭორფლი) და სხეულზე ან სახეზე აქვთ ხალები. ნებისმიერი ტიპის ხალში აქტიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა და ის მომეტებული აქტიურობით შთანთქავს ულტრაიისფერ სხივებს. მზე განსაკუთრებით საშიშია ღია კანის ფერის ადამიანებისათვის. დადგენილია, რომ მათ, მუქი ფერის კანის მქონე ადამიანებთან შედარებით, ადვილად უვითარდებათ, როგორც კანის ავთვისებიანი სიმსივნე, ასევე ავთვისებიანი მელანომა. არსებობს ამის დამადასტურებელი სტატისტიკაც: ავადმყოფთა 68,5%-ს, ვისაც ავთვისებიანი მელანომა განუვითარდა, ჰქონდა ღია ფერის კანი, 68,7%-ს – ცისფერი, მონაცრისფრო ან მწვანე თვალები, 51,6%-ს – ქერა თმა, 43,7%-ს კი – ჭორფლი. მანდილოსნებს ვურჩევ, თუ მათ სხეულზე აქვთ ხალი, რომელსაც მუქი შეფერილობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ჭარბადაა მელანომა, ფეხმძიმობის პერიოდამდე იმკურნალონ და გათავისუფლდნენ მისგან, რადგან დადგენილია, რომ მელანომა პლაცენტის გავლით ზემოქმედებს ნაყოფზე. თუ ბავშვს აქვს ხალი ან პაპილომა (წვრილ ძაფზე დაკიდებული მეჭეჭი), არავითარ შემთხვევაში, არ მიმართონ თვითმკურნალობას და მხოლოდ კვალიფიციური ექიმის რჩევის შესაბამისად იმოქმედონ. სტატისტიკა გვიჩვენებს იმასაც, რომ ავთვისებიანი მელანომის დროს ჩამოყალიბებული სიმსივნის შემთხვევაში, ქალთა სიცოცხლისუნარიანობა აღემატება მამაკაცთა სიცოცხლისუნარიანობას. 25-დან 44 წლის ასაკის ქალებში ის შეადგენს 86-73%-ს, მამაკაცებში კი – 80-64%-ს. ■

გარუჯვას განსაკუთრებით უნდა მოერიდონ ადამიანები, რომელთაც მოჭარბებული პიგმენტაცია აღენიშნებათ (მაგალითად, ჭორფლი)



ეკრიშეს დანგვაზე პოლიციელებს ენა ეუცოლები უკარებათ...

ყოფილი მოდელი — ამჟამად კი რადიოსადგურ „პირველი სტერეოს“ მუსიკალური წამყვანი, მომხიბვლელი **მარიშა მაისურაძე,** *13 წლიდან უზის საჭეს და შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალი მძღოლია. მანქანის მართვა მარიშას იმდენად უყვარს, რომ არასდროს არც ღლის და არც ჰბეზრდება. ჟურნალისტებზე გაღიზიანებული და განაწყენებული მარიშა ინტერვიუზე მხოლოდ ერთი პირობით დამთანხმდა — ოღონდ, ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით... რით გაანაწყენეს ჟურნალისტებმა მარიშა და რატომ ეძახიან მას საგზაო პოლიციელები ავტოხულიგანს, ინტერვიუდან შეიტყობთ.*

ნინო ჯავახიშვილი

— ერთ-ერთი ჟურნალიდან დამირეკეს და მთხოვეს, რომ გარეკანისთვის ახალი ფოტოსურათები გადამეღო. ინტერვიუ უკვე ჩაწერილი გვქონდა. იმ დღეებში არ მეცალა და შევთანხმდით — კორესპონდენტი ერთ-ერთ სააგენტოში მივიდოდა და იქიდან წაიღებდა სურათებს: კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მილანში გასაგზავნად მქონდა გადაღებული ინტიმური სურათები, თეთრეულში გამოწყობილს... მოკლედ, ის სურათები ქართული ჟურნალ-გაზეთებისთვის ნამდვილად არ იყო გათვალისწინებული და ამიტომ გავაფრთხილე ჟურნალისტი — ზედმეტად „გულახდილი“ სურათი არ დაბეჭდოთ — თავი არ მომჭრათ-მეთქი. — არაო,— მიპასუხა თავის ჟურნალში კი მაინც დაბეჭდა... ძალიან გავბრაზდი. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ეს ჩემს უკითხავად მოხდა. მყავს ტიპური, ქართული მენტალიტეტის მქონე მამა, ძმა და ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი...

— კარგი, ახლა შენს ჰობიზე — ავტომობილზე ვისაუბროთ. ვიცი, რომ სტაჟიანი მძღოლი ხარ.

— მანქანაზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. 13 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მივუჯექი საჭეს და ძალიან მალე ავუღე ალღო. სკოლის დამთავრებისთანავე კი, მართვის მოწმობაც ავიღე. პირველად „ტავრია“ მყავდა — მშობლებმა მიყიდეს და მითხრეს: მიდი, ნუ გაუფრთხილდები, მიამტვრ-მოამტვრიე, როგორც გინდა, ისე იხმარე, — მოკლედ, ამაზე ისწავლე მანქანის მართვა და მერე სხვას გიყიდითო...

— ვინ იყო შენი მასწავლებელი? ვინ გასწავლა მანქანის მართვა?

— ჩემმა მეგობარმა, უფრო სწორად — ჩემმა პირველმა შეყვარებულმა — აბა, მშობლები 12-13 წლისას როგორ დამსვამდნენ საჭესთან?! პირველად „ნივაზე“ დავჯექი და მიუხედავად იმისა, რომ ქალისთვის „ნივა“ ძალიან მძიმე მანქანაა, მაინც ადვილად ვისწავლე. უკვე 7-8 წელია, რაც საჭესთან ვზივარ და ვფიქრობ, პროფესიონალი მძღოლი ვარ. ჩემი მეგობრები ამბობენ ხოლმე, რომ მანქანას ისე ვმართავ, როგორც მამაკაცი. საჭესთან იმდენად კარგად ვგრძნობ თავს, რომ არასდროს ვიღლები. ეს მართლაც ჩემი ჰობია. შემიძლია, 2-3 დღე შეუსვენებლივ ვიარო. ოღონდ — მანქანაში აუცილებლად მაგნიტოფონი უნდა მქონდეს. როცა საჭესთან ვზივარ, თითქმის ყოველთვის, მუსიკას ვუსმენ.

— ალბათ სისწრაფეც გიყვარს, არა?

— ძალიან! იმდენად სწრაფად დავაქროლებ ხოლმე მანქანას, რომ... თავიდან, როცა ახალბედა მძღოლი ვიყავი, მინდოდა, რომ სულ საჭესთან ვმჯდარიყავი და სწრაფად მევლო. მერე, თანდათან ყველას გადაუვლის ხოლმე მანქანის შეძენის პირველი სიხარული, აი, მე კი, 7-8 წლის შემდეგაც არ გადამიარა ამ გრძნობამ...

— ამ წლების მანძილზე ბევრი მანქანა გამოიცვალე? ამჟამად რა მარკის ავტომობილი გყავს?

— „ტავრიის“ შემდეგ მყავდა „კრაისლერი“, რომელიც „ავტომატიკაზე“ *(ავტომატურ გადაცემათა კოლოფით. — ავტ.)* იყო და ამიტომაც არ მომწონდა: მიყვარს, როცა მანქანას შენ თვითონ მართავ, ასე ვთქვათ, იმორჩილებ... „ჟიგული“ — „ვაზ-2107“ მყავდა, მერე „ოპელი“ ვიყიდე. ისიც გავყიდე და „ბე-ემ-ვე“ შევიძინე. მოკლედ, უკვე 7-8 მანქანა გამოვიცვალე. ერთი წელია, რაც „ოპელ-კადეტი“ მყავს. ძალიან სწრაფი, სპორტული მანქანაა, მაგრამ მისი შეცვლაც მინდა.

— რატომ? ხომ არ დაამტვრიე?

13 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მივუჯექი საჭეს



ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის

უბის წიგნაკიდან:

1. გედები ვერ ყვინთავენ.
2. უძმრო მწნილს ჭმახი ჰქვია.
3. დანტეს 6 ვაჟი და 1 ქალიშვილი ჰყავდა.
4. სკრიაბინი მოლოტოვის ნამდვილი გვარია.
5. დენი დიდროს მამა დანების ოსტატი იყო.
6. ავგუსტა, ალეგრა და ადა — ასე ერქვათ ბაირონის ქალიშვილებს.
7. უილიამ შექსპირი და მიქელანჯელო ერთ წელს, 1564-ში დაიბადნენ.
8. ერთ გალონ ნავთობს 250000 გალონი წყლის დაბინძურება შეუძლია.
9. რუსეთში პირველი წიგნი 1564 წელს დაიბეჭდა, ევროპაში — 1441 წელს.
10. შვიდი მილიონი ერთთან — ასეთია ავიაკატასტროფაში დალუპვის ალბათობა.
11. სიგნალი SOS 1912 წელს გამოიგონეს. ეს სიგნალი პირველად „ტიტანიკმა" გამოიყენა.

12. ამერიკული კოსმოსური ხომალდი „ჩელენჯერი" აფრენიდან 78 წამის შემდეგ აფეთქდა. ამბობენ, რომ აფეთქების დროს ეკიპაჟის წევრები არ დალუპულან, მაგრამ 9-მილიანი ვარდნის შედეგად მათ ველარაფერი გადაარჩინდა.
13. ფრანგი დრამატურგი პიერ ოგუსტენ ბომარშე ლუდოვიკო მეთოთხმეტის საიდუმლო აგენტი იყო.
14. კოტე ყუბანეიშვილი ციხეში 7 წელი ოჯდა. P.S. „უ კაუდოვო როტიკა სვოია ეროტიკა". ეს სიტყვები ეწერა მას მაისურზე, როდესაც „რუსთავი 2-ზე", ერთ-ერთ გადაცემაში მონაწილეობდა.
15. 1946 წელს იოსებ სტალინს შეხვედრა ჰქონდა ქართველ მსახიობებთან. შეხვედრაზე სპარტაკ ბაღაშვილი სტალინს „ბატონობით" მიმართავდა. „50 წელიწადი იმისთვის ვიბრძოდი, რომ „ბატონო" დამიძახო?" — ეცინებოდა სტალინს. „ბატონო" ზდილობიანი მიმართვის ფორმა და ვერ შეველეი," — თავს იმართლებდა მსახიობი.
16. პანკისში მოდების ჩვენებისას, გოგონებს 200-200 დოლარი გადაუხადეს. P.S. „ჩვენების დროს იმ ჯარისკაცებზე ვფიქრობდი, პოსტებს რომ ვერ ტოვებდნენ და ჩვენებას დურბინდებით რომ ადევნებდნენ თვალყურს", — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში თაკო ჩხეიძემ.
17. „კრაზანა", „შეწყვეტილი მეგობრობა" და „გაიხადე შენი ფეხსაცმელი" — ეს ნაწარმოებები შედის ვოინიჩის ტრილოგიაში.
18. ამერიკელები ხუმრობენ, რომ აშშ-ზე თავდასხმა იმ დღეს იქნებოდა ეფექტური, როდესაც ქვეყანაში ამერიკული ფეხბურთის



ჩავისვი მანქანაში ზალიკო ბერგერი დილით გაიღვიძა ზალიკომ, ჭიქით ხელში და ვერ გაიგო, სად ვიყავით და რა ხდებოდა...

— არა, მაგრამ უკვე მომბეზრდა. საერთოდ, ძალიან მალე მბეზრდება მანქანა. ყოველ წელიწადში ერთხელ ან ზოგჯერ, ორჯერაც კი, ვცვლი ხოლმე მანქანას. ცხოვრებაშიც ასეთი ვარ — ერთფეროვანი ყველაფერი ძალიან მალე მბეზრდება. მიყვარს მრავალფეროვნება...

— „ოპელიც" მშობლების საჩუქარია?

— კი, ეს მანქანაც მშობლებმა მიყიდეს. ჯერჯერობით ისინი მაფინანსებენ...

— ახლა რომელი მარკის მანქანის შეძენას აპირებ?

— ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია. ალბათ ისევ მსუბუქ, სპორტული ტიპის ავტოს ვიყიდი. მძიმე მანქანები — ვთქვათ, ჯიპები, კი მიყვარს, მაგრამ როცა ჯიპი გყავს, მსუბუქი ავტომანქანაც აუცილებლად უნდა გყავდეს. იმდენი ფული კი არ მაქვს, რომ ორი მანქანა ვიყიდო.

— პროფესიონალ მძღოლობას რომ იკვეხნი, ავარიაში არასდროს მოხვედრილხარ?

— ავარიისგან ღმერთმა დამიფაროს! მგონი, ესეც დასაფასებელი და სატრაბახო მაქვს, ამდენი წელი საჭესთან რომ ვზივარ და ჩემი მიზეზით არც ერთხელ ავარიაში არ მოვხვედრილვარ. მით უმეტეს, რომ ძალიან სწრაფად დავდივარ ხოლმე. ერთადერთხელ დავამტვრიე მანქანა: შუქნიშანთან, წითელზე ვიდექი; ვხედავდი, მოპირდაპირე მხრიდან როგორ მოქროდა ჩემკენ მანქანა და უეჭველად დამეჯახებოდა. საჭესთან ვიღაც სათვალიანი „ბიძაკაცი" ოჯდა, თავი უკან ჰქონდა მიბრუნებული და ვიღაცას ელაპარაკებოდა. გამწარებული ვიჭნევდი ხელებს, ვუსიგნალებდი, ვანიშნებდი — გამოიხედე და საჭე მიაბრუნე-მეთქი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ყველაფერი წამებში მოხდა, თან ისე ვიყავი მანქანებშუა „ჩაჭედილი", რომ ვერაფერს მოვახერხებდი... მოკლედ, დამეჯახა. მე კი გადავრჩი, მაგრამ მანქანა კარგა გვარიანად დაიმტვრა.

— საერთოდ, კრიტიკულ სიტუაციებში არ იბნევი ხოლმე?

— არა, საკმაოდ სწრაფი რეაქცია მაქვს ასეთ დროს. თანაც, ძალიან რისკიანიც ვარ. ბევრჯერ, რომ იტყვიან, ბეწვზე გადავრჩენილვარ და სახიფათო სიტუაციიდან უვნებლად გამოვმძვრალვარ. ზოგჯერ, ვხვდები კიდეც, რომ რაღაც კონკრეტულ სიტუაციაში, ორ მანქანას შუა თუ გავძვრები, ორივე გარეთა სარკეს გავკრავ და მანქანასაც მივამტვრევ, მაგრამ მაინც გამრისკავს... ასეთი შემთხვევა არაერთხელ მქონია და ამიტომაც, ჩემს მანქანას არც ერთი სარკე არ შერჩა...

— ეი. რისკი შენი ცხოვრების წესია და მართლა არ გეშინია?

— არა, ხომ გითხარი — ძალიან მიყვარს რისკიანი სიტუაციები, მომწონს ის განცდა, ადრენალინს რომ გამოყოფს...

— მძღოლები არ გეჩხუბებიან ხოლმე, როცა ასეთ ტრიუკებს ატარებ?

— როგორ არა?! ვატყობ, რომ რაღაცებს ამბობენ ჩემი მისამართით, მაგრამ რა ვქნა?.. პოლიციელები კი უკვე მცნობენ და ავტოხულიგანს მეძახიან, მოძრაობის წესებს რომ ვარღვევ, ზოგი თითს

მიქნევს — წესიერად მოიქეცი, — ზოგი სიცილით გააქნევს ხოლმე თავს იმის ნიშნად — შენთან ლაპარაკს აზრი მაინც არა აქვსო... ასე რომ, პოლიციელებთან ურთიერთობაში პრობლემა არასდროს მექმნება ხოლმე. ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა: რაღაც დავაშავე და არ დავემორჩილე პოლიციელს — ჯოხი ამიწია, მაგრამ მანქანა არ გავუჩერე. არც მეორე პოსტზე გავაჩერე და იმდენად გავთავხედდი, რომ არც მაშინ ვიკადრე გაჩერება, როცა ორივე პოლიციელი თავ-თავისი მანქანით გამომეკიდა. ბოლოს, სანაპიროზე გადამიკეტეს გზა. პოლიციელებით სავსე 10 მანქანა გაჩერდა და შეიარაღებული პოლიციელებიც „გადმოლაგდნენ". რაღას ვიზამდი? — გადმოვედი, მაგრამ რომ დამინახეს, გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდათ: გოგო ყოფილაო... იმდენად სწრაფად დავქროდი, ყველას ბიჭი ვეგონე — თანაც, მაშინ თმა ძალიან მოკლედ მქონდა შეჭრილი.

— სხვა დროსაც მოგიხერხებია საგზაო პოლიციელების დაბნევა?

— *(იცინის)* კი, ხდება ხოლმე... როცა ვხვდები, რომ ვერ მცნობენ და საქმე შეიძლება ცუდად წავიდეს, სარკეში ჩავიხედავ, თმას შევისწორებ, ცოტას გავიპრანჭები, კარს გამოვაღებ და გაღიმებული სახით გადმოვდივარ მანქანიდან. ვეღარაფერს მეუბნებიან ხოლმე — ენა მუცელში უვარდებათ... მაგრამ ასე მხოლოდ მაშინ ვიქცევი, როცა ძალიან ცუდად მაქვს საქმე...

— მანქანის მოვლა თუ გიყვარს?

— არა, ჩემდა სამარცხვინოდ, ჩემი მანქანა სულ გასარეცხია, არც პროფილაქტორიუმში მისვლა მიყვარს. ერთი მეგობარი მყავს, რომელიც ყოველ წუთს ხელოსანთან დაარბენინებს მანქანას: ვაიმე, რაღაც ცუდი ხმა აქვს და აბა, ნახე, რაიმე ხომ არ გაუფუჭდაო?.. მგონი, დღეში სამჯერ მიდის „პროფილაქტიკაში". მე კი, სანამ მანქანა სულ არ „მოკვდება" და არ „დავარდება", იქამდე ყურს არ ვიბერტყავ ხოლმე. ისედაც, მანქანის ბევრი არაფერი ვიცი და სადმე გზაზე რომ გამიჩერდეს, რა თქმა უნდა, ჩემით ვერაფერს მოვუხერხებ.

— ხშირად თუ მოგზაურობ ხოლმე ქალაქგარეთ?

— კი, ბევრჯერ ბათუმში ან ქობულეთში რომ ვყოფილვარ და რაიმე დამჭირვებია, მითქვამს — თბილისში მივდივარ და რამდენიმე საათში ისევ აქ ვიქნები-მეთქი. ერთხელ ბათუმში, ბუნგალოში ვსვამდით მეგობრები. უცებ, რატომღაც ძალიან მომინდა თბილისში წამოსვლა. ჩავისვი მანქანაში ზალიკო ბერგერი — წამოდი, გავისეირნოთ და მალე დავბრუნდეთ-მეოქი, — ვუთხარი. — კარგიო, ნასვამი იყო, უკვე შუაღამემ მოაწია. წამოვედით თბილისში. დილით გაიღვიძა ზალიკომ, ჭიქით ხელში და ვერ გაიგო, სად ვიყავით და რა ხდებოდა... სად ვართო? — მკითხა. რომ გაიგო, თბილისში ვიყავით, კინაღამ გაგიჟდა კაცი... რაღაც საქმეც მქონდა თბილისში, ისიც მოვაგვარე ღა ისევ ბათუმში წავედით.

— ამ მონათხრობიდან ჩანს, საჭესთან ნასვამიც ჯდები ხოლმე. საინტერესოა, ამ დროსაც ინარჩუნებ ხოლმე სიფრთხილის გრძნობას?

— მაინცდამაინც არ მიყვარს სმა. იშვიათად ვსვამ ალკოჰოლურ სასმელებს. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, რომ დამილევია და საჭესთან მაინც დავმჯდარვარ. მაშინაც მობილიზებული და ფრთხილი ვარ. იმდენად კარგად და თავისუფლად ვგრძნობ საჭესთან თავს, რომ „გათიშულიც" კი, ინსტინქტურად ალბათ მაინც შევძლებ მანქანის მართვას... ■

რაღას ვიზამდი? — გადმოვედი, მაგრამ რომ დამინახეს, გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდათ: გოგო ყოფილაო...



ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

სეზონის დამგვირგვინებელი ფინალი ტარდება. ამ მოვლენის გამო, 1985 წლის 20 ივნისს ერთი დღით გადაიდო რონალდ რეიგანის ინაუგურაცია.

19. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, შობადობის ყველაზე დიდი კოეფიციენტი კენიაშია დაფიქსირებული. P.S. ვატიკანში ეს კოეფიციენტი ნულოვანია.

20. მობილური ტელეფონები — 13000 ცალი, ქოლგები — 11000 ცალი, საფულეები — 11000 ცალი, საკრედიტო ბარათები — 10500 ცალი, ჩანთები — 9000 ცალი, სათვალეები — 7000 ცალი. ყველა ამ ნივთს ერთი დაწესებულება აერთიანებს — ლონდონის დაკარგული ნივთების ბიურო.

21. ერთხელ იმპერატორმა კალიგულამ გასცა ბრძანება, სასწრაფოდ შეეგროვებინათ ზღვის სანაპიროზე ყველა ნიჟარა. მას სურდა, ნიჟარები ფულად ერთეულად გამოეცხადებინა.

22. 1914 წელს, ბრიუსელის აღების შემდეგ, გერმანელებმა ქალაქის მთავარ შენობაზე შეცვალეს ბელგიური დროშა გერმანულით და ამავე შენობაზე მდებარე საათი გადაიყვანეს გერმანულ დროზე.

23. ლუის კეროლი — ავტორი ნაწარმოებისა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში", თავის სიცოცხლეში ერთხელ იყო საზღვარგარეთ და ისიც, რუსეთში.

24. ინდოეთის დიდ მოგოლთა სამეფოს დამაარსებელი ზაჰირედინ მუჰამედ ბაბური, დედის მხრიდან — ჩინგის ყაენის, მამის მხრიდან კი თემურ ლენგის შთამომავალი იყო.

25. ძლევამოსილ მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც კაცობრიობა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა, როცა ორთქლისა და ელექტროენერგიის დამორჩილებამ მკვეთრად გამიჯნა ძველი და ახალი დრო, როცა ამოქმედდა პირველი დინამომანქანა, მედიცინა იყენებდა აცრას, დაინერგა მორზეს ტელეგრაფი და ფოტოგრაფია, სწორედ ამ არნახული პროგრესის საუკუნეში საქართველომ ისე დაკარგა თავისი ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, რომ თითქმის არაფერი იცოდა მისი მნიშვნელობის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე ახლობელი და ნათესავი წუხდა თბილისში იმის გამო, რომ სადღაც, პროვინციაში გარდაიცვალა საბრალო ყმაწვილი, ტატო ბარათაშვილი. ■

„სიხარულიც განსაკუთრებული ვიცი და ტკივილიც“ — ამბობს ქალბატონი ლილი იოსელიანი, პირველი რეჟისორი ქალი საქართველოში, რომელმაც უამრავი ნიჭიერი ხელოვანი აღუზარდა ქართულ თეატრს. მისი პირველი მოსწავლეები დოდო აბაშიძე, კარლო საკანდელიძე, გივი ძნელაძე და სხვა ცნობილი მსახიობები იყვნენ. პირველი სპექტაკლი, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგა. შემდეგ, ვახტანგ ტაბლიაშვილის მიწვევით, მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა, სადაც უამრავი სპექტაკლი დადგა ცნობილ დასთან ერთად. მათ შორის: ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, ჟან ანუის „უცნობი“, შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“. ბოლო წლებში ქალბატონ ლილის არ უმუშავია. თეატრალურ ინსტიტუტში ახალგაზრდებს უზიარებს თავის დიდ გამოცდილებას.

ლილი იოსელიანის
აუცდენელი ოცნებები

თეა იოსელიანი

— ქალბატონო ლილი, თეატრიდან რატომ წამოხვედით? თუ ჰქონდა ამას რაიმე კონკრეტული მიზეზი?

— დავინახე ბევრი რამ ისეთი, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო. ყველას მხოლოდ პირველობის სურვილი ჰქონდა. იყო საშინელი შური, მეტოქეობა, ქიშპობა. მე არანაირად არ შემეძლო ასეთ სიტუაციაში მუშაობა და ამიტომ იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი. წამოსვლამდე დავდგი ბოლო სპექტაკლი — „მშვიდობის დღესასწაული“. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა და არც შემოუთავაზებიათ ჩემთვის, რომ სპექტაკლი დამედგა. მე კი, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, თუ არ მთხოვენ, ჩემით არავის დავაძალებ რაღაცის გაკეთებას.

მშობლები. გემის გასვლამდე დედაჩემი ცუდად გახდა — თურმე ნაადრევი მშობიარობა დასწყებოდა

— თქვენ იყავით პირველი ქართველი რეჟისორი ქალი. მამაკაცი კოლეგებისაგან თუ გრძნობდით მხარდაჭერას?

— არანაირი მხარდაჭერა, დახმარებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

— მსახიობებთან როგორი დამოკიდებულება გქონდათ? როგორც რეჟისორ ქალს, უნდობლობას ხომ არ გიცხადებდნენ ხოლმე?

— რომ გითხრათ, ყველა ნდობით მეპყრობოდა-მეთქი, არ იქნება მართალი. ზოგთან უფრო იოლად ვამყარებდი კონტაქტს, ზოგი მეწინააღმდეგებოდა. ყველა უფრო მცდიდა, ეჭვი ჰქონდა — ამ გოგომ რა უნდა გააკეთოს?! — და თუ კარგად ჩავაბარებდი გამოცდას, მერე უკვე მომყვებოდნენ. ძალიან მიადვილდებოდა მუშაობა გიორგი შავგულიძესთან, აკაკი კვანტალიანთან, ედიშერ მაღალაშვილთან, მედეა ჯაფარიძესთან, სერგო ზაქარიაძესთან; იყვნენ კიდევ სხვებიც.

— ეს მსახიობები რით გამოირჩეოდნენ სხვებისაგან?

— მათ აბსოლუტურად არ ჰქონდათ აქტიორული ამბიცია. ისინი იქცეოდნენ როგორც მოსწავლეები, ბავშვები. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვკამათობდით, მაგრამ კამათისას ისინი არ ჯიუტობდნენ, თავიანთ პატივმოყვარეობასა და ამბიციას არ ამჟღავნებდნენ. ენდობოდნენ ჩემს გადაწყვეტილებას, ცდილობდნენ, ხელი არ შეეშალათ ჩემთვის.

— ალბათ იყვნენ მსახიობები, რომლებიც გეწინააღმდეგებოდნენ.

— მაგალითად, ძალიან ძნელი იყო მუშაობა ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძესთან. ხშირად მეწინააღმდეგებოდა, მერე მაინც ისე გააკეთებდა ყველაფერს, როგორც მე მინდოდა, მაგრამ ისე გამოდიოდა, თითქოს ეს ყველაფერი იმან გააკეთა. ძალიან ამაყი იყო. და როგორ შეიძლებოდა, ვიღაც გოგოს რაღაც ესწავლებინა მისთვის?! მაგრამ მასთან მუშაობა დიდი ბედნირება იყო — შენც რაღაცნაირად, უფრო ნიჭიერი ხდებოდი. სულ სხვაა, როცა საქმე გაქვს ამბიციურ და ნაკლებად ნიჭიერ მსახიობთან, ეს ჯოჯოხეთია.

— ქალბატონო ლილი, ვიცი, რომ თქვენდამი ნაკლებად თბილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა აკაკი ხორავა. რამ გაართულა თქვენი ურთიერთობა?

— ხორავა იყო არა მარტო მსახიობი, არამედ საზოგადო მოღვაწეც. მან დააარსა თეატრალური ინსტიტუტი, იყო ხელმძღვანელი, ძალიან მკაცრი, ამიტომ ბევრს ეშინოდა მისი. ბევრი პატივს სცემდა, ბევრიც ეპირფერებოდა. მე კი ვეპყრობოდი ისე, როგორც სხვა ადამი-

ანებს. სხვები რომ კედელს ეკვრებოდნენ, როცა ის ინსტიტუტში შემოვიდოდა, მე ვაძლევდი ჩვეულებრივ სალამს... მერე ენა მიჰქონდათ ჩემზე – თითქოს, მე მას არ ვაფასებ, თავი მომაქვს ფენომენად, რომელსაც ჰგონია, რომ ყველაფერი შეუძლია... მას ეს ყველაფერი სჯეროდა და სალამს აღარ მაძლევდა – იგნორირება გამიკეთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ ბოლოს, როცა ის უკვე ავად იყო და აღარც მუშაობდა, შემთხვევით მოვხვდით ერთად და ყველაფერი მიამბო – თუ რას ეუბნებოდნენ ჩემზე და როგორ ცდებოდა და სინანულიც გამოთქვა, რომ ჭორებს უგდებდა ყურს.

— რატომ გიამბოთ ეს ყველაფერი?

– იყო ასეთი შემთხვევა: მარჯანიშვილის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად წავედით ყვარელში. მაშინ მე უკვე ვმუშაობდი მარჯანიშვილის თეატრშიც და ინსტიტუტშიც. ხორავა უკვე ავად იყო, აღარც მუშაობა შეეძლო, მაგრამ ყვარელში მაინც წამოვიდა. როცა იქიდან ვბრუნდებოდით, ყველა გამოემგზავრა, ის კი იდგა და ელოდა, როდის გაუჩერებდა ვინმე მანქანას და ეტყოდა – „დაბრძანდით, ბატონო აკაკი“, – მაგრამ ეს არავინ გააკეთა. მე ვუყურებდი მის სახეს მარჯანიშვილის თეატრის მანქანიდან, ძალიან შემეცოდა და ბატონ აკაკი კვანტალიანს ვთხოვე – ჩადი და უთხარი, ჩვენთან ერთად წამოვიდეს-მეთქი. პირველად უარი უთხრა – სხვას ველოდებიო, – მერე წამოვიდა. ჩემ გვერდით იყო ადგილი და ბატონო აკაკი, დაბრძანდით-მეთქი, – ვუთხარი. მთელი გზა მელაპარაკებოდა და ადამიანურად პირველად მომიყვა ყველაფერი – თუ ვის რა სიკეთე გაუკეთა და ვინ როგორ დაუფასა... მერე, რამდენჯერმე ვინახულე კიდეც, როცა ავად იყო და კაცი, რომელიც ადრე ვერ მიტანდა, საოცრად თბილად და პატივისცემით მეპყრობოდა.

— ქალბატონო ლილი, ვიცი, რომ თავიდან უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობდით. სარეჟისოროზე ჩაბარება რატომ გადაწყვიტეთ? როდის გაგიჩნდათ თეატრისადმი ესოდენ დიდი ლტოლვა?

– ეს იყო ჩემი ბავშვობის ოცნება, ამაში მამაჩემმაც დიდი როლი ითამაშა. მამა იყო მელომანი, ძალიან უყვარდა ოპერა, მეგობრობდა ვანო სარაჯიშვილთან და არ აცდენდა ოპერაში არც ერთ მის გამოსვლას. ყოველთვის დავყავდით მე და ჩემი და – ოპერაში, ბალეტზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრში. პირველი სპექტაკლი, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში ვნახეთ, იყო – „ოტელო“. მთავარ როლებს თამაშობდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, ოტელოს – შალვა ღამბაშიძე. ჩვენზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპექტაკლმა, რომ მე და ჩემმა დამ გადავწყვიტეთ, ჩაგვებარებინა სამსახიობო ფაკულტეტზე. მაგრამ რაკი მე ტანად პატარა ვიყავი და ვიცოდი, რომ ჩემი ფიზიკური მონაცემების გამო, ვერ შევძლებდი მსახიობობას, გადავწყვიტე, რეჟისორი გავმხდარიყავი. როცა მამას ჩემი ჩანაფიქრი გავუმხილე, მან ამაზე ფიქრიც კი ამიკრძალა.

— რატომ?

– ჩემი ხასიათის გამო.

— მაინც, როგორი ხასიათი გქონდათ?

– ვიყავი პათოლოგიურად მორცხვი, ძალიან მორიდებული, ზედმეტად თავმდაბალი, რეჟისორისთვის კი ასეთი თვისებები მიუღებელია. ჩემი პედაგოგი – გიორგი ტოვსტონოგოვი სულ გვეუბნებოდა: უნდა იყოთ მკაცრები, უნდა შეგეძლოთ ბრძოლა, სხვანაირად არაფერი გამოგივათო.

— მაშინ საქართველოში სარეჟისორო ფაკულტეტი არ არსებობდა. მიუხედავად ამ და სხვა წინააღმდეგობებისა, თქვენ მაინც გახდით რეჟისორი. სად ჩააბარეთ?

– დიახ, საქართველოში მაშინ არ იყო სარეჟისორო ფაკულტეტი. დავაგროვე რვა თვის, ტიპენდია, დავტოვე წერილი – არ შეშინდეთ, მივდივარ გამოცდების ჩასაბარებლად-მეთქი, – და გავიპარე მოსკოვში. მაშინ ომი უკვე დაწყებული იყო, უმძიმესი დრო იყო. გამოცდაზე რომ შევედი, ცნობილი მსახიობი მოსკვინი მეუბნება: აქ საბავშვო ბაღი არ არისო, – იმიტომ, რომ პატარა ვიყავი და ორი გრძელი ნაწნავი მქონდა. მე ვუთხარი: მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ-მეთქი (უცხო ენათა ინსტიტუტის) – და ვუჩვენე საბუთები... ჩავაბარე გამოცდები და ჩავირიცხე, მაგრამ დიდი ხნით არ მომიწია მოსკოვში დარჩენა: გერმანელები თითქმის მოსკოვამდე იყვნენ მოსულები; ჩამოვიდა მამაჩემი და თბილისში წამომიყვანა. მერე, ბედი იყო თუ რა, არ ვიცი, აქაც გაიხსნა სარეჟისორო ფაკულტეტი. თავიდან ჩავაბარე გამოცდები და სწავლა აქ გავაგრძელე, მაგრამ ამ პერიოდში ჩვენს ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება, რომელმაც მთელ ჩემს ცხოვრებას დაუვიწყარი ტკივილი დააჩნია.

— ასეთი რა მოხდა?

– გარდამეცვალა და, რომელიც სწავლობდა სამსახიობო ფაკულტეტზე, იყო ძალიან ნიჭიერი და ლამაზი, ჩემთვის ყველაზე საყვარელი პიროვნება. გარდაიცვალა თვრამეტი წლის ასაკში, ტუბერკულოზით. მანამდე გარდამეცვალა პატარა ძმა, დის დაღუპვიდან ექვსი თვის შემდეგ, მამაჩემიც გარდაიცვალა. ამას დაემატა ისიც, რომ ჩემი მეორე ძმა – ჯაბა დააპატიმრეს.

— პირველად რისთვის დაპატიმრეს ბატონი ჯაბა?

– ამაში ძალიან დიდი როლი ითამაშა ოჯახურმა მდგომარეობამ: ამდენი უბედურების შემდეგ, სახლში შემოსვლა აღარ უნდოდა და ღამეს თავის მეგობრებთან ათევდა. ომიანობის პერიოდი იყო, გამოიცა ბრძანება: ვისაც სახლში რადიომიმღები ჰქონდა, უნდა ჩაებარებინა. ერთმა ბიჭმა თავისი რადიომიმღები არ ჩააბარა, წაიღო და სკოლის სარდაფში დამალა. იქ უსმენდნენ საზღვარგარეთის რადიოსადგურების ინფორმაციე-

ქსნის კოლონიაში – ლილი იოსელიანი დედასთან და ძმასთან ერთად

ბს, მაგრამ ვერაფერს იგებდნენ. ჯაბამ იცოდა გერმანული და წაიყვანეს. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა გერმანელი ქალი და იმან გვასწავლა გერმანული. ერთ დღეს გაუგეს და ყველანი დააპატიმრეს. ჩვენთან როცა მოვიდნენ, გვითხრეს, რომ ჯაბა ქურდობისთვის იყო დაპატიმრებული. რვა თვის შემდეგ ვნახეთ პირველად. ისეთი დასუსტებული იყო, ძლივს ვიცანით. ცოტა ხნის შემდეგ კი გავიგეთ, რომ ციხიდან გაქცეულა.

— ის თუ იცოდით, იმ პერიოდში ვისთან იმალებოდა?

— ლექცია მქონდა, ვიღაცამ კარი გააღო და მითხრა — ქვემოთ ვიღაც გელოდებათო. როცა ჩავედი, ჯაბა თავის მეგობართან ერთად დამხვდა. მთხოვა — სადმე ბინა უნდა მიშოვოო. სანამ ჩემთან მოვიდოდა, ხუთი დღე და ღამე სადარბაზოებში ათევდა თურმე ღამეს. წავიყვანე ჩემს კლასელ გოგონასთან. როცა მას ყველაფერი ვუამბე, ცუდად გახდა და წაიქცა. მერე ჯაბამ აღარ მოისურვა მასთან დარჩენა. უკან რომ ვბრუნდებოდით, გზაში შემხვდა ჩემი თანაკურსელი. მან იცნო ჯაბა და თავისთან წაიყვანა. მერე მეგობრებმა გაუკეთეს ყალბი პასპორტი და გადაიფრინეს რუსეთში. ქალაქ ბოროვიჩის საბადოში დაიწყო მუშაობა მუშად. ჯაბა ძალიან მოსწონდა ქარხნის დირექტორს, დაამთავრებინა ღამის ათწლედი და გააგრძელებინა სწავლა ინსტიტუტში, სამთო ინჟინრის სპეციალობით.

— მეორედ რატომ დააპატიმრეს?

— ჯაბას არ უნდოდა ინჟინრობა, ამიტომ დაანება თავი საინჟინროზე სწავლას და ლენინგრადში, ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტში ჩაბარა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. მეხუთე კურსზე იყო, როცა ლენინგრადში მივლინებაში აღმოჩნდა პიროვნება, რომლის გვარზე იყო გაფორმებული ჯაბას პასპორტი. ის პიროვნება დააპატიმრეს, მერე ჯაბამ სიმართლე თქვა და ის კაცი გამოუშვეს, ჯაბა კი რუსეთში გადაასახლეს ოთხი წლით.

— ქალბატონო ლილი, დახვრეტა რისთვის ჰქონდა მისჯილი ბატონ ჯაბას?

— ოთხი წლის შემდეგ, ჯაბა ჩამოვიდა საქართველოში. უნდოდა, სწავლა გაეგრძელებინა, ამისთვის დასჭირდა საბუთები და მოუწია ლენინგრადში

სპექტაკლზე (ლ. ტოლსტოი „ოჯახური ბედნიერება“) მუშაობისას — საქართველოს ტელევიზია. 1983 წლის მაისი

წასვლა. როცა ჩავიდა, მეორე დღეს მასთან, ნაქირავებ ბინაში მივიდა ხუთი ქართველი ბიჭი და ღამის გათევის უფლება სთხოვა. ჯაბამ უარი ვერ უთხრა. იმავე ღამით, მილიციამ ჩაატარა ბინაში ჩხრეკა და ამოიღო ნაქურდალი ნივთები: თურმე იმ ბიჭებს გაუქურდავთ რაღაც. ჩემი ძმაც დააპატიმრეს მათთან ერთად და მიუსაჯეს დახვრეტა. შემდეგ განაჩენი 25 წლის პატიმრობით შეუცვალეს. 13 წლის შემდეგ გამოვიდა ციხიდან, მედეა ჯაფარიძისა და სერგო ზაქარიაძის დახმარებით. მაშინ მედეა საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო.

— შემდეგ ბატონმა ჯაბამ დაამთავრა თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი, გახდა პროფესორი, დაწერა წიგნები, მერე კი პოლიტიკაში ჩაება. თქვენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო მისი ეს გადაწყვეტილება?

— მისთვის უკეთესი იქნებოდა, პოლიტიკაში რომ არ ჩართულიყო, მას ბევრი ცილი დასწამეს, ბევრი სისაძაგლე მოუგონეს... საერთოდ, არ მინდა ამ ყველაფრის გახსენება, ასეთ დროს ყველაფერს თავიდან განვიცდი...

— ქალბატონო ლილი, თავიდან გაკვრით ახსენეთ მამათქვენი. უფრო ვრცლად მოგვიყევით, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

— მამა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერი იყო. გერმანიაში სწავლისას დაუახლოვდა კონსტანტინე გამსახურდიას, მათ კარგი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. სამწუხაროდ, მამაჩემი იძულებული გახდა, გერმანიიდან ადრე წამოსულიყო: საქართველოდან წასვლამდე მეგობარს დაუტოვა თავისი ბინა. ის აქირავებდა და ფულს უგზავნიდა მამაჩემს გერმანიაში, შემდეგ კი გაუყიდა და მამა უსახსროდ დარჩა, ამიტომ იძულებული შეიქნა, საქართველოში დაბრუნებულიყო. რკინიგზაში დაიწყო მუშაობა ინჟინრად. დედაჩემი პედაგოგი იყო. ის უნივერსიტეტის გახსნისთანავე გახდა სტუდენტი — სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაბარა, მაგრამ პრაქტიკის დროს ვერ აიტანა გვამების გაკვეთის პროცესი, ცუდად გახდა და ბიოლოგიურზე გადავიდა. როცა ჩემი მშობლები დაქორწინდნენ, მაშინ დაიწყო საქართველოს გასაბჭოება. მთავრობამ საქართველოდან წასვლა გადაწყვიტა. მამიდაჩემის ქმარი მაშინდელი მთავრობის მინისტრი იყო. მას უნდოდა, ჩემი დედმამაც წაეყვანა. თურქეთში უნდა გადასულიყვნენ. გემის გასვლამდე დედაჩემი ცუდად გახდა — თურმე ნაადრევი მშობიარობა დასწყებოდა. ასე დავიბადე მე — 7-თვიანი.

— ბავშვობა როგორი გქონდათ?

— თორმეტ წლამდე ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა, ვიყავით ოთხი და-ძმა. ვცხოვრობდით ბარნოვის ქუჩაზე — ძველი ვერის დასახლებაში, უზარმაზარ, ორსართულიან სახლში; გვქონდა ძალიან ლამაზი ეზო, უამრავი ყვავილით და ხეებით, გვქონდა აუზი, გვყავდა ბევრი ლამაზი თევზი. ამ სახლში ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ დედაჩემის და-ძმებიც. გვქონდა დიდი

და ბედნიერი ოჯახი. ეს სახლი მამაჩემს პოლონელმა ემიგრანტმა — ძალიან განათლებულმა პიროვნებამ, პროფესიით მშენებელ-ინჟინერმა აჩუქა. მას კიდევ რადენიმე სახლი ჰქონდა თბილისში, რომელიც თვითონ ააშენა. ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ, ამ სახლს გვართმევდნენ. დედამ გადაწყვიტა, გაეყიდა და აღებული ფულით ცალკე დააბინავა თავისი და-ძმები, ჩვენ კი საცხოვრებლად, პლეხანოვზე, ერთ საშინელ, პატარა სახლში გადავედით, რომელსაც საშინელი, ბინძური ეზო ჰქონდა. პირველ ხანებში ამან ისე ცუდად იმოქმედა ჩემზე, რომ სულ მაღალ სიცხეებს მაძლევდა. იმდენად მიყვარდა ის ჩემი ეზო, უამრავი ყვავილით და არაჩვეულებრივი ხედით, რომ დიდხანს ვერ შევეგუე ახალ საცხოვრებელ პირობებს.

— როგორც ჩანს, ძალიან გიყვართ ყვავილები?

— მიყვარს, მაგრამ ბევრი ყვავილი მაშინებს ხოლმე — დაკრძალვას მაგონებს... მიყვარს მინდვრის ყვავილები, მაგრამ როცა ყვავილებს მჩუქნიან, მენანება, რომ ჭკნება და უნდა გადავყარო — ასე მგონია, ბოროტებას ჩავდივარ.

— როგორც ვიცი, თქვენც ხატავდით. არ გქონიათ სურვილი, თქვენი ნამუშევრების გამოფენა მოგეწყოთ?

— არა, იმიტომ, რომ თავი პროფესიონალ მხატვრად არასოდეს მიმაჩნდა. ძალიან ბევრი ნახატი გავაჩუქე.

— როგორც ხელოვანი, მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევით. როგორი კულინარი ხართ?

— ამით შემიძლია ვიტრაბახო — ძალიან გემრიელი კერძები გამომდის, მაგრამ გაკეთებას ვუნდები ძალიან დიდხანს. დედაჩემი იტყოდა ხოლმე ჩემზე — გემრიელს კი გააკეთებს, მაგრამ აღარ გვაღირსებსო...

— რომელი კერძი გიყვართ გამორჩეულად?

— მიყვარს ხინკალი და მწვადები ტყემლით, მაგრამ ჭამა არ მიყვარს, ბავშვობიდან ძალიან ცოტას ვჭამდი და სულ მეჩხუბებოდნენ ხოლმე ამის გამო.

— რატომ არის ლილი იოსელიანი დღემდე მარტო?

— მე არ მეცალა ამაზე ფიქრისთვის. იმდენად მიყვარდა ჩემი საქმე, რომ თუ ვინმეს შევიყვარებდი, ან ერთი უნდა დამეთმო, ან მეორე. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემამდე საქართველოში არ არსებობდა რეჟისორი ქალი, მამაკაცებთან სულ ამხანაგური ურთიერთობა მქონდა. თუმცა, მყავდა მეგობარი მამაკაცი, რომელიც მოღალატე აღმოჩნდა და დავშორდი.

— სად გაიცანით და როგორ შეიტყვეთ, რომ მოღალატე იყო?

— გავიცანი სტუდენტობის დროს — ვსწავლობდით ერთად, მერე ერთად ვმუშაობდით. თავიდან კარგი მეგობრები ვიყავით, მერე ეს მეგობრობა გადაიზარდა სხვა გრძნობაში. მან გამომიმჟღავნა კიდეც თავისი გრძნობა. მე აქტიურობა არ გამომიჩენია, იმიტომ, რომ მისი ნდობა არ მქონდა, რადგან უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა და მე ვიცოდი, რომ ვერ შევძლებდი მისი გულის მთლიანად დაპყრობას... ერთხელ კი დავინახე, ვიღაც სხვა ქალთან ერთად — ჩახუტებულები მისეირნობდნენ. მას ცოლიც ჰყავს და შვილებიც, დასახელებას ნუ მომთხოვთ.

— ყველაზე მეტად რას განიცდით, გული რაზე გტკივათ?

— განვიცდი იმას, რომ არ მყავს შვილი. ჩემი მოსწავლეები ჩემი შვილები არიან, მე ისინი ძალიან მიყვარს, მაგრამ ღვიძლი შვილი ხომ მაინც სხვაა.

— თქვენზე ისეთი რა ჭორი გაგიგიათ, რომელმაც ძალიან გაგაღიზიანათ?

— ერთი პერიოდი, ვიღაც ქალი სარგებლობდა ჩემი სახელით — ამბობდა, — ლილი იოსელიანი, ჯაბას და ვარო, დადიოდა მერიაში, ითხოვდა დახმარებას და ჩადიოდა ათასნაირ სისაძაგლეს. ძალიან გავღიზიანდი. მერე ის ქალი დააპატიმრეს, მაგრამ ამის შესახებ ხომ უკვე დაიწერა გაზეთში და ბევრმაც დაიჯერა, რომ მე ვიყავი. მერე ჭორი გაავრცელეს, თითქოს მე ჯაბამ ამიშენა სამი სამსართულიანი სახლი, რომ ჩემს სახელზე აქვს ანგარიშები შვეიცარიის ბანკში... ხშირად ჩემს სპექტაკლებსაც სხვას მიაწერდნენ ხოლმე — ამბობდნენ, ეს ლილიმ კი არ დადგა, სხვამ დაუდგაო...

— ქალბატონო ლილი, თქვენ წელსაც აიყვანეთ ახალი ჯგუფი. ეს ახალგაზრდები რით განსხვავდებიან წინა თაობების თქვენი სტუდენტებისგან?

— ეს სულ სხვა თაობაა. ესენი უფრო უცერემონიო, უფრო თავისუფალი ბავშვები არიან. შეიძლება ითქვას, ზედმეტად თავისუფალნიც კი. არიან ნაკლებად შრომისმოყვარენი — ძნელია, რაიმე გააკეთებინო, მაგრამ ამავე დროს, შეიძლება რაღაცით სჯობნიან კიდეც იმ თაობებს, იმიტომ, რომ უფრო გულახდილები არიან, არ აწუხებთ კომპლექსები. ადრე, როცა სტუდენტს კითხვას დავუსვამდი, ის ცდილობდა თავის პასუხში ჩემი შეხედულება გაეთვალისწინებინა, ე.ი. ესიამოვნებინა ჩემთვის. ახლანდელი სტუდენტები ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ და ეს კარგია — უფრო იოლად ვეცნობი მათ ხასიათებს. დღევანდელ ახალგაზრდობას აქვს უკომპლექსობის კომპლექსი, მაგრამ ესეც ხომ კომპლექსია?

— თქვენი კომპლექსი რა არის?

— ვარ ზედმეტად კრიტიკული ჩემი თავის მიმართ, სულ ეჭვი მეპარება საკუთარ ნიჭში...

— დაბოლოს, ქალბატონო ლილი: ალბათ დაგრჩათ აუხდენელი ოცნება?

— უამრავი ჩანაფიქრი დამრჩა განუხორციელებელი. ყველაზე მეტად, მინდოდა, რომ დამედგა „ვეფხისტყაოსანი", გეგმაც კი მაქვს შედგენილი, მაგრამ არასოდეს არ მომეცა ამის საშუალება, არ იყო საამისოდ არანაირი პირობა, ამიტომ არც კი განმიცხადებია ამის შესახებ. ■

ჯაბა და ლილი იოსელიანები

სტივენ სოდერბერგი:

„თუ ძროხიუსეხები ჩემს საქმეში ჩაყოფენ ცხვირს, თავ-ძირს გავუეხოიანებ ან სახლს გადავუწვავ...“

ამერიკელ რეჟისორს, სტივენ სოდერბერგს, მართალია, თავისი ფილმი-შედევრი ჯერ არ გადაუღია, მაგრამ ავანტიურული ექსპერიმენტებისადმი მიდრეკილებით, მრავალფეროვნებითა და შინაგანი მოუსვენრობით, ყველა თავის კოლეგას გადააჭარბა. მოღვაწეობა მან წმინდა წყლის საავტორო ფილმებით — „სექსი, სიცრუე და ვიდეო“ (კანის ფესტივალის მთავარი პრიზი — „ოქროს პალმის რტო“, 1989) და „კაფკა“ — დაიწყო.

„შიზოპოლისში“ აბსურდული კომედიის ჟანრში ჩატარებული ექსპერიმენტის შემდეგ, მან ბლოკბასტერის ჟანრს მიმართა: „ერინ ბროკოვიჩს“ ჯულია რობერტსს „ოსკარი“ მოუტანა, თავად რეჟისორს კი ეს ჯილდო წილად ხვდა ნარკობიზნესის თემაზე გადაღებული ფილმისთვის — „ტრაფიკი“. „ოუშენის თერთმეტი მეგობრის“ უდიდესი წარმატების შემდეგ კი, ყველასთვის მოულოდნელად, სოდერბერგი კვლავ საავტორო ექსპერიმენტებს მიუბრუნდა და Full Frontal-ი გადაიღო. სურათი ნაჩვენები იყო ვენეციაში პარალელური კონკურსის (ამ კონკურსის სახელწოდებაა „დინების საწინააღმდეგოდ“) ჩარჩოებში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმი კი არა, საფილმედ გამზადებული მასალაა. თანამედროვე ლოს-ანჯელესის სივრცეში წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი სიუჟეტური ხაზის თავისუფალი თანაარსებობა; დიალოგები განსაკუთრებული „დაუდევრობით“ გამოირჩევა (მიახლოებულია ცხოვრებისეულთან); ციფრული კამერის გამოყენება დოკუმენტური ფილმის ეფექტს ქმნის; კადრს მიღმა მსახიობების სამუშაო კომენტარები ისმის. ეს არის „ფილმი ფილმში“ — კომედია ზნეობრივ ნორმებზე, ჰოლივუდის თემაზე შექმნილი სატირა და ჰოლივუდის ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორისა და მსახიობ-ვარსკვლავების ერთობლივი სისულელეები.

სურათში მონაწილეობენ: დევიდ დუხოვნი, ჯულია რობერტსი, კეტრინ კინერი და ბრედ პიტი. „თავად ბრედ პიტის როლში და საკუთარი თავის როლში“ — სწორედ ასეა მითითებული ტიტრებში. სოდერბერგს რომ მოინდომებინა, ამ მასალით ივი არაჩვეულებრივ ფილმს შექმნიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მისთვის პროცესი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე შედეგი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მომავალში მისგან კიდევ უფრო მეტს უნდა ველოდეთ. შესაძლოა, მის მიერ გადაღებული „სოლარისის“ ახალი ეკრანიზაცია (ვამჩნევნილი რუსი რეჟისორის ანდრეი ტარკოვსკის ფილმის რიმეიკი), რომლის მონტაჟიც ამჟამად მიმდინარეობს, სწორედ ის ბრწყინვალე ნამუშევარი აღმოჩნდეს...

— ადრე თქვენს ნამუშევრებს კრიტიკოსებისთვის ან მაყურებლისთვის განკუთვნილ ფილმებად ყოფდნენ, ამჯერად წარმოუდგენელ შედეგს მიაღწიეთ — თქვენი ფილმის ჩვენების შემდეგ, ერთნიცა და მეორენიც ერთმანეთს ეკითხებოდნენ: თუ რა იყო ეს?

— ფილმი ჩვეულებრივი ნამდვილად არ გახლავთ. მასში არავითარი ორიენტირი არ არსებობს, რომელიც ფილმის სივრცეში გასარკვევად დაგეხმარებათ. აქ თითქოს წყალში გაგდებენ და თქვენზეა დამოკიდებული — გამოცურავთ თუ დაიხრჩობით. სწორედ იმიტომ გადავიღე მცირებიუჯეტიანი კინო, რომ ივი ფართო აუდიტორიისთვის არ იყო განკუთვნილი. გადაღებისას უამრავი ახალი სარეჟისორო და საოპერატორო ტექნიკური თუ შემოქმედებითი იდეა მოვსინჯე, თუმცა, ისიც წინასწარ ვიცოდი, რომ ყველა მათგანი არ გაამართლებდა. ორმილიონიანი ბიუჯეტის მქონე ფილმზე ექსპერიმენტი აუცილებლად უნდა ჩამეტარებინა, რადგან ღმერთმა უწყის, ასეთი შესაძლებლობა კიდევ როდის მომეცემა. ჩემი აზრით, სურათი Miramax-ის კომპანიას საკმაო მოგებას მოუტანს. ასე რომ, უკმაყოფილო არავინ დარჩება.

— თავად თქვენ, პრესის უარყოფითი გამოხმაურებით უკმაყოფილო ხომ არ დარჩით?

— უამრავ კრიტიკოსს ვიცნობ და ისიც მშვენივრად ვიცი, თუ რა მოსწონთ მათ და რა — არა. მე თვითონ შემეძლო საკუთარ თავზე უარყოფითი რეცენზიის დაწერა. საერთოდ, როცა ექსპერიმენტულ ფილმს იღებ და ივი ყველას მოსწონს, შეგიძლია ივარაუდო, რომ ექსპერიმენტი არ შედგა...

— პირადად თქვენ, რა უფრო დიდ სიამოვნებას განიჭებთ — ბლოკბასტერის გადაღება თუ მცირებიუჯეტიანი, ექსპერიმენტული კინო?

— მე ორივე მომწონს. უბრალოდ, სხვადასხვაგვარ სიამოვნებას განვიცდი. ისეთი ფილმის გადაღებისას, როგორიც „ოუშენის თერთმეტი მეგობარია“, ჭეშმარიტ სიამოვნებას სურათის ბოლოს, როცა ის თითქმის დამთავრებულია, მაშინ განვიცდი. ეს რაღაც დიდი, დასაქოქი სათამაშოს მსგავსია: სანამ ყველა დეტალს თავის ადგილას არ მოათავსებ, არასოდეს იცი, რა გამოვა. ექსპერიმენტულ კინოზე მუშაობისას კი, უდიდეს სიამოვნებას თავად გადაღების პროცესი განიჭებს.

— როგორ ჩამოაყალიბებდით სი-



ტყვებით ჰოლივუდთან თქვენს დამოკიდებულებას?

— ამერიკაში მეინსტრიმისა (სიტყვასიტყვით — „მთავარი გზის“, ე.ი. ამ შემთხვევაში — ჰოლივუდის) და დამოუკიდებელი კინოს დაპირისპირების დისკუსია სხვა ჭრილში მიმდინარეობს. რატომღაც ყველა მიიჩნევს, რომ მთავარი — ფულია, ე.ი. ის, ვინც ფილმს აფინანსებს. ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩემთვის მთავარი, რეჟისორის გადამწყვეტი ხმაა იმ პროცესში, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორი უნდა იყოს სურათი. მე გადამიღია ფილმები ჰოლივუდის სტუდიებისთვის და შემოქმედებით კონტროლს ყოველთვის თავად ვახორციელებდი. ჩემს კონტრაქტებში ამის დამადასტურებელი პუნქტი მხოლოდ ერთხელ იყო შეტანილი, მაგრამ დანარჩენ შემთხვევებშიც, პროდიუსერებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ ჩემს საქმეში ჩაყოფდნენ ცხვირს, თავ-პირს გავუერთიანებდი ან სახლს გადავუწვავდი...

— ამჟამად თქვენ ამონტაჟებთ „სოლარისს“, სადაც მთავარ როლს ჯორჯ კლუნი ასრულებს. ამ ფილმის ტარკოვსკისეული ვერსია თუ გაქვთ ნანახი?

— დიახ, მაგრამ ჩემი ფილმი სრულიად განსხვავებულია. ამას წინათ, ნიუ-იორკში ტარკოვსკის ფანატი დამესხა თავს, რომელიც მხოლოდ იმას გაჰყვიროდა — ამ ფილმის ახალ ვერსიას რატომ იღებო?.. ასე რომ, მე წინასწარ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა; დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, ჩემი ფილმი სხვაგვარი იქნებოდა, მე მას ხელსაც არ მოვკიდებდი.

— მაინც როგორი იქნება?

— მონტაჟი ჯერ არ დამთავრებია და ზუსტად ვერ გეტყვით. თუმცა, ფილმი ძალზე უცნაური რომ იქნება, ეს კარგად ვიცი... სურათში სამი-ოთხი დაახლოებით, თხუთმეტწუთიანი ეპიზოდია, როცა ეკრანიდან არც ერთი სიტყვა არ ისმის. ჰოლივუდისთვის ეს არანორმალურია. ფინალი გახსნილია; სურათში უამრავი აბსტრაქტული სახეა... საბედნიეროდ, ჰოლივუდის სტანდარტების მიხედვით, ფილმი არცთუ ისე ძვირად ღირებულია — 46 მილიონი. ჩემი აზრით, სასიყვარულო ხაზი სათანადოდ განვავითარე, თუმცა, მის გარშემო იმდენი უცნაურობა და აუხსნელი რამ ხდება, რომ არც კი ვიცი, ბოლომდე ამ ფილმს ნახავს ვინმე თუ არა. ■

კრისტინა აგილერა: "არავის მივცემ უფლებას, წინ გადამეღობოს"

კრისტინა აგილერას ახალი, გაბედული ალბომის თვით სახელიც კი — Stripped („გაშიშვლებული“) იმაზე მეტყველებს, რომ მომღერალი teen-idol-ის უწინდელ იმიჯს სამუდამოდ დაემშვიდობა. ცნობილი მომღერლის ახალ ალბომში შესული თექვსმეტივე ტრეკი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ უშიშარი შემსრულებელი არაფერს მოერიდა და გაბედულად გაითავისუფლა თავი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ ხელოვნურად შექმნილი, თავს მოხვეული იმიჯისგან, რომელიც მის ინდივიდუალობასა და ტალანტს ჩქმალავდა. „ჩვიდმეტი წლის ასაკში ისეთი ახალგაზრდა და გამოუცდელი ხარ, რომ ნებისმიერ მხარდაჭერასა და მითითებას გულწრფელად იღებ... მერე კი, თავს ხაფანგში მოქცეულივით ვგრძნობდი, — ამბობს მომღერალი. — მე ისეთი ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი, რომლებიც მაკონტროლებდნენ და ყოველ ჩემს ქმედებას თავად ხელმძღვანელობდნენ. თუმცა, ამაში ბრალს არავის ვდებ. როცა შოუბიზნესში ხარ, ყველაფერს ადვილად სწავლობ და ითვისებ. ახლა კარგად ვიცი, რომელი მიმართულებით უნდა ვიმოძრაო და არავის მივცემ უფლებას, წინ გადამეღობოს“.

ასეთი მტკიცე გადაწყვეტილების შემდეგ, პირველი, რაც კრისტინამ გააკეთა, იყო ის, რომ შინ (ლოს-ანჯელესში) დაბრუნდა და საკუთარ თავს სულის მოთქმის საშუალება მისცა. „დასვენება აუცილებლად მჭირდებოდა, — ამბობს აგილერა. — დროის მცირე მონაკვეთში იმდენი რამ მოხდა და არა მხოლოდ ჩემს კარიერაში: პირველი ჭეშმარიტი სიყვარულიც გამოვცადე, მისი მსხვრევით გამოწვეული იმედგაცრუებაც და მივხვდი, რომ ცხოვრებაში ტელევიზიაზე, ხმის ჩამწერ სტუდიასა და საგრიმიოროზე მნიშვნელოვანი რაღაცებიც არსებობს, რაც ადამიანმა აუცილებლად უნდა განიცადო“.

ახალი ალბომის მომზადებას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა. საგასტროლო ტურნეში ყოფნის დროსაც კრისტინა განუწყვეტლივ ამ სამუშაოზე ფიქრობდა და ბლოკნოტში მონახაზებსა და ჩანაწერებს აკეთებდა. მიუხედავად ამისა, ალბომზე მუშაობისას აგილერამ ვარსკვლავური ტრიოს შემოთავაზებული წინადადების ცდუნებას ვერ გაუძლო და პინკთან, მიასა და ლილ'კიმთან ერთად ჰიტი — Lady Marmalade ჩაწერა.

Stripped-ზე მუშაობისას მსურდა, გამომეკვლია მუსიკა, რომელმაც ეს ჩანაწერები შთამაგონა. სოულის ჟანრის თაყვანისმცემელი ყოველთვის ვიყავი, მიყვარს ნამდვილი რიტმ-ენდ-ბლუზი და როკ-ენ-როლი, ყოველივე ამან კი, ჩემს ახალ ნამუშევარზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა.

ალბომი — Stripped 18 თვის განმავლობაში, კრისტინას მკაცრი ხელმძღვანელობით იწერებოდა და სტილისტურად მრავალფეროვანმა ექსპერიმენტმა პიროვნულად და პროფესიულად გათავისუფლებული ახალგაზრდა ქალის აზრებისა და ემოციების სრულად გაშიშვლება შეძლო. ■

	„... მზე და აღებს კარს. ასე ნანატრი თავისუფლება“	ძველის საპირისპირო მცნება	ქ. კფლუმბის ერთ-ერთი გემი	ედმუნდ-შვილი	... რეკორდების წიგნი	ინტერიერის საპირისპირო მცნება
...ილი, ...ლაქია	„..., გავაკეთოთ რამე, ერთად“	რომელი კუნძული აგრძელებს იაპონიის კუნძულების მწკრივს?	მიწა, ქანი	...ტბა შოტლანდიაში ლოხ-...	...ლამაზმანი ანუ ...-ბომბა	სანადირო ძაღლის ჯიში

შორენა მერკვილაძე

„ძველი აღთქმის“ მიხედვით, ღმერთმა პირველ ადამიანებს — ადამს და ევას მარხვა ჯერ კიდევ სამოთხეში დაუწესა: „ყოველისაგან ხისა სამოთხისა სჭამოთ, ხოლო ხისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არ სჭამოთ მისგან“. უფალმა იესო ქრისტემაც, ვიდრე ხალხის დამოძღვრას დაიწყებდა, ორმოცი დღე და ღამე იმარხულა უდაბნოში. მარხვასთან დაკავშირებით გვესაუბრება დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).

— მარხვა დიდი სულიერი ღვაწლია უფლის წინაშე. „ახალი აღთქმის“ მიხედვით, როდესაც ქრისტეს მოწაფეებმა ავი სულით შეპყრობილი ავადმყოფის განკურნება ვერ მოახერხეს, მისგან ეშმაკის განდევნა მხოლოდ უფალმა შეძლო. მაცხოვარმა მოციქულებს თავიანთი უძლურების მიზეზი პირდაპირ განუმარტა: „ესე ნათესავი არარათ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (ეი. ბოროტი ძალა ლოცვით და მარხვით განიდევნება). მარხვა განწმენდს ადამიანის სულს და მას ენებებთან ბრძოლაში ეხმარება.

— რატომ იკრძალება მარხვის დროს გარკვეული პროდუქტების მიღება?

— მარხვა არის როგორც სულიერი, ასევე ხორციელი. ხორციელი მარხვისას, ადამიანი უარს ამბობს გარკვეული პროდუქტების მიღებაზე, სულიერი მარხვის დროს კი, ბოროტ აზრებსა და საქმეს ვერიდებით. აქედან გამომდინარე, მარხვა ხორციელი სურვილების დათმენაა სულიერისთვის, ანუ მარხვით ადამიანის გულის და სხეულის განწმენდა ხდება.

— რატომ ვმარხულობთ ქრისტიანული დღესასწაულების წინ და რას უკავშირდება თითოეული მარხვა?

— როგორც აღვნიშნეთ, მარხვა უპირველესად, ენებებთან ბრძოლაა. თუ ადამიანი ენებისგან არ გათავისუფლდა, ვერ შეეგრძნობს რელიგიური დღესასწაულის სიწმინდეს, მის მნიშვნელობას. ეკლესიის მიერ ოთხი დიდი მარხვაა დაწესებული. შობის მარხვა, წმინდა მამების განმარტებით, სიმბოლურად იესო ქრისტეს მოსვლის წინა პერიოდს ჰგავს, რომლის შენახვითაც მაცხოვრის მიმართ პატივისცემას გამოვხატავთ, რამეთუ უფალი იესო ქრისტე, დედამიწაზე ადამიანების ცოდვისგან დასახსნელად მოვიდა. რაც შეეხება აღდგომის მარხვას — სიმბოლურად, ნათლისღების შემდგომ, ქრისტეს ორმოცდღიან მარხულობას განასახიერებს. აღდგომის მარხვის ბოლო შვიდი დღე, ანუ ვნების შვიდეული, უფლის მიერ დედამიწაზე გატარებული ბოლო დღეების მოსახსენებლადაა დაწესებული. მარიამობის მარხვის შენახვით კი, სულიერად განწმენდილნი და ამაღლებულნი ვხვდებით ღვთისმშობლის მიძინებას. პეტრე-პავლობის

მარხვის მადლი და მნიშვნელობა

მარხვა, ქრისტეს მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის აღსანიშნავადაა დაწესებული.

— ოთხშაბათის და პარასკევის მარხვაზე რა უნდა ვიცოდეთ?

— „ახალი აღთქმის“ მიხედვით, იუდამ ქრისტე ოთხშაბათს გასცა, პარასკევს კი — აწამეს. აქედან გამომდინარე, ოთხშაბათის და პარასკევის მარხვით, მაცხოვრის გაცემის და ჯვარცმის გამო, შინაგან გლოვას გამოვხატავთ.

— რას ნიშნავს მძიმე მარხვა და რა იგულისხმება სიმძიმეში?

— ღვთისმსახურების წიგნებში პირდაპირ არის მინიშნებული: „იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის მარხვის წინა დღეს, ვინც ღამეს ათევს, მან ზეთით და ღვინით გაიხსნილოს“. ამიტომ ეკლესიის მიერ ერთდღიანი მარხვების: იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს, ჯვართამაღლებას და ნათლისღების წინა დღეს, მარხვის მკაცრად დაცვა არ არის დაწესებული. მარხვას მორწმუნეები მკაცრად, ძირითადად, აღდგომის მარხვის პირველ და ბოლო კვირას ინახავენ, რაც აუცილებლად სულიერ მოძღვართან შეთანხმებით უნდა მოხდეს. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ მძიმე მარხვა ინდივიდუალურია, ის შეიძლება, სულიერმა მოძღვარმაც დაგვინიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს ეპიტიმია (საეკლესიო სასჯელი) აქვს დადებული.

— როგორ უნდა იქცეოდეს მორწმუნე მარხვაში?

— მორწმუნემ ამ დროს უნდა გაძლიეროს ლოცვა, ხშირად ეზიაროს; სასურველია ფსალმუნების და რელიგიური ლიტერატურის კითხვა, მოწყალების გაცემა. მარხვა თავისთავად, რაღაცის მოკლებასა და თავის შეზღუდვას გულისხმობს, ამიტომ თავი უნდა შეიკავოთ გართობისა და სანახაობის ხილვისგანაც.

— გულისხმობს თუ არა გართობაზე უარის თქმა, დაბადების დღის გადახდისგან თავის შეკავებას?

— ლაუდიკიის კრების 44-ე კანონში პირდაპირ წერია: „მარხვაში არ უნდა გადავიხადოთ დაბადების დღეები და ქორწილები“. ასევე იკრძალება ჯვრისწერაც.

— სასურველია თუ არა, იმარხულოს ადამიანმა, როდესაც აქვს რწმენა, მაგრამ არ ცხოვრობს ეკლესიური ცხოვრებით?

— ასეთი ადამიანის მხრიდან მარხვის დაცვა, უფლისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელმაც შეიძლება ბევრ რამეზე დააფიქროს და საბოლოოდ, ჭეშმარიტ მორწმუნედ ჩამოაყალიბოს.

— შეიძლება თუ არა, ადამიანმა არ იმარხულოს ავადმყოფობის გამო?

— ავადმყოფობის დროს ადამიანს არ მოეთხოვება მარხვის დაცვა. თუმცა, მარხვის პირობების შემსუბუქებისთვის, ლოცვა-კურთხევა სულიერმა მოძღვარმა უნდა მოგვცეს. მარხვის დაცვა არ მოეთხოვება ფეხმძიმე ქალსაც.

— როდიდან უნდა დავაწყებინოთ ბავშვს მარხვა?

— ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალური საეკლესიო კანონი არ არსებობს. თუკი ბავშვს, სურვილთან ერთად, მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული აქვს, რა არის მარხვა, შეგვიძლია, მოძღვრის მითითებებით ვამარხულოთ.

— როგორ უნდა ხდებოდეს მარხვის დროს, ცოლ-ქმარს შორის სარეცლის გაყოფა?

— მორწმუნე მეუღლეთათვის სასურველია, მარხვაში ხორციელი თავშეკავება გამოიჩინონ, მაგრამ თუ მეუღლეთაგან ერთ-ერთი, არაეკლესიურია ან ორივეს სულიერი ცხოვრება ახალი დაწყებული აქვს, სულიერ მოძღვარს შეუძლია იკონომიის (წესების შერბილების) დაშვება. მაგრამ ეს არ ვრცელდება მარხვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან დღეებზე — შაბათ საღამოდან, კვირა საღამომდე, რადგან ამ დროს ადამიანი წირვა-ლოცვაზე დასასწრებად და ზიარებისთვის უნდა ემზადებოდეს.

— რომელი პროდუქტებით უნდა იკვებებოდეს ადამიანი მარხვისას?

— მარხვისას უნდა ვიკვებოთ: პურით, ხილით, მცენარეული და ბოსტნეული პროდუქტებით, სადილი კი მოვამზადოთ ზეთზე. მაგრამ საკვები ზომიერად უნდა მივიღოთ, რათა არ ჩავვარდეთ ნაყროვანების ცოდვაში.

— რომელი მარხვებია თევზით ხსნილი?

— იმის გამო, რომ ქრისტეს მოციქულები პეტრე და პავლე მეთევზეები იყვნენ, პეტრე-პავლობის მარხვაში, შაბათი და კვირა ხსნილია თევზით. რაც შეეხება დანარჩენ დიდმარხვებს — თევზით ხსნილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით იქნება პატრიარქის ლოცვა-კურთხევა. თევზი არ უნდა ვიხმოთ (მივიღოთ) ოთხშაბათის და პარასკევის მარხვის დროსაც. ■

დასაწყისი იხ. „გზა“, №43-44

ვვის მოციქული

თამაგ ქორქოლიანი

— ამდენი ხნის იურისტი ხარ და ასეთი ზღაპრები როგორ დაიჯერე? — უთხრა მოდებაძემ, როცა მისი მონათხრობი მოისმინა.

— ზღაპრებიო? — იწყინა ფოფხაძემ, სეიფიდან დინჯი მოძრაობით გადმოიღო საქაღალდე — აბა, ნახე, როგორ ემთხვევა ნახატები სურათებს.

მოდებაძემ საქაღალდე გაშალა, ეს რა საშინელი სუნიაო, — თქვა და სურათებს დახედა.

— ჩვეულებრივი გვამია. რამდენი გინახავს ასეთი, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს? ნახატები სადაა?

— ნახატებიც მანდაა, — უპასუხა ფოფხაძემ.

— საქმეში ორი ფოტოსურათი, სამი ხელნაწერი და ორი ცარიელი ფურცელია, მეტი არაფერი.

— რაო? — იყვირა მილიციის უფროსმა და საქაღალდეს ეცა. — ნახატები! ნახატები სადაა?! კაპანაძე! ღონღაძე! სადაა ნახატები, თქვე შობელძაღლებო?! ტრიბუნალს გადაგცემთ! ციხეში ამოგალპობთ!

შეშინებული ღონღაძე და კაპანაძე კაბინეტში შეცვივდნენ და საქაღალდეს ეცნენ.

— აქ იყო, უფროსო, ბოლოს თქვენ არ ჩაალაგეთ, „პაპკაში“? მერე სეიფში შეინახეთ. მაინც სად უნდა წასულიყო? ეს ფურცლებიც ვინ ჩააწყო ნახატების მაგივრად? — გაიკვირვა კაპანაძემ და ერთი ფურცელი ხელში აიღო. — შეხედე, უფროსო, კარგად დააკვირდი — ოდნავ, სულ ოდნავ ემჩნევა ნახატი.

მოდებაძემ სათვალე შეისწორა, დააკვირდა და ოდნავ შესამჩნევი ჩრდილები შენიშნა ორივე ფურცელზე, რომლებიც ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ.

— დანა? დანა ხომ აქ არის! — იყვირა ისევ სამსონ ფოფხაძემ და საქაღალდე გადმოაპირქვავა. საქაღალდიდან სამი ხელნაწერი ფურცელი გადმოფრიალდა, დანაც გამქრალიყო.

— ახლა კი გაგიჟებას არაფერი მიკლია, — თქვა მილიციის უფროსმა და მოდებაძეს მავედრებელი თვალებით გადახედა.

— თქვენი ვერაფერი გამიგია, ავად ხომ არ ხართ სამივე?! რაა იმაში გასაკვირი, ნახატი თუ გაქრა? — არსებობს ისეთი მელანი, ფანქარიც, რომლით ნაწერიც და ნახატიც დროთა განმავლობაში ქრება, „შპიონები“ ხმარობენ ასეთ „ვეჩნირუჩკას“ და ფანქრებს. დანა კი ალბათ სადმე ჩავარდა, თორემ ნივთს რა ეშმაკი გააქრობდა? კარგად მოძებნეთ, აქ იქნება სადმე, — ისეთი ხმით თქვა მოდებაძემ, ეტყობოდა, რომ თავისი ნათქვამის თვითონვე არ სჯეროდა.

— ეს რაღაა? — დახედა გაკვირვებულმა ბოლოს ბლანკებს.

— მისამართებია. ერთ-ერთი, იმ კაცის მისამართია, ბრალის აღიარებით რომ გამოცხადდა.

— აგაშენა ღმერთმა! მისამართი გქონიათ და მეტი რაღა გინდათ? წავიდეთ და ბოლოს და ბოლოს, დავაპატიმროთ კანკავაძე, „შპიონია“ თუ ვიღაც ოხერი. ჩემი მანქანით წავიდეთ.

სანამ ოთახიდან გავიდოდნენ, მილიციელებმა მუხლები გადაიტყავეს დანის ძებნით. სამსონ ფოფხაძემ სეიფიდან ერთიანად გამოალაგა ყველაფერი, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, დაკარგული დანა ვერ იპოვეს.

კლარა ცეტკინის 49ᲐᲑ ნომერში ძველებური დეკადანსის სტილით ნაგები სამსართულიანი შენობა დახვდათ, რომლის შუაგულში დატანებული თაღი, რიყის ქვით მოკირწყლულ ეზოში შედიოდა. ბინდი იპარებოდა, როცა ოთხივემ თაღში შეაბიჯა და პირველივე შემხვედრ ქალს მიადგა, რომელიც პირველი სართულის აივანზე სარეცხს ფენდა.

— ერასტი კანკავაძეს ხომ არ იცნობთ, ამხანაგო? ამ მისამართზე მოგვასწავლეს, — შეეკითხა მოდებაძე.

— ერასტი კანკავაძე? — გაუკვირდა ქალს. — ეგ კაცი ხომ მოკვდა.

— მოკვდა? — გაიოცა სამსონ ფოფხაძემ. — როდის მოკვდა?

— ზუსტად არ ვიცი. სამი თვის წინ, თუ უფრო ადრე.

— სამი თვე? — გაიოცეს ღონღაძემ და კანაპაძემ.

— მოიცა, კაცო, იქნებ სულ სხვა პიროვნებაზეა ლაპარაკი, — თქვა მოდებაძემ და ისევ ქალს მიუბრუნდა — სად ცხოვრობდა, ქალბატონო, კანკავაძე და ვინმე ჭირისუფალი ან ახლობელი თუ დარჩა?

— მე არ ვიცნობდი. რომ მოკვდა, მაშინაც ძლივს გავიხსენე. ერთი მარტოხელა მოხუცი კაცი იყო. დილას მიდიოდა და საღამოს მოდიოდა. როგორც თქვეს, მემკვიდრე არ დარჩენია. მეზობლებმა დაასაფლავეს სამადლოდ. ცხოვრებით კი, აი, იქ, მესამე სართულის აივნის ბოლოში ერთი ოთახი ჰქონდა და იქ ცხოვრობდა. დალუქულია ახლა ის ოთახი. ორი მეზობელი ედავება ერთმანეთს, საქმე სასამართლოშია და რომელს მიაკუთვნებენ, არ ვიცი.

— ღონღაძე, კაპანაძე, აბა, სასწრაფოდ სახლმმართველი მოიყვანეთ, — ბრძანა მილიციის უფროსმა და იქვე, ეზოში მდგარი გრძელი ძელსკამისკენ წავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ, სახლმმართველიც მოვიდა. სამსონ ფოფხაძეს მისი ჩაცმულობა ეცნაურა და, რომ იტყვიან, ტანმა რაღაც აუგი უგრძნო. სახლმმართველი ზუსტად ისე იყო ჩაცმული, როგორც ერასტი კანკავაძე, ცარცით გათეთრებული „პარუსინის“ ფეხსაცმელიც ეცვა. დამხვდურებს დიმიტრი ნაჭყებიად გაეცნო და პირადობის მოწმობები მოითხოვა, შემდეგ კი, კმაყოფილი, ენერგიული ნაბიჯით აუძღვა ხვეულ კიბეს.

— აი, ეს ოთახია, პატარაა — 10 კვადრატული მეტრი, — თქვა ნაჭყებიამ და ჯიბეში გასაღებს დაუწყო ძებნა, მერე კარს ლუქი ააგლიჯა, გასაღები გადაატრიალა და შეაღო. ოთახიდან უსიამოვნო სუნი გამოვარდა.

— ზუსტად ის სუნია, იმ დოკუმენტებს რომ ასდის. როგორ მეცნობა ეს სუნი... — ჩაილაპარაკა თავისთვის მოდებაძემ. — ჰო, მივხვდი, გვამის სუნია ეს, გვამის სპეციფიკური სუნი. გარდაცვლილი მარტო ცხოვრობდა? ვინ დააფიქსირა მისი სიკვდილი? — შეეკითხა იგი სახლმმართველს.

— სიკვდილი პირადად არავის დაუფიქსირებია, უბრალოდ, მეზობლების ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ღამღამობით მთელი უბნის უპატრონო კატები ამ ოთახის კართან გროვდებოდნენ, ჩხუბობდნენ, კარს ბრჭყალებით კაწრავდნენ და საშინე-

ლი ღნავილით ოთახში შეღწევას ლამობდნენ. შეხედეთ! აი, — და სახლმმართველმა იმ ნაკაწრებზე მიუთითა, ზეთის რუხი საღებავით შეღებილ კარს ხერხის ნაკბილარივით რომ ეტყობოდა.

— შემდეგ? — იკითხა მოდებაძემ.

— შემდეგ, მოვიდა სიგნალი ჩემთან და ჟორა ჩლაიძესთან, უბნის ინსპექტორთან. ჰო, ჟორა ჩლაიძე რატომ არ გამოიძახეთ?

— არაა საჭირო. მე ვაგებ პასუხს.

— მერე, მილიციის უფროსის, ამხანაგ გურგენ ალავიძის ნებართვით მე და უბნის ინსპექტორმა ორი მეზობლის თანდასწრებით გავტეხეთ კარი.

— გასაგებია. შევიდეთ, — თქვა მოდებაძემ.

— მე შიგნით ვერ შემოვალ, — განზე გადგა სამსონ ფოფხაძე.

მისი ნათქვამი არავის გაჰკვირვებია, რადგან სხვებიც ამ აზრისანი იყვნენ. ღონღაძემ და კაპანაძემ ფეხი აითრიეს. ოთახში კი სახლმმართველი და მოდებაძე შევიდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მოდებაძე დერეფანში გამოვიდა და მილიციის უფროსს ფოტოსურათი გაუწოდა.

— ის არის?

— კი, ისაა, ოღონდ ამ სურათში თავის დახატულ გრიშა ცარციას ჰგავს. — უპასუხა ფოფხაძემ და ნაღვლიანი თვალებით გახედა სივრცეს.

— ესაა, ეს, უფროსო, ეს კაცი მოვიდა სამი დღის წინ ბრალის აღიარებით, — ამოღერღეს ღონღაძემ და კაპანაძემ.

— ესე იგი, კანკავაძე, დაახლოებით, ორი თვის წინ გარდაიცვალა? მაშ როგორღა მოვიდა რკინიგზის მილიციაში ბრალის აღიარებით სამი დღის წინ? — სახლმმართველმა მხრები აიჩეჩა:

— აბა, მე რა ვიცი, ამხანაგო? მიცვალებული როგორ უნდა მოსულიყო მილიციაში? კარგი იქნებოდა, უბნის ინსპექტორიც გამოგეძახათ — ოქმი მისი შედგენილია და მოწმეებიც მან შეარჩია. მე კი დაგიდასტურებთ, რომ როცა ოთახში შევედით, ლოგინში მწოლიარე კანკავაძის გვამი აღმოვაჩინეთ. ძალადობის არავითარი კვალი არ ეტყობოდა, არც ძილში გაპარულა, რადგან თვალები ჰქონდა ღიად დარჩენილი, ჭერში იყურებოდა. ჰო, თარიღი გამახსენდა, უბნის ინსპექტორმა, როცა ოქმს ადგენდა, მკითხა — რა რიცხვიაო? თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ კანკავაძე სამი დღის მკვდარი იყო, როცა ჩვენ ეს აქტი შევადგინეთ, დღეს ზუსტად 43-ე დღეა და არა ორი თვე, როგორც ადრე ვთქვი.

— რა ვქნათ? — იკითხა გაბზარული ხმით სამსონ ფოფხაძემ.

— რა უნდა ვქნათ? რაღაც საოცრებასთან გვაქვს საქმე. ჩემს დღეში მსგავსი არაფერი გამიგონია. წავიდეთ, აქ რაღა ჯანდაბა გვინდა?!

სახლმმართველმა კანკავაძის ოთახის კარი ჩაკეტა. მერე მოდებაძემ ლუქით დაბეჭდა და ხუთივე, გრძელი დერეფნის დახვეული კიბის გავლით დაბლა დაეშვა. უკვე საკმაოდ შებინდებულიყო, მაგრამ ლამპიონები ჯერ არ აენთოთ. აქაიქ ფანჯრებიდან ელექტრონის შუქი გამოდიოდა. როცა ეზოში მდგარ ძელსკამს მიუახლოვდნენ, მოულოდნელად ორივე რიგითმა მილიციელმა და მათმა უფროსმა საზარელი ხმით შეჰყვირეს:

— აი! აი! აგერ, სკამზე სხედან ორივე — კანკავაძეც და ცარციაც! აი, აგერ, გვერდიგვერდ სხედან სკამზე ორივე! — ისტერიკულად ჰყვიროდნენ და ხელს ძელსკამისკენ იშვერდნენ.

— ხომ არ გაგიჟდით? რა დაგემართათ? გელანდებათ! აქ არავინაა! — ამაოდ უყვიროდა მოდებაძე სამივეს და ხან ერთს ელობებოდა წინ, ხან მეორეს. სახლმმართველი ნაჭყებია მონუსხულივით იდგა ერთ ადგილას. ბოლოს, უცებ ჩაცხრნენ, სამივემ ხმა გაკმინდა, თავებჩაქინდრულები, ძალაგამოლეულები ფეხზე ძლივს იდგნენ.

— რა დაგემართათ! ნუ გეშინიათ! — უყვავებდა მოდებაძე. — მოდით, სკამზე დასხედით.

სამივემ იუარა სკამზე ჩამოჯდომა და გასასვლელისაკენ გასწია.

— რა მოგივიდათ, კაცო, მოგეჩვენათ? აქ არავინ ყოფილა, სკამი ცარიელია.

— არა, აქ იყო ორივე. ტყუპივით ჰგავდა ერთიმეორეს. გვერდიგვერდ ისხდნენ და ცაში იხედებოდნენ — ხმის კანკალით თქვა მილიციის უფროსმა.

ღონღაძე და კაპანაძე სულს ძლივს იბრუნებდნენ:

— კი, უფროსო! იყვნენ, უფროსო, დედას გეფიცებით, უფროსო!

— გაჩუმდით, თუ არა, დაგხოცავთ ორივეს! — ულრიალა მოდებაძემ და მილიციის უფროსს მიუბრუნდა.

— სამსონ, რა დაგემართა, კაცო? მოჩვენებები დაგეწყო?

— სამივეს როგორ მოგვეჩვენა? — უპასუხა დაბნეულმა ფოფხაძემ აკანკალებული ხმით.

— არ ვიცი. თქვენ ალბათ ჰალუცინაციები გაქვთ. თუ ვინმე იყო, მეც ხომ უნდა დამენახა და ამასაც, — მიუბრუნდა სახლმმართველს მოდებაძე, — თუ ძმა ხარ, დაინახე ვინმე, სკამზე რომ იჯდა?

— არა, სკამი ცარიელი იყო და მე, რა თქმა უნდა, არავინ დამინახავს, — იყო პასუხი. ამის თქმა ძლივს მოასწრო სახლმმართველმა, რომ სამივე მილიციელი ისტერიულად, არაადამიანური ხმით აყვირდა.

— აი, ეს არის კანკავაძე! აი, ეს არის, ეს! — დაძაბულობისგან კისრის ძარღვები ასკდებოდათ, სახეგალურჯებულებს. სამსონ ფოფხაძემ მოულოდნელად ნაგანი იშიშვლა და ის-ის იყო, სახლმმართველისათვის უნდა დაეხალა ტყვია, რომ მოდებაძემ იმარჯვა და ხელი აუკრა. ნაგანმა მაინც გაისროლა, ბედად, ტყვია ჰაერში გავარდა.

— რისთვის მკლავთ? რა დაგიშავეთ, ამხანაგო? რის კანკავაძე, რა კანკავაძე? — ნაჭყებია ვარ, „კომენდანტი", ქვეყანა მიცნობს. შეიშალეთ სამივე? არა, მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ. რაფავასთან გიჩივლებთ, ლავრენტი პავლოვიჩს მივწერ მოსკოვში! — თქვა შიშისაგან სახეგაფითრებულმა სახლმმართველმა და ეზოდან გავარდა; თაღში რომ გადიოდა, მთელი ტანით შემობრუნდა, თავიც კისერმოქცეულივით ალმაცერად ეკავა.

— რა დაგემართა, კაცო? რა პატარა ბავშვივით იქცევი! ცოტაც და შემოგაკვდებოდა, — უსაყვედურა ფოფხაძეს მოდებაძემ.

— იმის სახე ჰქონდა! საუბარი რომ დაიწყო, სახე შეეცვალა და კანკავაძედ გადაიქცა, მერე ისევ თავისი სახე დაუბრუნდა... — თქვა მილიციის უფროსმა.

— სწორია, უფროსო, სწორი, ზუსტად მასე მოხდა, — დაუმოწმეს ნერვული დაძაბულობისაგან არაქათგამოცლილმა მილ-

იციელებმა ფოფხაძეს.

— კოლექტიური ჰიპნოზი გამიგია, მაგრამ კოლექტიური ჰალუცინაცია? — თქვა დაეჭვებით მოდებაძემ. — აბა, ჩქარა, მოვცილდეთ ამ ოხერ ადგილს. ექიმთან წავიდეთ, ფსიქიატრთან, მეც ვერ ვარ რაღაც კარგად.

ამ დროს, მოდებაძეს, მისდა უნებურად, თვალწინ დაუდგა სახლმმართველი ნაჭყებია, რომელიც თაღში გასვლის დროს მთელი ტანით შემობრუნდა...

და ისევ ინსტინქტურად, გასასვლელისაკენ გაექცა მზერა. სახლმმართველი ნაჭყებია სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა თაღისკენ. ეს ხომ ერთხელ უკვე იყოო, — გაიფიქრა მოდებაძემ და ტანმა რაღაც ფარსაგი უგრძნო. სახლმმართველი თაღში გავიდა, მთელი სხეულით შემობრუნდა კისერმოღრეცილი და მოდებაძემ თავისი თვალით დაინახა, — ნაჭყებიას უცნობი მიცვალებულის სახე ჰქონდა. გაყინული ლიბრიანი თვალებით კი ცაში იხედებოდა. უცებ ტვინში რომელიღაც კაპილარის გაწყვეტის ხმამ გააყრუა. თვალები შიგნიდან მოვარდნილმა სინათლემ დაუბრმავა და როცა გონს მოეგო, იმავე ეზოში, ძელსკამზე მისვენებულს, თავს „სასწრაფო დახმარების“ ექიმი, ექთანი და სანიტარი ადგნენ. იქვე იყვნენ დაზაფრული და ნირწამხდარი მილიციელებიც.

— რა იყო, კაცო, შენ რაღა დაგემართა? — შეეკითხა ფოფხაძე.

— ის იყო, ის, მეც ჩამითრია იმ სატანამ! — თქვა მოდებაძემ და წამოჯდა.

— ახლა არა გიშავთ, რა, წნევა ნორმაზე დავიდა, თავბრუ ხომ არ გეხვევათ? — ჰკითხა ექიმმა.

— არა, ექიმო, უკეთესად ვარ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რაღაც ამოუცნობის შიში ჩამიდგა სხეულში. ფსიქიატრთან წაგვიყვანეთ ოთხივე, — უთხრა ექიმს მოდებაძემ.

ულვაშებგადაგრეხილმა პროფესორმა, სამამულო ფსიქიატრიის კორიფემ, ირონიული ღიმილით მოუსმინა სათითაოდ ყველას, მერე ოთხივე, საგულდაგულოდ გასინჯა, მხრები აიჩჩა და თქვა:

— თქვენი მონათხრობი, პატივცემულო ამხანაგებო, ვერავითარი ლოგიკის ჩარჩოში ვერ ეტევა — როგორც სამედიცინო თვალსაზრისითა, ასევე საყოფაცხოვრებო და ობიექტური რეალობიდან გამომდინარეცა. ჩემის ღრმა რწმენითა, თქვენზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებულმა ნერვიულმა სტრესებმა იმოქმედეს უარყოფითადა. ამიტომა, საშური საქმე იქნება, თუ ორიოდე კვირით მაინცა დაისვენებთ, როგორც ფიზიკურადა, ასევე სულიერადა. თუ გსურთ, სარაჯიშვილის მიქსტურას გამოგიწერთ, მაგრამა, რად გინდათ? — ხარივით ჯანმრთელები ხართ ოთხივენი.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, საკუთარი განცხადების საფუძველზე, მილიციაში მუშაობას თავი დაანებეს მერაბ ღონღაძემ და უშანგი კაპანაძემ. ორივე, საკუთარ სოფელს და თოხებს დაუბრუნდა. ერთი ხაშურში — ძაღლთა უბანში, მეორე — ხარაგაულში, სოფელ ჩხერში.

მილიციიდან დაითხოვეს და ე.წ. „დამსახურებულ“ პენსიაზე გაუშვეს ორდენოსანი სამსონ ფოფხაძე. სამსახურიდან მის გათავისუფლებაში დიდი როლი შეასრულა სახლმმართველ ნაჭყებიას საჩივარმა, რომელსაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის რაფავას მკაცრი რეზოლუცია ედო. „უბრატ იზ ორგანოვ ენ-კა-ვე-დე!“

პროკურატურის საგანგებო საქმეთა გამომძიებელ მოდებაძეს ზემდგომმა პარტიულმა და სამართლებრივმა ორგანოებმა დაავალეს ამ არაჩვეულებრივი მოვლენის საიდუმლოდ გამოძიება და დეტალურად აღწერა, რომელიც მან დადგენილ დროში, მაღალპროფესიონალურ დონეზე პირნათლად შეასრულა. მადლობის გამოცხადებას არ დაელოდა, ისე დაწერა განცხადება, წამოვიდა პროკურატურიდან, ადვოკატობას მიჰყო ხელი და მთელი შემდგომი ცხოვრება, მხოლოდ სამოქალაქო საქმეებით იყო დაკავებული. სისხლის სამართლის არსებობა საერთოდ მიივიწყა.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, სახლმმართველ ნაჭყებიას ციებ-ცხელებამ დარია ხელი და ლოგინად ჩააგდო. ერთი თვის შემდეგ, როცა მოიკეთა და ფეხზე დადგა, საკუთარი ცოლ-შვილი ველარ იცნო. დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მამა მოიკითხა, — სად არისო? ექიმებმა სწრაფად პროგრესირებადი სკლეროზის დიაგნოზი დაუსვეს. მერე, პერიოდულად უბრუნდებოდა მეხსიერება და ისევ მალე ეკარგებოდა. შიშით შეპყრობილი, პატარა ბავშვივით, საწოლის ქვეშ იმალებოდა. ოჯახის წევრებს უმიზეზოდ ეჩხუბებოდა, ქუჩაში შიშველი გადიოდა, ოთახში ისაქმებდა. დასანახავად ვერ იტანდა კატებს. ისე მოაბეზრა ცოლ-შვილს თავი, რომ ახალქალაქის ინვალიდთა სახლში მიაბარეს „დროებით“. იქვე ორ წელიწადში გარდაიცვალა, ყველასგან მივიწყებული.

№1066 საქმემ კიდევ ერთი კაცი — ქუთაისის პროკურატურის 65 წლის დარაჯი პორფილე ერაძე დააზარალა. სადგურის მოსაცდელში მომხდარი ინციდენტის მესამე დღეს, როცა გამომძიებელი უშანგ თარგამაძე და ექიმ-პათანატომი ვალოდია ლეჟავა გრიშა ცარციას გვამის ხელახალი დათვალიერების მიზნით მორგში მივიდნენ, მათ იქ მოკლულის გვამი არ დახვედრიათ: ის გაურკვეველ ვითარებაში, უკვალოდ გამქრალიყო და რადგან იმ დღეს პორფილე ერაძე მორიგეობდა, „სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო, რომელმაც გამოიწვია გამოუსწორებელი შედეგი“, დარაჯი გაასამართლეს და ორი წელი ახეხინეს ქუთაისის ისტორიული ციხის ბაღლინჯოიანი კედლები. როგორც მოგახსენეთ, მოდებაძემ, ზემდგომი ორგანოების დავალებით საიდუმლოდ გამოიძია „კანკავაძის“ საქმე. საგამოძიებო მასალებში, რომელიც მხოლოდ იურიდიული მტკიცებულებების მოპოვებით შემოიფარგლებოდა და სხვა მიზანს არ ისახავდა, განყენებულად დგას ოდესის უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის ყოფილი პროფესორის, „ოხრანკის“ ყოფილი აგენტის, აწ კი, „ჩეკას“ საიდუმლო კონსულტანტის, პატრი ალფონსო კობიძის აზრი მომხდარის შესახებ. „მსგავსი მოვლენები, — წერს პატრი ალფონსო, — ყოველგვარ აზრს და თავის იდუმალ დანიშნულებას დაკარგავდა, თუკი მათ ახსნას გონებით, ლოგიკური აზროვნების მეშვეობით ანდა არგუმენტების ლოგიკურობის მოშველიებით ვეცდებოდით. მოვლენის არსში წვდომის ჭეშმარიტი და ნაცადი მეთოდები ამ შემთხვევაში უძლურია მომხდარის ამოსახსნელად. ამიტომ, ერწმუნეთ ჩემს სიტყვას მსგავსი მოვლენებით უზენაესი მოკვდავთ მიგვანიშნებს, რომ მალე ამ ჩვენს უღმერთო ქვეყანას დიდ განსაცდელში ჩააგდებს და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენებს“...

სახელმწიფო იდეოლოგიიდან გამომდინარე, ალფონსო კობიძის აზრი, რაღა თქმა უნდა, უარყოფილი იქნა, მაგრამ შესაბამისი ფორმით, შინაარსის შეუცვლელად, სასწრაფოდ და ოპერატიული გზით გაიგზავნა მოსკოვს. თვითმხილველები ამტკიცებენ — კრემლის სიუზერენი — თვით ამხანაგი სტალინიც კი, ღრმად ჩაფიქრა ალფონსო კობიძის უცნაურმა ვერსიამ.

მიუხედავად მკაცრად გასაიდუმლოებისა, ამ ამბავმა ხალხში მაინც გაჟონა. ერთ დროს ეს თემა ყველაზე პოპულარული გახლდათ მთელ საქართველოში, მერე კი ნელ-ნელა მიივიწყეს და არც არავის გაახსენდებოდა, ამ სტრიქონების ავტორს რომ არ ჩავარდნოდა ზემოხსენებული საქაღალდე ხელში. ხალხში ამბობენ, მსგავსი უცნაური ამბები, დიდი მიწისძვრების, წყალდიდობებისა და ჟამიანობის წინ ხდებაო. ეს ამბავიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1940 წლის ივნისში მომხდარა, ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი, დიდი ომი დაიწყო.

დასასრული

„ბავარიის" მიერ დასჯილი ჯანი კომპიუტერული თამაშის შემქმნელებს უჩივის



მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების მეკარე, ოლივერ კანი პოპულარული საფეხბურთო-კომპიუტერული თამაშის – FIFA 2002 World cup-ის შემქმნელებს უჩივის, რადგან მიიჩნევს, რომ ამ კომპანიამ მისი უფლებები დაარღვია. კანი კომპიუტერული თამაშების მწარმოებელი ფირმა EA Sports-ისაგან FIFA 2002 World cup-ის გამოშვების შეწყვეტასა და ერთ მილიონ ევროს მოითხოვს. აღნიშნულ თამაშში „ბავარიის" მეკარე რამდენიმე [illegible]ში ჩანს. გარდა ამისა, კანის სახე გამოყენებულია [illegible]ში. ოლივერის ადვოკატმა, მათიას პრინცმა განაცხადა, რომ მის კლიენტს EA Sports-ისათვის ამის უფლება არ მიუცია. კომპიუტერული თამაშების შემქმნელმა ფირმამ ფიფასაგან სახელის გამოყენების უფლება მიიღო და Fifpro-სთანაც (მოთამაშეთა საერთაშორისო პროფკავშირი) გააფორმა ხელშეკრულება, მაგრამ ცალკეული ფეხბურთელებისათვის, მათი სახელებისა და გარეგნული მონაცემების გამოყენების უფლება არ უთხოვია. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიაში FIFA 2002 World cup-ის 300.000 ეგზემპლარი გაიყიდა, თუმცა, თუ სასამართლო, კანის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, კომპიუტერული თამაშის გაყიდვა შეიძლება უკვე დეკემბერშივე შეწყდეს. ამასთან, EA Sports-ის წინააღმდეგ „ბავარიის" მეკარის მიერ წამოწყებულ კამპანიას, შესაძლებელია, ფეხბურთის სხვა ვარსკვლავებიც შეუერთდნენ, რის მაგალითსაც მათ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციაც მისცემს, რომელიც აღნიშნული ფირმის წინააღმდეგ სასამართლო საქმის აღძვრას იმის გამო აპირებს, რომ მწარმოებლებმა პროგრამის შექმნისას დაუკითხავად გამოიყენეს ბუნდეს-ნაკრების ტრადიციული ფერები. რაც შეეხება [illegible]ად ოლივერ კანს – ცოტა ხნის წინ, კლუბის ექიმის მიერ [illegible]სთვის დადგენილი სამკურნალო-აღდგენითი რეჟიმის დარღვევისათვის იგი „ბავარიის" ხელმძღვანელობამ ფულადი ჯარიმით დასაჯა. როგორც ფეხბურთის გულშემატკივართათვის არის ცნობილი, კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის „მილანთან" ჩატარებულ შეხვედრაში ბარძაყის ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც მას მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელობამ დასვენების უფლება მისცა. როგორც ჩანს, ოლივერ კანი მხოლოდ გოლფის თამაშით თავისუფალი დროის გაყვანამ ვერ დააკმაყოფილა და იგი ძმასთან, აქსელთან ერთად, მშობლიურ კარლსრუეში, დისკოთეკაზე გაეშურა. „აბა, რა გითხრათ? კანს დასვენება და მშვიდ გარემოში ყოფნა ურჩიეს, ის კი ადგა და დისკოთეკაზე წავიდა, – განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა, რომლის გუნდიც უკვე გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას [illegible] კანი დაჯარიმდება. ექიმებმა მას გოლფის თამაშის ნება დართეს ფსიქოლოგიური განტვირთვისათვის, მაგრამ დისკოთეკა სულ სხვა რამ არის".

„რეალის" ქომაგები ჯიჯას აპრიტიკებენ, ზიზუ კი, ყველაფერს გუნდის შავ სამოსს აბრალებს

ფეხბურთის გულშემატკივართათვის ცნობილია, რომ მადრიდის „რეალი" ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში წარუმატებლად ასპარეზობს, როგორც პრიმერადივიზიონში, ასევე ჩემპიონთა ლიგაშიც. მიუხედავად ამისა, გუნდის პლეიმეიკერი, ზინედინ ზიდანი მიიჩნევს, რომ „სამეფო კლუბში" საგანგაშო არაფერი ხდება და ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზად, „რეალის" ფეხბურთელთა შავი ფერის ფორმას ასახელებს, რომლითაც მათ გასვლაზე უხდებათ ხოლმე თამაში. „არავითარ კრიზისზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, – ამბობს ზიზუ. – უბრალოდ, გუნდს მცირე ჩავარდნა აქვს. რა თქმა უნდა, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ შემდგომ მატჩებში გამარჯვებებს მივაღწიოთ. იქნებ, ფორმის ფერიც შეგვეცვალა, რადგან უკვე დიდი ხანია, რაც სტუმრად შეხვედრას ველარ ვიგებთ. მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ვხედავ, რომ შავ ფორმას ჩვენთვის წარმატება არ მოაქვს, თანაც საინტერესოცაა, თუ როგორ ვითამაშებთ სტუმრად თეთრი ფორმით".

„რეალის" ქომაგთა შორის კი, უკვე ჩაცხრა კლუბში რონალდოს ჩარიცხვით გამოწვეული ეიფორია და ახლა ისინი გუნდის წარუმატებლობისთვის, ვისენტე დელ ბოსკესთან ერთად, ბრაზილიელ ფორვარდსაც აკრიტიკებენ. ესპანელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა საგრძნობლად გასუქებული კიჭა, ფრანგული კომიქსებისა და ფილმების პერსონაჟ „ასტერიქს-ობელისკსაც" კი შეადარეს, რომელსაც უჩვეულოდ დიდი მუცელი აქვს. მიუხედავად ამისა, ნაკლებად ემოციური საფეხბურთო მიმომხილველები და სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ „სამეფო კლუბის" ქომაგებს საგანგაშოდ სულაც არა აქვთ საქმე, ხოლო რონალდოს უმთავრეს პრობლემად გუნდთან მის შეუთამაშებლობას ასახელებენ.



ჩეკი გორს შინაპატიმრობა მიუსაჯეს

„ფიორენტინის" ყოფილ პრეზიდენტს, ვიტორიო ჩეკი [illegible]ორს შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ამჟამად იგი რომში იმყოფება და მისი მომავალი ჯერჯერობით ბურუსით არის მოცული. კლუბის პრეზიდენტის აყვანის სანქცია სასამართლომ მას შემდეგ გასცა, რაც „ფიორენტინის" გაკოტრებასთან დაკავშირებული საქმის გამოძიება დაიწყო. გორის გარდა, შესაძლოა, პრობლემები შეექმნათ კლუბის სხვა ყოფილ ხელმძღვანელებსაც, რომელთა სახლების ჩხრეკა ფლორენციაში პოლიციამ უკვე ჩაატარა.

გერმანელებმა 2006 წლის მუნდიალისათვის მზადება უკვე დაიწყეს

მიუნხენში ახალი სტადიონის მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილი ცერემონია გაიმართა, რომელშიც ფრანც ბეკენბაუერმაც მიიღო მონაწილეობა და საძირკველში სიმბოლურად, კლუბ „ბავარიის“ ფერებში შეღებილი პირველი აგურიც ჩადო. ანალოგიურად მოიქცა „მიუნხენ 1860“-ის პრეზიდენტიც, რომელმაც თავისი კლუბის ფერებში შეღებილი სიმბოლური აგურის დადებით აღნიშნა მშენებლობის დაწყება. აღსანიშნავია, რომ ბეკენბაუერის პატივსაცემად, 66-ათასკაციან სტადიონს უკვე უწოდეს „კაიზერის სასახლე“. ოფიციალურად კი, ახალ მოედანს „ალიანს არენა“ ერქმევა – იმ სადაზღვევო კომპანიის სახელი, რომელმაც მშენებლობისათვის 100 მილიონი დოლარი გაიღო. სტადიონის მშენებლობა დაახლოებით 273 მილიონი დოლარი დაჯდება და სავარაუდოდ, 2005 წლისათვის დასრულდება. „ალიანს არენაზე“ გაიმართება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩი და საზეიმო გახსნის ცერემონია. მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი, „კაიზერის სახლის“ ბატონ-პატრონნი, „ბავარია“ და „მიუნხენ 1860“ გახდებიან – კლუბები, რომლებმაც სადაზღვევო კომპანია „ალიანს არენასთან“ ერთად, გაიღეს თანხები მშენებლობისათვის. „ახალი სტადიონი ქალაქის ფინანსურ აღმასვლას შეუწყობს ხელს“, – განაცხადა ცოტა ხნის წინ ბავარიის ბურგომისტრმა, ედმუნდ შტოიბერმა.

შესაძლოა, ჯაფუ „მანჩესტერში“ აღმოჩნდეს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი აღფრთოვანებული ყოფილა ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და „რომას“ მარჯვენა მცველის, 32 წლის კაფუს თამაშით, რომელსაც მომავალი ზაფხულისათვის, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ნებისმიერ კლუბთან შეეძლება ხელშეკრულების დადება. ამიტომ, 2003-2004 წლების საფეხბურთო სეზონში შესაძლებელია, პენტაკომპეონთა კაპიტანი „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში ვიხილოთ. „ვიცი, რომ უკვე დიდი ხანია, რაც „მანჩესტერს“ ჩემთან კონტრაქტის გაფორმება სურს, – ამბობს კორეა-იაპონის მუნდიალის ტრიუმფატორი, რომელმაც ადრე არაერთხელ განაცხადა უარი ინგლისურ კლუბებში გადასვლაზე, – თუმცა, მე ყოველთვის მსურდა სერია A-ში თამაში. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ დიდი პატივია, როდესაც ასეთ სახელოვან კლუბს შენი შეძენა სურს. ალბათ შემდგომი კონტრაქტი ჩემს საფეხბურთო კარიერაში უკანასკნელი იქნება. ამიტომ მსურს, ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებ, კარგად დავფიქრდე. ამასთან, „რომას“ იმის უფლებას არ მივცემ, რომ ისევე მომექცეს, როგორც ჩემს მეგობრებს – ზაგუსა და ალდაირს მოექცა, როდესაც მათ კონტრაქტის ვადა ამოწურათ და ახალ წინადადებას დიდხანს ელოდნენ. მე გადაწყვეტილებას ახალი წლის დადგომისთანავე მივიღებ“.



როი ჯინს დენის ბერგკამპმაც მიჰბაძა

ჟურნალ „გზის“ ფურცლებზე მკითხველს რეგულარულად ვაწვდიდით ინფორმაციას როი კინის მიერ გამოშვებული ავტობიოგრაფიული წიგნის გარშემო აგორებული სკანდალის შესახებ. ირლანდიელი ფეხბურთელი, რომელიც ინგლისური ფეხბურთის მესვეურებმა ფულადი ჯარიმითა და რამდენიმეტრიანი დისკვალიფიკაციით უკვე დასაჯეს, თავის წიგნში დაუფარავად აცხადებდა, რომ „მანჩესტერ სითისთან“ გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაში მან შეგნებულად მიაყენა ტრავმა ნორვეგიელ ალფ ინგე ხაალანდს. ცოტა ხნის წინ კი გამოირკვა, რომ ნისლიანი ალბიონის საფეხბურთო მოედნებზე, როი კინის გარდა, სხვა გულღრძო ლეგიონერებიც მოიძებნებიან. აი, მაგალითად, „არსენალის“ ჰოლანდიელი ფორვარდი, დენის ბერგკამპი თავის ირლანდიელ შურისმაძიებელ კოლეგას გულწრფელობაში არაფრით ჩამორჩა და დაუფარავად განაცხადა, რომ „ბლექბერნთან“ გამართულ ერთ-ერთ მატჩში, რომელიც ინგლისის ჩემპიონთა დამარცხებით დასრულდა, მცველ ნილს-ერიკ იუჰანსონს განზრახ დაბიჯა ფეხი. თვითმფრინავით მგზავრობის მიმართ დაუძლეველი შიშით შეპყრობილი ჰოლანდიელის თქმით, იგი მოწინააღმდეგე ფეხბურთელს არასპორტულად იმიტომ მოექცა, რომ თვით ამ უკანასკნელის უხეში თამაში მატჩის არბიტრმა, გრემ ბარბერმა უყურადღებოდ დატოვა. სხვათა შორის, მსაჯმა ყურადღება არ მიაქცია ბერგკამპის საქციელსაც, თუმცა, ვიდეოჩანაწერის განხილვის საფუძველზე, მას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისაგან დისკვალიფიკაცია მაინც ემუქრება. „მე საჯარიმო დარტყმის უფლებას ვიმსახურებდი, მაგრამ არბიტრმა არ დანიშნა, რამაც წონასწორობა დამაკარგვინა. მიუხედავად ამისა, ჩემი ქმედება არც ისე უხეში ყოფილა, როგორც ეს ვიდეოჩანაწერის ნახვისას შეიძლება ჩანდეს. არა მგონია, რომ სერიოზულ დასჯას ვიმსახურებდე“, – განაცხადა ბერგკამპმა, რომლის საფეხბურთო კარიერაშიც აღნიშნული შემთხვევა პირველი არ ყოფილა. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში იგი „ლივერპულელი“ ჯეიმ კოროგერის მიმართ ჩადენილი უხეშობისათვის იქნა მოედნიდან გაძევებული და დისკვალიფიცირებული. შეიძლება გავიხსენოთ 1998 წლის მუნდიალიც, რომლის მერვედფინალურ მატჩშიც, დენისმა იუგოსლავიელ სინიშა მიხაილოვიჩს დაბიჯა ფეხი, თუმცა, მისი უმსგავსი საქციელი მსაჯმა მაშინაც ვერ შენიშნა და ჰოლანდიელთა ფორვარდი დისკვალიფიკაციას გადაურჩა, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის წესებით, ვიდეოჩანაწერის საფუძველზე ფეხბურთელის დასჯა არ შეიძლება.

მარადონა ჟურნალისტებზე ნადირობას განაგრძობს

დონ დიეგო მორიგ სკანდალში გაეხვა. ყოველდღიური გაზეთის, EI Panama America-ს ფოტოგრაფი, რიკარდო იტურიაგა მას თავდასხმაში სდებს ბრალს. „ის სქელი და არანორმალურია. მე მისთვის სურათის გადაღება მსურდა, ის კი, გააფთრებული, კისერში მწვდა“, – განაცხადა იტურიაგამ, რომელიც არგენტინელი სუპერვარსკვლავის ფოტოფირზე აღბეჭდვას კოლუმბიელი მომღერლის, კარლოს ვივესის კონცერტზე ცდილობდა. მარადონას ბრალს სდებს EI Panama America-ს კიდევ ერთი წარმომადგენელი – რეპორტიორი, ალექს გარსია, რომელიც აცხადებს, რომ არგენტინის ეროვნული ნაკრების ყოფილმა ლიდერმა მას ძლიერად ჰკრა ხელი. კონცერტზე მასმედიის აბეზარ წარმომადგენლებთან კონფლიქტურ სიტუაციაში მოხვედრას, თავად დიეგოსათვის ხელი არ შეუშლია იმაში, რომ მას პირდაპირ სცენაზე გაემართა ბურთაობა ვივესთან ერთად. თუ მარადონას წარსულს გავიხსენებთ, შეიძლება ითქვას, რომ EI Panama America-ს წარმომადგენლებს გაუმართლათ, რადგან ჩვეულებრივ, დონ დიეგო ჟურნალისტებს საფანტის თოფით უსწორდებოდა ხოლმე. სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტებისათვის კი, კარლოს ვივასის კონცერტზე მომხდარი შემთხვევა ალბათ მშვენიერი საჩუქარი იყო, მით უმეტეს, რომ ისინი დიეგოს „სახალისო ამბებს“ უკვე მიჩვეულები არიან. აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ ფიდელ კასტროსთან დაძმობილებული მარადონა მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში ბოლოს, კორეა-იაპონიის მუნდიალის მსვლელობისას აღმოჩდა. დიეგოს თავიდან, იაპონიაში ჩასვლის ნებას საერთოდ არ რთავდნენ იმ მიზეზით, რომ იგი წარსულში ნარკომანი იყო, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მან მაინც ჩააღწია ამომავალი მზის ქვეყანაში და პრესკონფერენციაზე თავისი ჩვეული პირდაპირობით კიდევ ერთხელ გაართო პრესის მუშაკები, როდესაც ჯერ ჯორჯ ბუშის კრიტიკასა და ფიდელ კასტროს ქება-დიდებას მიჰყო ხელი, შემდეგ კი, არც წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი დაივიწყა და მას საშუალო დონის ტურნირი უწოდა.

„მონპელიეს“ წარუმატებლობას მწვრთნელის ჯარიერა შეეწირა

„მონპელიეს“ ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა გუნდის მთავარი მწვრთნელი, მიშელ მეზი, რომელიც საფრანგეთის პირველ დივიზიონში ერთ-ერთ უძლიერეს სპეციალისტადაა მიჩნეული. კლუბის პრეზიდენტმა, ლუი ნიკოლინმა ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მისი გუნდი მიმდინარე საფეხბურთო სეზონში, მეტისმეტად წარუმატებლად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილის ბოლოში იმყოფება. მკითხველს ვაუწყებთ, რომ მეზი პირველად, „მონპელიეს“ 1985-87 წლებში ედგა სათავეში, შემდეგ, გუნდში 1990 წელს დაბრუნდა და საფრანგეთის თასიც მოიგო; მესამედ „მონპელიეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტი 1994-98 წლებში ეკავა, 1999 წელს კი, მიშელ მეზიმ ამ თანამდებობაზე ჟანლუი გასე შეცვალა და კლუბის პირველ დივიზიონში გადაყვანაც შეძლო. აღსანიშნავია, რომ მეზი ნიკოლინის უახლოესი მეგობარია, თუმცა, ერთ-ერთი ბოლო ტურის მატჩის შემდეგ, რომელშიც „მონპელიემ“ „ტრუას“ დამარცხება ვერ შეძლო, კლუბის პრეზიდენტმა თავი ვეღარ შეიკავა და მწვრთნელი გაათავისუფლა. დროებით „მონპელიეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტი მეზის თანაშემწემ, ჟერარ ბერნადეტმა დაიკავა, რომელიც წარსულში, ამ გუნდის თავდამსხმელი იყო. ახლო მომავალში კი, ნიკოლინი კლუბის ახალ მწვრთნელს დაასახელებს.

ძოლას სამშობლოში უხმობენ

იტალიური კლუბი „კალიარის“ წარმომადგენლები სპეციალურად ჩავიდნენ ლონდონში იმისათვის, რათა „ჩელსის“ პლეიმეიკერ ჯანფრანკო ძოლასთან მოლაპარაკება გაემართათ. ძოლას, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია, წარმატებულად ასპარეზობს პრემიერლიგაში, 2003 წლის ივნისში „ჩელსისთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება. „კალიარის“ მესვეურნი კი, იმედს არ კარგავენ, რომ ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი კვლავ მოისურვებს იმ კლუბში თამაშს, რომელშიც მან თავისი საფეხბურთო კარიერა დაიწყო.

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

პირდაპირი და უკომპლექსო

ფამკე იანსენი

ფაუმკე იანსენი იმ მცირერიცხოვან ვარსკვლავთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც ცხოვრებაში კიდევ უფრო მომხიბლავად გამოიყურებიან, ვიდრე ეკრანზე. წაბლისფერთმიანი, გრძელფეხება (მისი სიმაღლე 180 სმ-ია) მსახიობი-ფოტომოდელი, სადაც არ უნდა გამოჩნდეს, მაშინვე ირგვლივ მყოფების ყურადღებას იპყრობს, _ მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მუქი ფერის მკაცრ კოსტიუმშია ხოლმე გამოწყობილი. იგი ოთხ ენას ფლობს და ეკონომისტის დიპლომიც აქვს. ფაუმკე ამბობს, რომ სამსახიობო კარიერის დასაწყისში საოცრად სასოწარკვეთილი იყო.

1984 წელს იანსენი მშობლიური ჰოლანდიიდან აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. მალე მან უარი განაცხადა ფოტომოდელის წარმატებულ კარიერაზე და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ლიტერატურისა და სამწერლო ხელოვნების შესწავლას მიჰყო ხელი; პარალელურად სახისმეტყველებასაც ეუფლებოდა და მსახიობობაზე ოცნებობდა. მისი თქმით, იყო დღეები, როცა მას ეჭვი ეპარებოდა თავისი არჩევანის სისწორეში. „ასეთი პერიოდები ხანმოკლე არ ყოფილა, — ირწმუნება არაჩვეულებრივი აღნაგობის მშვენიერი ჰოლანდიელი. — ეს წლების მანძილზე გრძელდებოდა! ჩემი ცხოვრების უმძიმესი ხანა იყო: არ მქონდა ფული, არავინ მთავაზობდა როლს. მაგრამ არ ვკარგავდი იმის რწმენას, რომ ოდესმე მსახიობი გავხდებოდი. კინოს სამყაროში ძალზე დიდი კონკურენციაა — ეს არის სამყარო, სადაც გამუდმებით, ყოველ მკვეთრ მოსახვევში შენს უკან ჩამოტოვებას ცდილობენ“.

1994 წელს, როცა მსახიობი ბონდიანის ახალი ფილმის — „ოქროს თვალის“ სინჯებში მონაწილეობდა, მას უკვე მცირებიუჯეტიან ფილმებში შესრულებული რამდენიმე როლი და ტელესერიალში — „ვარსკვლავური ტრეკი: ახალი თაობა“ — ნათამაშები ეპიზოდი ჰქონდა. ფამკემ შეძლო გაუმაძღარი მკვლელის — ქსენია ონატოპის როლის მიღება; 1995 წელს კი, პირველი ვარსკვლავური წარმატებაც იგემა. თუმცა, შემდეგ კვლავ რამდენიმე წლით გაუჩინარდა ჰოლივუდის ასპარეზიდან და მხოლოდ დამოუკიდებელი სტუდიების ნამუშევრებში მონაწილეობდა.

90-იანი წლების ბოლოს, იანსენმა კვლავ დალაშქრა დიდი კინოს სიმაღლეები და წარმატებაც მოიპოვა. იგი მონაწილეობდა ფილმებში: „სიღრმიდან ამოსვლა“, „ფაკულტეტი“ და „სახლი მოჩვენებების გორაკზე“. წლეულს კი, ფამკე კინოკომიქსების მოყვარულთა გასახარად, ფანტასტიკურ ბოევიკში — „იქსის ადამიანები“ გადაიღეს, სადაც ტელეპათიისა და ტელეკინეზის ნიჭით დაჯილდოებული მუტანტის — ჯინ გრეის როლი შეასრულა. სურათმა მსახიობსაც და ავტორებსაც იმდენად დიდი წარმატება მოუტანა (ზაფხულის ბოლოსათვის მისმა შემოსავალმა 148 მლნ დოლარს გადააჭარბა), რომ მათ გაგრძელების გადაღება გადაწყვიტეს და ფამკე იანსენმაც უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს.

მსხვილბიუჯეტიან ბოევიკებთან ერთად, ფამკე მცირებიუჯეტიან, დამოუკიდებელი სტუდიების ფილმებშიც დიდი სიამოვნებით მონაწილეობს. ერთ-ერთი ასეთი სურათია — „სიყვარული და სექსი“, რომელიც სულ მალე გამოვა ეკრანებზე. მასში იანსენი მწერალს — ქეით უელსს ასახიერებს, რომელიც იდეალურ სასიყვარულო რომანზე შეკვეთილი სტატიის წერისას, საკუთარი პირქუში და ტრაგიკული ცხოვრების დეტალებს იხსენებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს, ფამკე იანსენის პირველი მთავარი როლია. მისი გმირის ექსსაყვარლის როლს ამ რომანტიკულ ტრაგიკომედიაში ჯონ ფავრო ასრულებს. ამის შემდგომ, მაფიოზების ცხოვრებაზე გადაღებულ კომედიაში — „შესრულებულია“, იანსენს ფავრო არა მარტო პარტნიორად, არამედ სურათის რეჟისორადაც მოევლინა.

ამ ცოტა ხნის წინ, ფამკე ქმარს — სცენარისტსა და რეჟისორს ტოდ კიპ უილიამსს გაეყარა, რომელმაც იგი თავის დროზე გადაიღო ფილმში „სებასტიან კოულის თავგადასავლები“. „ვერ ვიტყვი, რომ ქორწინებაში უბედური ვიყავი, — ამბობს მსახიობი. — გარწმუნებთ, რომ

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ: „ᲑᲝᲜᲓᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ“ ᲘᲐᲠᲚᲘᲧᲘ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲛᲝᲛᲔᲙᲔᲠᲔᲑᲐ-ᲛᲔᲝᲥᲘ“

ქმართან კარგად ვგრძნობდი თავს და დიდხანს ბედნირებიც ვიყავით. მართალია, ახლა მიჭირს მარტო ცხოვრება, მაგრამ რას ვიზამ, ზოგჯერ ალბათ 11 წლის თანაცხოვრებაა საჭირო, რათა მიხვდე, რომ შენ და შენი ქმარი იდეალური წყვილი არა ხართ“. იანსენის თქმით, ისინი გაყრის შემდეგაც მეგობრებად დარჩნენ. უფრო მეტიც — მათი მშობლებიც კვლავინდებურად მეგობრობენ და დღესასწაულებზე ჰოლანდიასა და შტატებშიც სტუმრობენ ერთმანეთს. იანსენი არ გრძნობს თავს მარტოსულად და ამ ეტაპზე მამაკაცებთან შეხვედრის არანაირი სურვილი არა აქვს: „არ მინდა, კვლავ გავიარო ის, რასაც ურთიერთშეცნობა ჰქვია. ღვთის წყალობით, უამრავი სამუშაო მაქვს და ერთი გადასაღები მოედნიდან მეორეზე ისე მივემგზავრები, რომ გონს მოსვლასაც ვერ ვასწრებ. წლეულს ოთხ ფილმში ვმონაწილეობდი და ყოველ მათგანს სხვადასხვა ადგილას იღებდნენ“.

მსახიობი საოცარი პირდაპირობითა და უკომპლექსობით გამოირჩევა. მის ცხოვრებაში ალბათ მალე გაჩნდება ახალი მამაკაცი. იანსენის თქმით, ძლიერი სქესის წარმომადგენლებში, ყველაზე მეტად, მათი ჭკუა და იუმორის გრძნობა ხიბლავს, ხოლო პატივმოყვარეობა აღიზიანებს: „ვერ ვიტან ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარი პერსონით არიან შეპყრობილნი და საათობით საკუთარ ღვაწლსა და შეუცვლელობაზე ლაპარაკობენ. ჩემთვის მამაკაცთან ურთიერთობა ყველაზე სასიამოვნო დილაობით, ლოგინშია — როცა მათ ბოლომდე არც კი ღვიძავთ, თმა აჩეჩილი, წვერი — ოდნავ წამოზრდილი და ნახევრად მძინარე ხმა აქვთ... სამწუხაროა, რომ მამაკაცებს არ შეუძლიათ, მუდამ ასე გამოიყურებოდნენ...“

ფამკეს პირდაპირობა მისი გმირის — ქეით უელსის („სიყვარული და სექსი“) პირდაპირობას როდი ჩამოუვარდება. ფილმში უამრავი გამომწვევი სცენაა, საუბრები კი საკმაოდ პიკანტურ თემებს შეეხება. საინტერესოა, აქვს თუ არა მსახიობს თვითცენზურის გრძნობა? „საუბრისას — ალბათ არა, — ამბობს იგი, — მაგრამ ეკრანზე გაშიშვლება ჩემთვის ის ბარიერი აღმოჩნდა, რომელიც ვერ გადავლახე. მე გავაფრთხილე რეჟისორი, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავშიშვლდებოდი, ვინაიდან ფილმს ეს დეტალიც რომ დამატებოდა, იგი უბრალოდ პორნოგრაფიად გადაიქცეოდა!“

იანსენის თქმით, ბევრს მიაჩნია, რომ მან კინოკარიერა ჰოლანდიაში ეროტიკულ ფილმებში მონაწილეობით დაიწყო. სინამდვილეში, აშშ-ში გადასვლამდე, იანსენს კინოკარიერაზე არც უფიქრია, რადგან ბავშვობაში საოცრად მორცხვი გოგონა იყო.

ფამკე ამსტერდამში 1964 წლის 1 იანვარს დაიბადა. მისი სახელი, რომელიც მის სამშობლოშიც კი იშვიათობაა, ერთ-ერთ ჩრდილოჰოლანდიურ დიალექტზე, „პატარა გოგონას“ ნიშნავს.

...ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲭᲘᲠᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ფამკე თექვსმეტი წლის იყო, როცა მისი მშობლები გაიყარნენ. გოგონას ძალზე გაუჭირდა ამ ფაქტთან შეგუება. მისი თქმით, ამ ამბავმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომში მამაკაცებთან მის დამოკიდებულებაზე — „დღეს ვხვდები, რომ ისინი ერთმანეთისთვის არ იყვნენ დაბადებულნი, — ამბობს ფამკე მშობლებზე, — მაგრამ ჩემს ასაკში ეს ძალზე ძნელად აღსაქმელი იყო. მაშინ საოცრად რომანტიკული გოგონა ვიყავი და მომეჩვენა, რომ სამყაროს მარადისობა ჩემ თვალწინ დაიმსხვრა“. იანსენი ირწმუნება, რომ სწავლა უნივერსიტეტში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ განაგრძო, რომ მისი მორალური მდგომარეობით შეშფოთებული მშობლები დაემშვიდებინა. „წარმოდგენაც არ მქონდა, რა უნდა მეკეთებინა მომავალში, — ამბობს მსახიობი. — ეკონომიკის ფაკულტეტის არჩევა, ეს პრაქტიკული გადაწყვეტილება იყო. ეკონომიკური განათლება ხელს არასოდეს შეგიშლის...“ უნივერსიტეტში სწავლისას, დამატებითი შემოსავლის საშოვნელად ფამკე არდადეგებისას დროებით სამუშაოს შოულობდა ხოლმე. ერთხელ ქუჩაში მასთან უცნობი მამაკაცი მივიდა და ჟურნალისთვის პოზირება შესთავაზა. გოგონამ აბეზარი მოსაუბრე არცთუ ისე სასიამოვნო სიტყვებით ჩამოიშორა და შინ დაბრუნებულმა, დებიც ბევრი აცინა ამ შემთხვევის გამო. ბოლოს, მაინც გადაწყვიტა სააგენტოში მისვლა და სულ მალე, იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ მოდელობა საკმაოდ სარფიანი საქმეც იყო. 1984 წელს იანსენმა ნიუ-იორკში გადასვლა და ფოტომოდელის კარიერის იქ გაგრძელება გადაწყვიტა. შტატებში ჩასვლისთანავე ერთ-ერთ სამოდელო სააგენ-

სიტეტში, სადაც სტუდენტური თეატრიც მოქმედებდა და იანსენი მისი ყველაზე აქტიური წევრი გახდა. იგი სამსახიობო ხელოვნების შესასწავლად ჰაროლდ გასკინის კერძო გაკვეთილებსაც ესწრებოდა. 90-იან წლებში გოგონა ჰოლივუდში გადაბარგდა. მისი ერთ-ერთი პირველი ფილმი იყო – „დღისით ის ფოტომოდელი გახლდათ“. ეს სურათი მანეკენ გოგონაზე იყო, რომელიც ღამლამობით დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლ გმირად ევლინებოდა თანამოქალაქეებს. მისთვის პირველი წარმატებული პროექტი კი ბონდიანა გახლდათ. „დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ როლზე არავინ ამიყვანდა, ამიტომ თავი მშვიდად და მედიდურადაც კი მეჭირა, – იხსენებს იანსენი. – ალბათ, გადამღები ჯგუფი სწორედ ამან მოხიბლა. კარგად მახსოვს – როცა აგენტმა მაცნობა, რომ როლი მე მერგო, დიდად არ გამხარებია, რადგან ვფიქრობდი: „ბონდის გოგონას“ იარლიყი სამუდამოდ მომეკერება-მეთქი“. იმ დროს ფამკეს სცენარიც კი არ ჰქონდა წაკითხული და არ იცოდა, რომ ბონდის გულის სწორის კი

ფული და დიდება ნაკლებად მაღელვებს

არა, მისი მრისხანე მეტოქის როლს სთავაზობდნენ.

„ოქროს თვალში“ შექმნილი სახისთვის მსახიობი ნომინირებული იყო MTV-ის პრემიებზე – „საუკეთესო არამზადა“ და „საუკეთესო ორთაბრძოლა“. ფილმის პრემიერიდან მოყოლებული, მას უამრავი შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ სურათის შერჩევას მსახიობი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და კინაღამ რობერტ ოლტმანის წინადადებაზეც თქვა უარი. მიუხედავად იმისა, რომ მას ოლტმანთან მუშაობის ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა,მთავარი გმირის ცოლის ტიპურმა როლმა მაინც არ ძიიზიდა. მხოლოდ სცენარის ხელმეორედ წაკითხვის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მისი გმირი პირველივე ეპიზოდში ჭიქით ხელში გამოდიოდა ასპარეზზე და ამან იმედი ჩაუსახა, რომ სასმლის მოყვარული ქალის საინტერესო სახის გამოძერწვას შეძლებდა, მით უმეტეს, რომ რეჟისორი, თავად რობერტ ოლტმანი იყო. იგი დათანხმდა ფილმში მონაწილეობას და არც წააგო, რადგან ძალზედ შთამბეჭდავი ხასიათი შექმნა.

ამჟამად იანსენის კარიერა აღმავლობას განიცდის. მან ჰოლივუდი დატოვა და სამოღვაწეო ასპარეზად ნიუ-იორკი აირჩია. მას ახალი გარემო ბევრად უფრო მოსწონს. „აღმოსავლეთ სანაპიროზე სხვაგვარი ატმოსფეროა, ლოს-ანჯელესში თავს საოცრად იზოლირებულად ვგრძნობდი, – ამბობს ფამკე. – იქ ყველა ერთმანეთისგან მოშორებით, საკუთარ სახლში, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. მათთვის მეგობრების ერთად თავშეყრაც კი პრობლემაა. ნიუ-იორკში უფრო სასიამოვნოა ცხოვრება, რადგან აქ სულ სხვაგვარი ურთიერთობებია. ამასთან, ლოს-ანჯელესში ხალხი მხოლოდ კინოზე საუბრობს, მე კი, ლიტერატურა, არქიტექტურა და მხატვრობაც ძალიან მიყვარს და ხშირად დავდივარ მუზეუმებში. რაიმე თავშესაქცევს კი ნიუ-იორკში ყოველთვის ი პოვი“.

ახლო მომავალში მსახიობი კვლავ დამოუკიდებელ სტუდიებთან თანამშრომლობას აპირებს. „მე მგონი, შემეძლო, უფრო ცნობილი და მაღალი ანაზღაურების მქონე ვარსკვლავი გავმხდარიყავი, – ამბობს ის. – მაგრამ ფული და დიდება ნაკლებად მაღელვებს. უფრო სწორად, იმ დღიდან აღარ მაღელვებს, რაც ერთიცა და მეორეც ჩემთვის საკმაო ოდენობით მოვიპოვე. მას შემდეგ, უფრო მეტი მოვისურვე და სხვადასხვა ჟანრის ფილმში მონაწილეობა და განსაკუთრებული ტიპის როლებში გადაღება გადავწყვიტე. მინდოდა, ყველას მსახიობად აღვექვი და არა მანეკენად; მე ამას მივაღწიე კიდეც! ახლა შემიძლია, ხანდახან ბოევიკებშიც ვითამაშო“.

■

გეიცსთან დადებულმა გარიგებამ მადონას მაკარტნიზე დიდი მოგება მოუტანა

ბრიტანეთში მცხოვრებ მუსიკოსთა სიას, რომლებმაც წლეულს ყველაზე დიდი თანხის გამომუშავება შეძლეს, სათავეში მადონა მოექცა. მომღერლის შემოსავალმა 36 მლნ გირვანქა სტერლინგი (56,14 მლნ დოლარი) შეადგინა. ეს თანხა სერ პოლ მაკარტნის შემოსავალს 2 მლნ გირვანქა სტერლინგით აღემატება. შემოსავლის თითქმის ნახევარი მადონამ კორპორაცია Microsoft-თან დადებული 16-მილიონიანი კონტრაქტის წყალობით გამოიმუშავა: კორპორაციამ მომღერლის სიმღერა – Ray of Light, საკუთარი სისტემის – Windows XP-ის სარეკლამო რგოლისთვის გამოიყენა. შარშანდელთან შედარებით, მადონას შემოსავალი 6 მლნ გირვანქა სტერლინგით გაიზარდა.

საერთო სიაში, სადაც შოუბიზნესის მოღვაწეთა გარდა, სხვა სფეროს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მომღერალმა მე-15 ადგილი დაიკავა. მუსიკოსთა ათეულში, მადონასა და პოლ მაკარტნის გარდა, შევიდნენ: მიკ ჯაგერი, კეიტ რიჩარდსი, ჩარლი უოტსი („როლინგ სთოუნზის“ წევრი), სტინგი, ერიკ კლაპტონი, როდ სტიუარტი და პიტ თაუნშენდი. მეცხრე ადგილი რობი უილიამსს ხვდა წილად, რომელმაც რეიტინგის გამოქვეყნებიდან მოკლე ხანში, „ემის“ ხმის ჩამწერ კომპანიასთან 80-მილიონიან (გირვანქა სტერლინგი) კონტრაქტს მოაწერა ხელი.

■

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-44

გოგი გორგილაძის ძალადობას ნინი თავიდან საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს, მაგრამ შემდეგ რევანშის აღებას გადაწყვეტს და რეჟისორს რესტორან „მირაჟში“ წაყოლაზე თანხმდება.

ბატონი გოგისა და ნინის ერთად დანახვით გაოგნებული შალვა ბიძია გაცოფებული უბრალებს თვალებს ნინის, ბატონ გოგის კი თავს მაინც მოწიწებით უკრავს, რადგან რესტორნის მუდმივი და სასურველი კლიენტის განაწყენების გამო, სამსახურის დაკარგვის ეშინია.

ცნობილი რეჟისორის გვერდით ნორჩი საყვარლის გამოჩენა რესტორნის ბევრ კლიენტს დაინტრიგებს. მათ შორისაა ბატონი გოგის ძველი მეგობარი, მსახიობი თეიც, რომელიც ნინის, მასთან პირველი შეხვედრის შემდეგ, მხოლოდ მარგალიტის ლამაზი მძივის წყალობით დაამახსოვრდა.

ნინ თეის პაექრობაში გამოიწვევს, მაგრამ მალევე მარცხდება. თუმცა, „ცხვირმოუხოცავი გოგის“ გაუგონარი თავხედობით გაღიზიანებული თეო, ბატონი გოგის და ნინის მაგიდას მაინც სასწრაფოდ გაეცლება.

რუსუდან ბერიძე

ქალური იერსახეა

ანუ ჯიბეშიც ფრთები

ნინიმ ისეთი უმანკო გამომეტყველება მიიღო, თითქოს თეოს განაწყენებასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა.

— კმაყოფილი ხარ? — გაღიზიანება ველარაფერით დამალა ბატონმა გოგიმ.

— დიახაც, კმაყოფილი ვარ! — უპასუხა ნინიმ და ბატონ გოგის თვალი თვალში ჯიქურ გაუყარა. — ყველას, ვინც ჩემს ასე გამასხრებას მოინდომებს, საკადრის პასუხს გავცემ! გგონიათ, ვერ ვხვდები, გარშემო ყველა როგორ მომშტერებია?! მე ხომ მათთვის, თქვენთვის — ყველასთვის — ერთი სულელი, ჭურჭლის მრეცხავი გოგო ვარ და სხვა არაფერი!

სწორედ ამ მომენტში აჩიკოც გამოჩნდა, ნინის წინ ჩახოხბილით პირთამდე სავსე მოზრდილი თეფში დაუდგა, ბატონ გოგის კი ხორციანი სალათის მომცრო ულუფა და ერთი ჭიქა არაყი მიართვა.

ნინი სასწრაფოდ ჩახოხბილს დაცხრა, თუმცა, პირველივე ლუკმის გადაყლაპვისთანავე მიხვდა, რომ შეფ-შზარეულ გრიშას, ხბოს ხორცის მაგივრად, ძროხისა შემოეპარებინა, ცოცხალი პამიდვრის ნაცვლად კი — ტომატი. რა-რა და მშობლების ოჯახში, ნინის ხორცი არასოდეს მოჰკლებია. ხბოს ხორცი არც ერთ სხვა ხორცში არ აერეოდა. ამიტომ, როცა აჩი მათ მაგიდას კიდევ ერთხელ მიუახლოვდა და ნინის წინ მარწყვის მურაბით მორთული სანაყინე დაუდგა, ამ უკანასკნელმა სასწრაფოდ მიახალა:

— როგორც ჩანს, ხბო, რომლის ჩახოხბილიც წელან „შემომატენე“, შენი საყვარელი ბებრუხუნების თანატოლი მაინც იქნებოდა, მის ჩასახოხბად საჭირო პამიდვრები კი, ალბათ, გრიშამ შინ წაიღო, ხომ?

აჩის ნინის გესლიან შენიშვნაზე არაფერი უპასუხია, ბატონ გოგის კი თავი კიდევ ერთხელ მორჩილად დაუკრა და გაეცალა... ნინი ზურგშექცეულ აჩიკოს ერთი კიდევ დაეჭყანა, შემდეგ ნაყინში ჩარჭობილი ქაღალდის პატარა პრიალა ქოლგა ამოაძრო, პირდაპირ გაქათქათებულ სუფრაზე დაახეთქა და კოვზი მოიმარჯვა.

— ახლა მაინც, რა ბზიკმა გიკბინა? — ჰკითხა ნინის ბატონმა გოგიმ.

— აბა, ვის ატყუებს, ხბოს ჩახოხბილიო?!.

— გულახდილად მითხარი — მართლა ასეთი თავხედი ხარ თუ მხოლოდ დღეს იქცევი ასე?

ის იყო, ნინის ბატონი გოგისთვის მორიგი გესლიანი პასუხი უნდა გაეცა, რომ უცბად თვალი მოჰკრა, რომ მათ მაგიდას კიდევ ერთი ლამაზმანი უახლოვდებოდა. მის დანახვაზე ნინიმ მაგიდას ქვემოდან წიხლი ნერვიულად ამოჰკრა:

— მიიხედეთ, მგონი, კიდევ ერთი „კეკლო“ მოგვიდათ...

აქამდე ნინის მიშტერებულმა ბატონმა გოგიმ სასწრაფოდ უკან მიიხედა და სახეზე დაეტყო, რომ მისკენ მომავალ ულამაზესი ახალგაზრდა ქალის დანახვა დიდად როდი ესიამოვნა.

— გოგი, საყვარელო, გავიგე, ახალი

სერიალის გადაღებას აპირებ... იმედია, შენი პატარა თიკუნასთვისაც გექნება რაიმე საინტერესო როლი.. — ამ სიტყვების შემდეგ, ლამაზმანი ბატონ გოგის ზედ ცხვირწინ დაუსკუპდა, ნინის კი დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი.

ნინიმ შეამჩნია, რომ თიკას საოცრად ლამაზი და ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი კაბა ეცვა და თავში ახალი მაკვარანცხობაც მაშინვე მოუმწიფდა.

ბატონ გოგის, ეტყობა, გულმა რაღაც ცუდი უგრძნო და ნინისკენ თვალი დამფრთხალმა გააპარა. ნინის, ბავშვივით ჩაერგო თავი სუსტ მხრებში და ნაყინს ისე გულმოდგინედ შეექცეოდა, თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში არასდროს არაფერი გაუკეთებია. მაგრამ ბატონი გოგი მის „უმანკო“ გამომეტყველებას უკვე აღარ ენდობოდა.

— გოგი, სიცოცხლევ, რამ დაგაბნია? — აღარ ეშვებოდა მას თიკა. — ჩემს მომავალ როლზე გეუბნები...

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, — მოკლედ მოუჭრა ბატონმა გოგიმ.

— მე რომ ახლავე მინდა... — გაჭირვეულდა თიკა.

ბატონმა გოგიმ ისევ ნინის გახედა. მას ნაყინის ჭამა უკვე შეეწყვიტა და უაზროდ ურევდა კოვზს სანაყინეში დარჩენილ გამდნარ მასას.

— ამ დღეებში უთუოდ ჩემთან უნდა შემოიარო, — ისევ დაიწყო ტარტარი ბატონი გოგის წინ გამომწვევად წამოსკუპებულმა თიკამ. — დედაჩემი შენს საყვარელ ტორტს გამოგიცხობს... ჰო, მართლა, წაიკითხე, ჩემს ბოლო როლზე გაზეთებში რომ წერენ — საეტაპოაო?..

ბატონ გოგის თიკას ბოლო სიტყვებზე გულში გაეცინა: „ნეტავ, ამ ცალტვინამ სიტყვა „საეტაპო“ როგორღა დაიმახსოვრა?.. თავს მოვიჭრი, თუ მის მნიშვნელობაზე მიახლოებული წარმოდგენაც კი ჰქონდეს...“

ფიქრებში წასულმა გოგი გორგილაძემ თიკას „შესამკობად“ გულში სულ ახალ-ახალი სახელების შერჩევა დაიწყო: „ცალტვინა კახპა“, „უნიჭო ცრუპენტელა“, „გამოუსწორებელი იდიოტი“... და ალბათ, ამიტომაც, მაშინვე როდი შენიშნა, ნინიმ მას სანაყინე როგორ გაუწოდა და ზუსტად თიკასავით მანჭვა-გრეხით ჰკითხა:

— გოგი, ჩემო სიცოცხლევ, ნაყინი არ გინდა? — და სანამ პასუხს მიიღებდა, ვითომ შემთხვევით, სანაყინე პირდაპირ თიკას ზურგზე გადმოაპირქვავა.

თიკამ შეჰკივლა და დაფეთებული წამოვარდა ფეხზე. ნინიც მაშინვე წამოდგა, ქაღალდის ხელსახოცი მოიმარჯვა და თიკას ზურგზე წურწურით ჩამოსულ ნაყინს „წმენდა“ დაუწყო.

— მაინც, რა მოუქნელი ვინმე ვარ, ეს როგორ მომივიდა?!. ბოდიშს გიხდით, ქალბატონო! — წამდაუწუმ გაიძახოდა ნინი და თან, ნაყინს თიკას ზურგზე გულმოდგინედ „ანაწილებდა“.

— თავი დამანებე, შე ქაჯო! — უკივლა ნინის წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულმა თიკამ და გამწარებულმა მოკურცხლა ქალების ტუალეტისკენ.

ნინიმ მას თვალი გააყოლა და სახეზე აშკარა კმაყოფილება გამოეხატა.

— იმედია, სადღეისოდ, ამას იკმარებ! — თვალები დაუბრიალა მას ბატონმა გოგიმ.

— რა? იქნებ, ისიც მითხრათ, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია? — ნინი ბატონ გოგისთან „შენობით“ ლაპარაკს კვლავაც ვერაფრით ახერხებდა. — საინტერესოა, ამ თიკასთვის — თუ ვიღაცა ეშმაკია — მე რომ ასე უზრდელად შემექცია ზურგი, მაშინ რაღას იტყოდით?

ბატონ გოგის მოეჩვენა, რომ ცოტაც და, ნინი სლუკუნს ამოუშვებდა და სასწრაფოდ, დამშვიდება დაუწყო:

— კარგი, კარგი, გნებდები, მართალი იყავი... მაგრამ კაბამ რაღა დაგიშავა?.. ადექი, წავიდეთ, უკვე გვიანია, სახლამდე მიგაცილებ...

— სახლამდე არ გინდა, გასასვლელამდე მიმაცილე, შალვა ბიძიას დაველოდები და სახლში ერთად წავალთ, — უთხრა ნინიმ.

როგორც კი ნინიმ შალვა ბიძია დაინახა, მაშინვე მიირბინა და მის ფართო ზურგს ისე ამოეფარა, თითქოს ყველა გასაჭირისგან მხოლოდ ის დაიფარავდა... შალვა ბიძია ნინის დანახვაზე არც კი შერხეულა. ბატონმა გოგიმ კი მისთვის ჯერ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შემდეგ თავი უსიტყვოდ დაუკრა და კიბეზე დაეშვა.

— უნდა მეჩხუბო? — ჰკითხა ნინიმ შალვა ბიძიას.

— არა, — მშვიდად უპასუხა შალვა ბიძიამ, თუმცა, მის, ერთი შეხედვით, მშვიდ ხმაში ნინიმ გაღიზიანება ამოიკითხა და შინისაკენ თავჩაქინდრულმა გასწია.

შალვა ბიძია რესტორნიდან საკმაოდ გვიან დაბრუნდა. ნინი უკვე ლოგინში იწვა. ოთახში შესული შალვა ბიძია ჯერ ბოლთის ცემას მოჰყვა, შემდეგ ნიშის წინ შედგა და მშვიდად იკითხა:

— არ გძინავს?

— არა.

— მე მგონი, სოფელში, მშობლებთან მოგიწევს დაბრუნება...

— რატომ? ფიქრობ, რომ აქ თავს გჭრი?

— ვფიქრობ, თუმცა, ეგ არ არის მთავარი...

— აბა, რა?

— რა და... ალბათ, საერთოდ არ უნდა ჩამომეყვანე... ქალაქში ცხოვრება საშენო საქმე არ არის..

— ბატონ გოგისთან ჩემს ურთიერთობას გულისხმობ?..

— მაგასაც და საერთოდ, ყველაფერს...

— „საერთოდ ყველაფერი“ რაღას ნიშნავს?

— თუნდაც, ქალაქში შენს უმისამართო ხეტიალს...

— კაი, ყველაფერი გასაგებია. ხვალვე ავდგები და წავალ. კმაყოფილი ხარ?

— არა, არა, — შეცბა შალვა ბიძია, — მართლა კი არ გაგდებ... ცოტა ხანს კიდევ დარჩი, მიიხედ-მოიხედე... თუ გინდა, საერთოდაც ნუ წახვალ... — სულ მთლად „დადნა“ შალვა ბიძია.

— არა. უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე: ხვალ ან ზეგ აქედან აუცილებლად წავალ...

მეორე დილით, ნინიმ ლოგინიდან წელი ძლივს აითრია და სააბაზანოსკენ წალასლასდა. დერეფანში შალვა ბიძია იდგა და ყავას იდუღებდა.

— შენც მოგიდუღო? — ჰკითხა მან ნინის.

— არა. რაღაც არ მინდა...

— ფერი არ გადევს, ცუდად ხომ არა ხარ? — შეწუხდა შალვა ბიძია.

— არა. უბრალოდ, ცუდად მეძინა...

— ეტყობა, გადაიღალე...

— ეტყობა... მაგრამ არა უშავს, სოფელში რომ ჩავალ, ვიძინებ და ვიძინებ...

— წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტე? — დაინტერესდა შალვა ბიძია.

— გადავწყვიტე...

— თუ ამ დღეებში არ მიდიხარ, იქნებ, სამუშაოზე მაინც გევლო, ცოტა ფულს კიდევ აიღებდი...

— დღეს მაგისთვის არ მცალია, ხვალ — ვნახოთ...

— შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ არა მგონია, გრიშამ გაცდენა კიდევ გაპატიოს, — წაიდუდუნა შალვა ბიძიამ და ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯანი ოთახში შეიტანა.

ნინის ყავის მკვეთრ სუნზე წამოაზიდა და სასწრაფოდ, სააბაზანოში შევარდა. უკან გამოსულმა ფაცხაფუცხით ჩაიცვა, მალე მოვალო, — დაუგდო სიტყვა შალვა ბიძიას და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა...

სასტუმრო „კინოს“ ეზოში ნინის

ამჯერად არც დეიდა მარო და არც მისი შვილიშვილი გოგა აღარ დახვედრიან. ნინიმ შვებით ამოისუნთქა, რადგან ახლა მათთან ლაპარაკის თავი ნამდვილად არ ჰქონდა.

სასტუმროს ვესტიბიულშიც, მორიგის გარდა, არავინ ჩანდა.

— გოგი გორგილაძესთან ვარ დაბარებული, — უთხრა მას ნინიმ.

— მეორე სართული, ხელმარცხნივ, მეცამეტე ოთახი, — აუხსნა მორიგემ და თვალით კიბისკენ ანიშნა.

ნინის ბატონი გოგის ოთახის ნომერი ნამდვილად არ ახსოვდა. „რა თარსიც არის, ნომერიც ისეთი აურჩევია", — გაიფიქრა მან და მეცამეტე ოთახის კარზე ფრთხილად დააკაკუნა, მაგრამ კარს იქით ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. ნინიმ ცოტა ხანს შეიცადა და შემდეგ კარის სახელური კიდევ უფრო ფრთხილად ჩამოსწია. კარი მაშინვე შეიღო. ნინი ფეხაკრეფით შევიდა ნომერში. სააბაზანოდან წყლის ხმაური ისმოდა. „შხაპს იღებს, ვაჟბატონი", — გაიფიქრა ნინიმ, მაგრამ სააბაზანო ცარიელი აღმოჩნდა.

წინა ოთახში შესვლისას ნინის თვალი მაშინვე კედელთან მიდგმული ტახტისკენ გაექცა, რომელზეც ორიოდე დღის წინ გოგი გორგილაძემ ის თითქის ძალით დაიმორჩილა. ტახტზე ისევ ათასნაირი ჟურნალი იყო მიყრილ-მოყრილი, ოთახში კი არავინ იყო.

საძინებლის კართან ნინი ერთი წამით შედგა: „ეტყობა, აქ ბრძანდება", — ის იყო გაიფიქრა რეჟისორზე, რომ ოთახიდან ქალის სიცილის ხმა შემოესმა. ნინი შეცბა, მაგრამ საძინებლის კარი მაინც შეაღო.

საძინებელში, ფართო საწოლზე, სრულიად შიშველი თიკა იწვა და გულიანად კისკისებდა. საწოლის კიდეზე, კარისკენ ზურგით ჩამომჯდარი ბატონი გოგი მას, ეტყობა, რაღაც ძალიან სასაცილოს უყვებოდა. კარის გაღების ხმაზე რეჟისორმა მაშინვე მოიხედა:

— აი, ისიც... მართლა მოვიდა... — მხიარულად გადაულაპარაკა მან თიკას და თავადაც გულიანად ახარხარდა.

— არ მითხრა ახლა, ამ საფრთხობელასაც კინოში უნდა გადაღებაო, თორემ მართლა გავრეკავ... — ვითომ შეიცხადა თიკამ.

— უნდა და ეგრე?.. მაგათ, ყველას, ჩემგან სწორედ ეგ უნდათ...

ამის შემდეგ რეჟისორი და მისი სატრფო კიდევ უფრო ხმამაღლა ახარხარდნენ.

ნინი ერთ ადგილს მიეყინა და იმის ნაცვლად, რომ სასწრაფოდ კარი გაეჯახუნებინა და იქაურობას გასცლოდა, ჯიუტად იდგა და, ერთი შეხედვით, სრულიად მშვიდად უყურებდა, თუ როგორ დასცინოდნენ მას ბატონი გოგი და თიკა.

ნინის არაბუნებრივმა სიმშვიდემ ბატონი გოგი მალევე გამოარკვია. მან სიცილი შეწყვიტა და აშკარად დამფრთხალი მიაშტერდა ნინის: ახლა რაღაც საშინელს იტყვის ან მოიმოქმედებსო... მაგრამ ნინის ხმა არ ამოუღია. ცოტა ხანს კიდევ იდგა, შემდეგ შებრუნდა და ოთახიდან გავიდა.

კიბის თავთან ნინი წამით შედგა და ქვემოდან ამომავალ ქალს დააშტერდა. ქალი თეო აღმოჩნდა. ნინის მის დანახვას, ალბათ, ყველაფერი ერჩია, მაგრამ უკვე გვიან იყო. თეომ ის მაშინვე იცნო, ფეხს აუჩქარა და წამში, ნინის წინ გაჩნდა.

— ოჰო! როგორც ჩანს, ჩვენმა ნორჩმა მეგობარმა ჩვენს მთავარ „ბუნაგსაც" ადვილად მოაგნო... — შესძახა აქოშინებულმა თეომ. — რაო, გოგი ნომერში არ დაგხვდა?

— დამხვდა.

— აბა, სადღა მიგეჩქარება?

— საქმეზე.

თეომ ნინის გამტკნარებული სახე ახლაღა შენიშნა:

— გასაგებია... — თანაგრძნობით ჩაილაპარაკა მან. — გოგი ცუდი ადამიანი ნამდვილად არ არის... უბრალოდ, ერთი სისუსტე სჭირს: შენსავით პატარა და გამოუცდელ გოგონებს თავის ფილმებში გადაღებას ჰპირდება, მაგრამ შემდეგ, ეს დაპირება, რატომღაც, ავიწყდება...

— რას მეუბნებით?! — ვითომ შეიცხადა ნინიმ.

— მაგრამ არა უშავს, — ნინის ირონიული ტონი არ შეიმჩნია თეომ, — ამ სასტუმროში ბევრ სხვა რეჟისორსაც გადაეყრები და იქნებ, რომელიმე მათგანთან უფრო გაგიმართლოს...

— სუყველა თქვენთვის დამითმია... ზოგი შეწვით და ზოგი — ზემოდან წაუსვით... — უთხრა ნინიმ და იმის ნიშნად, რომ საუბარი დამთავრებულიაო, კიბეზე ჩააბიჯა.

ნირწამხდარმა თეომ ნინის უსიტყვოდ დაუკრა თავი და დერეფანს ხაზგასმულად წელში გამართული გაუყვა.

ქუჩაში გასულმა ნინიმ ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვერაფრით გადაეწყვიტა, საით წასულიყო: მართალია, ჯერ საკმაოდ ადრე იყო და სამსახურში მისვლას კიდევ მოასწრებდა, მაგრამ შეფმზარეულ გრიშას ნდომაჩამდგარი თვალების კიდევ ერთხელ ნახვის პერსპექტივა ნამდვილად აღარ ხიბლავდა. არც შინ, შალვა ბიძიასთან მიეჩქარებოდა. ამიტომ, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, საპირისპირო მიმართულებით გაუყვა ქუჩას.

საკმაოდ ცხელოდა. ნინი ძალიან მალე დაიღალა, თანაც, მოსწყურდა კიდეც. პირველივე კაფეში შესვლა და წვენის დალევა გადაწყვიტა.

თავიდან მას კაფე ცარიელი მოეჩვენა, მაგრამ შემდეგ მის მქრქალ შუქს რომ შეაჩვია თვალი, კუთხეში მიდგმულ ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომი რამდენიმე ქალი დაინახა. ისინი საჭმელს მადიანად შეექცეოდნენ და შიგადაშიგ, თითო-ოროლა სიტყვას თუ წამოისროდნენ.

— შენ რა, კითხვა არ იცი? — გამოსძახა ნინის ერთ-ერთმა მათგანმა. — კაფეში შესვენებაა!

მაგრამ ნინის უკან გასვლის თავი ნამდვილად აღარ ჰქონდა, პირველივე მაგიდასთან ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

— რა იყო, ცუდად ხომ არა ხარ? — მაშინვე თავზე წამოადგა ნინის ისევ ის ქალი.

— მგონი... — ძლივს ამოილუღლუღა ნინიმ. — იქნებ, რამე ცივი დამალევინო...

ქალმა კართან მდგარი დახლ-მაცივრიდან „ცივი ჩაის" დათრთვილული ბოთლი ამოიღო და ნინის დაანახვა:

— მართლა ყინულივით ცივია, დალევ?

ნინიმ თავი უხმოდ დაუქნია.

ქალმა მას წინ მაღალი ჭიქა დაუდგა და თითქის მთელი ბოთლი შიგ ჩაუპირქვავა.

ნინი ჭიქას ორივე ხელით ჩააფრინდა და სულმოუთქმელად დაცალა. შემდეგ ჩანთიდან ლარიანი ამოიღო და მაგიდაზე დადო:

— ეყოფა?

— მეტიცაა. ჩვენთან ერთი ჭიქა, ორმოცდაათი თეთრი ღირს.

— მაშინ, მეორე ჭიქა შენ დალიე, — ფეხზე ნელ-ნელა წამოიმართა ნინი.

— მოიცა, ხურდა წაიღე, — ქალმა წინსაფრის ჯიბიდან ხურდაფული ამოიღო, ხუთი ათთეთრიანი გადათვალა და ნინის მუჭში ძალით ჩაუყარა:

— შენ რა, მილიონერი ხარ?

— არა, მილიონერის ქალიშვილი.

— „შმოტკებზე" გეტყობა... სამუშაოს ხომ არ ეძებ?

— მერე, შენ რა?

— რა და ეს კაფე ჩემია და დამლაგებელი მჭირდება. თუ მოიფიქრებ, ხვალ

დილით შემოიარე და მე მიკითხე... მაიკო მქვია...

— ნახვამდის, მაიკო. იქნებ, მართლაც შემოგიარო...

კაფედან გამოსული ნინი ახლა უკვე შინისკენ დაიძრა. თუმცა, მალე ისევ თავბრუ დაეხვა და ის იყო, პირდაპირ ტროტუარზე უნდა ჩამომჯდარიყო, რომ ქუჩის კუთხიდან ტაქსიმ შემოუხვია. ნინიმ მაშინვე ხელი დაუქნია. მძღოლმა მანქანა ზედ ნინის ფეხებთან დაამუხრუჭა და წინა კარი გამოუღო:

— დაბრძანდი, ლამაზო...

ნინი მანქანაში მოწყვეტით ჩაეხეთქა და მაშინვე თავი ხელებში ჩარგო.

— რა იყო, ზედმეტი ხომ არ დალიე? — ჰკითხა მძღოლმა და უშნოდ გაიკრიჭა.

ნინიმ რაღაც მკვახეს თქმა დააპირა, მაგრამ იგრძნო, რომ წამოაზიდა და დამფრთხალმა, მაშინვე პირზე ხელი აიფარა.

— ერიჰა-ა-ა!.. ახლა, იქნებ, მანქანაც „მომირწყო“, აი... — შეიცხადა მძღოლმა. — გადადი, ცოტა ჰაერზე გაიარ-გამოიარე. ნუ გეშინია, დაგელოდები...

— არ მინდა. უკვე გამიარა. წავიდეთ, — სული ძლივს მოითქვა ნინიმ.

მძღოლმა მანქანა დაძრა, თუმცა, გზადაგზა, ნინის გვერდულად მაინც გამოხედავდა ხოლმე; ისევ გული არ აერიოს და მანქანა მართლა არ დამისვაროსო.

ნინიმ მძღოლს მანქანა ზედ სადარბაზოსთან მიაყენებინა და მაშინვე მის სიღრმეში გაუჩინარდა.

შალვა ბიძია შინ არ იყო. ნინის ერთი სული ჰქონდა, საწოლზე მიგდებულიყო, მაგრამ სანამ ნიშაში შევიდოდა, შალვა ბიძიას ოთახში, მაგიდაზე, სამი მოზრდილი ფორთოხალი დაინახა. ერთს მაშინვე დასწვდა და გაუფცქვნელად ჩაკბიჩა. ფორთოხლის მომჟავო წვენმა ნინის საოცარი შვება მოჰგვარა...

მეორე დილით, როგორც კი შალვა ბიძიამ კარი გაიხურა, ნინი ფეხზე წამოხტა და ქუჩაში გავარდა. შალვა ბიძიას სახლის კუთხეში პატარა აფთიაქი იყო. ნინი იქ შევიდა და აფთიაქარ ქალს პირდაპირ ჰკითხა — ახლომახლო გინეკოლოგი ხომ არ გეგულებათო?.. ქალმა ნინი ჯერ გაოცებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ სათვალე მოირგო და პატარა ფურცელზე, მახლობლად მდებარე გინეკოლოგიური კაბინეტის მისამართი და ექიმის გვარი და სახელიც დაუწერა:

— ამ მისამართზე მიდი და უთხარი, ლია მასწავლებლისგან ვარ-თქო...

— მასწავლებლისგან? — ჩაეკითხა ნინი.

— ჰო, ადრე სკოლაში ბიოლოგიას ვასწავლიდი. ეგ ბიჭი ჩემი ნამოწაფარია. კარგი გინეკოლოგი დადგა, ყველაფერში დაგეხმარება...

— გმადლობთ, — უთხრა მას ნინიმ და ფურცელი გამოართვა.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა ლია მასწავლებელმა.

— თვრამეტის.

— პირველ ბავშვზე ხარ?

— მგონი... არ ვიცი...

— რა არ იცი?

— მართლა ფეხმძიმედ ვარ თუ არა...

ლია მასწავლებელმა თავი გაბრაზებით გადააქნია:

— ბავშვი არ მოიცილო, თორემ მთელი ცხოვრება სანანებლად გაგიხდება, იცოდე... გაიგე, რაც გითხარი?

— გავიგე, — უპასუხა ნინიმ, ფურცელი სასწრაფოდ ჩანთაში ჩაკუჭა და გარეთ გავარდა...

გინეკოლოგიურ კაბინეტს ნინიმ ადვილად მიაგნო. ექიმი ძალიან ახალგაზრდა მოეჩვენა. მან ნინი კარგა ხანს სინჯა, შემდეგ რეზინის ხელთათმანები წაიძრო, ოთახის კუთხეში მდგარ პირსაბანთან ხელები გულმოდგინედ დაიბანა და ლამის საზეიმოდ გამოუცხადა:

— გილოცავ!

— რას?

— მეორე თვეში ხარ?

— რა-ა-ა?

— რა და, ფეხმძიმედ ხარ-მეთქი! რა ვერ გაიგე?

— გავიგე, მაგრამ იქნებ... იქნებ, მაინც, რამე შეგეშალა?..

— მე არაფერი შემშლია. შეიძლება, შენ შეგეშალა და ზუსტად ვერ გამოთვალე — ეს ქალებს ხშირად ემართებათ ხოლმე...

— ახლა რაღა უნდა ვქნა? — მოიბუზა ნინი.

— უნდა გააჩინო, რა უნდა ქნა?

— მაგრამ მე... მე ხომ... — სიტყვებს თავი ველარ მოუყარა ნინიმ.

— გასაგებია... — ამოიოხრა ექიმმა. — მაშინ, ალბათ, აბორტი უნდა გაიკეთო.

— აბორტი ძვირი ღირს?

— ვისთვის როგორ.

— ჩემთვის რა ღირება?

— შენ ნახევარ ფასშიც გაგიკეთებდი... — ექიმმა აშკარად მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა ნინი.

— კარგი, მოვიფიქრებ...

ქუჩაში გამოსულმა ნინიმ პირველად იგრძნო, რომ თავის საფიქრალ-სატკივართან სრულიად მარტო დარჩა და შეეშინდა. შემდეგ, ბოლო იმედად, მშობლიური სახლი და დედა დაუდგა თვალწინ, მაგრამ თავი ისევ უმწეოდ გადააქნია: „არა, არა... დედაჩემმა ეს რომ გაიგოს, მაშინვე გული გაუსკდება...“

შინ მიბრუნებულმა ნინიმ მთელი თავისი „კაპიტალი“ სასწრაფოდ გადათვალა. სულ ოცი ლარი აღმოჩნდა. „ამ ფასად აბორტს ის ნაცნობი გინეკოლოგიც კი არ გამიკეთებს, ამიტომ, სასწრაფოდ ფული უნდა ვიშოვო“, — დაასკვნა მან და უცბად, კინაღამ ტაში შემოჰკრა: „გოგი გორგილაძესთან მივალ. ფული იმან უნდა მომცეს. მერე რა, რომ ბავშვი მისი არ არის! — ჩემთან მაინც ვალშია და უნდა დამეხმაროს!“

გაგრძელება იქნება

„ფორმულა-1“-ის თავკაცემმა „საერთაშორისო რევოლუცია“ მოასწავინეს

ავტორბოლების მოყვარულებმა უკვე იციან, რომ „ფორმულა-1“-ის წლევანდელი ჩემპიონატის დასრულებისთანავე, FIA-ს ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის რბოლის წესების შეცვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ Ferrari-ს მიმართ ჰანდიკაპის პრინციპი შემოელოთ, რათა „ფორმულა-1“-ის რბოლებში მონაწილე სხვა გუნდებს გამარჯვების მეტი შანსი მისცემოდათ. იმისათვის, რათა სინიორ ენცოს კომპანიის უპირატესობა კონკურენტებზე ასე თვალში საცემი აღარ ყოფილიყო, „ფორმულა-1“-ის მესვეურები მომავალი სარბოლო სეზონის პირველი ათი ეტაპის განმავლობაში, რბოლაში მონაწილე გუნდებს შორის პილოტთა ცვალებადობის წესის შემოღებასაც აპირებდნენ. ცოტა ხნის წინ, ლონდონში FIA-ს სხდომა გაიმართა, თუმცა შეკრების მონაწილეებს „ფორმულა-1“-ის ფორმატში არც ერთი ზემოთ ნახსენები ცვლილება არ შეუტანიათ. მომავალი სარბოლო სეზონისთვის ძირითადი სიახლე ის იქნება, რომ ამ-იერიდან ე.წ. „ქულათა ზონა“ (გუნდების მიერ რბოლაში დაკავებული ადგილები, რომლის მიხედვითაც მათ ქულები ენიჭებათ) ექვსიდან რვა ადგილამდე გაიზრდება, კვალიფიკაციას კი, ერთის მაგივრად ორი ეტაპი განსაზღვრავს. მომავალ სეზონში რბოლაში გამარჯვებული კვლავ 10 ქულას მიიღებს, თუმცა, მეორე ადგილზე გასული პილოტი აქტივში უკვე ექვსის მაგივრად, რვა ქულას ჩაიწერს. რაც შეეხება კვალიფიკაციას, მისი პირველი ეტაპი პარასკეობით ჩატარდება, ხოლო მეორე – შაბათობით (წლევანდელ სეზონში კვალიფიკაცია რბოლის წინა დღეს, შაბათს ტარდებოდა ხოლმე). ამასთან ერთად, გუნდებს, ბოქსებიდან თავიანთი პილოტებისათვის იმის მითითების მიცემა აეკრძალებათ, თუ ვინ ვის უნდა დაუთმოს გზა ან ვინ უნდა გადაკვეთოს პირველმა ფინიში. ასე რომ, მომავალ სარბოლო სეზონში Ferrari-ს წარმომადგენლებს ბოქსიდან შუმახერისა და ბარიკელოს მოძრაობის გაკონტროლების საშუალება აღარ ექნებათ. „ჩემი აზრით, სასურველ შეთანხმებას მივაღწიეთ. ჩვენ „კოსმეტიკური“ ცვლილებებით არ შემოვფარგლულვართ, თუმცა, არც უკიდურესობაში გადავვარდნილვართ“, – განაცხადა ლონდონში შეხვედრის დასრულების შემდეგ FIA-ს პრეზიდენტმა, მაკს მოსლიმ. ■

ჯაგერმა NBA-ს სიმღერა მიუძღვნა

NBA-ს ახალი სეზონის გახსნაში მონაწილეობა თვით ლეგენდარულმა Rolling Stones-მაც მიიღო, რომელიც ამჟამად აშშ-ში, საკონცერტო ტურნეში იმყოფება. როკ-ჯგუფის ერთ-ერთი ახალი სიმღერის, Don't Stop-ის კლიპის პრემიერა „ფილადელფია“–„ორლანდოსა“ და „სან-ანტონიო“–„ლეიკერზის“ მატჩებზე შედგა. აღნიშნული ვიდეორგოლის გადაღებებში NBA-ის ისეთმა ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა, როგორებიც ჯეისონ კიდი, შაკილ ო'ნილი და კევინ გარნეტი არიან. თავად NBA-ის ხელმძღვანელობა კი იმედოვნებს, რომ მიკ ჯაგერისა და კომპანიის მიერ განხორციელებული აქცია მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობაში კიდევ უფრო გაზრდის ისედაც ყველაზე პრესტიჟული საკალათბურთო ჩემპიონატის პოპულარობას. ■

ყველაზე სექსუალური ფეხები

ჟურნალ Tennisexpress-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ყველაზე სექსუალური ფეხები ქალ ჩოგბურთელთა შორის, ანკა ხუბერს (ხმათა 16%) აქვს, რომელსაც ანა კურნიკოვა (14%) და შტეფი გრაფი (10%) მოსდევენ. გამოკითხვის მონაწილეთა აზრით, არცთუ ისე მომხიბვლელი ფეხების პატრონია ჩოგბურთის შავკანიანი ვარსკვლავი, სერენა უილიამსი, რომელმაც მხოლოდ საერთო ხმათა 2% მოიპოვა. მამაკაც ჩოგბურთელთა შორის კი, პიტ სამპრასი (25%), ნიკოლას კაიფერი (13%), პატრიკ რაფტერი (10%) ლიდერობენ. რაც შეეხებათ ევგენი კაფელნიკოვსა (2%) და მარატ საფინს (0%), ისინი ყველაზე ლამაზი ფეხების მქონე მამაკაც ჩოგბურთელთა სიაში ბოლო ადგილებზე აღმოჩნდნენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჟურნალ Tennisexpress-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ყურადღება ექცეოდა არა მარტო ფეხების სიგრძეს, არამედ მის ფორმასა და პროპორციებსაც. ■

შუმახერი მეგობრებს ასეირნებს

ცოტა ხნის წინ დასრულებული „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატის ტრიუმფატორი და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ფორანოში, Ferrari-ს საცდელ პოლიგონზე კვლავ მიუჯდა სპორტული ავტომობილის საჭეს, თუმცა მას ამ დროს



არავითარ ტესტ-რბოლაში მონაწილეობა არ მიუღია. საქმე ის გახლავთ, რომ დროებით უსაქმოდ დარჩენილმა „წითელმა ბარონმა“, მეგობრებისათვის ავტოსარბოლო ატრაქციონის მოწყობა მოისურვა და მათი გასეირნების მიზნით, Minardi-ს თავკაცის, პოლ სტოდარტისაგან ორადგილიანი სპორტული მანქანაც იქირავა, რომლის შასიც სპეციალურად წითლადაც კი შეუღებეს. თავად Minardi-მ კი, თავისი ქომაგებისა და სპონსორებისათვის ავტოშოუ იმოლაში მოაწყო, სადაც სტუმრები მატეო ბობმ, ალექს იონგმა, დევიდ სალენსმა და სერგეი ზლობინმა გაასეირნეს. ამ ღონისძიებაზე დასწრება უფასო იყო, თუმცა, ბოქსში შესვლის მსურველებს 50 დოლარი უნდა გადაეხადათ. ■

ბორის ბეკერი გაასამართლეს

მიუნხენის სასამართლომ ბორის ბეკერს პირობითად 2-წლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 300 ათასი ევროთი დააჯარიმა იმის გამო, რომ სახელოვანმა ჩოგბურთელმა 1991-93 წლებში გერმანიის ხაზინას 1,7 მილიონი ევროს ტოლფასი სავალდებულო საგადასახადო თანხა დაუმალა. აღსანიშნავია, რომ ბეკერმა თავად აღიარა დანაშაული. მისი თქმით, აღნიშნულ წლებში იგი, ფაქტობრივად, მიუნხენში იმყოფებოდა, თუმცა, მონაკოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ჩოგბურთელს სავალდებულო გადასახადებისაგან ათავისუფლებდა, თავისი ქვეყნის ხაზინაში არავითარი თანხა არ გადაურიცხავს (მკითხველს ვაცნობებთ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ბორის ბეკერის რეზიდენცია მონაკოს ტერიტორიაზე მდებარეობდა). ამ საქმესთან დაკავშირებით, გერმანელმა ჩოგბურთელმა ისიც აღნიშნა, რომ გამოძიების პროცესში სახლი რამდენჯერმე გაუჩხრიკეს, რაც დიდი სპორტიდან მისი წასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. მიუნხენის პროკურორი ჩოგბურთის 34 წლის ვარსკვლავს გერმანიის ხაზინისადმი თანხების განგებ დამალვაში სდებდა ბრალს და მისთვის 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯას მოითხოვდა. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას კი, დარბაზში მსხდომნი აპლოდისმენტებით შეხვდნენ. ■

ლუისი ჭლიჩკოს უეცჯლეკა, ტაისონი ჯი ფაცჩ-ჩეჯანუის ოოლოდინუია

სუპერმძიმეწონოსანმა მსოფლიო ჩემპიონმა, ლენოქს ლუისმა გააფორმა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც იგი მომავალი წლის გაზაფხულზე, უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან გამართავს ორთაბრძოლას. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კონტრაქტის გაფორმებამდე გაურკვეველი რჩებოდა ის, თუ რომელი იქნებოდა ძმები კლიჩკოებიდან ლენოქს ლუისის მეტოქე. ამასთან ერთად, ბრიტანელ სუპერმძიმეწონოსანთან მატჩ-რევანშის გამართვას მოითხოვდა მაიკ ტაისონი, თუმცა ლენოქსის მენეჯერთა გადაწყვეტილებით, მსოფლიო ჩემპიონი ჯერ ვიტალი კლიჩკოს შეხვდება, რის შემდეგაც მასა და „რკინის მაიკს" შორის მომავალი ორთაბრძოლის შესახებ გაიმართება მოლაპარაკება. სავარაუდოდ, ლუის-ტაისონის მატჩი 2003 წლის ივნისში შედგება, რაც 37 წლის ინგლისელ სუპერმძიმეწონოსანს საფუძვლიანი მომზადების საშუალებას მისცემს.

ბრაზილიელმა მოკრივემ ნოკაუტში ოლაჯი ჩაავლო



ცოტა ხნის წინ, არგენტინის პროვინცია სან-ლუისში გამართულ პროფესიონალ მოკრივეთა რეგიონალურ ტურნირზე ნოკაუტში ერთ-ერთი შეხვედრის მსაჯი, 60 წლის პაბლო ალტაველა აღმოჩნდა. იგი მჩატეწონოსანი მოკრივეების — ლეონარდო ამიტრანოსა (მეტსახელად „ხარი") და ერნან ვალენსუელას (მეტსახელად „ჩინელი") ორთაბრძოლას სჯიდა. 32 წლის ამიტრანომ, რომელსაც პროფესიონალურ რინგზე ჩატარებული 3 ორთაბრძოლიდან სამივე აქვს მოგებული, მექვსე რაუნდში ნოკდაუნში ჩაგდო ვალენსუელა, თუმცა „ჩინელმა" მერვე თვლაზე შეძლო წამოდგომა. ამ ფაქტმა „ხარი" ძალიან გააღიზიანა, რადგან მან მიიჩნია, რომ მსაჯი მეტისმეტად ნელა ითვლიდა და ამით, ვალენსუელას ორთაბრძოლის გაგრძელებაში შეუწყო ხელი. ლეონარდო ამიტრანომ საბოლოოდ მაშინ დაკარგა საკუთარ თავზე კონტროლი, როდესაც ალტაველამ, ვალენსუელას ძირს დავარდნილი კბილების დამცავის წმენდა დაიწყო. „ხარმა" ჩათვალა, რომ მსაჯი ყველაფერს ცდილობდა, რათა „ჩინელისათვის" ვინზე მოსვლის საშუალება მიეცა, რის გამოც ორთაბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვა და რინგიდან გადახტა. გააფთრებული ლეონარდო რინგზე თავისივე მწვრთნელმა დაბარუნა, რის გამოც ალბათ, ამ უკანასკნელმა მალე ინანა კიდეც. რინგზე „ხარის" ხელმეორედ ასვლის შემდეგ, მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. მსაჯმა გულფიცხ მოკრივეს იმის ახსნა დაუწყო, რომ მატჩის ჩაშლისათვის არგენტინის კრივის ფედერაცია მას ტექნიკურ დამარცხებას გაუფორმებდა და დისკვალიფიკაციასაც მისცემდა. ლეონარდომ კი, ალტაველას ასეთი „თავხედობა" ვეღარ აიტანა და არბიტრს თავის არეში რამდენიმე დარტყმა მიაყენა. საბრალო მსაჯი რინგზე პირქვე დაეცა. მალე ტუჩგახეთქილი და თვალჩალურჯებული პაბლო ალტაველა ჰოსპიტალში წაიყვანეს. იმის გამო, რომ აღნიშნულ საკრივო ტურნირს ერთდროულად რამდენიმე ადგილობრივი ტელეკომპანია აშუქებდა, ინციდენტმა საკმაო რეზონანსი გამოიწვია. თავად „ხარმა" თავისი არასპორტული საქციელი „წამიერი სისუსტით" ახსნა. პაბლო ალტაველა კი, მას სასამართლოში უჩივის და მიიჩნევს, რომ ამიტრანო სათანადოდ უნდა დაისაჯოს, რადგან მისი მსგავსი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ნერვების მოთოკვა არ შეუძლიათ, რინგზე არ უნდა ადიოდნენ. „ჩემი მსაჯობის 25-წლიანი პერიოდის მანძილზე მსგავი შემთხვევა არასოდეს მქონია", — განაცხადა პაბლო ალტაველამ. ■

მოამგადა ალექსი რეხვიაშვილმა

Fiat-ი ამერიკული გახდება?

უკვე 2004 წლისთვის, უმსხვილესი იტალიური საავტომობილო კონცერნი Fiat-ი ამერიკული კორპორაცია General Motors-ის საკუთრება შეიძლება გახდეს. წლევანდელი წლის პირველ კვარტალში „ფიატის" მიერ მიღებულმა ზარალმა 429 მლნ-ს, მეორეში კი – 394 მლნ ევროს მიაღწია. არცთუ ისე კარგად იყიდება კონცერნის ამჟამინდელი წამყვანი მოდელი – Stilo. სამსახურის დაკარგვის საშიშროების წინაშე 8100 მუშა-მოსამსახურე დადგა.

სადღეისოდ, „ჯენერალ მოტორსს" „ფიატის" საავტომობილო ბიზნესის 20%-მდე ეკუთვნის (ავტოწარმოების გარდა, „ფიატი" ენერგეტიკას, სადაზღვევო და საბანკო საქმეს, ახალი ტექნოლოგიების წარმოებასაც მისდევს). სპეციალისტთა აზრით, თუ ამერიკული კორპორაცია მართლა შეიძენს „ფიატს", მას ბევრი ახალი პრობლემა გაუჩნდება. ამჟამად GM-ს ერთი ევროპული ფირმა – „ოპელი" ეკუთვნის, რომლის ქარხნებიც გერმანიაში, ბელგიასა და ესპანეთში მუშაობს. რაც შეეხება „ფიატს" – მას დიდი ფილიალი აქვს გახსნილი პოლონეთში. „ფიატიც" და „ოპელიც" ევროპული ბაზრისთვის განკუთვნული, კომპაქტ-კლასის ავტომობილების წარმოებით არიან დაკავებულნი და მწვავე კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. ამდენად, „ფიატის" შეძენის შემთხვევაში, „ჯენერალ მოტორსს" ზოგიერთი საწარმოსთვის პროფილის შეცვლა ან სულაც, მისი დახურვა მოუწევს. თუმცა, ამგვარი ნაბიჯის გადადგმაც არ იქნება ადვილი: იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ უკვე ჩაატარა შეხვედრა კონცერნის ხელმძღვანელობასთან და დაჰპირდა „ფიატის" მესვეურებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიაღწევს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას. ■

Renault-ს ახალი საცობი დაუყენეს

ფრანგულმა კომპანია „რენომ" გადაწყვიტა, გაუმჯობესოს ისეთი მარტივი აქსესუარი, როგორიცაა საწვავის ავზის საცობი. ამ სიახლეს საფუძვლად დაედო „ფორმულა-1"-ის ბოლიდებში გამოყენებული ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს ავზის თავსახურის ავტომატურ გაღება-დაკეტვას და ავზის ავსების პროცესი რამდენიმე წამამდე დაჰყავს. „რენოს" ინჟინრებმა ერთ ბლოკად გააერთიანეს ბენზინის ავზის თავსახური და თამასა, რომელიც მას ფარავს. მძღოლი სალონში განთავსებული ღილაკის დაჭერით გააღებს ავზს – ამრიგად, მას ანთების სისტემის საკეტიდან გასაღების ამოღებაც არ დასჭირდება, იმ ავტომობილების მფლობელებისგან განსხვავებით, რომლებშიც ავზის თავსახურს, მანქანის კარსა და ანთების სისტემას საკეტების ერთიანი სისტემა აქვს. „რენოს" ინჟინრები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ შექმნილი ტექნიკური სიახლით, არა მარტო მოსახერხებელს გახდიან მანქანას ავტომოყვარულთათვის, არამედ გარემოს დაცვის საქმეშიც შეიტანენ თავიანთ წვლილს: ავტომატიკა სრულიად გამორიცხავს ბენზინის აირების ატმოსფეროში მოხვედრას. ფრანგი კონსტრუქტორების სიახლე უკვე დანერგილია პრაქტიკაში – დისტანციური მართვით აღჭურვილი საცობი „რენოს" ისეთ სერიულ მანქანებს ახლავს, როგორებიცაა Megane, Vel Satis-ი და Espace. ■

ბრაზილიური Volkswagen-ი

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მოწყობილ ავტოსალონზე გერმანულმა კონცერნმა ახალი მოდელი წარმოადგინა. ეს არის კომპაქტური ჰეტჩბეკის – Polo-ს ბაზაზე აგებული სედანი, რომელიც გაბარიტებით აღემატება თავის წინამორბედს: მისი სიგრძე 4,179 მ-ს აღწევს, რაც 28,2 სმ-ით ჭარბობს Polo-სას. Sedan-ად წოდებული ავტომობილი 2 ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი – 101 ცხ.ძ-იანითა (1,6 ლ მოცულობის) და 115 ცხ.ძ-იანით (2 ლ). ორლიტრიანი „სედანი" 201 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს განავითარებს. მისი საბარგულის მოცულობა 432 ლ-ს შეადგენს, აკეცილი (მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ) უკანა სავარძლების შემთხვევაში კი, გაცილებით ტევადი გახდება.

ახალი მოდელის ფასები ჯერ არ ცხადდება, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, სიძვირე მოსალოდნელი არ არის: „სედანი" ხომ, მხოლოდ ბრაზილიაში გამოვა და ლათინურამერიკულ ბაზარზე გაიყიდება. ამჟამად „ფოლკსვაგენს" ბრაზილიაში 5 ქარხანა აქვს, რომელიც ქვეყნის ავტობაზრის 28%-ს ფლობს. ■

ლაბირინთები ჩაით გაზავებული...

ამერიკული ჯანონები

გახსოვთ ალბათ — კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების იდეოლოგთა ჩაგონება — ფული ხელის ჭუჭყიაო. ფულისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ რა შედეგიც გამოიღო, ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ: ფულის ყადრის არცოდნას სამუშაო ადგილებიც გადავაყოლეთ და დაშლილ-დაქცეულ ქვეყანაში უკვე სამუშაო ადგილის შოვნაც წარმოუდგენელი გახდა...

მეც საბჭოთა წყობილების შვილი ვიყავი და ალბათ ამიტომაც, მეც გამიჭირდა „ახალ რელსებზე" გადასვლა. ჰოდა, უფულობამ მაიძულა, ოკეანე გადამელახა და უცხო ქვეყანაში შევჭიდებოდი ბედს — ქვეყანაში, სადაც ნამდვილად იციან ფულის ყადრი და ფასი, ქვეყანაში, სადაც ზედმეტ მოძრაობასაც არ გააკეთებენ, თუ დაინტერესება არა აქვთ. ამ დაინტერესებაში კი, უპირველესად, ფული იგულისხმება.

აკაკი გეგენავა

ამერიკას თავისი ჯანონები აქვს...

ამხელა „ფილოსოფიური" შესავლის შემდეგ, მოდით, ჩემი ამერიკული თავგადასავლის რეალურ ეპიზოდებს დავუბრუნდეთ. როგორც გახსოვთ, ბრუკლინში რამდენიმე თვის ყოფნის შემდეგ, დროებითი სამუშაოებით თავგაბეზრებულმა, გადავწყვიტე, ტრაილერის კურსებზე მევლო, რომ შემდეგ მუდმივ სამუშაოზე მოვწყობილიყავი. კი გადავწყვიტე, მაგრამ საამისოდ ფული იყო საჭირო — სულ ცოტა 2.000 დოლარი. 1.500 დოლარი მარტო სწავლის ფული უნდა გადამეხადა. ეს თანხა 2-3 თვის მუშაობის შემდეგ კი მექნებოდა, მაგრამ ისე დავიღალე ყოველდღე სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა საქმის კეთებით, რომ ახლა ტრაილერის კურსების მეტი, აღარაფერი მახსოვდა. არადა, როგორია, ერთ დღეს ზეინკალი რომ ხარ, მეორე დღეს დურგალი, მესამე დღეს მტვირთავი ან ელექტრიკოსი?..

არა, ფული სასწრაფოდ უნდა მეშოვა. გენიალური აზრი — მივსულიყავი ჩემს ძველ სამუშაო ადგილას, ბრუკლინში, საკმაოდ ცნობილ რესტორან „Золотое кольцо" -ში, დიდი ხანია მაწვალებდა, მაგრამ ფეხს ვითრევდი, ქართული თავმოყვარეობა თავისას შვრებოდა. ბოლოს, ნავსი გავტეხე და რესტორნისკენ გავუყევი გზას ჩემს „თანამემამულეებთან" — აქ ხომ თითქმის ყველა თანამშრომელი — დირექტორიდან დაწყებული, უბრალო კარისკაცით დამთავრებული, ოდესელი იყო. თუმცა, იქ წასვლამდე, შრომის ბირჟაზეც ვცადე ბედი. ფულის სესხება არავისთვის მითხოვია, უბრალოდ — ნიადაგი მოვსინჯე. ყველანი ჩემზე უარეს დღეში იყვნენ. ვირივით მუშაობდნენ და რასაც შოულობდნენ, ბინის ქირად და პურის ფულად ძლივს ჰყოფნიდათ — ცოტ-ცოტას სამშობლოშიც აგზავნიდნენ, მათ იმედად დარჩენილი ახლობლებისთვის...

ჰოდა, ყველა იმედი რომ გადამეწურა, რაც იქნება, იქნება-მეთქი, — გავიფიქრე, — და რესტორნის ნაცნობ გზას დავადექი. ბოლოს და ბოლოს, ვცდი, ხომ არ მომკლავენ-მეთქი, ვიმხნევებდი თავს და თამამად შევაღე რესტორნის კარი.

— ო-ო, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები! სად დაიკარგე, კაკო? — ერთიანად გაბრწყინებული, ფაშფაშა ადმინისტრატორი ზოსია მომვარდა და ისე ძლიერად მიმიკრა მკერდზე, გაოცებისგან პირი დავაღე. სხვებიც ისე თბილად და შინაურულად შემხვდნენ, ლამის საქართველოში მეგონა თავი. მოკლედ, ერთბაშად მრავალი ადამიანი დავიგულე, ვისაც ჩემთვის ახლა ფულის სესხება შეეძლო...

თავდაპირველად, შეფ-მზარეულ კუზმასთან ვაპირებდი მისვლას, მაგრამ სამზარეულოში არ დამხვდა, ორ საათში დაბრუნდებაო, მითხრეს. კუზმას ლოდინში, მზარეულებთან გავერთე.

ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ სამზარეულოში აქოშინებული ზოსია შემოვიდა:

— აკაკი, კისამ გაიგო შენი მოსვლა და თავისთან გეძახის!

— როგორ გუნებაზეა? წყენამ არ გადაუარა?.. — კისასთან ჩემი ბოლო შეხვედრა გამახსენდა, როცა იგი ჩემს მეგობარზე იყო ძალიან განაწყენებული, მე კიდევ, მისი კაბინეტიდან გამოვიპარე.

— ნუ დარდობ — გადახარშა შენი „ბაბნიკი" ძმაკაცის სიყვარული. შეგიძლია, მშვიდად იყო... — კეთილად გამიღიმა ზოსიამ, ხელკავი გამომიწოდა და მეც „საზეიმო სვლით" გავყევი.

მართალია, კისასთვის არაფერი დამიშავებია, მაგრამ იმ ბოლო შეხვედრის შემდეგ, მასთან კონტაქტს თავს ვარიდებდი. ახლა კი, ფულის სესხების იმედმა ყველაფერი დამავიწყა. სითამამე მოვიკრიბე და ყოფილი უფროსის კაბინეტში შევედი. კისას დახვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისე გულითადად მიმიღო, თითქოს ჩემ გარდა, ამქვეყნად არავინ აინტერესებდა. მიღიმოდა და თვალს არ მაშორებდა. ერთბაშად მომეშვა, ვიფიქრე



— ეს ქალი ნამდვილად არ გამწირავს-მეთქი.

— კაკო, ასე უნდა, ხომ, ძველი მეგობრების დავიწყება?! კისა აღარ გჭირდება, არა?.. — მისაყვედურა.

— როგორ გითხრა, კისა, იმ დღეს ისე გაწყენინე, რომ აქეთ როგორღა გამოვიხედავდი?! — ვიმართლე თავი.

— შენ რა შუაში ხარ, კაკო?! იმ შენმა „ზემლიაკმა“ ისე გამაწბილა და ისეთი კვანტი დამიდო, ლამის ჭკუიდან შევიშალე, მაგრამ შენ რა შუაში ხარ... — კისამ მაცივრიდან ფორთოხლის ცივი წვენი გამოიღო და მაღალ, კარტის ფიგურებიან ჭიქაში ჩამომისხა.

ჭიქა ავიღე. ასეთი გემრიელი წვენი, მგონი, არასოდეს დამილევია. თითქოს კისა მიმიხვდაო — მითხრა:

— არგენტინიდან ჩამომიტანეს წვენების ახალი პარტია. ასეთს სხვაგან ვერსად დალევ.

ის-ის იყო, ქათინაურის თქმა დავაპირე, რომ... კისას კაბინეტში მისი თაყვანისმცემელი (უფრო — საყვარელი) ბორია შემოვიდა (ეს ის ბორიაა, კისას გამო, რამდენჯერმე კინაღამ რომ მიმბეგვა).

„ესღა მაკლდა!..“ — გავიფიქრე... ეტყობა, ფერი შემეცვალა... კისამ მკაცრი სახე მიიღო და უთხრა:

— ბორია, გეძებდი, პროფილაქტორიუმში ხარ წასასვლელი. მანქანა მჭირდება დღეს, აუცილებლად!..

ბორია იდგა და თვალს არ მაშორებდა. მივხვდი, სიტუაცია აშკარად იძაბებოდა და მზადება დავიწყე... ეტყობა, კისაც მიხვდა, რომ საქმეში მისი „ჩარევა“ იყო საჭირო. ადგა, ბორიასთან მივიდა და ლამის ძალით გაიყვანა კაბინეტიდან.

— კისა, რა დაგიშავე? მაინცდამაინც ამ ბორიას უნდა მოაკვლევინო ჩემი თავი?.. — ვუსაყვედურე უკან მობრუნებულს.

— კარგი, რა, ნუ მასხარაობ... ხომ იცი, რა ეჭვიანია. მაგას რომ ვუყურო, რესტორანში ერთ კაცსაც არ გააჭაჭანებს... — გამიღიმა კისამ და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. კარგი მეგობრებივით (მგონი, ვიყავით კიდეც) მოვიკითხეთ ერთმანეთი. რესტორანში ჩემი მუშაობის დღეები გავიხსენეთ. შენი სიმღერები მომენატრა, შეგიძლია, ზოგჯერ მოხვიდე და იმღეროო, — შემომაპარა რესტორნის მეპატრონემ.

მეც ჩემი გეგმების შესახებ ვუამბე... ბოლოს გავბედე და ფულის სესხებაზეც შევაპარე თხოვნა. კისამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ მიხვდა, რაზე ველაპარაკებოდი. სიტყვა ბანზე ამიგდო და ახლა ტრაილერით დაინტერესდა.

— დარწმუნებული ხარ, რომ თუ ტრაილერზე იმუშავებ, ფულის დაგროვებას მოახერხებ? — სერიოზული სახით შემომხედა.

— დარწმუნებული ვარ. გავიკითხე და ვინც ტრაილერზე მუშაობს, ბედს ნამდვილად არ უჩივის... — ვუპასუხე.

— მერე, ხომ იცი, სულ გზაზე ყოფნა რომ მოგიწევს. სახლი არ მოგენატრება? — ამ კითხვას მართლა არ ველოდი.

— კისა, სახლი ისედაც სულ მენატრება. დედა და ცოლ-შვილი თბილისში მყავს მიტოვებული. აქ კი, აქ ისედაც მარტო ვარ... — ვუპასუხე კისას. თუმცა, მოულოდნელად, ჩემი ახალი, მოხუცი დიასახლისი სვეტა გამახსენდა, რომელიც მოუთმენლად ელოდა ყოველ საღამოს სამუშაოდან ჩემს დაბრუნებას და ცხელ ვახშამსაც მახვედრებდა.

— შენი საქმისა შენ იცი... ფული რამდენი გინდა და რამდენ ხანში დამიბრუნებ? — როგორც ჩანს, კისამ მშვენივრად გაიგო, შეფარვით ფულის სესხება რომ ვთხოვე.

— კურსებზე შესატანად — 1.500 დოლარი მჭირდება. ცოტა სახარჯოდაც ხომ მინდა. 2.000 დოლარს ვისესხებდი. 2-3 თვეში დაგიბრუნებ... — ისეთი სიხარულით წარმოვთქვი ეს სიტყვები, უცხოს რომ დავენახე, იფიქრებდა, ამაზე ბედნიერი კაცი დედამიწაზე არ დადისო. თან გულში უაღრესად მადლიერი ვიყავი კისასი. აი, როგორი გატანა შეძლებია — არც კი დაფიქრებულა, ისე მიმართავს ხელს-მეთქი.

— კარგი... მოგცემ 2.000 დოლარს, ხვალვე მოგცემ. ოღონდ — სამ თვეში 2.600-ს დამიბრუნებ! დღეები არ გადამიცილო, იცოდე!.. — მითხრა კისამ და სიგარეტს მოუკიდა.

კაცს რომ მოულოდნელად თავში ქვა მოხვდება, გონს დაკარგავს და მერე მოასულიერებენ, ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი. ამ მოულოდნელმა პასუხმა გამაოგნა. თუმცა, ეს ჩემთვის იყო მოულოდნელი, თორემ ამერიკაში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა (სხვათა შორის, დღეს თბილისშიც არ არის უცხო ხილი ახლობლისგან პროცენტიანი სესხის აღება!). აღარ ვიცოდი, მადლობა მეთქვა კისასთვის თუ ჩემი რეაქცია სხვაგვარად გამომეხატა.

— კისა!.. პროცენტიან სესხს მაძლევ? — როგორც იქნა, ხმა ამოვიღე.

— რატომ გიკვირს? შენ არც ძმა ხარ ჩემი და არც შვილი, ფული ისე რომ მოგცე. თუმცა, ჩემს ძმასაც არ მივცემ ფულს დაუფიქრებლად... — არანაკლები გაკვირვებით მიპასუხა რესტორნის მეპატრონემ. მერე უცბად, გონებაში ელვისებურად გამიელვა ფიქრმა: მართლაც, რომელი კისას ახლო ნათესავი გახლდით?! უბრალოდ, მისი ყოფილი ხელქვეითი ვიყავი და რა უფლება მქონდა, რამე მომეთხოვა? ბოლოს და ბოლოს, რა ვალდებული იყო კისა, დამხმარებოდა... ამ ფიქრებმა რეალობაში დამაბრუნა და დავწყნარდი კიდეც.

— კისა, მოვიფიქრებ და პასუხს ხვალ გეტყვი... ისე, ამხელა პროცენტი რა ამბავია?! — საქმეზე გადავედი. გულში კი ბოღმა მაინც არ მასვენებდა. ჩემს თავს ვებრძოდი. არ ვიცოდი, ვისზე გაბრაზებულიყავი — კისაზე თუ ამერიკაზე (!). მე ახლა ყველაზე და ყველაფერზე გულგატეხილი ვიყავი, მაგრამ მინდოდა, დამცირებული არ გამოვსულიყავი კისას კაბინეტიდან. არც შინაგანი კულტურა მაძლევდა იმის უფლებას, რაიმე უხეშად მეთქვა და ამით ჩემი უკმაყოფილება გამომეხატა.

— ჩემო კაკო, მართალია, ამერიკის ბანკებში დაბალი პროცენტია, მაგრამ შენნაირი ხალხი იქიდან კრედიტს ასი წელი ვერ გამოიტანს, იმდენი საბუთია მოსაგროვებელი. ისე, ძველი ნაცნობობის ხათრით, შემიძლია ცოტა დაგიკლო — სამი თვის შემდეგ 2.500 დოლარი მომიტანე. თანაც, ხომ იცი, ქართველისთვის უარის თქმა არაფერზე შემიძლია... ნუ გეწყინება, აქ ამერიკაა, ამერიკას კი თავისი კანონები აქვს!.. — ამჯერად, უკვე ამერიკაში ნასწავლი ღიმილით მომმართა ბრუკლინის რუსული დიასპორის „დედოფალმა“ და თვალი თვალში გამიყარა. სხვა რა გზა მქონდა?! მეც ისეთივე ღიმილით ვუპასუხე. შეღავათისთვის მადლობა გადავუხადე და გაფითრებული გამოვედი... კართან ბორია იდგა.



ეტყობა, ახალი მოსული იყო და კისას კაბინეტის „შტურმით“ ასაღებად ემზადებოდა. გავიფიქრე – ამას მაინც წამოვარტყამ თავში-მეთქი, – მაგრამ ისევ მოთოკე ემოციები, აყალმაყალის თავი ნამდვილად არ მქონდა. ნაბიჯს მოვუჩქარე და რომ იტყვიან, შურდულივით გამოვვარდი „Золотое кольцо“-დან...

ფული ჯარგია, მაგრამ მეგობრობა უკეთესია...

მთელი გზა ლამის მივრბოდი გაცეცხლებული. ჩემს ახალ საცხოვრებლამდე ფეხით კარგა გრძელი მანძილი იყო, მაგრამ ახლა ტრანსპორტში ასვლის თავიც აღარ მქონდა. ვბრაზობდი, მაგრამ არ ვიცოდი, ვისზე ან რაზე ვიყავი გულნატკენი... ფაქტია, რომ ასე დათრგუნვილი არასოდეს ვყოფილვარ და ეს გრძნობა უფრო და უფრო მაღიზიანებდა.

– აკაკი!.. აკაკი!.. – მომესმა ნაცნობი ხმა. მოვიხედე და გავოგნდი: შეფ-მზარეული კუზმა ქოშინით მომდევდა და თან მეძახდა.

– ძლივს დაგეწიე, რა მოგივიდა, ძმაო? ჩემთან მოსულხარ და რატომ აღარ დამელოდე? – მომიახლოვდა კუზმა და გადამეხვია, თან, საწყალს, იმდენი ერბინა, სულს ძლივს ითქვამდა.

– რა ვიცი, კუზმა! კი მოგიკითხე, მაგრამ რომ არ მოხვედი, აღარ დაგელოდე. თანაც, რა ვიცი, აღარ მინდა, ვინმეს ჩემი ვიზიტებით გული გავუწყალო...

– რაღაც, შენი ხმა არ მომწონს, თანაც სახე სულ გაფითრებული გაქვს. რა იყო, მოხდა რამე? – შეშფოთებული ხმით მკითხა კუზმამ.

– არა, არაფერი. უბრალოდ, დრო მქონდა და გამოგიარე. როგორა ხარ, კუზმა? – ისე ვლაპარაკობდი, თითქოს სიტყვებს ვეძებდი.

– რაღაც, სიმართლეს არ მეუბნები... მითხარი, რა მოხდა, რითი დაგეხმარო? არ მოგერიდოს!.. – არ მეშვებოდა კუზმა. მისი სიტყვების გულწრფელობაში ნამდვილად არ მეპარებოდა ეჭვი.

... ლაპარაკით რომ ვერაფერს გახდა და რომ ვერ „გამომტეხა“, ახლა სხვა მეთოდს მიმართა. იქვე, კაფეში მიმიპატიჟა – ცოტა ხანი ჩამოვჯდეთ, ძველი დრო გავიხსენოთო, – მითხრა და მეც შევყევი.

კუზმამ რომ გაიგო, ტრაილერზე ვაპირებდი მუშაობის დაწყებას, ძალიან დასწყდა გული. მძღოლობას, კაკო, მზარეულობა არ სჯობდა? – საჭმელი მაინც გექნებოდა და ყოველღამე საწოლში მშვიდად დაიძინებდიო... ესეც დეიდა სვეტასავით ზრუნავდა ჩემს კვებასა და ძილზე... ავუხსენი, რომ ტრაილერზე მუშაობა, მოგზაურობაზე შეყვარებული ჩემისთანა კაცისთვის ზედგამოჭრილი იყო. მერე, ბიჭო, იქნებ, მთლად დამივიწყო კიდეცო. მივხვდი, ამ სიტყვებსაც გულწრფელად მეუბნებოდა და ერთბაშად შვება ვიგრძენი, ვიღაცას მაინც შესტკივა ჩემზე გული-მეთქი.

...ვიხსენებდით რესტორანში ერთად გატარებულ დღეებს. კუზმამ თითო ჭიქა ჩემი საყვარელი „ნაპოლეონიც“ შეუკვეთა – ფრანგული კონიაკი, რომელიც არცთუ ისე იაფი ღირდა... მერე ჯიბიდან სომხური კონიაკის პატარა ბოთლი ამოაძვრინა – გუშინ ერთმა სომეხმა მისახსოვრაო... ჩემი ხასიათის გამოკეთებასაც მეტი რაღა უნდოდა?..

– მერე, კაკო, ტრაილერზე რომ იმუშაო, „პრავა“ გაქვს? – ისევ კუზმამ წამოიწყო ლაპარაკი!

– რა თქმა უნდა, მაქვს! – ვიფიქრე, ამას მაინც არ გავუფუჭებ ხასიათს-მეთქი.

– ეგ საკენკი, ძმაო, შენს წიწილებს დაუყარე, თბილისში! ამერიკაში რომ ტრაილერზე დაჯდე, ამერიკული „პრავა“ უნდა გქონდეს! „პრავისთვის“ კურსებია საჭირო, კურსებს კიდევ, ფული უნდა! მერე შენ გაქვს ახლა მაგდენი ფული? – გამომცდელად ჩამეკითხა კუზმა.

– პრობლემა არ არის, ვიშოვი!..

– სად იშოვი?

– ვიშოვი!..

– ვიშოვი, ვიშოვი!.. რა ჩაიხვიე ეს სიტყვა?! სად იშოვი ფულს? აქ ამერიკაა, ძმაო, ამერიკა! თანაც, ისიც იცოდე – მე ვერ მომატყუებ: შენ რომ მიდიოდი, მე უკვე კარგა ხნის მოსული ვიყავი, მაშ!.. – და კუზმამ ხელი მხარზე გადამხვია.

– კაკო, მითხარი ახლა, ხომ ვართ ჩვენ ძმები!.. სად უნდა წახვიდე ფულის საშოვნელად, აგერ არა ვარ? მე მოგცემ, რამდენსაც გინდა!

– რამდენ პროცენტში მომცემ?.. – უნებლიეთ წამოვისროლე შეკითხვა, რომელმაც კუზმა ფეხზე წამოახტუნა.

– რა-ა?! შენ ავად ხომ არა ხარ?! ან კისაში ხომ არ გეშლები?! ახლა მივხვდი – კისასთან ფულის სათხოვნელად მიხვედი და იმ „პრასტიტუტკამ“ მოგთხოვა პროცენტები. მაგის... არ ჰყოფნის, ხომ, ჩვენს ხარჯზე რომ გაისქელა ერთი ადგილი, მე მაგისი!..

ასეთი გაცეცხლებული კუზმა არასოდეს მენახა. სულ თავბედი ვიწყევლე – კაფეში რატომ შემოვყევი-მეთქი?!. კუზმამ მთელი სიბრაზე ახლა ჩემზე გადმოიტანა და ისე ღონივრად მითავაზა მუჯლუგუნი გულმკერდში, რომ სკამიანად გავსრიალდი და ზურგს უკან მდგარ მაგიდას მივეჯახე. მაგიდა და ხანში შესული, შეყვარებული წყვილი ერთბაშად ამოტრიალდნენ. ხმაურზე მთელი დარბაზი წამოიშალა. მე ისევ გაოგნებული ვიჯექი სკამზე, რომელიც წაქცეულ მაგიდას შეეკავებინა. ნამდვილი ტრაგიკომიკური სიტუაცია იყო – არ ვიცოდი, მეტირა თუ მეცინა... კუზმა თითქოს გამოფხიზლდა – სასწრაფოდ მივარდა უხერხულ პოზაში წაქცეულ სანდომიან მანდილოსანს, ჯერ ის წამოაყენა, შემდეგ მისი ხელჯოხიანი კავალერი... მეც უცებ მოვეგე გონს, „Золотое кольцо“-ში მიღებული გამოცდილებაც გამოვიყენე და ორიოდე წუთში ყველაფერი თავის ადგილზე იყო...

სამწუხაროდ, კაფეს დაცვის სამსახური მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. პოლიციამ სწრაფად მოგვნათლა „ხულიგნებად“ და ჯარიმა – 100 დოლარი მოგვაკერა. კუზმამ დიდსულოვნად გადაიხადა „შეწერილი“ თანხა, არაფრით არ გამომართვა ჩემი წილი... ხელი ჩამკიდა, იქვე, მახლობლად მდებარე პატარა, კოხტა რესტორანში შემათრია (მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა) და გვიან ღამემდე ერთმანეთს ძმაკაცობას ვუმტკიცებდით... იმ რესტორანში როგორღაც, გიტარა ჩამივარდა ხელში და კუზმასთან ერთად ალა პუგაჩოვას სიმღერას ვმღეროდით, რომელშიც ასეთი სტრიქონებიცაა:

Не имей сто рублей,
А имей сто друзей...

შინ გამთენიისას დავბრუნდი, იმედმოცემული და გახარებული. ხვალ კუზმა ფულს მომცემდა და ტრაილერის კურსებზე დავიწყებდი სიარულს... ჩემი მისვლა ჩემს კეთილ დიასახლისს, დეიდა სვეტას არ გამოჰპარვია. ხალათმოსხმული გამომეგება და სამზარეულოში შემიძღვა. ბევრი ვიუარე, მაგრამ ჩაი მაინც დამალევინა, თანაც – ჩვეულებრივი კი არა, დარიჩინიანი ჩაი ლიმონით...

მოკლედ, ამ ერთმა თავბრუდამხვევმა დღემ კიდევ ერთხელ ამავსო მომავლის იმედით... ■

სპარსული პოეზია და ირანის ნაწილად ქცეული საქართველო...

კლუბ „სარდაფში“ გამართული მორიგი ლიტერატურული საღამო აღმოსავლურ პოეზიას და კულტურას დაეთმო. მწერალმა დათო ტურაშვილმა წარმოგვიდგინა პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე, რომელმაც უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, თეირანში დაამთავრა ასპირანტურა რელიგიებისა და მისტიკის ისტორიის განხრით. „გიორგი ძალიან თავმდაბალი ადამიანია, როგორც კლასიკოსს შეეფერება. ამიტომ მისი სახელი შეიძლება არ არის ისეთი პოპულარული ფართო საზოგადოებისთვის, როგორც ამას მისი შემოქმედება იმსახურებს“, — თქვა დათო ტურაშვილმა და მიკროფონი გიორგი ლობჟანიძეს გადასცა, რომელმაც თავდაპირველად, საკუთარი ლექსები გაგვაცნო.

„მე ვიცი, ცხოვრებას რომ ჰქვია „მიშველე“, მაგრამ მაინწყდება ცხოვრების ნიშანი“.

დარბაზში მისი პოეზიის მცოდნე ბევრი ადამიანი აღმოჩნდა და ზოგი უკვეთდა კიდეც ბატონ გიორგის ამა თუ იმ ლექსს. მუხედავად ამისა, როგორც თავმდაბალმა ადამიანმა, მან ბევრჯერ მოიხადა ბოდიში — ამდენი ხალხი შეგაწუხეთ, მოგიყვანეთ და ძალიან ვნერვიულობო. შემდეგ, თარგმანებზე გადავიდა და სპარსული ლიტერატურის ოქროს ხანის პოეტის — ჯალალედინ რუმის შემოქმედების ნიმუშები წარმოგვიდგინა. რომ დააჭაშნიკოთ, ჯერ სპარსულად წაგიკითხავთო: ასეთი დონის პოეზიის თარგმნა ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც ვცადე — ცდა ხომ ბედის მონახევრეაო, — და წაგვიკითხა:

„მკვდარი ვიყავ, მკვდრეთით აღვსდექ,
გლოვა ვიყავ, ლხენად ვიქეცი.
სიყვარულის ჟამი დადგა,
სიყვარულის ენად ვიქეცი“.

შემდეგ მე-11 საუკუნის მისტიკოსი პოეტი აბუ საიდიც წარმოგვიდგინა და თანამედროვე ირანელი პოეტების თარგმანებიც.

„სპარსეთის შესახებ ძირითადად ის ვიცით, რომ შაჰ-აბასმა პაატას თავი მოჰკვეთა. საკმაოდ ჩაკეტილი ქვეყანაა. გიორგი რამდენიმე წელი ცხოვრობდა თეირანში და ვთხოვოთ, გვიამბოს მისი თვალით დანახული ირანის შესახებ“, — თქვა დათო ტურაშვილმა. ამის შემდეგ, სარდაფში მყოფმა ახალგაზრდებმა უამრავი კითხვა დაუსვეს გიორგის. როგორც მან გვითხრა, ირანში საქართველოს აღიქვამენ ან საბჭოეთის ნაწილად, ან ირანის ნაწილად, რომელიც დროებით, ძალბედობის გამო, რუსეთმა წაართვა ირანს... განათლებისა და წიგნის გამოცემის დონე, იქ საკმაოდ მაღალი ყოფილა და წიგნიც საკმაოდ იაფი ღირს თურმე. ■

ნატო გაბუნია

„ნოდარ გამუნიას არ უყვარდა კონკურსები...“

ჯანსუღ კახიძის სახელობის დარბაზში, ნოდარ გაბუნიას სახელობის II ეროვნული კონკურსი გაიხსნა. შარშან ჩატარებულ I კონკურსზე გრან-პრი არავისთვის მიუნიჭებიათ. შესაძლებელია, რომ გრან-პრი წლევანდელ კონკურსშიც არ გაიცეს. თუ მის მონაწილეებს შორის არ აღმოჩნდა ამ მნიშვნელოვანი ჯილდოს ღირსი შემსრულებელიო, — განაცხადა კონკურსის დამაარსებელმა და გენერალურმა დირექტორმა, მსოფლიო მუსიკალური სამყაროსთვის კარგად ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, ვალერიან შიუკაშვილმა.

კონკურსი „ერტა ჯორჯიას“ ეგიდით ტარდება. მისი გენერალური სპონსორია კომპანია „არტ-იმედი“. ამ ორგანიზაციებისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთობლივი დაფინანსების შედეგად, გაიცემა ნოდარ გაბუნიას სახელობის პრემია.

გახსნის ცერემონიაზე დამსწრეთა წინაშე წარდგნენ: „ერტა ჯორჯიას“ პრეზიდენტი ნინო ხუციშვილი, თბილისის კონსერვატორიის რექტორი მანანა დოიჯაშვილი, ნოდარ გაბუნიას ქალიშვილი ნატო გაბუნია.

მანანა დოიჯაშვილი: „ეს ბატონი ნოდარის გახსენებაა — პიროვნებისა, რომელიც ჩვენთვის პროფესიონალის ეტალონს წარმოადგენს. კონსერვატორია გამარჯვებულს ფულად პრემიას გადასცემს და კონცერტის ჩასატარებლად კონსერვატორიის დიდ დარბაზს დაუთმობს“.

ვალერიან შიუკაშვილი: „ამბობენ, მადლობის თქმა არასოდეს არ არის გვიანო. მე მინდა მადლობა გადავუხადო ადამიანს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მარტო ჩემს, არამედ მთელი საქართველოს ახალგაზრდობის მუსიკალურ განვითარებაში. ნოდარ გაბუნიას არ უყვარდა კონკურსები. ყოველთვის ამბობდა — არ შეიძლება ბრძოლა ხელოვნებს შორისო. მე მაინც, მისი სახელის გახსენებისთვის დაარსებულ კონკურსს გახსნილად ვაცხადებ“.

კონკურსში 36 შემსრულებელი მონაწილეობს. გრან-პრის მფლობელს ფულადი ჯილდო — 5.000 ლარი გადაეცემა. ■

დიდი პაოლოს ცხოვრების ეპიზოდები

რუსთაველის თეატრში პაოლო იაშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ჩატარდა. გადაჭედილ დარბაზში პოლიტიკოსები, პოეტები და მსახიობები ჭარბობდნენ. საღამოს, პარლამენტის თავმჯდომარე და რამდენიმე მინისტრიც ესწრებოდა.

მსახიობებმა ძალზედ ორიგინალურად წარმოადგინეს პაოლო იაშვილის ცხოვრების ეპიზოდები. ამ საღამოს პოეტის ბევრი ლექსი და წერილის ფრაგმენტი აჟღერდა. პაოლო იაშვილს ნიკო გომელაური ასახიერებდა, ხოლო ტიციან ტაბიძეს — რამაზ იოსელიანი. საღამოს მსვლელობისას მოულოდნელად შუქი ჩაქრა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა გრძნობები... სცენაზე სანთლები აანთეს. მარინა კახიანმა კი პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ეპიზოდი იმგვარად გაახსენა დამსწრეთ, რომ დარბაზში მსხდომი ზოგიერთი ქალბატონი ატირდა. ბოლოს, ტაშმაც იქუხა და სცენაზე წითელი ყვავილების გვირგვინები აიტანეს... ■

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲗᲔᲜᲘᲔᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲨᲔᲜᲐᲘᲐ ᲢᲕᲔᲘᲜᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲝᲛᲐ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ

ქანთრის სტილის მუსიკის ვარსკვლავმა, შენაია ტვეინმა ინტერვიუში განაცხადა (1999 წლიდან მოყოლებული, ეს მისი პირველი ინტერვიუა), რომ პირადი ცხოვრების სიმყუდროვის დასაცავად ძალ-ღონეს არ იშურებს; ამას ისიც დასძინა, რომ აბსოლუტურად ბედნიერად მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს, როცა უბრალოდ კომპოზიტორი იქნება და არა ვარსკვლავი. თავსმოხვეულ დიდებას გარიდებულმა მომღერალმა უკანასკნელი სამი წელი ქმართან ერთად, შვეიცარიაში გაატარა. ტვეინის უმთავრეს ამოცანას მისი ერთი წლის ვაჟიშვილის — ეიას სიმშვიდის დაცვა წარმოადგენს. მან განაცხადა, რომ ბიჭუნას ფოტოების ჟურნალში გამოქვეყნების უფლებას ათ მილიონადაც კი არავის მისცემს. ■

P Diddy–ს მეჯვრი დამადების დღე

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, სახელგანთქმული რეპერი, შონ კომბსი (ცნობილია ასევე, როგორც პაფ დედი, ამჟამად კი ე.წ. P Diddy) საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებას მისი უდიდებულესობის, მაროკოს მეფის — მოჰამედ მეექვსის სასახლეში გამართავს. კომბსის 33 წლის იუბილე ქალაქ არაკეშში შედგება და როკერს ეს სიამოვნება მილიონი დოლარი დაუჯდება. შონი მაროკოში თავისი მეგობრებისა და სხვა მიწვეული სტუმრების ნიუ-იორკიდან და პარიზიდან რეაქტიული ავიალაინერით ჩაყვანას აპირებს.

კომბსის წარმომადგენლები მომავალი წვეულების დეტალებზე საუბრისაგან თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ ყველაფერი მეფის სურვილის შესაბამისად გადაწყდა. ■

ᲑᲠᲘᲢᲜᲘ ᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

როგორც გაირკვა, ბრიტნი სპირსი ყველასაგან მალულად თანამშრომლობდა რობი უილიამსის ყოფილ თანაავტორთან — გაი ჩემბერსთან. მათ ერთმანეთი ბრიტნის საუკეთესო მეგობარმა, ნიკ კარტერმა გააცნო, რომელიც თავის მხრივ, ჩემბერსს საკუთარი სოლო ალბომის ჩაწერისას დაუახლოვდა.

ბრიტნიმ ჩემბერსის გადაბირება ყოფილ პარტნიორთან — რობი უილიამსთან სკანდალური უთანხმოების შემდეგ შეძლო. რობი მეგობრისგან მოითხოვდა, რომ სიმღერები მხოლოდ მისთვის დაეწერა; ჩემბერსი კი BBMAK-თან და უილიამ იანგერთან უკვე თანამშრომლობდა. ამის ნიადაგზე მეგობრებს უსიამოვნება მოუვიდათ და მრავალმილიონიანი კონტრაქტი დაარღვიეს.

ამის შემდეგ ბრიტნი ინგლისში ჩაფრინდა და გაი ჩემბერსთან და კატი დენისთან (კაილი მინოუგის ჰიტების ავტორი) ერთად, ახალ ალბომზე მუშაობას შეუდგა. თურმე პოპ-პრინცესამ, ყველასგან მალულად, ჩრდილოეთში მდებარე ჩემბერსის სტუდიაც მოინახულა.

ისინი ტრეკ — Sacred-ზე ერთობლივად მუშაობენ; სავარაუდოა, რომ იგი სპირსის ამჟამინდელ გამომწვევ იმიჯს კიდევ უფრო დაუმკვიდრებს. ამბობენ, ბრიტნი საკუთარ სიმღერებში გამოყენებული სალანძღავი სიტყვებით პუბლიკას შოკშიც კი აგდებსო. სპირსი შერყეული კარიერის გამოსწორებას თავდაუზოგავად ლამობს და მიაჩნია, რომ გაისა და კატისთან თანამშრომლობა მისი ალბომის კარგად გაყიდვას უზრუნველყოფს. ■

ᲣᲐᲘᲜᲝᲜᲐ ᲠᲐᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲓᲝᲛᲐᲛ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗ ᲨᲔᲐᲪᲛᲣᲜᲐ

ტანსაცმლის ფეშენებელურ მაღაზიაში ჩადენილ ქურდობაში ბრალდებული მსახიობის — უაინონა რაიდერის სასამართლოს მეორე სხდომა სკანდალით დასრულდა. რაიდერი დარბაზიდან გააძევეს, ამის მიზეზი კი, ბრალდებულის საცვალი გახდა: მსახიობი სხდომაზე სრულიად გამჭვირვალე საღამოს კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა. კაბა იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ ვარსკვლავის შავი ბიუსტჰალტერისა და თეთრი ტრუსის გარჩევა აბსოლუტურად ყველა დამსწრემ შეძლო. დარბაზში მყოფი მოწმეები, ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლეები რაიდერის გარეგნულმა იერმა იმდენად სახტად დატოვა, რომ ცოტა ხანს ისინი მას პირდაღებულებიც კი შესცქეროდნენ. თვითმხილველების თქმით, უაინონას ამ გამოხდომით ყველაზე მეტად შეწუხებული, თავად მსახიობის ადვოკატი გახლდათ. საკუთარი კლიენტის ბიუსტჰალტერის შემხედვარემ, თავი ვეღარ შეიკავა და წამოიძახა: ასე ჩაცმული რომ მოდიოდი, ნეტავ, რაზე ფიქრობდიო?! შეცბუნებული მოსამართლე ბოლოს გონს მოეგო და რაიდერს დარბაზი დაატოვებინა, მომავალში კი სასამართლოში, შესაფერისი ჩაცმულობით მოსვლა მოსთხოვა. ■

რომელი სურდო გაქვთ?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

შემოდგომაა. ამ დროს ბევრ ადამიანს უჭირს ცხვირით სუნთქვა. რა არის ეს – ჩვეულებრივი გაცივება თუ ქრონიკული სურდო? საქმე ის გახლავთ, რომ ქრონიკული სურდო (რინიტი) სულაც არ არის სეზონური დაავადება, უბრალოდ, ცივ ამინდში უფრო ადვილად მწვავდება. თუ წლიდან წლამდე თან გდევთ სურდო, იცოდეთ, რომ ამას სასწრაფოდ უნდა მიხედოთ, რადგან ლორწოვანი გარსის ხანგრძლივად შეშუპებამ, შესაძლოა სხვადასხვა დაავადების (ჰაიმორიტი, ფრონტიტი, ბრონქებისა და ფილტვების, აგრეთვე გულის დაავადებები) განვითარება გამოიწვიოს. იგი წარმოადგენს აგრეთვე ხვრინვის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს. მიუხედავად სახელწოდებისა, „ქრონიკული" რინიტი ემორჩილება მკურნალობას – მთავარია, სწორი მეთოდის შერჩევა. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, რომელი სახეობის სურდო გაქვთ.

მწვავე სურდო, ჩვეულებრივ, 7-10 დღეში გაივლის ხოლმე. დაავადების სამკურნალოდ ცხვირში უნდა ჩაიწვეთოთ სისხლძარღვთა შემავიწროებელი წვეთები (ნაფტიზინი, გალაზოლინი, სანორინი). ეს საშუალებას მისცემს ცხვირს, ნორმალურად იფუნქციონიროს და დაგიცავთ გართულებებისაგან (ჰაიმორიტი, ოტიტი – ყურის ანთება და სხვ.). თუ უკეთესობას ვერ იგრძნობთ, საფიქრალია, რომ გაქვთ ქრონიკული სურდო.

ქრონიკული რინიტი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს.

ჰიპერტროფიულ ფორმას საფუძვლად უდევს ლორწოვანი გარსის პათოლოგიური ზრდა (ცხვირის ნიჟარების გადიდება). ამ დროს რეკომენდებულია ქირურგიული მკურნალობა, რადგან რინიტის ეს ფორმა ყველაზე მდგრადია და ძნელად ემორჩილება მკურნალობას. დღეისათვის იყენებენ დამზოგავ ქირურგიულ მეთოდებს – რადიოტალღოვან ქირურგიას და ქირურგიულ ლაზერს, თუმცა, ისინი ძვირად ღირებული აპარატურით ხორციელდება და ამიტომ, ბევრისთვის ხელმისაწვდომი არ არის. გარდა ამისა, არსებობს ულტრაბგერით ცხვირის ნიჟარების შემავიწროებელი უსისხლო და უმტკივნეულო მეთოდი, რომელიც ამბულატორიულად ტარდება.

დღემდე გამოიყენება ძველი ქირურგიული მეთოდიც – გადიდებული ლორწოვანი გარსის მოკვეთა მაკრატლით ან მოწვა გალვანური დენით, მაგრამ ასეთი ოპერაციის შემდეგ ხშირად ვითარდება ლორწოვანის სიმშრალე, ირღვევა სასუნთქი ჰაერის გათბობის პროცესი, ბრონქები დაუცველი ხდება გაცივებისაგან, რადგან ცხვირის ლორწოვანი გარსი ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ალერგიული რინიტის დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, რაზე აქვს ავადმყოფს ალერგია, მაგრამ მხოლოდ ალერგიის ფაქტორის მოხსნა სურდოსგან არ განგვკურნავს. უნდა დაინიშნოს ალერგოლოგის მკურნალობა მთელი ორგანიზმის აღდგენის მიზნით, ხოლო ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი მოხსნის ალერგიის გამოვლინებას ცხვირის ღრუში. ამჟამად ეს პრობლემა ადვილად წყდება გლუკოკორტიკოსტეროიდების (ჰორმონული პრეპარატების) ადგილობრივი გამოყენების გზით.

თუ სიცივეში, ჰაერზე უკეთ სუნთქავთ, ვიდრე შენობაში, აგრეთვე ალკოჰოლის გამოყენებისას ცხვირით სუნთქვა გიჭირთ, საფიქრალია, რომ თქვენ რინიტის ნეიროვეგეტაციური ფორმა გაქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლძარღვები რეაგირებს ნებისმიერ გარეშე და შიდაგამღიზიანებელზე. ამ ფორმის რინიტის საფუძველს ორგანიზმის ნერვულ-სისხლძარღვოვანი დარღვევები და ჰორმონული ძვრები წარმოადგენს, მკურნალობა შეიძლება იყოს თერაპიულიც და ქირურგიულიც. საჭიროა ერთდროული ზემოქმედება ნერვულ, სისხლძარღვოვან და ენდოკრინულ სისტემებზე. ■

მენინგოკოკური ინფექცია

ამ მწვავე ინფექციურ დაავადებას მენინგოკოკი იწვევს. იგი ვლინდება არა მხოლოდ ტვინის გარსების ჩირქოვანი ანთებით (მენინგიტი), არამედ, ბევრად უფრო ხშირად, ცხვირ-ხახის ანთებით (ნაზოფარინგიტი). იშვიათად ვითარდება მენინგოკოკური სეფსისი (მენინგოკოკემია), ფილტვების ანთება, გულის კუნთის ანთება (მიოკარდიტი), სახსრების ანთება (ართრიტი). დაავადების შემთხვევები ზამთარში და ადრე გაზაფხულზე მატულობს. ადამიანი ავადდება ავადმყოფთან ან მენინგოკოკის ჯანმრთელ მატარებელთან ახლო კონტაქტის დროს. ინფექციის გადაცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით ხდება.

ნაზოფარინგიტის დროს ავადმყოფს აწუხებს ზომიერი თავის ტკივილი, ტკივილი ყლაპვის დროს, ფხაჭნის შეგრძნება ყელში, ხველა, უჭირს ცხვირით სუნთქვა (მშრალი სურდო). პატარა ბავშვებში გამოხატულია ზოგადი მოვლენებიც: უმადობა, მოდუნება, ტემპერატურა 37-38 გრადუსამდეა მომატებული. თვალით ჩანს ხახის უკანა კედლის ძლიერი შეშუპება, შეწითლება და მარცვლოვანება. დაავადების ხანგრძლივობა 3-5 დღეა. სამწუხაროდ, დიაგნოზი ხშირად არ ისმება, რადგან ნაზოფარინგიტი ძლიერ წააგავს ჩვეულებრივ მწვავე რესპირაციულ დაავადებას. ხველისა და ცხვირცემინების დროს, ასეთი ავადმყოფები გამოყოფენ დიდი რაოდენობით მენინგოკოკს და ინტენსიურად ავრცელებენ გამომწვევს.

მენინგიტი უფრო ხშირია ბავშვებში. იგი უეცრად იწყება: ძლიერი შემცივნებით, ტემპერატურის სწრაფი მატებით 39-40 გრადუსამდე. პირველი წუთებიდანვე აღინიშნება თავის ტკივილი, რომელიც სულ მალე აუტანელი ხდება. ამას მოსდევს პირღე-



ბინება, მაგრამ მას შვება არ მოაქვს. ვითარდება ტკივილი კუნთებში, მუცლის არეში, უძილობა, ბოდვები, მოჩვენებები, სახე წამოწითლებულია, ავადმყოფი აღგზნებულია. მას აღიზიანებს ხმაური, ხელის შეხება, სინათლე. ზოგი ბავშვი დამახასიათებელ პოზაშია: წევს გვერდზე უკან გადაგდებული თავით, მუხლისა და ბარძაყის სახსრებში მოხრილი ფეხებით. თავისა და ფეხების გასწორება არ ხერხდება ძლიერი ტკივილის გამო, ჯდომა შეუძლებელია. ჩვილი ბავშვი უმიზეზოდ ტირის, მას თავზე ყიფლიბანდი ამობურცული აქვს, ხელები უკანკალებს. ხშირად უვითარდება კრუნჩხვები. მძიმე შემთხვევებში დაავადების პირველ საათებშივე ან მეორე დღეს, ავადმყოფი გონებას კარგავს. ანთებითი პროცესის ტვინის ნივთიერებაზე გავრცელებისას, ვითარდება დამბლები. თუ მკურნალობა დაგვიანდა, მენინგიტი ხშირ შემთხვევაში სიკვდილიანობით მთავრდება. შეიძლება დარჩეს მძიმე გართულება – გონებრივი განვითარების ჩამორჩენა, დამბლები, ეპილეფსია.

მენინგოკოკცემია მწვავედ იწყება და მძიმედ მიმდინარეობს, ავადმყოფს შეამცივნებს, მისცემს მაღალ სიცხეს 40-41 გრადუსამდე. აწუხებს თავის ტკივილი, პირღებინება, ვითარდება ქოშინი, გაძლიერებულია წყურვილი, კანი მშრალია. ავადმყოფი საჭმელზე უარს ამბობს, ვერ იძინებს, პირველ საათებშივე კანზე ჩნდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის სისხლჩაქცევა, რომელიც პირველად კიდურებზე ვითარდება, ხოლო შემდეგ ბარძაყებზე, დუნდულებზე, მუცლის არეზე, სახეზე, თვალის სკლერებზე ვრცელდება.

მკურნალობის გარეშე ავადმყოფის სიცოცხლე საფრთხეშია. ანტიბიოტიკებით დროულად და სწორად წარმართული მკურნალობისას კი, მოკლე დროში შეიძლება სრული გამოჯანმრთელება. დროულად განკურნებული ბავშვები ნორმალურად ვითარდებიან.

დაავადების გადატანის შემდეგ, 1-2 წლის განმავლობაში საჭიროა ინფექციონისტის და ნევროპათოლოგის მეთვალყურეობა.

დაავადების პროფილაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენურ რეჟიმს, სუფთა ჰაერზე სეირნობას, სპორტს, ყველაფერს, რაც აძლიერებს ადამიანის გამძლეობას დაავადების მიმართ. ■

წერტილოვანი მასაჟი

ზეწოლა დაავადებაზე

წერტილოვანი მასაჟის მეთოდს კარგად ფლობდნენ ძველი აღმოსავლეთის მედიკოსები. მათ კარგა ხანია აღმოაჩინეს, რომ მკაცრად განსაზღვრულ, ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე თითის დაჭერით შეიძლება დოზირებულად, შერჩევით და მიზანმიმართულად ვიმოქმედოთ სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის ფუნქციებზე, ვარეგულიროთ ნივთიერებათა ცვლისა და აღდგენითი პროცესები.

წერტილოვანი მასაჟის მეშვეობით შეგვიძლია, თავი დავაღწიოთ თავის ტკივილს, განვიკურნოთ გრიპისაგან, სურდოსგან, ანგინისგან, შევიმსუბუქოთ ტკივილი ყურისა და ცხვირის ღრუების ანთების დროს, შევამციროთ კბილის ტკივილი, მოვხსნათ ტკივილები ზურგსა და მუცელში, დავწიოთ არტერიული წნევა, მოვიწესრიგოთ ნაწლავის მუშაობა.

ნახაგი I



წერტილოვანი მასაჟის წინააღმდეგჩვენებაა ორსულობა, ახალწარმონაქმნები, მწვავე ცხელებითი მდგომარეობა, ტუბერკულოზი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, სისხლის, ფილტვების და გულის დაავადებები.

წერტილოვანი მასაჟის ტექნიკის ათვისება რამდენიმე დღეში არ შეიძლება. კარგი შედეგების მიღწევა მხოლოდ გარკვეული ვარჯიშის შემდეგ ხდება. წერტილოვანი მასაჟის დაწყებამდე რეკომენდებულია მოხერხებული მდგომარეობის მიღება, მოდუნება, ყურადღების მაქსიმალური კონცენტრირება სამასაჟო წერტილზე, ყოველგვარი უსიამოვნებისა და შემაშფოთებელი ფაქტის დავიწყება.

მასაჟის წინ კარგად უნდა დაიზილოთ ხელები, რათა კარგად გაითბოთ და გაძლიერდეს სისხლის ცირკულაცია. შემდეგ ფრთხილად უნდა მოსინჯოთ საჭირო წერტილი თითის ბოლოებით. თუ წერტილი სწორად შეარჩიეთ, მასზე ზეწოლის დროს ტკივილის შეგრძნება უნდა გაჩნდეს. მასაჟის პროცესში ნაპოვნ წერტილზე ზეწოლა უნდა გაკეთდეს

ნახაგი II



ფრთხილად, თითი კანის ზედაპირის პერპენდიკულარული უნდა იყოს. ზემოქმედება არ უნდა იყოს უხეში და მკვეთრი.

თითის მოძრაობა შეიძლება იყოს ჰორიზონტალურ-ბრუნვითი, საათის ისრის მიმართულებით ან ვიბრირებადი. ჩვეულებრივ, წერტილს აწვებიან ცერა ან შუა თითის ბალიშით.

თუ წერტილოვანი მასაჟი გამოიყენება როგორც დამამშვიდებელი საშუალება, მაშინ მისი ჩატარების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს უწყვეტი ზემოქმედება, ნელი, წრიული მოძრაობა ზეწოლის ძალის თანდათანობითი მატებით და თითის შეჩერებით სამასაჟო წერტილის სიღრმეში.

ზეწოლა მეორდება 3-4-ჯერ, ყოველი დაწოლის შემდეგ, თითი ისევ ბრუნდება საწყის მდგომარეობაში ისე, რომ არ შორდება სამასაჟო წერტილს. თითოეული წერტილის მასაჟის ხანგრძლივობა 3-5 წუთი უნდა იყოს. თუ წერტილოვანი მასაჟი გამოიყენება როგორც მატონიზირებელი საშუალება, მაშინ სამასაჟო წერტილზე ზემოქმედების ძირითად სახეობას წარმოადგენს ხანმოკლე, ძლიერი დაწოლა და თითის სწრაფი მოშორება წერტილიდან. ასეთი მასაჟის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წუთს.

ანგინის დროს რეკომენდებულია მსუბუქი, წრიული მოძრაობებით შესრულდეს მასაჟი I ნახატზე გამოსახულ წერტილებზე საჩვენებელი თითის ბოლოთი. ამასთან მუშავდება როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელისა და ფეხის წერტილები. თითოეულ წერტილზე ზემოქმედების ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 1-5 წუთს.

რინიტის (სურდოს) დროს სასარგებლოა მე-2 ნახატზე გამოსახული წერტილების მასაჟი. იგი კეთდება საჩვენებელი თითების ბოლოების მსუბუქი მოძრაობებით. ამასთან, სახის სიმეტრიულ წერტილებზე ერთდროულად ხდება ზემოქმედება ორივე ხელის თითებით. თითოეული წერტილის მასაჟი გრძელდება 1 წუთს. ■

თხევადი ოქრო

ბევრი ჩვენგანისათვის „მცენარეული ცხიმი“ მხოლოდ და მხოლოდ „მზესუმზირის ზეთთან“ ასოცირდება. მას ეროვნულ პროდუქტადაც კი აღვიქვამთ და მივიჩნევთ, რომ ალტერნატივა არ გააჩნია.

ჩვენი წინაპრები არ იცნობდნენ მზესუმზირას. ეს მცენარე ევროპაში ჩრდილოეთ ამერიკიდან XVI საუკუნეში შემოსულა და თავდაპირველად, მას დეკორაციული დანიშნულება ჰქონია. შემდგომში მისგან სუროგატულ ყავას ამზადებდნენ და სულ რაღაც ორი საუკუნის წინ, დაუწყიათ ზეთის გამოხდა.

საქართველოში მარხვის დღეებში, რომლებიც, როგორც ცნობილია, წლის განმავლობაში სჭარბობს ხსნილ დღეებს, კერძების მოსამზადებლად ჩვენი წინაპრები სელის ზეთს იყენებდნენ. ეს კულტურა ძირითადად მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მოდიოდა და ზეთსახდელებიც იქვე იყო აშენებული. მხოლოდ გასულ საუკუნეში გააშენეს მზესუმზირა კახეთის რაიონებში. დღეს სელის ზეთი მხოლოდ აფთიაქებში იყიდება, როგორც მრავალი დაავადების წამალი, ხოლო დიეტოლოგები გვირჩევენ, რომ ყოველდღიურად ერთი სუფრის კოვზი სელის ზეთი მაინც მივიღოთ.

თუმცა ზემოთ თქმული იმას არ ნიშნავს, რომ სასწრაფოდ უნდა შევცვალოთ მზესუმზირის ზეთი სელის ზეთით. პირველ მათგანში სჭარბობს ომეგა-6 ტიპის ცხიმოვანი მჟავები, ხოლო მეორეში — მრავლადაა იშვიათი და ღირებული ომეგა-3 ტიპის ცხიმოვანი მჟავები. არ შეიძლება ითქვას, რომ ერთი მეორეზე უკეთესია: წონასწორობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ჩვენს საკვებში შერწყმული უნდა იყოს სხვადასხვა ტიპის ცხიმოვანი მჟავები. ხოლო, თუკი მუდმივად დიდი რაოდენობით გამოვიყენებთ მხოლოდ ზეთის ერთ სახეობას — მაგალითად, მზესუმზირის ზეთს, მაშინ ცხიმოვანი მჟავები შეიძლება „ცუდიც“ გახდეს და ორგანიზმში დაირღვეს სხვადასხვა შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავის ბალანსი. საერთოდ ადამიანს დღეში ესაჭიროება 5-10 გ შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავები, დახლოებით 20-30 გ მცენარეული ზეთი, ნუ ეცდებით მის შეცვლას მარგარინით, რადგან ეს არაადეკვატური ცვლილება იქნება.

გავწუროთ თუ გამოვწვლილოთ

ჩვენში სხვადასხვაგვარი მცენარეული ზეთი იყიდება: მზესუმზირის, ზეთუნის, სოიის, სიმინდის, არაქისის... მათ ზეთოვანი კულტურების მარცვლებიდან ან ნაყოფის რბილობიდან იღებენ ორი ძირითადი ხერხით: დაწნეხით ანუ წინასწარ მომზადებული მარცვლების მაღალი წნევის ქვეშ გაწურვით და ექსტრაგირებით — მარცვლებიდან ცხიმის სპეციალური გამხსნელების გამოყენებით გამოწვლილვით.

ცივი დაწნეხით მიღებულ ზეთს განსაკუთრებული, საუცხოო გემო და მაქსიმალური კვებითი ღირებულება აქვს — მასში მთლიანადაა შენარჩუნებული ბიოლოგიურად აქტიური ყველა კომპონენტი. სწორედ მისი გამოყენებაა უმჯობესი სალათების შესაკაზმად (სასურველია ლიმონის წვენთან ან ძმართან ერთად). ასეთი ზეთი არ რაფინირდება, მხოლოდ იწმინდება მექანიკური მინარევებისაგან, ამიტომ მასში დასაშვებია ნალექის არსებობა. ეს დეფექტი კი არა, იმის დასტურია, რომ თქვენ ხარისხიანი პროდუქტი შეიძინეთ. ამგვარი ზეთი მაცივარში უნდა შეინახოთ, სასურველია — მუქი ფერის შუშის ბოთლში: იგი არ ატარებს მზის პირდაპირ სხივებს.

ექსტრაგირებით მიღებული ზეთი ღრმა წმენდას განიცდის, რადგან უამისოდ გამოუსადეგარია. წმენდის პროცესში იგი კარგავს მახასიათებელ ფერს და სუნს, ხდება მდგრადი დამწარებისადმი, ამიტომ შენახვის ვადაც უფრო ხანგრძლივი აქვს.

თუმცა, დამუშავების პროცესში ასეთი ზეთი კარგავს სასარგებლო თვისებების უმეტეს ნაწილს და ბიოლოგიურად აქტიურ თითქმის ყველა კომპონენტს. სამაგიეროდ, იგი ძალიან კარგია შესაწვავად, ვინაიდან არ ქაფდება და სუნიც არა აქვს.

რა რა არის

მცენარეული ზეთი კარგია, თუ იგი:

- მაღალი ხარისხისაა
- მიღებულია ცივი დაწნეხით
- ახალია და არა აქვს მომწარო გემო
- სწორად ინახება
- რაციონში შეენაცვლება და შეერწყმება სხვა სახის მცენარეულ და ცხოველურ ცხიმს.

სხვადასხვა ცხიმოვანი მჟავის შემცველობის მიხედვით, ყველაზე ბალანსირებულია სოიის ზეთი — მასში წარმოდგენილია ცხიმოვანი მჟავების ყველა სახეობა სასურველი თანაფარდობით. შემდგომ მოდის მზესუმზირისა და სელის ზეთები.

ბამბის ზეთი საკვებად გამოყენებამდე სპეციალურ დამუშავებას გადის, რადგან მასში შედის ტოქსიკური პიგმენტი. ბამბის ზეთში ბევრია (20%-ზე მეტი) ნაჯერი პალმიტინის მჟავა. ამიტომ ცუდად იტანს გაცივებას: +10 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე იმღვრევა, ხოლო ყინვაში — მყარდება.

რაც შეეხება ზეითუნის ზეთს — იგი საუკეთესოა შესაწვავად, რადგან არ კარგავს სასარგებლო თვისებებს გაცხელების დროსაც. მისი განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ მასში ბევრია ომეგა-9 ტიპის ცხიმოვანი მჟავა. ■

უახლესი კვლევის შედეგები

საზღვარგარეთელი მეცნიერები ზეთის შესახებ

● ამერიკელი მკვლევარები გერონტოლოგიის ეროვნული ინსტიტუტიდან ამტკიცებენ, რომ E ვიტამინი, რომელიც ბევრია მზესუმზირის, სიმინდისა და სოიის ზეთში, ანელებს სიბერის მოახლოებას. იგი შესანიშნავი ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, ეწინააღმდეგება ორგანიზმის დაბინძურებას ჟანგვის პროდუქტებით, რომელიც ნაადრევ სიბერეს იწვევს.

● თურქი მედიკოსები მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: მარგარინისა და ნაღების კარაქის მოყვარულებს უფრო ხშირად აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, იმუნური და ნერვული სისტემის მოშლილობა მათთან შედარებით, ვინც მცენარეულ ცხიმს ანიჭებს უპირატესობას. გარდა ამისა, ასეთი ადამიანები უფრო აგრესიულები, გაუწონასწორებლები არიან, ცუდად იტანენ სტრესს. მათი კანი მალე ბერდება, კარგავს ბუნებრივ ელასტიკურობას და სიმკვრივეს.

● მეცნიერები ქალებს მენოპაუზის (კლიმაქსის) პერიოდში ურჩევენ, რაციონში რაც შეიძლება მეტი მცენარეული ზეთის შეტანას. იგი მდიდარია E ვიტამინით, რის გამოც შეუძლია, შეეწინააღმდეგოს ალებსა და ლორწოვანი გარსების სიმშრალეს (მათ შორის სასქესო ორგანოების), რაც ასერიგად დამახასიათებელია აღნიშნულ ასაკში.

სახიფათო რგოლი

კარგი ახალი ამბავი მათთვის, ვისაც არ უყვარს საქორწინო რგოლის ტარება, მაგრამ ეს თავისი მეორე ნახევრისთვის ვერაფრით აუხსნია. როგორც გერმანელ მედიკოსთა გამოკვლევებმა ცხადყო, რგოლის ხანგრძლივი ტარებისას, მასში მინარევების (სუფთა ოქროს სამკაული არ არსებობს) ჟანგვა იწყება, რაც შემდგომ კანიდან სისხლში აღწევს. ეს კი სასიკეთოს არაფერს გვიქადის. მით უმეტეს, რომ მამაკაცების სასქესო ჯირკვლები, ოქსიდების მიმართ განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევა. შედეგი შეიძლება საკმაოდ სახიფათო აღმოჩნდეს და უნაყოფობა გამოიწვიოს. აღსანიშნავია, რომ ქალების ჰორმონალური სისტემა გარეგანი ზემოქმედებისგან უკეთაა დაცული. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქალები უამრავ ოქროს სამკაულს ატარებენ, მათი ჯანმრთელობისათვის ამას სახიფათო შედეგი არ მოაქვს.

სვირინგი – თერაპევტის მეგობარი

ესთეტიკურად ტატუირებასთან შეიძლება ადამიანებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდეთ, მაგრამ სამედიცინო მიდგომა — მკვეთრად უარყოფითია. ამიტომ, ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ახალი ტიპის ტატუირების გამოგონებამ შესაძლოა, გაგაკვირვოთ. დეკორატიული ხელოვნება აქ არაფერ შუაშია. მკვლევარები დიაბეტით დაავადებულთა სისხლის შემადგენლობაში გლუკოზის დონემ შთააგონა, რადგან როცა გლუკოზა ნორმაზე დაბლა ჩამოდის, მაშინ ნივთიერება, რომლითაც სვირინგია გაკეთებული, ნათებას იწყებს. ჩვეულებრივი ტატუირებისაგან განსხვავებით, როცა მელანს კანის უჯრედები იწოვს, ტატუ — გადამცემი კანის ქვეშ შეჰყავთ. ერთადერთი, რაც ახალ ტატუირებას მოუხერხებელი აქვს ისაა, რომ მას მზის სხივების ეშინია, ამიტომ მას გამოსაჩენ ადგილას ვერ გაიკეთებ.

ექიმების აზრით, ასეთი მხატვრობისათვის მუცელი და ხელისგული ყველაზე მეტად მოსახერხებელია. უახლოეს მომავალში მეცნიერები ამ მეთოდის გაუმჯობესებას აპირებენ: ისინი შექმნიან მინიგადამცემს, რომელიც გააკონტროლებს ნათებას და ინფორმაციას მაჯის საათს გადასცემს.

ექიმი-თერაპევტი თამარ მამაცაშვილი მსურველებს საკონსულტაციოდ მიიღებს შემდეგ მისამართზე: ქავთარაძის ქ. №16 სამკურნალო კომბინატი („ლეჩკომბინატი), მე-6 სართული, კარდიოლოგიური განყოფილება.

პაციენტებს მეცნიერული მედიცინის მეთოდებთან ერთად, კომპლექსურად უტარდებათ მკურნალობა თაფლის გამოყენებით: ქრონიკული ტონზილიტების (ნუშურა ჯირკვლების ანთება), ლარინგიტების (სასის ანთება), ფარინგიტების (ხახის ანთება), ბრონქიტების, პნევმონიების (ფილტვების ანთება) დროს.

მიღება ყოველდღე,
შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 14 სთ-მდე.

მოსკოვში მაკა ასათიანს ჟურნალისტებმა პალტო გახადეს

ცოტა ხნის წინ, სტუდია „მაკა ასათიანის“ წარმომადგენლები მოსკოვში ჩატარებულ მოდის კვირეულში – Fashion week-ში მონაწილეობდნენ. იქ მაკამ 50 ნამუშევრისგან შემდგარი და პრეტ-ა-პორტეს სტილში შესრულებული, გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია წარმოადგინა. Fashion week-ი ჩვეულებისამებრ, მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში – Садовое кольцо-ში მდებარე კომპლექს Atrium-ში ჩატარდა, რომელიც ტრადიციულად მასპინძლობს მოდის კვირეულებს. საერთოდ, Fashion week-ი რუსული მოდის კვირეული გახლავთ და ქართველი დიზაინერი მასზე სპეციალური სტუმრის სტატუსით მიიწვიეს. მოდის 35 წამყვანი ჟურნალის (Cosmopolitan, Vogue და სხვ.), Fashion TV-ისა და რუსეთის თითქმის ყველა ტელეარხის მიერ გაშუქებულმა ჩვენებამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

ჩვენების შემდეგ, ექსკლუზიურ პალტოში გამოწყობილ მაკას „ალყა შემოარტყეს“ ჟურნალისტებმა. ერთ-ერთ მათგანს ქართველი დიზაინერის პალტო იმდენად მოეწონა, რომ მაშინვე გადაწყვიტა მისი შეძენა და იქვე გაახდევინა მაკას პალტო.

„მაკა ასათიანის“ კოსტიუმებს, სააგენტო „ნატალის“ 7 მოდელი წარმოადგენდა. მათთან ერთად პოდიუმზე გოგოლა კალანდაძეც გამოჩნდა, რომლის გამოსვლაც კურიოზით აღინიშნა: მაღალქუსლიან და ორი ზომით დიდ ფეხსაცმელში გამოწყობილ გოგოლას, გამოსვლისას ფეხი დაუცდა; მსახიობმა წონასწორობის შენარჩუნება მაინც შეძლო, მაგრამ შემდეგ, კატეგორიული უარი განაცხადა სხვა კოსტიუმების დემონსტრირებაზე.

მაკას კოლექცია მთლიანად მოსკოვში დარჩა, სადაც ცოტა ხანში, მოდურ მაღაზიაში – МАРКИ გაიყიდება. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, სტუდია „მაკა ასათიანი“ მორიგ – ამჯერად, საზამთრო კოსტიუმებისგან შემდგარ კოლექციაზე მუშაობას შეუდგა, რომლის დეფილეც სავარაუდოდ 21 ნოემბერს, სასტუმრო „მერიოტში“ გაიმართება. ■

ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი“ Flash-ის ინტერპრეტაციით

ცოტა ხნის წინ, ჯგუფმა Flash-მა თავის მეორე ალბომზე დასრულა მუშაობა. მასში 12 სიმღერა შევა, რომლის ავტორებიც თვით „ფლეშის ბიჭები“ არიან. სხვა სიმღერებთან ერთად, ალბომში ერთ ხალხურ სიმღერას – „მასპინძელსა მხიარულსა“ და ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონისა“ და „თოლიის“ ინტერპრეტაციებსაც მოვისმენთ. აღსანიშნავია, რომ ალბომში არ შევა დუეტები. „ფლეშის“ ბიჭებმა ალბომს უჩვეულო და მრავლისმეტყველი სახელი შეურჩიეს – „ეგ არის“. სულ მალე, ახალ ალბომს მუსიკალური მაღაზიების ვიტრინებზე, კომპაქტ-დისკებისა და აუდიოკასეტების სახით ვიხილავთ. ამ პროექტის დაფინანსება რაჯამ, ბადრიმ და ჩიბომ უსპონსოროდ – საკუთარი ძალებით მოახერხეს.

ჯგუფს ჯერ არ გადაუწყვეტია, მოაწყობს თუ არა ახალი ალბომის პრეზენტაციას, ვინაიდან ეს საკმაოდ დიდ ხარჯს მოითხოვს. გარდა ამისა, მზადდება კიდევ ერთი კომპაქტ-დისკი, სადაც „ფლეშის“ 15 ვიდეოკლიპი შევა. ■

დღეში 3 კონცერტი და აღფრთოვანებული მოზარდები

გლდანის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში სხვადასხვა სკოლიდან შეკრებილმა მოსწავლეებმა მამუკა ონაშვილსა და ჯგუფს – „ისინი“ მოუწყვეს შეხვედრა. ვინაიდან მამუკას 3 საათზე უნივერსიტეტში გამართულ კონცერტზე მიეჩქარებოდა, იმპროვიზებული პრესკონფერენცია დაუგვიანებლად, ზუსტად პირველ საათზე დაიწყო. მოზარდების ცნობისმოყვარეობა უსაზღვრო აღმოჩნდა – სტუმრებს უამრავი კითხვა დაუსვეს. პირველი შეკითხვა მამუკასა და ჯგუფ „ისინის“ წევრების – ცანკასა და ბედინას სკოლის დროინდელ ონავრობებს შეეხებოდა. თურმე, მამუკა ონაშვილი ძალიან ცელქი ბავშვი ყოფილა, რის გამოც ხშირად იმსახურებდა მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორის რისხვას. ცანკაც რამდენჯერმე გამოაგდეს სკოლიდან, თუმცა ისევ მიიღეს, რადგან იმ პერიოდში სკოლებს შორის „საკავეენო“ შეჯიბრი იწყებოდა, ცანკას კი კარგი თეატრალური მონაცემები ჰქონდა.

კითხვაზე – როგორი ქალები გხიბლავთო, ცანკამ ასე უპასუხა: მხიბლავენ ქალები, რომლებმაც კარგი ლობიოს გაკეთება იციანო... მამუკა ონაშვილმა კი უპასუხა: ასეთ ქალს თუ ვერსად იპოვი, ბოლოს და ბოლოს, მცხეთის სალობიედან წამოიყვანეო... ცანკას დიდხანს ძებნა არ დასჭირვებია, რადგან წინა რიგში მჯდომმა გოგონამ მყისვე განაცხადა: ლობიოს ყველაზე უკეთ მე ვაკეთებო, – რაზეც სტუმრებმაც და მასპინძლებმაც ბევრი იცინეს. შეხვედრის ბოლოს, ჯგუფ „ისინის“ სიმღერების ფონზე მომღერლებმა უამრავი ავტოგრაფი და კასეტა დაარიგეს, რის შემდეგაც მამუკა ონაშვილი უნივერსიტეტისკენ გაემართა. იქ გამართული საქველმოქმედო კონცერტის შემდეგ კი, საღამოს 7 საათზე, მარტყოფს ესტუმრა, სადაც ჯგუფებთან – „ისინი“, „5 ლაინსი“ და მომხიბვლელ მერისთან ერთად ჩატარებულ კიდევ ერთ კონცერტში მიიღო მონაწილეობა. ■

- შნო და მოხერხება
- მუსიკალური ბგერათა მწყობრი შეთანხმება
- „გარგანტუა და პანტაგრუელი“ (მწერალი)
- აშშ-ის ყოფილი დედაქალაქი
- ზოგიერ ცხოველის ფეხი
- მრსეს მცენარეთა რაოდენობა
- მტკვრის მარჯვენა შენაკადი
- სოფელი ონის რაიონში
- ტყემლის საკაზმი
- ყიმარი
- წვეტიანი ყინული
- ხართან მებრძოლი
- მეზღვაურთა შომჯადოებელი
- ლარნაკის გატეხის წინაპირობა
- ხუთ კუთხა შენობა აშშ-ში
- საქონლის თანმხლები საბუთი
- ორგანიზმის კუნთების მოდუნება
- საცალფეხო გზა
- ხუთელექტროდიანი რადიონათურა
- ზოგიერთ რუსა პოსტსაბჭოური კავშირი
- ცეცხლგამძლე კარადა
- ალმის ნაყოფი
- „ბურუჯის“ საბნის გამრეცხელ - ლუდ
- პირის ნაცვალსაბელი
- I არხის ეროტიული წამყვანი
- მამა-შვილი, პოპულარული გერმანელი მსახიობები
- ზეციერი ტალღოვანი ფენომენი
- ადამიანის ტანი
- მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
- ახლახან გამოვლენილი ვულკანი სიცილიაზე
- წყლის მცენარე
- მჩატეს ანტიკოდი
- ჩუქურთმიანი ქვა ბრონშში
- მეგრული ფაფა
- რუსული მკრეულიტრ, ავტომობილი
- ფიფას პრეზიდენტი 1921-1954 წწ.
- ზამში
- „თბილისობის“ ეპიცენტრი
- ნოტი
- ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი
- ინდოეთში შეჭრილი ზღვის ნაწილი
- პოლიტ. გარაჭნა წყობლების შეცვლილად
- მიტროპოლიტის ქუდი
- შინაარსის გარეგნული გამოხატულება
- ბელინის ოპერა
- იაპონური ფირმა

შეადგინა
რამაზ ალანიამ

8-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ბ; 4-გ.
21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.

კვირის (? – ? ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ღრიანკალი – 24/X-22/XI

წარუმატებლობის ხანა თქვენს ცხოვრებაში დასრულდა. ყველა საქმე თანდათან აგეწყობათ, ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება. ოღონდ, ნუ ეცდებით მოვლენების დაჩქარებას – ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება. თუ თქვენი ბობოქარი ხასიათი გართობას მოგთხოვთ, ხელი მოჰკიდეთ რომელიმე ბავშვს და... ცირკში წაიყვანეთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

უამრავი სიამოვნება გელით – დროს ტარება მეგობრების წრეში, ვნებიანი სასიყვარულო თავგადასავალი და შესაძლოა, მოულოდნელი შემოსავალიც. შეირგეთ ეს ყველაფერი და ნურავის აწყენინებთ: არ დაგავიწყდეთ, რომ ცხოვრების გზაზე სირთულეები თქვენც შეგხვდებათ და ადამიანების თანადგომა დაგჭირდებათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

მტკიცედ მიიწევთ დასახული მიზნისაკენ, წარმოიდგინეთ – უფრო მეტად მიუახლოვდით კიდეც, ვიდრე თავად ფიქრობთ. უფროსობაც და თანამშრომლებიც გაოცებულნი არიან თქვენი განსწავლულობითა და კომპეტენტურობით. სავარაუდოა, რომ მალე დაგაწინაურებენ კიდეც. ამავე დროს, მზად უნდა იყოთ ხანმოკლე და სასიამოვნო მოგზაურობისთვის.

მერწყული – 21/I-19/II

ქვეცნობიერად, რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენისთვის ემზადებით. თუ თავად ვერ გარკვეულხართ იმაში, რა გსურთ, ნუ იშფოთებთ – ყველაფერს თავისი დრო აქვს. ზედმეტი ნერვიულობით გარშემომყოფებისთვისაც ძნელი ასატანი იქნებით და საკუთარ თავსაც ვერაფერს არგებთ.

თევზები – 20/II-20/III

ყველა ემოცია, რომელიც ბოლო დროს ასე ჭარბად გქონდათ, თანდათან დაცხრება. მეტი მობილიზება გმართებთ ოჯახური პრობლემების მოგვარებისას. შეეცადეთ, არ მოეშვათ, გეგმაზომიერად იმოქმედოთ და დაკვირვებით მოეკიდოთ ყველა საქმეს. ამასთან, ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

ვერძი – 21/III-20/IV



მეტისმეტად მოგბეზრდათ ყოფითი პრობლემები და სხვებზე ზრუნვა. საკუთარ თავზე რომ გადაერთოთ, აუცილებელია, ადრე დაწყებული საქმეები დაასრულოთ. მოემზადეთ რომანტიკული თავგადასავლისთვის, ამიტომ ეცადეთ, ბოლომდე გათავისუფლდეთ წვრილმანი ვალდებულებებისა და უმნიშვნელო საქმეებისგან.

კურო – 21/IV-21/V

უთუოდ შეამჩნევდით, რომ ახალ ნაცნობებს თქვენთვის სარგებლობა მოაქვს. ყური დაუგდეთ მათ რჩევებს, მაგრამ ნურც ძველ მეგობრებს დაივიწყებთ – ისინი მაინც, გაცილებით საიმედონი არიან. შესაძლოა, რომელიმე კონკურენტმა ან უბრალოდ, შურიანმა ადამიანმა გუნება გაგიფუჭოთ, მაგრამ გულს ნუ ჩააყოლებთ: მალე სამაგიერო მიეზღვება.

მარიგები – 22/V-21/VI

საკმაოდ შფოთიანი კვირა გელით. თქვენ მიერ გამოთქმული თითოეული აზრი განსხვავებული იქნება, ნებისმიერი საუბარი პოლემიკასა თუ კამათში გადაიზრდება. დაიოკეთ ემოციები და გაიხსენეთ, რომ დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობა ყოველთვის სიკეთის მომტანი როდია. უქმეები, სჯობს, განმარტოებით გაატაროთ და ყველაფერი კარგად გაანალიზოთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კვირის დასაწყისში ძალიან ბობოქარი მოვლენები გელით, შუა პერიოდისთვის კი, საყვარელი ადამიანის მკლავებში აღმოჩნდებით, რაც ძალზედ რომანტიკულ უქმეებს გიქადით. შესაძლოა, თანამშრომლებთან წვრილმანი უსიამოვნებები გქონდეთ, რაც სამსახურის გამოცვლასაც გაფიქრებინებთ, მაგრამ ასეთ საქმეში სიჩქარე არ ივარგებს.

ლომი – 23/VII-23/VIII



თავი მოგაბეზრათ რუტინულმა სამუშაომ. კარგა ხანია, იმის სურვილი გკლავთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაიმე გამორჩეული მოხდეს, რაც ძლიერ ემოციას განგაცდევინებთ, მაგრამ ეს მხოლოდ თქვენს ხელთ არის: ზედმეტად ხართ ჩაფლული ყოველდღიურ საზრუნავში.

ქალწული – 24/VIII-23/IX

თუ ვინმესთვის განშორება მოგიწევთ, ეცადეთ, ამას ფილოსოფიური თვალით შეხედოთ. ბუნება ვერც სიცარიელეს ეგუება და ვერც ბალანსის დარღვევას, ამიტომ, მალე ახალი მეგობარი გამოგიჩნდებათ. ეს ძალზედ დროულიც იქნება, რადგან თბილი და გულწრფელი ურთიერთობის ნაკლებობას განიცდით.

სასწორი – 24/IX-23/X

თუ დიდი შემოსავალი არ მიგიღიათ, ის კი ნამდვილად იცით, როგორ მიაღწიოთ ამას და თქვენი იდეის განხორციელება, რომ იტყვიან, მხოლოდ ტექნიკის საქმეა. როგორც კი ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგებით, ყველაფერს საათივით ააწყობთ. გირჩევთ, უქმეები ახლობლებს მიუძღვნათ – მათ თქვენი თანადგომა დასჭირდებათ.

მხოლოდ ქალებისთვის

ხართ თუ არა მომხიბვლელი?

ალბათ უდავოა ის ფაქტი, რომ ქალის სილამაზე და მომხიბვლელობა საკმაოდ განსხვავებული ცნებებია. მომხიბვლელობა ბევრად უფრო ტევადი და შეუცნობელია, ვიდრე სილამაზე. ქალის მომხიბვლელობას მისი სულიერი სამყარო, ქცევა და ცხოვრების სტილი განსაზღვრავს.

უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გაარკვიეთ, მიაჩნიხართ თუ არა გარშემომყოფებს მომხიბვლელ ქალად.

1) რომელი ტიპის საცურაო კოსტიუმში გრძნობთ თავს კომფორტულად?

ა) მეტისმეტად მოღიავებულში – 4;

ბ) ფერად, მაგრამ მოკრძალებულში – 8;

გ) დახურულ, კლასიკური ტიპის კოსტიუმში – 2.

2) ჩვეულებრივ, წვეულებაზე ყოფნისას, მხოლოდ ერთი მამაკაცისკენ ხომ არ არის მიმართული თქვენი ყურადღება?

ა) დიახ – 3;

ბ) არა – 5.

გ) გააჩნია კომპანიას – შეიძლება, რამდენიმე მათგანი მოგვიდეთ თვალში და წვეულების ბოლოს, ყურადღება ერთ-ერთ მათგანზე შეაჩეროთ – 8.

3) რა პროფესიის უნდა იყოს თქვენი რჩეული მამაკაცი?

ა) პოლიტიკოსი – 8;

ბ) სპორტსმენი – 4;

გ) მსახიობი – 6.

4) გიკეთიათ თუ არა საყურეები პლაჟზე ყოფნისას?

ა) არასოდეს – ხომ შეიძლება დაკარგოთ – 2;

ბ) გიკეთიათ, მაგრამ წყალში შესვლის წინ იხსნით და ინახავთ – 5;

გ) ყოველთვის გიკეთიათ – 8.

5) როგორ გგონიათ — რა ასაკში უნდა გაიკეთოს ქალმა პლასტიკური ოპერაცია?

ა) 30 წლის ასაკში – 8;

ბ) 50 წლის ასაკში – 5;

გ) არასოდეს – 2.

6) ჩამოთვლილი მოვლენებიდან რა გაშინებთ ყველაზე მეტად?

ა) ქარიშხალი – 5;

ბ) ღამით უკაცრიელ ადგილას გავლა – 2;

გ) პარაშუტით გადმოხტომა – 8.

7) ჩვეულებრივ, რა ადგილებში იპკურებთ ხოლმე სუნამოს?

ა) ყურებს უკან – 5;

ბ) ყელზე – 2;

გ) დეკოლტეზე – 8.

8) თქვენი აზრით, რა ხიბლავს მამაკაცს ქალში ყველაზე მეტად?

ა) კარგი აღნაგობა – 8;

ბ) თვალები – 5;

გ) სტილი – 2.

9) თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი ნივთია ქალისთვის ყველაზე აუცილებელი?

ა) სუნამო – 5;

ბ) სავარცხელი – 2;

გ) პომადა – 8.

10) წარმოიდგინეთ, რომ თქვენი გარდერობი იწვის, რას დაავლებთ ხელს პირველ რიგში?

ა) აბრეშუმის თეთრეულს – 6;

ბ) გრძელ ქვედაბოლოს – 2;

გ) ჯინსის შარვალს – 4.

11) გაიხსენეთ, როდის აგიხსნეს ბოლოს სიყვარული?

ა) ორიოდე დღის წინ – 7;

ბ) ერთი თვის წინ – 5;

გ) ძალიან დიდი ხნის წინ – 2.

12) დაახლოებით რა დრო დაგჭირდებათ სამზარეულოში, 4-5 სტუმრისთვის კერძების მოსამზადებლად?

ა) 15-20 წუთი – 7;

ბ) 45 წუთი – 5;

გ) 1 საათზე მეტი – 2.

13) რას დააზღვევდით პირველ რიგში?

ა) ქონებას – 8;

ბ) სიცოცხლეს – 6;

გ) სხეულის რომელიმე ნაწილს – 3.

დაანჯამეთ ქულები

100-76: ნამდვილად მომხიბვლელი ქალი ბრძანდებით, თქვენი შარმის წინაშე ყველა ქედს იხრის. ძალიან კარგად გაქვთ შესწავლილი საკუთარი ღირსებები და მათი წარმოჩენაც მშვენივრად გეხერხებათ. მამაკაცები იდეალურ ქალად მიგიჩნევენ და აღიარებენ, რომ ნაკლი არ გაქვთ. ეს მთლიანად თქვენი შინაგანი და გარეგნული მომხიბვლელობის შედეგია.

75-57: საკუთარი თავი ძალიან გიყვართ. ბუნებით ინტელიგენტი ადამიანი ხართ და თამაშიც გიჭირთ. ყველგან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებთ, როგორიც სინამდვილეში ხართ. მომხიბვლელობა არ გაკლიათ, თუმცა ეს პირველი შეხედვისთანავე არ ხვდებათ ხოლმე თვალში. ერთგულებითაც გამოირჩევით და საყვარელი მამაკაცისგანაც იმავეს მოითხოვთ. ვინაიდან დათმობებზე წასვლა და მსახიობობა არ გეხერხებათ, ცხოვრება ოდნავ გირთულდებათ ხოლმე.

56-30: მომხიბვლელობის სახალხოდ დემონსტრირება და საკუთარი თავის ძალდატანებით წარმოჩენა არ გიყვართ. ფიქრობთ, რომ ადამიანის მომხიბვლელობას მისი სულიერი სამყარო და განათლება წარმოაჩენს. მყარი მორალური პრინციპები გაქვთ და მათ გადახვევას არასოდეს დათანხმდებით. მუდამ ბუნებრივი და უშუალო ხართ, იმას ლაპარაკობთ, რასაც ფიქრობთ და საერთოდ არ განაღვლებთ, ჩაგთვლიან მომხიბვლელად თუ არა.

ივ სენ-ლორანის სამოდელო სახლმა ახსებობა შენყვიტა

31 ოქტომბერს სამუდამოდ დაიხურა ივ სენ-ლორანის სამოდელო სახლის კარი. ამ დღეს, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მოდელიერი თავის თანამშრომლებს დაემშვიდობა. სამოდელო სახლში 158 ადამიანი იყო დასაქმებული; უმრავლესობამ უკვე იშოვა სამსახური სხვა კუტიურიეებთან. რაც შეეხება ივ სენ-ლორანის სავაჭრო მარკას — მის ბედს მისი მფლობელი — ფირმა Gucci-ს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

66 წლის მოდელიერმა მოდის სამყაროდან წასვლის თაობაზე, ჯერ კიდევ 2002 წლის იანვარში განაცხადა. კუტიურიეს

გადაწყვეტილების მიზეზად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასა და YSL-ის სავაჭრო ფირმის მფლობელებთან კონფლიქტს ასახელებდნენ. თავად სენ-ლორანს ამ თემაზე საჯაროდ არასოდეს უსაუბრია. უკანასკნელ ინტერვიუში მოდელიერმა მადლობა გადაუხადა საკუთარ კლიენტებს მისდამი წლების მანძილზე გამოხატული ნდობისთვის. მისი სახელობის სამოდელო სახლმა 40 წელიწადი იარსება. ■

ᲔᲛᲣᲨᲔᲕᲐᲰᲛᲐ ᲛᲫᲐᲰᲪᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲰᲘ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲰᲐᲗᲘ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲐ



შვეიცარიის ქალაქ ობერვილში მძარცველმა დანაშაულის ადგილზე სავიზიტო ბარათი დატოვა. ბუნებრივია, ამის წყალობით სამართალდამცავებს მისი მოძებნა და დაპატიმრება არ გასჭირვებიათ. 19 წლის უნგრელი ბოროტმოქმედი 6.700 დოლარის ღირებულების ვიდეოაპარატურის ქურდობაშია ეჭვმიტანილი. პოლიციამ მისი 21 წლის შვეიცარიელი თანამზრახველიც დაჰკითხა. „ბარათზე სახელი და მისამართი იყო მითითებული. ასე რომ, მისი მფლობელის მონახულება გადავწყვიტეთ... — თქვა პოლიციის პრესმდივანმა ბაზელმა და დასძინა: — სავარაუდოა, რომ ის უადგილო ადგილას ბარათი დაკარგვის ამბავს უკვე მიხვედრილი იყო, რადგან ჩვენს ვიზიტს სულაც არ გაუკვირვებია“. ■

ᲥᲕᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲛᲔᲫᲣᲫᲣᲗ ᲛᲐᲛᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ

აღმოჩნდა, რომ ჩვილის ძუძუთი გამოკვება სულაც ა[illegible] ყოფილა სუსტი სქესის პრეროგატივა. 38 წლის შრი-ლანკელი ვიჟერანის ცოლი მშობიარობას გადაჰყვა. ქვრივს აღ[illegible] საზრდელად ორი პატარა გოგონა დარჩა. უფროსი — ნისანსალა მადჰუნაშენი ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის არის. დედინოყიერ რძეს შეჩვეული ბავშვი მზრუნველმა მამამ ხელოვნურ საკვებაზე ვერაფრის დიდებით ვერ გადაიყვანა; იგი ჯიუტად იშორებდა რძით სავსე საწოვარიან ბოთლს და გულამოსკვნილი ტიროდა. სასოწარკვეთილმა მამამ ვერაფრით დააწყნარ[illegible]

ბავშვი და საკუ[illegible] თარი ძუძუ ჩაუ[illegible] დო პირში. თავად ვიჟერანის გაოცებასაც საზღვარი[illegible] არ ჰქონდა, როცა[illegible] პაწიამ ენერგიულად დაუწყო ძუ[illegible] ძუს წოვა და იქ[illegible] იდან რძე წამოვი[illegible] და. ამ ფენომენი[illegible] შრი-ლანკელი ექ[illegible] იმებიც დაინტერესდნენ და სახელმწიფო ჰოსპიტალში მეძუძურ[illegible] მამას გამოკვლევა ჩაუტარეს, რის შემდეგაც ექიმმა კამალმა[illegible] თქვა: „ეს მოვლენა განპირობებულია ზოგიერთი მამაკაცის ორგანიზმში პროლაქტინის ჰორმონის ჭარბად არსებობით (ქალის ორგანიზმში პროლაქტინი მკერდის ჯირკვლებსა და ლაქტაციის უნარზეა პასუხისმგებელი), რაც ზოგჯერ კაცებშიც უწყობს ხელს რძის გამომუშავებას“. ვიჟერანის ახალდაბადებული უმცროსი გოგონა, ღვიძლი დისაგან განსხვავებით, მშვენივრად შეეგუა ხელოვნურ საკვებს. ■

ᲰᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲨᲝᲣ ᲓᲐ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲨᲔᲜᲘᲠᲘᲡ ᲰᲘᲢᲣᲐᲚᲘ

ჰოლანდიის ტელეარხი „რეალური ტელეშოუს“ გადასაღებად ემზადება. შოუ იმით იქნება განსაკუთრებული, რომ ერთ ჭერქვეშ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს მოუყრის თავს. ტელეშოუს სამუშაო სახელწოდებაა — „საბბატო“. შოუს 12 მონაწილე 13 კვირით ძველ მონასტერში დასახლდება. მათ სრულიად მოულოდნელი დავალებების შესრულება მოუხდებათ — მაგალითად, ცოცხალი თხის მსხვერპლად შეწირვა ან მძიმე, ერთკვირიანი მარხვის შენახვა.

პროგრამა ასპროცენტიანად „რეალური“ არ იქნება — როცა კამერები გამოირთვება, მონაწილეებს „თავისუფალი დრო“ მიეცემათ. გადაღებებს გაისად დაიწყებენ, რეპორტაჟი „საბბატოს“ მცხოვრებთა შესახებ ტელეარხზე დღეში ერთხელ გავა.

პროგრამის პროდიუსერის თქმით, გადაცემის ძირითადი მიზანი სხვადასხვა კონფესიის ურთიერთობის პრობლემების გაშუქებაა. ■

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲔᲯᲑᲘᲜᲐ

გერმანიაში ძაღლის განრისხებული პატრონი საკუთარ ოთხფეხა მეგობარს დაესხა თავს. მან იგი ჯერ წიხლქვეშ გაიგდო, შემდეგ კი ჩაიფრინდა და ცხვირზე უკბინა.

პოლიციელებმა, რომლებიც შემთხვევით შეესწრნენ ამ ინციდენტს, 36 წლის მამაკაცს ძაღლი ჩამოართვეს და ვიდრე მას ახლ პატრონს გამოუძებნიან, ცხოველთა თავშესაფარში მოათავსეს. ■

ფოტოკუთხეები





ძალიან საინტერესო ჟურნალი

66/38

ყოველ ორშაბათს!